

გიორგი ანჩაბაძე

საქართველოს სამხედრო
ისტორიის საკითხები
(1921 წლამდე)

George Anchabadze

THE PROBLEMS OF
GEORGIAN MILITARY HISTORY
(TILL 1921)



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
ILIA STATE UNIVERSITY

თბილისი 2010 Tbilisi

© 2010 გიორგი ანჩაბაძე

© 2010 ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ISBN 978-9941-9126-0-3

ყველა უფლება დაცულია

ნიგნში თავმოყრილია ავტორის შრომები, მიძღვნილი საქართველოს სამხედრო ისტორიის პრობლემებისადმი. დაწყებული 1980-იანი წლები-დან, ეს პუბლიკაციები სხვადასხვა გამოცემებშია დაბეჭდილი, მაგრამ რადგანაც მათი ნაწილი დღეს ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა, ხოლო თემა, რომლებსაც ისინი ეხებიან, აქტუალური, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ მათი ცალკე კრებულად გამოცემა. ამასთან ზოგიერთი სტატია მცირედ კორექტირებული და შევსებული იქნა. ამიტომ წინამდებარე გამოცემის ტექსტები ცალკეულ შემთხვევებში ზედმინევით არ ემთხვევა პირველი პუბლიკაციების ტექსტებს.

კრებულში შეტანილ სტატიებში წარმოდგენილია სამხედრო ისტორიის თითქმის ყველა ასპექტი – შეიარაღებული ძალების ხასიათი და მათი ორგანიზაცია, ომებისა და სამხედრო ხელოვნების ისტორია, სამხედრო-თეორიული აზრის განვითარება, სამხედრო ეთიკა, სამხედრო-ისტორიული წყაროთმცოდნეობა და სხვ. აქვეა ორიგინალური რუკები და სქემები. სტატიები დაწყობილია ქრონოლოგიურად: წინაფეოდალური და ფეოდალური ეპოქების ამსახველი მასალა, 1918-1921 წწ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების დახასიათება. კრებული მთავრდება საქართველოს ომების ქრონოლოგიური ნუსხით.

წიგნი განკუთვნილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის. იგი გამოადგება აგრეთვე სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს, ისტორიოსებს, ისტორიის მასწავლებლებს, სამხედრო მოსამსახურეებსა და, საერთოდ, საქართველოს ნარსულით დაინტერესებულ ფართო მეითხველ საზოგადოებას.

The book is a collection of the author's works dedicated to the questions of the military history of Georgia. The works have previously appeared in various publications from the 1980s. However, as some of them presently are bibliographic rarities, while the questions they deal with are quite relevant, I found it appropriate to publish them again as a collection. At the same time some articles are a little corrected and supplemented. Therefore in some cases the texts of this edition do not fully coincide with the texts of the former publications.

The articles cover almost all aspects of military history – the nature of armed forces, and their organization, military ethics, history of wars and art of warfare, development of military theory, military source study, etc. The collection also includes original maps and schemes. The articles are arranged chronologically, starting with the pre-feudal and feudal periods, including description of the armed forces of the 1918-1921 Democratic Republic of Georgia and ending with a chronological list of Georgian wars.

The book is intended for Ilia State University students. It will be likewise helpful for students of other higher education centers as well as for historians, teachers, and military and for the public interested in Georgian history.

სარჩევი / CONTENTS

- 7** სამხედრო საქმის განვითარება ძველ საქართველოში.
ქართლის (იბერიის) სამეფოს შეიარაღებული ორგანიზაცია
Development of Warfare in Old Georgia: Armed Organization
of the Kingdom of Kartli (Iberia)
- 14** ძველი ქართლის სამეფოს ჩამოყალიბების დროისა
და პირობების შესახებ
On the Time and Circumstances of Establishing the Iberian Kingdom (Kartli)
- 27** ვახტანგ გორგასლის პირველი ომი სასანური ირანის წინააღმდეგ
The First War of Vakhtang Gorgasali against Sassanian Iran
- 42** ფეოდალური საქართველოს ლაშქარი
The Army of Feudal Georgia
- 53** ეკლესია და სამხედრო საქმე ფეოდალურ საქართველოში (IV-XVIII სს.)
The Church and Warfare
- 61** ქართული სამხედრო ორგანიზაციის ისტორიიდან
(„შიდა სპა“, ანუ „შიდა ლაშქარი“)
From the History of Georgian Military Organization (“the Inland Army”)
- 74** „ძეგლი ერისთავთა“, როგორც წყარო ქართლის მთიანეთში სამხედრო
საქმის ისტორიისათვის
Dzegli Eristavta: a Historical Record on the Warfare in Kartli Highlands
- 94** სამხრეთ საქართველოს მოსახლეობის ბრძოლა მცირეაზიელი
მომთაბარე ტომების წინააღმდეგ
The Struggle of the Georgian Population against the Minor
Asian Nomadic Tribes

- 110** კახეთის სადროშოების საკითხი ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებაში
The Question of Kakheti Sadroshos in the Work of Prince
Vakhushti Bagrationi
- 119** იოსებ თბილელის „დიდმოურავიანი“, როგორც სამხედრო-ისტორიული
წყარო
Didmouraviani by Ioseb Tbileli: a Source of Military History
- 134** სეხნია ჩხეიძის „მეფეთა ცხოვრება“:
სამხედრო-ისტორიული წყარო
History of the Kings By Sekhnia Chkheidze: a Source of Military History
- 147** ქართული ლაშქრის საბრძოლო წყობა და ბრძოლის
წარმოების ხერხები თეიმურაზ II-ის „სარკე თქმულთა,
ანუ დღისა და ღამის გაბაასების“ მიხედვით
Military Arrangement of the Georgian Army and Warfare Techniques
according to King Teimuraz II's Poem Dispute between Day and Night
- 156** 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომი და აფხაზეთის აჯანყება
The Russo-Turkish War (1877-1878) and the Abkhazian Uprising
- 176** ქართული ჯარი 1918-1921 წლებში
The Georgian Army in 1918-1921
- 185** ქცევის ტრადიციული ნორმები კავკასიაში ომებისა და
შეიარაღებული კონფლიქტების დროს
The Traditional Standards of War and Conflict behavior in the Caucasus
- 200** საქართველოს ომების ქრონოლოგია
(უძველესი დროიდან 1490 წლამდე)
The Chronology of the Georgian Wars

სამხედრო საქმის განვითარება ძველ საქართველოში. ერთობის (იგერის) სამეფოს შეინარჩულებული ორგანიზაცია¹

საქართველოს ტერიტორიაზე აშკარა სამხედრო დანიშნულების ნივთები – ბრინჯაოს ფოთლისებრი და ხიმუსისმაგვარი შუბისპირები, ვიწროტანიანი ყუამილიანი ცულები, სატევრები და სხვ. ჯერ კიდევ ძვ. წ. III ათასწლეულის არქეოლოგიურ მასალებშია გამოვლენილი, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ იმ დროს უკვე ადგილი ჰქონდა ტომთა შორის სპორადულ შეტაკებებს. შემდგომ, ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებში, როდესაც დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე ყალიბდება ტომთა კავშირები, ხოლო მოსახლეობაში თავს იჩენს ქონებრივი და სოციალური დიფერენციაცია, ომების ინტენსიურობა გაიზარდა. გახშირებული ომების შედეგი იყო სამხედრო საქმის სწრაფი განვითარება. ომი და სამხედრო ორგანიზაცია საზოგადოებრივი ცხოვრების რეგულარული ფუნქციები ხდება. ეს განსაკუთრებით შეიძინევა ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრისა და I ათასწლეულის პირველი ნახევრის ძეგლებში, სადაც ვევდებით იმდროინდელ წინა აზიაში გავრცელებული პირადი საბრძოლო იარაღის თითქმის ყველა ძირითად ტიპს. აქ ნარმოდებრილია როგორც შეტევითი საჭურველი – ნაირ-ნაირი მახვილები და სატევრები, შუბისა და ისრის პირები, საბრძოლო ცულები და ჩუგლუგები, ქვისა და ბრინჯაოს გურზები და სხვ., ასევე დამცავი აღჭურვილობის ელემენტები – ბრინჯაოს საბრძოლო სარტყელები, ფარის გარსაკრავები. დამცავი აბჯრის ძირითადი ნაწილი მზადდებოდა ტყვავის, ხისა და სელისაგან და, ამიტომ, ჩვენამდე ვერ მოაღწია.

Development of Warfare in Old Georgia: Armed Organization of the Kingdom of Kartli (Iberia)

Weapons were discovered on the Georgian territory as early as among the archeological finds dating to the 3rd millennium BC. Later in the 2nd millennium, when tribal unions established in the area and social and propitiatory inequality developed in the society, the intensity of wars grew. The process is especially well reflected in the finds dating to the second half of the 2nd millennium and the first half of the first millennium BC, which include almost all basic types of

1. პირველად დაიბეჭდა, როგორც ერთი თავი ავტორის ნაშრომში — „სამხედრო ისტორია“. ლექციების კურსი. გამომცემლობა სომა პრეს. თბ., 2002. გვ. 25-31.

personal weapons popular in Central Asia of those times. In that period Georgian tribes had close relations with the cultured peoples of the Ancient East. This, naturally, did not exclude military clashes. Assyrian and Urartian kings used to carry out violent raids to the Transcaucasia. Nomadic mounted archers from the north, Cimmerians and Scythians, passed as a hurricane over the Transcaucasia from the north in the 8th-7th centuries BC. The Georgian tribes fought against the Persians and Greeks from the second half of the 6th century BC and against the Macedonians in the 4th century BC. So,

მუდმივი ომები დასახლებათა ხასიათზეც აისახა. ისინი შენდებოდნენ ბორცვებსა და სხვა ამაღლებულ ადგილებზე, გარს ერტყათ დიდი ლოდებისაგან ნაგები კედლები, მესერი, თხრილები. გამაგრებული დასახლების ტერიტორიაზე ზოგჯერ იქმნებოდა კიდევ შიდაციხე (ციტადელი). ყოველივე ეს მიუთითებს საფორტიფიკაციო ხელოვნების წარმოშობაზე, რაც, როგორც აღვნიშნეთ, გამოწვეული იყო პერმანენტულ ომებში თავდაცის აუცილებლობით.

ქართველურ ტომებს მჭიდრო ურთიერთობები ჰქონდათ ძველი აღმოსავლეთის კულტურულ ხალხებთან, რაც, ცხადია, არ გამორიცხავდა მათ შორის სამხედრო შეტაკებებს. კერძოდ, ასურეთის და ურარტუს მეფეები სასტიკ ექსპანსიას ახორციელებდნენ სამხრეთ ამიერკავკასიაში და მეზობელ რეგიონებში. ადგილობრივი მოსახლეობა, რომლის ლაშქარი ეტლოსნებისა და ქვეითი ტომობრივი მილიციისაგან შედგებოდა (ცხენოსანთა მცირერიცხვანი ჯგუფები, ალბათ, ძირითადად, დაზვერვისათვის გამოიყენებოდა), მედგარ წინააღმდევობას უწევდა მომხდურებს. ამიერკავკასიის ტომთა კავშირების მნიშვნელოვან სამხედრო პოტენციალზე მათ წინააღმდეგ გამოყანილი ჯარების რაოდენობა მიუთითებს. მაგალითად, ძვ. წ. IX ს-ის უკანასკნელ მეოთხედში, ერთ-ერთი ლაშქრობის დროს ჭოროხის ხეობაში თუ მტკვრის სათავეებისაკენ, სადაც იმ ხანად, ძირითადად, ქართველური მოსახლეობა ივარაუდება, ურარტუს არმია ითვლიდა 66 საპრძოლო ეტლს, 1460 მხედარსა და 15 760 ქვეით მეომარს. იმ დროისათვის ეს ძალიან დიდი ძალა იყო.

ამრიგად, შეიძლება ვილაპარაკოთ ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოს და I ათასწლეულის დასაწყისში ქართველურ ტომთა შორის სამხედრო ხელოვნების ჩასახვაზე, რაც გულისხმობს იმ პერიოდის საწარმოო ძალებისა და საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარების დონისათვის

შესაბამისი ომისა და ბრძოლის ფორმების გაჩენას. ამავე დროს სავარაუდოა, რომ სამხედრო ხელოვნების ელემენტები ჯერ კიდევ პრიმიტიული ხასიათისა იყო, არ არსებობდა მათი ჩამოყალიბებული, მდგრადი ფორმები.

ძვ. წ. VIII-VII სს-ში ამიერკავკასიას გრიგალივით გადაუარეს ევრაზიის ველებიდან შემოჭრილმა მომთაბარე ტომებმა – კიმირიელებმა და სკვითებმა. სამხედრო საქმის განვითარების თვალსაზრისით, ამან ჩვენს წინაპრებს მსუბუქად შეიარაღებულ ცხენოსან მოისართა ტაქტიკა და საჭურველი გააცნო. როგორც ჩანს, სწორედ მომთაბარეთა გავლენით კავკასიაში ფართოდ ვრცელდება მოკლე ორლესული მახვილი – აკინაკი, მასრიანი ისრის პირები და იარაღის ზოგი სხვა სახეობა. კიმირიელებთან და სკვითებთან შეჯახებებში მიღებული გამოცდილება დაემატა იმ ცოდნას, რაც ქართველურ ტომებს დაგროვილი ჰქონდათ ძველი აღმოსავლეთის მძიმედ შეიარაღებულ მეომრებთან საუკუნოვანი ბრძოლების შედეგად და ჩამოყალიბების პროცესში მყოფ ქართულ სამხედრო ხელოვნებას ახალი შტრიხები შესძინა.

ძვ. წ. VI ს-ის მეორე ნახევრიდან ქართველური ტომები ბრძოლის ველზე ხვდებიან სპარსელებსა და ბერძნებს, IV ს-ში კი მაკედონელებს. ამრიგად, ძველი ქართლის, ანუ იბერიის, სამეფოს ჩამოყალიბების დროისათვის (ძვ. წ. IV ს-ის დასასრული) ქართველებს უკვე დიდი საბრძოლო გამოცდილება ჰქონდათ მიღებული იმ დროინდელი მსოფლიოს საუკეთესო ჯარებთან ჭიდილში. ეს გამოცდილება საფუძვლად დაედო ძველი ქართლის სამეფოს სამხედრო ორგანიზაციას და მისი შეიარაღებული ძალების სამხედრო ხელოვნებას.

ქართლის (იბერიის) სათავეში იდგა მეფე, რომელიც ამავე დროს უმაღლესი მთავარსარდალი იყო. იგი სახელმწიფოს მართვდა წარჩინებულთა და ქურუმთა დახმარებით. მოსახლეობის დიდ ნაწილს შეადგენდნენ თავისუფალი მეთე-

by the time when the Old Georgian or Iberian Kingdom was formed, i.e. by the end of the 4th century, the forefathers of the Georgians had already gained huge military experience through fights against the best armies of the world. This very experience served as a foundation for the military organization of old Georgian Kingdom and art of the warfare of its armed forces.

Historical records attest that in the period of Iberian prosperity, at the outset of the new era, the fully mobilized army of the political unit included from 60 000 to 80 000 warriors, one fourth of which were horsemen.

Ancient authors credited Iberian warriors with their outstanding martial skills. Foreigners appreciated Iberian lancers and archers as well as the heavy cavalry of nobles. Iberian infantry, having an excellent command of open battle as well as of guerilla warfare tactics, could successfully fight a cavalry.

The social composition and structure of the Georgian army modified along with the development of economic and social relations. The role of the infantry made up from peasants, once the most numerous part of the army, gradually diminished, while the ratio of

მეები (ერი). ქალაქების მოსახლეობა ძირითადად ვაჭრობა-ხელოსნობას მისდევდა. იბერიაში იყვნენ აგრეთვე მონები და სხვა არათავისუფალი მწარმოებლები (დამოკიდებული გლეხები).

იბერიის ლაშქარი მიღიციური ხასიათისა იყო, თუ არ ჩავთვლით მცირერიცხვან მუდმივ კონტინგენტებს (მეფის მცველი რაზმი, ციხე-ქალაქთა გარნიზონები და სხვ.). ცხენოსან ჯარში გამოდიოდნენ ნარჩინებულები და მათი თანმხლები პირები, ქვეითობა თავისუფალი მეთემებისაგან შედგებოდა. ჯარში არ გაპყავდათ მონები და სხვა არათავისუფალი პირები. სალაშქრო სამსახურისაგან გათავისუფლებული იყო აგრეთვე ქალაქების მოსახლეობა.

იბერიელი მეომრები შეიარაღებულნი იყვნენ შუბებით, მაცვილებით, ჩუგლუგებით, შურდულებითა და მშვილდისრებით. ნარჩინებულებს ძვირფასი დამცავი აბჯრები ჰქონდათ, უბრალო მოლაშქრეები კი, როგორც ჩანს, თავდასაცავად ატარებდნენ ტყავგადაკრულ მონაულ ფარებს, ჩაფხუტებს და ნადირის ტყავისაგან შეკერილ ხიფთანებს.

იბერიის სამხედრო ორგანიზაციაში გარკვეულ როლს ასრულებდნენ ჩრდილო კავკასიის მეომარი ტომების რაზმები. თანამედროვე ჩეჩინების, ინგუშების, დაღესტნებების, ოსებისა და სხვა ხალხების წინაპრები მოქირავნეობისა და მოკავშირეობის საფუძველზე მოდიოდნენ იბერიის მეფეთა სამსახურში. ჩრდილოკავკასიელთა ძალებს იბერები, როგორც წესი, დიდი სამხედრო კამპანიის დაწყების წინ ინვევდნენ, ომის დასრულების შემდეგ კი უკან აბრუნებდნენ. ამასთან არსებობს საფუძველი, ვივარაუდოთ, რომ ჩრდილოელთა ცალკეული რაზმები იბერიის გამგებელთა მუდმივ ლაშქარშიც მსახურობდნენ, ზოგჯერ კი მეფები მათ სამხედრო კოლონისტების სახით ამკვიდრებდნენ ქართლის მიწა-ნყალზე.

ისტორიული წყაროები მონმობენ, რომ იპერიას, თავისი ძლიერების ხანაში (ა. წ. 6. დასაწყისი), სამხედრო ძალების სრული მობილიზაციის შემთხვევაში შეეძლო გამოეყვანა მრავალრიცხოვანი ლაშქარი, დაახლოებით 60-80 ათას მეომრამდე. ამ ძალების ერთ მეოთხედს, ე.ი. 15-20 ათას კაცს, ცხენოსნები შეადგენდნენ.

ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარებასთან ერთად იცვლება ქართული ჯარის სოციალური სახე და სტრუქტურა, იგი თანდათან ფეოდალურ ხასიათს იძენს. ლაშქარში იზრდება წარჩინებულთა ცხენოსანი რაზმების ხვედრითი წილი. მეთემეთა ქვეითი მილიცია კიდევ ინარჩუნებს მნიშვნელობას, მაგრამ მას უკვე, ძირითადად, საკუთარ ტერიტორიაზე წარმოებული ომების დროს იწვევენ. ა. წ. I ათასწლეულის შუა ხანებში საზღვარგარეთულ ლაშქრობებში, როდესაც ქართველები სხვის ტერიტორიაზე მოქმედებენ, მათ ლაშქარში ცხენოსანი ჯარი ერთნახევარჯერ სჭარბობს ქვეითობას, თავდაცვითი კამპანიის დროს კი ცხენოსნები მთელი ძალების მხოლოდ ნახევარს შეადგენენ.

სავარაუდოა, რომ იპერიული ლაშქრის ორგანიზაცია თავდაპირველად ათობით სისიტემაზე იყო დამყარებული (ათეულები, ასეულები, ათასეულები). უმაღლეს საორგანიზაციო ერთეულს საერისთავოს ლაშქარი წარმოადგენდა, რომელიც დიდი სამხედრო-ადმინისტრაციული ოლქიდან – საერისთავოდან – გამოდიოდა. მის სათავეში იდგა ოლქის გამგებელი – ერისთავი. ერისთავთა შორის უფროსი იყო სპასპეტი, რომლის საგამგებლო ტერიტორია მოიცავდა შიდა ქართლს ტაშის-კარიდან მცხეთამდე.

ძველი ავტორები საგანგებოდ აღნიშნავენ იპერიელი მეომრების მაღალ საბრძოლო თვისებებს. უცხოელთა მონონებას იმსახურებდნენ იპერიელი შუბოსნები და მშვილდოსნები, წარჩინებულთაგან შემდგარი მძიმე კავალერია. იპერიელ ქვეითებს

the noble cavalry increased to make 50-60 percent in the mid 1st millennium BC. Little by little the army acquired a feudal nature.

Military engineering was developed in Georgia, which is evidenced by the surviving remains of fortifications.

Flexible military organization, remarkable fighting efficiency, belligerent spirit and the art of warfare, along with the peculiar geographical properties of the country and the advanced fortification system, were among the strategic factors that determined the sustainability and

development of Kartli (Iberia) against the background of frequent wars and raids.

First published in 2002 as a chapter of the author's book "Military History".

წარმატებით შეეძლოთ ბრძოლა ცხენოსანი ჯარის წინააღმდეგ. ათვისებული ჰქონდათ როგორც ლია ბრძოლის, ასევე პარტიზანული ომის ტაქტიკა.

იბერიაში განვითარებული იყო სამხედრო-საინ-ჟინრო საქმე. ჩვენს დრომდე მოაღწიეს იმ პერიოდის ფორტიფიკაციული ნაგებობების ნაშთებმა. განსაკუთრებით კარგად იყო გამაგრებული სამეფოს დედაქალაქი მცხეთა, რომელიც თავისი ციტადელით – არმაზციხით, მახლობელ ციხეებალაქებთან (სარკინე, ზადენციხე და სხვ.) და მტკვარ-არაგვის ხეობების ჩამკეტ კედლებთან ერთად, რომელთა კვალი აღმოჩენილია ზაჟეს-თან, სარკინესთან, დართისკართან, წიწამურ-ბებრისციხის ზოლზე, მძლავრ თავდაცვით კვანძს წარმოადგენდა. კარგად იყო გამაგრებული იბერიის დანარჩენი ქალაქებიც – უფლისციხე, ურბნისი, წუნდა, ოძრხე, ხუნანი და ქვეყანაში შემომავალი გზები. ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა თერგ-არაგვისა და მტკვარ-რიონის სტრატეგიულ მაგისტრალებს, რომლებსაც ბევრ-გან დარაჯობდნენ და კეტავდნენ ციხესიმაგრები და კედლები.

მოქნილი სამხედრო ორგანიზაცია, ჯარების მაღალი ბრძოლისუნარიანობა, საბრძოლო სულისკვეთება და სამხედრო ხელოვნება, ქვეყნის გეოგრაფიული თავისებურებანი და ციხესიმაგრეთა განვითარებული სისტემა – აი, ის სტრატეგიული ფაქტორები, რომლებმაც განაპირობეს ქართლის (იბერიის) სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება და განვითარება ხშირი ომებისა და უცხოელთა შემოსევების პირობებში.



მძიმე ცხენოსანი ჯარი



დაეთი ჯარი



მსუბუქი ცხენოსანი ჯარი



რეზერვი

© გ. ანჩაბაძე 1990, 2010

ქართული საბრძოლო წყობა ახ. წ. V საუკუნეში

ქველი ქართულის სამეფოს ჩამოყალიბების დროისა და პირობების შესახებ¹

14

About Time and Conditions of Creating the Iberian Kingdom (Kartli)

Georgian medieval annals link the creation of the Iberian Kingdom (Kartli in Georgian) with the eastern campaign of Alexander the Great, the king of Macedonia and the events of the following period. According to the information a certain Azon, apparently the dynast of the southwest part of historical Georgia, with the help of Macedonians conquered Mtskheta, the main strong point of the Georgian tribes on the eastern territory of Georgia. The representative of Mtskheta aristocracy – Parnavaz stirred up rebellion against

ეროვნული ტრადიციით, ძველი ქართლის ანუ იბერიის სამეფოს ჩამოყალიბება მჭიდროდ უკავშირდება ძვ. წ. IV ს-ის მეორე ნახევრის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მოვლენებს (ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობა და მომდევნო ამბები). თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია, როგორც ცნობილია, მთლიანობაში იზიარებს ამ დათარიღებას. მიღებულია, რომ აღმოსავლურ ქართული სახელმწიფო შეიქმნა ქართის ტომთა გაერთიანებებს შორის მიმდინარე ბრძოლის პროცესში, რომელშიც გარკვეული მონაწილეობა მიიღეს გარეშე ძალებმაც. წინამდებარე წერილის მიზანია ამ პროცესის ცალკეული მომენტების ახლებური გააზრება და ლეონტი მროველის თხზულებაში „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“ აღნერილი ზოგიერთი ამბის დათარიღება.

განსახილველ ხანაში ქართის ტომები კომპაქტურად სახლობდნენ თანამედროვე აღმოსავლეთ საქართველოს დიდ ნაწილსა და ისტორიულ სამხრეთ საქართველოში, ჭოროხის, ევფრატისა და არეზის სათავეებამდე. როგორც ჩანს, ჭოროხის აუზსა და მტკვრის სათავეებში მცხოვრები ქართული ტომები უძველესი ხანიდან ავლენდნენ ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ განევის ტენდენციას და თავის დასახლებებს ქმნიდნენ შიდა ქართლის ტერიტორიაზე (მცხეთა და სხვ.). ტომთა ასეთ მოძრაობას ხშირად თან სდევდა შეიარაღებული შეტაკებები ადგილობრივ ქართულ თუ სხვა წარმომავლობის მოსახლეობასთან. ჩვენ არ შევუდგებით იბერიის სამეფოს წარმომობის საერთო სურათის წარმოსახვას, რაც აღნერილია ქართულ მატიანეებში და სპეციალურ ლიტერა-

1. პირველად დაიბეჭდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიასა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უკრნალში „ანალები“. 1999, 2.

ტურაში. მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ყველაზე მისალებად მიგვაჩნია ვერსია, რომლის მიხედვით აზონი (აზო) „არიან-ქართლის“, ანუ ოდესლაც აქე-მენიანთა სამეფოში შემავალი ქართული ტომების ერთ-ერთი წინამდლოლი იყო².

როგორც ჩანს, ჭოროხისპირა ტომების სამხედრო არისტოკრატიამ ძვ. ნ. IV ს-ის მეორე ნახევარში მოახდინა მტკვრის შუაწელზე გაბატონების სერიოზული მცდელობა, რაც ქართულ ტომთა გაერთიანებისათვის ბრძოლის კონტექსტში განიხილება. ამ ნამონყებაში აზონს ებმარებოდნენ ალექსანდრე მაკედონელის რაზმები, რომლის უზენაესობა აღიარა „არიან-ქართლის“ დინასტმა. აზონის მიერ შექმნილი გაერთიანება ალექსანდრე მაკედონელის იმპერიაში შემავალი ავტონომიური სამფლობელო იყო³, რომელიც მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო დიდი დაპყრობლისათვის, როგორც კავკასიონის ულელტეხილებთან მისადგომი ტერიტორია⁴. ამ მხრივ შეიძლება სიმბოლურია „მოქცევაშ ქართლისახს“ მატიანეში აზოს მფლობელობის ქვეშ მყოფი ტერიტორიის ჩრდილო საზღვრად ცროლის მთის დასახელება⁵, რომელიც კავკასიონის მთავარი ქედის ერთ-ერთი მწვერვალია.

2. Г.А. Меликишвили, К истории древней Грузии. Тб., 1959. С. 278-279.

3. G. mamulia. klasobrivi sazogadoebisa da saxelmwifos Camoyalibeba Zvel qarTSi. Tb., 1979. gv. 107-108.

4. საკითხი, თუ რამდენად სერიოზულად ფიქრობდა ალექსანდრე შაკედონელი მთელი მსოფლიოს (ოკუ-შენეს) დაპყრობაზე საკამათოა, მაგრამ ცხადია ის, რომ საკრსელთა ძირითადი ძალებს განადგურების შემდეგ მან მტკაცედ გადაწყვიტა აქემენიდთა ყველა სამფლობელოსა და მათი მომიჯნავე ქვეყნებს ხელმი ჩაგდება. შესაძლებელია, რომ თავისი იმპერიის ბუნებრივ საზღვრად, შვესა და კასპიის ზღვებს შორის, ალექსანდრეს კავკასიონი ესახებოდა. კარგად არის ცნობილი მეფის ინტერესი კავკასიისა და მის ჩრდილოეთი მდებარეობებისადმი.

5. მოქცევაშ ქართლისა – შატბერდის კრებული X საუკუნისა. გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გოუნაშვილმა. თბ., 1979. გვ. 320.

the new-comers, defeated them in stubborn fighting and proclaimed himself the king of the Iberian Kingdom, thus initiated reign of the dynasty of Parnavazids.

In the present article the struggle between the leaders of Georgian tribes – to unite Kartli is considered in close connection with the events of West Asia in the last quarter of the 4th century B.C. In the author's opinion Azon politically oriented to Antigon I, nominally recognizing his authority; as for Paravaz – he took his bearings to the union with Selevk. Thus the struggle in Kartli was mixed up with the detached moments of Diadochs' fight.

Apparently the events preceding the accession of Parnavaz to the throne (beginning from the rebellion against Azon) took place in the interval between 312-308 and 301 B.C.

First published 1999

გ. მამულია ვარაუდობს, რომ აზონის სამფლობელო ალექსანდრე მაკედონელის იმპერიაში სომხეთის სატრაპიის მეშვეობით შევიდა⁶, მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს დებულება საკმარისად არგუმენტირებული არ არის. ჩვენ არ გამოვრიცხავთ აზონსა და მაკედონელებს შორის უშუალო კავშირის შესაძლებლობას, როგორც ეს ქართულ წყაროებშია მოთხოვბილი. ამის რეალურობას მხარს უჭერს ის გარემოებაც, რომ ალექსანდრეს კონკრეტული ინტერესი გააჩნდა ჭოროხის ხეობაში, სადაც მან თავის დროზე სამხედრო რაზმი გაგზავნა⁷.

აზონის მაკედონელებზე დამოკიდებულება, საფიქრებელია, რომ ნომინალურ ხასიათს ატარებდა, ვინაიდან შორეულ ქვეყნებში მოლაპერე ალექსანდრეს პრაქტიკულად საშუალება არ ექნებოდა რეალური კონტროლი განეხორციელებინა ქართლზე. აზონისათვის კი შორს მყოფი ძლიერი მფარველის ყოლა ხელსაყრელი უნდა ყოფილიყო და, ამიტომ, დამოკიდებულების ეს ფორმა, როგორც ჩანს, არ შეცვლილია ალექსანდრეს სიკვდილამდე.

ალექსანდრეს გარდაცვალების შემდეგ (ძვ. წ. 323 წ.) მის მემკვიდრეებს — დიადოქოსებს შორის ბრძოლა დაიწყო სახელმწიფოში პირველობისათვის, რამაც ამ უზარმაზარი იმპერიის დაშლა გამოიწვია. მის ცალკეულ ნაწილებში გამაგრებული დიადოქოსები — მაკედონელი მხედართმთავრები — იარაღითა და ინტრიგებით საკუთარი სამფლობელოების გაზრდას ცდილობდნენ. მათ მიერ გაჩაღებულ მრავალწლიან ომებში ჩათრეული ალმოჩნდნენ არა მარტო ალექსანდრეს იმპერიაში შემავალი ხალხები, არამედ ზოგიერთი მეზობელი ქვეყნაც. ძნელი წარმოსადგენია, რომ ასეთ ვითარებაში ქართლი მხოლოდ პასიური დამკვირვებლის როლში დარჩენილიყო.

6. გ. მამულია. დასახ. ნაშრ. გვ. 106, 149.

7. Страбон. География. Перевод, статья и комментарии Г.А. Стратановского. Москва, 1994. С. 499.

წერილობით წყაროებში, რომლებითაც ლეონტი მროველი სარგებლობდა, როგორც ჩანს, დია-დოქოსთა ეპოქის ამსახველი მასალებიც იყო. ამიტომ, XI საუკუნის ამ ქართველი ისტორიკოსის თხზულებაში ბუნდოვან ცნობებს ვხედავთ ალექსანდრე მაკედონელის მემკვიდრეთა შესახებ. კერძოდ, ლეონტი აღნიშნავს, რომ სიკვდილის წინ ალექსანდრემ თავისი სამფლობელოები გაუნაწილა ოთხ ადამიანს, რომელთა სახელები, ქართველი ავტორის გადმოცემით, იყო ანტიოქია, პრომოს, ბიზინტიოს და პლატონ.

17

„და მისცა ანტიოქოზ ასურასტანი და სომხითი და კერძო აღმოსავლეთისა უჩინა მას. და მან აღაშენა სახელითა მისითა ქალაქი ანტიოქია.

ხოლო პრომოსს მისცა თრიმიკოსი და უჩინა კერძო დასავლეთისა და მან აღაშენა ქალაქი პრომი.

და ბიზინტიოსს მისცა საბერძნეთი და ქართლი (გამოყოფა ჩვენია – გ.ა.) და უჩინა კერძო ჩრდილოსა. და მოუნერა წიგნი ანდერძი აზონ პატრიკ-სა ერისთავსა ქართლისასა, რათა მსახურებდეს იგი ბიზინტიოსს. და აღაშენა ქალაქი ბიზინტია, რომელსაც ან ჰქეან კონსტანტინეპოლი. ხოლო პლატონ დაუტევა ალექსანდრიას“⁸.

ჩამოთვლილ პირთაგან ყველაზე იოლია ანტიოქიადისა და პლატონის ამოცნობა. ანტიოქიადი ეს სელევკეა – ალექსანდრეს სარდალი და ერთერთი დიადოქოსი, სელევკიანთა სახელმწიფოს ფუძემდებელი. ქართულ წყაროში იგი ანტიოქიად მოხსენიება, ვინაიდან ანტიოქიზი (ანტიოქე) შემდგომში სელევკიანთა დინასტიური სახელი გახდა (ძვ. წ. III—I სს-ში სელევკეს შთამომავალი ცამეტი მეფე ატარებდა ამ სახელს). ანტიოქე ერქვა სელევკეს მამასაც, რომლის პატივსაცემად სელევკემ მის მიერ სირიაში დაარსებულ ერთერთ ქალაქს ანტიოქია უწოდა.

8. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I. თბ., გვ. 19-20.

მეორე დიადოქოსი პლატონი კი, რა თქმა უნდა, პტოლემეა, რომელსაც ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის განაწილების შედეგად წილად ხვდა ეგვიპტე, დედაქალაქით ალექსანდრიაში.

რაც შეეხება ქართლის ცხოვრებაში მოხსენიებულ ორ დანარჩენ პიროვნებას – ჰერომოსსა და ბიზანტიოსს, მათი ნამდვილი სახელები ლეონტიისათვის უცნობია, მაგრამ ვინაიდან ეს პირები მაკედონური იმპერიის დასავლეთ ნაწილს განაგებდნენ, მათი „სახელები“ ნაწარმოები იქნა დასავლეთის ორი ცნობილი ქალაქის – რომისა და ბიზანტიონისაგან.

ლეონტი მროველის ამ ცნობისათვის თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიას ჯეროვანი ყურადღება არ მიუქცევია, მაშინ როდესაც მისი კრიტიკული განხილვა აუცილებელია ძველი ქართლის სამეფოს ჩამოყალიბების ისტორიის შესწავლისათვის. განსაკუთრებით საინტერესოა „ბიზანტიოსის“ ვინაობის დადგენა, რომელსაც, ლეონტის ცნობით, ალექსანდრეს სამფლობელოებიდან საბერძნეთი და ქართლი ერგო.

ცნობილია, რომ XI ს-ის ქართველისათვის ტერმინი „საბერძნეთი“ ბიზანტიის იმპერიას აღნიშნავდა და ტერიტორიულად გულისხმობდა ამ სახელმწიფოში შემავალ მიწებს, მათ შორის მცირე აზიასაც (ანატოლიას ფართო გაგებით). ამიტომ, როგორც ჩანს, ბიზინტიოსის კუთვნილი „საბერძნეთი“, უპირველეს ყოვლისა, მცირე აზია (ანატოლია), როგორც საქართველოს მეზობელი ქვეყანა⁹, რომელსაც შეუძლია ქართლთან ერთად მთლიანი ტერიტორიული ერთეული შეადგინოს („ბიზანტიოსის წილი“).

ლეონტი მროველის ცნობით, აზონი „მონებდა ბი-

9. მაგალითად, არჩილმა „ალაშენა ციხე საზღუარსა ზედა გურიისა და საბერძნეთისა“ (ქართლის ცხოვრება, ტ. I. გვ 243).

ზინტიოსს, მეფესა საბერძნეთისასა, “¹⁰ და ასეთი არათანასნორულებიანი კავშირი ქართლსა და „საბერძნეთს“ შორის ორ ათეულ წელიწადზე მეტ ხანს გაგრძელდა.

აკად. გ. მელიქიშვილი ვარაუდობს, რომ „საბერძნეთი“ ამ შემთხვევაში პონტოს სახელმწიფოს უნდა აღნიშნავდეს¹¹. მეცნიერის აზრით, „ქართლის ცხოვრებიდან“ გამომდინარეობს, რომ აზო (აზონი) პონტოს კრეატურა იყო და მისი სამხედრო ძალების დახმარებით იბრძოდა ქართლის შესანარჩუნებლად¹². რა შეიძლება ითქვას ამის შესახებ?

თუ ისტორიული წყაროებიდან ამოვალთ, ფარნავაზი ალექსანდრე მაკედონელის უმცროსი თანამედროვეა. ლეონტი მროველის მიხედვით, იგი აზონის მცხეთაში დამკვიდრების დროისათვის (IV ს-ის 20-იანი წე.¹³) სამი წლისა იყო, ხოლო როდესაც გამეფდა ოცდაშეიდის¹⁴. ამრიგად, ფარნავაზის გამეფების ხანა „ქართლის ცხოვრებით“ ძვ. წ. IV ს-ის ბოლოზე მოდის. ამ დროისათვის პონტოს სამეფო არ იყო ჯერ ჩამოყალიბებული. მისი დამაარსებელი მითოიდატე კტისტი ძვ. წ. 302 წელს გაექცა იმხანად დიადოქოსთა შორის უძლიერესს, ანტიგონეს, გამაგრდა პონტოს მთებში და დაიწყო ადგილობრივი თემების შემომტკიცება. პონტოს სამეფოს, როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური წარმონაქმნის ჩამოყალიბების თარიღი, ზოგი ავტორის აზრით, არის ძვ. წ. 297/296წ¹⁵. იმ დროს პონტო მოიცავდა მცირე ტერიტორიას მდინარეების ყიზილ-ირმაქისა და ეშილ-ირმაქ-

10. ქართლის ცხოვრება. ტ. I, თბ., გვ. 20.

11. გ. მელიქიშვილი. ქართლი (იბერია) ძვ. წ. VI-IV საუკუნეებში. ქართლის სამეფოს წარმოქმნა – საქართველოს ისტორიის ნაკვევები, ტ. I. თბ., 1970. გვ. 443.

12. Г.А. Меликишвили. დასახ. ნაშრ. გვ. 281

13. გ. მამულია. დასახ. ნაშრ. გვ. 112.

14. ქართლის ცხოვრება. ტ. I. თბ., 1955. გვ. 20, 25.

15. С. Ю. Сапрыкин. Понтийское царство. Москва, 1996. С. 43.

ის აუზებში, ქართლის საზღვრებიდან საკმაოდ შორს. ამდენად, არც ძვ. წ. IV საუკუნის დასასრულსა და არც III ს-ის დამდეგს პონტოს სამეფო არ შეიძლებოდა ყოფილიყო ის ძალა, რომელსაც დაეყრდნობოდა აზონი ფარნავაზის ნინააღმდეგ ბრძოლაში. ალბათ ამიტომ აკად. გ. მელიქიშვილს აზონ-ფარნავაზის ბრძოლა და, გამოდის, ფარნავაზის გამარჯვება, ძვ. წ. III ს-ის პირველ ნახევარში გადმოაქვს, როდესაც ადგილი ჰქონდა ხანმოკლე დაპირისპირებას პონტოს სამეფოსა და სელევკიანებს შორის. სწორედ ამ პერიოდს უკავშირებს პატივცემული მკვლევარი „ქართლის ცხოვრების“ იმ ცნობას, სადაც ნათქვამია, რომ „ბერძნებით“ ზურგგამაგრებული აზონის ნინააღმდეგ ფარნავაზმა დახმარებისათვის მეფე ანტიოქიაზე მიმართაო¹⁶.

აღნიშნულ დაპირისპირებას პონტოელ და სელევკიან ხელისუფალთა შორის ადგილი ჰქონდა ძვ. წ. 281-280 წლებში, როდესაც სელევკიანებმა მცირე აზიის ჩრდილოეთი ნაწილის დაპყრობა განიზრახეს. მათი ექსპანსიის შესაჩერებლად ადგილობრივმა ბერძნულმა პოლისებმა, პონტოსა და ბითინის სამეფოებთან ერთად, შექმნეს სამხედრო-პოლიტიკური ალიანსი, ე. წ. ჩრდილოეთის ლიგა, რომლის ძირითადი მიზანი სელევკიანების მოგერიება იყო. უკვე 279 წ. პონტო აღნიშნული კავშირიდან გამოვიდა და მისი ურთიერთობა სელევკიანებთან ნორმალიზდება. არ არსებობს არავითარი საფუძველი ვივარაუდოთ, რომ 281-280 წლების თავდაცვითი მოქმედებების დროს პონტოს სამეფოს, რომლის აღმოსავლეთი საზღვარი იმ ხანად თერმე-იასუნის სექტორს არ სცილდებოდა¹⁷, რაიმე აქტიურობა გამოეჩინა შორეულ

16. გ. მელიქიშვილი. ქართლი (იბერია) ძვ. წ. VI-IV საუკუნეებში. ქართლის სამეფოს წარმოქმნა – საქართველოს ისტორიის ნაკვევები, ტ. I. 1970. გვ. 443.

17. Н.Ю. Помоури. К истории Понтийского царства. Тб., 1979. С. 25; С. Ю. Сапрыкин. Понтийское царство. С. 52.

ქართლში, მცხეთასთან. ჩვენი აზრით ამისი თეორიული შესაძლებლობაც კი გამორიცხულია.

გარდა ამისა, ფარნავაზ-აზონის პრძოლის გადმოტანა ძვ. წ. 281-280 წლებში არღვევს „ქართლის ცხოვრების“ სქემას, რომლის მიხედვით ფარნავაზის გამარჯვება და გამეფება ალექსანდრე მაკედონელის „შემოსვლიდან“ დაახლოებით ოცდაოთხი წლის შემდეგ მოხდა.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, პონტოს სამეფო ძვ. წ. III ს-ის პირველ ნახევარშიც ვერ მოახერხებდა ქართლზე თავისი პოლიტიკური გავლენის გავრცელებას, ვერ იქნებოდა აზონის მფარველი.

ბოლო ხანს თ. დონდუამ გამოთქვა მოსაზრება, თითქოს არიან-ქართლის გამგებელი აზო ემორჩილებოდა თრაკიის მეფე ლისიმაქეს და სწორედ ამ უკანასკნელის მიერ იქნა იგი შიდა ქართლის უფლად დასმული¹⁸. ამ მოსაზრებით ლისიმაქეს ჰეგემონიის განვრცობა ამიერკავკასიის ჰინტერლანდში მოხდა კოლხეთის გზით, სადაც თრაკიის მეფემ ქ. ჰერაკლეას მეშვეობით თავის გავლენას დაუმორჩილა აღმოსავლეთ შავიზლვისპირეთის ბერძნული პოლისები, რომელთა დამოუკიდებლობას ადგილობრივი კოლხი დინასტიები ემუქრებოდნენ¹⁹.

ჩვენი აზრით, არც ეს მოსაზრება უღერს დამაჯერებლად. ლისიმაქეს მაქსიმალური გაძლიერების ხანაში (ძვ. წ. 280-იანი წწ.) მისი სამფლობელოები მოიცავდნენ ბალკანეთის ნახევარკუნძულის აღმოსავლეთ ნაწილსა და დასავლეთ მცირე აზიას. სამხრეთ-დასავლეთ შავიზლვისპირეთში მდებარე ჰერაკლეას ლისიმაქეფაქტობრივად ფლობდა 284-281 წლებში. ამ პერიოდში ჰერაკლეა ეკონომიკურ

18. თ. დონდუა. ქართული ეთნოკულტურული ევოლუცია და დასავლეთი ნუმიზმატური მასალების მიხედვით (ძვ. წ. VI ს. – 1453 წ.). ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად ნარმოდენილი საკვალიფიკაციო ნაშრომი. თბ., 1994. გვ. 72.

19. იქვე, გვ. 71.


დაცემას განიცდის და მისი ოდინდელი გავლენა შავი ზღვის აუზში საგრძნობლად მცირდება²⁰. ამასთან ლისიმაქეს ბატონობა ჰერაკლეაზე არა-სოდეს ყოფილა აბსოლუტური. მოქალაქეთა ფარ-თო ფენები თრაკიის მეფის წინააღმდეგ იყვნენ განწყობილნი²¹. ამიტომ ნაკლებად სავარაუდოა რომ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში შესაღწ-ევად ლისიმაქესათვის ჰერაკლეელებს სერიოზუ-ლი დახმარება გაენიათ. რაც შეეხება კოლხეთის ბერძნულ პოლისებს, ისინი დაინტერესებულნიც რომ ყოფილიყვნენ გარეშე ძალის მოწვევაში თა-ვისი ავტონომიის შესანარჩუნებლად, ლისიმაქე ვერ შეძლებდა აქ მტკიცედ ფეხის მოკიდებას შუ-ალედური ბაზების უქონლობის გამო. მითუმეტეს წარმოუდგენელია თრაკიის მეფის რეალური გავ-ლენის გავრცელება შავი ზღვის აუზიდან არიან-ქართლსა და მცხეთაზე, თანაც კოლხებთან და-პირისპირების პირობებში.

იმისათვის, რომ ნაწილობრივ მაინც დავადგინოთ, რა რეალურ ისტორიულ ფაქტებთანაა დაკავ-შირებული ლეონტი მროველის თხრობა ქართლის სამეფოს ჩამოყალიბების შესახებ, თვალი გადა-ვავლოთ ალექსანდრე მაკედონელი სიკედილის შემდეგ შექმნილ სამხედრო-პოლიტიკურ ვითარე-ბას წინა აზიაში.

ალექსანდრეს გარდაცვალების შემდეგ მისი იმ-პერიის აზიურ ნაწილში მთავარსარდლად გა-მოცხადდა პერდიკა. მას ემორჩილებოდნენ აღმოსავლეთის პროვინციათა სატრაპები და ნახ-ევრადდამოუკიდებელი დინასტები, რომელთა შორის უნდა ყოფილიყო აზონიც. ძვ. წ. 321 წელს დიადოქოსებს შორის დაიწყო ლია სამხედრო და-პირისპირება; პერდიკა მოკლეს. 316 წლისათვის აზიაში განსაკუთრებით გაძლიერდა მაკედონელი სარდალი ანტიგონე. მომდევნო 15 წლის განმავ-

20. С. Ю. Сапрыкин. Гераклея Понтийская и Херсонес Таврический. Москва, 1986. С. 120-121, 125.

21. იქვე, გვ. 125-126



სამხედრო მოქმედებები წინა აზიაში ქვ.წ. 302-301 წწ.

1 - ანტიგონეს ქონტროლის ქვეშ მყოფი ტერიტორიის სავარაუდო საზღვარი ქ.წ. წ. 302 წლისათვის; 2 - ანტიგონეს ჯარების მოძრაობა; 3 - ანტიგონეს მოწინააღმდეგთა მოქმედებები; 4 - კოალიციის გაერთიანებული ძალები; 5 - მითრიდატე პტიისტის აჯანება, პონტოს სამეფოს ჩამოყალიბების თავდამსრულებლი რაიონი; 6 - ანდიანძორა; 7 - ეპლეცი; 8 - იფსოსის ბრძოლის ადგილი

ლობაში ი იგი ცენტრალური ფიგურაა დიადოქოსთა ბრძოლაში; და თუმცა 312-308 წლებში ბაბილონეთი და ირანული სატრაპიები საბოლოოდ გადადიან სელევკეს ხელში, ანტიგონეს ძალაუფლება კვლავ ვრცელდება აზიური პროვინციების მნიშვნელოვან ნაწილზე. 306 წ. მან დიადოქოსთა შორის პირველმა მიიღო მეფის ტიტული, რითაც ოფიციალურად განაცხადა პრეტენზია ალექსანდრე მაკედონელის ტახტზე. ფაქტობრივად კი ანტიგონეს ხელში მყოფი ტერიტორია — მცირე აზიის დიდი ნაწილი, სირია, ჩრდილო მესოპოტამია და სხვ., ცენტრით კელადნები (ფრიგია), — ცალკე სახელმწიფოდ ყალიბდება²². ჩვენი აზრით, ანტიგონეს უზენაესობას აღიარებდა აზონიც, რომელიც დაინტერესებული იქნებოდა ჰყოლოდა ძლიერი შემწე დამარცხებულ, მაგრამ გაუტეხელ აღმოსავლურ-ქართულ გვაროვნულ არისტოკრატიასთან ჭიდილში. ამიტომ, ვთქიერობთ, რომ „ქართლის ცხოვრების“ ცნობა, თითქოს აზონი მსახურებდა საბერძნების მეფეს, უნდა ასახავდეს იმ რეალურ ურთიერთკავშირს, რაც ქართლის გამგებელსა და ანტიგონეს შორის დამყარდა.

ასეთ ვითარებაში ბუნებრივია, რომ აჯანყებული ფარნავაზი მცხეთის აღების შემდეგ, როდესაც ქართლისათვის ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაში შევიდა, უკავშირდება სელევკეს, როგორც ანტიგონეს ერთ-ერთ მთავარ მოქიშპეს, და მისგან ითხოვს დახმარებას, „ბერძენთა“ მაშველი ჯარით გაძლიერებული აზონის წინააღმდეგ. სელევკეს, ცხადია, ანყობდა ანტიგონეს ზურგში მოკავშირის შეძენა და ასე ეყრება საფუძველი მცხეთა-სელევკიას ღერძს, საპირისპიროდ ღერძისა არიან-ქართლი — კელადნები. დიადოქოსთა დაპირისპირების ზღვარმა (ადგილობრივი თავისებურებებით) ქართლზეც გაიარა.

22. როგორც ცნობილია, აღნიშნული ტერიტორია საუკუნეების შემდეგ ბიზანტიის იმპერიის ნაწილი გახდა და შუა საუკუნეების ქართველი ავტორებისათვის სავსებით ბუნებრივია მისი „საბერძნეთად“ აღქმა.

გადამწყვეტი ბრძოლა ქართლისათვის, როგორც ვიცით, არტანში მოხდა და დასრულდა ფარნავაზის გამარჯვებით. აზონი დაიღუპა. მაგრამ სანამ „არიან-ქართველთა“ უკანასკნელ ბასტიონს, კლარჯეთს, დაიმორჩილებდა, ფარნავაზმა „საბერძნეთის“ მოსაზღვრე ოლქი, ევფრატზე მდებარე ანძიტენე (ანძიანძორა) დალაშქრა²³. გამორიცხული არ არის, რომ ეს ლაშქრობა სელევკეს სამხედრო-პოლიტიკური ინტერესებით იყო ნაკარნახევი, თუმცა ფარნავაზს, ამავე დროს, საკუთარი მიზნებიც ექნებოდა.

„ბერძნთა“ მხრიდან ამ თავდასხმას საპასუხო აქცია არ მოჰყოლია, „რამეთუ უცალო იყვნეს ბერძნი ბრძოლისაგან ჰრომთასა“²⁴. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში დიადოქოსთა შორის სამხედრო მოქმედებების ახალი გააქტიურება იგულისხმება.

მაკედონური იმპერიის განაწილებისათვის ბრძოლამ ძვ. წ. IV ს-ის დასასრულს კულმინაციას მიაღწია. ანტიგონეს წინააღმდეგ გაერთიანდნენ დანარჩენი დიადოქოსები. ერთიანი გეგმის თანახმად აღმოსავლეთიდან დაიძრა სელევკე, სამხედრითიდან პტოლემე, დასავლეთიდან ლისიმაქე და კასანდრე (შეიძლება ერთ-ერთი ამათგანია „ქართლის ცხოვრების“ ჰრომოსი). ძვ. წ. 301 წელს ფრიგიის ქალაქ იფსოსთან მომხდარ სასტიკ ბრძოლაში მოვავშირეებმა ანტიგონეს არმია გაანადგურეს. ანტიგონე ბრძოლის ველზე დაეცა. მისი სამფლობელოები გამარჯვებულებმა გაიყვეს²⁵. 302-301 წლების კამპანიაში სამხედრო მოქმედებათა მთავარი ასპარეზი იყო აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთი და ცენტრალური ანატოლია, მაგრამ ანტიგონეს მოწინააღმდეგე

23. ქართლის ცხოვრება. ტ. I, თბ., გვ. 23. ანძიანძორის მდებარეობის შესახებ იხ: Г.З. Аничабадзе Источниково-дческие проблемы военной истории Грузии. Тб., 1990. С.17-18.

24. იქვე, გვ. 25.

25. А.С. Шоффман. Распад империи Александра Македонского. Казань, 1984. С. 114-116.

ძალთა გააქტიურება შეიმჩნევა მისი სამფლობელოების ჩრდილო და ჩრდილო-აღმოსავლეთ პერიფერიებზეც. კერძოდ, როგორც ვიცით, 302 წლიდან პონტოს მთებში მოქმედებს მითრიდატე კტისტი. იმავე წელს კაპადოკიის მმართველი სახლის წარმომადგენელმა არიარათე II-მ, მცირე სომხეთის მეფის დახმარებით, თავისი ქვეყნიდან გააძევა ანტიგონეს მაკედონური გარნიზონები. ვფიქრობთ, რომ ფარნავაზის ლაშქრობა ანძიტენეში ეხმიანება ამ მოვლენებს და უნდა შემდგარიყო ძვ. წ. 302 ან 301 წელს. წარმატებული ლაშქრობიდან დაბრუნებულმა ფარნავაზმა ოფიციალურად მიიღო ქართლის მეფის ტიტული.

ამრიგად, ჩვენი აზრით, ლეონტი მროველის მიერ აღნერილ ფაქტებს (ქართველთა აჯანყება აზონის წინააღმდეგ, მისი მოკვლა, ლაშქრობა ანძიანძორაში და სხვ.), რომლებიც წინ უძღვის აღმოსავლურ-ქართული სახელმწიფოს საბოლოო ჩამოყალიბებას, ადგილი ჰქონდა ძვ. წ. არა უადრეს 312-308 წლებისა (აღმოსავლეთში სელევკეს პოზიციების განმტკიცება) და ძვ. წ. არა უგვიანეს 301 წლისა (იფსოსის ბრძოლა).

ვახტანგ გორგასლის პირველი ომი სასანური ირანის ნინააღმდებარება¹

ვახტანგ გორგასლის ზეობის თითქმის ყველა მოვლენა, აღწერილი წერილობით ძეგლებში აუთენტიკურობისა და თარიღის დადგენას მოითხოვს, რადგან მისი ძირითადი წყარო – ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“, (VIII ს.), მოკლებულია ქრონოლოგიურ აპარატს, ხოლო მასში მოტანილი ცნობები შედარებით ნაკლებად ეხმიანება პარალელურ ქართულ და უცხოურ წყაროებს. ყოველივე ეს მეცნიერებში აზრთა დიდ სხვადასხვაობას ბადებს ვახტანგ გორგასლის ცხოვრების ამა თუ იმ ფაქტთან დაკავშირებით. მარტო ის რად ლირს, რომ ისტორიოგრაფიაში ქართლის ამ სახელოვანი მეფის გარდაცვალების თარიღი თითქმის 50-წლიან ამპლიტუდაში მერყეობს².

ვახტანგ გორგასლის მრავალმხრივი მოღვაწეობიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ბრძოლა სასანური ირანის წინააღმდევ, რომელიც მიმართული იყო ქართლის პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ. სწორედ სპარსელებთან გადაიხადა ვახტანგმა თავისი უმძიმესი ომები და შეენირა კიდეც ამ ბრძოლას.

ჯუანშერის თხზულებაში აღწერილია ვახტანგ გორგასლის ორი ომი ირანელებთან. მეცნიერებაში არ არსებობს ერთიანი აზრი მათი თარიღებისა და გარემოებათა შესახებ. განსაკუთრებით ეს ეხება პირველ ომს, რომლის რეალურობა როგორც ჩანს, ზოგიერთი მკვლევრის ეჭვს იწვევს. კერძოდ, ჯუანშერის ცნობები ამ ომის შესახებ არ

The First War of Vakhtang Gorgasali against Sassanian Iran

Due to scarcity of relevant historical sources, almost all of the event having taken place under the reign of King Vakhtang Gorgasali (circa 449-502) and mentioned in written records require authentication and specification of dates. This naturally invites many different ideas among scholars regarding the life of King Vakhtang.

Out of the king's diverse activities, especially noteworthy is his fight against Sassanian Iran, aimed at the political liberation of Kartli. However, there is no

1. პირველად დაიბეჭდა კრებულში: „საქართველო ვახტანგ გორგასლის ეპოქაში“. მემატიანე, ობ., 1999. გვ. 15-30.

2. ვახტანგ გორგასლის ირანელებთან მეორე ომისა და მისი დაღუპვის თარიღად ყველაზე მისაღებად 502 წ. მიგვაჩინა.

unanimous opinion among scholars on how many times King Vakhtang rose against the Sasanids (modern historians mention either two or three wars) and in which years the battles took place. In the article it is maintained that King Vakhtang fought the Iranians twice. The first war took place around 482-48. The assumption on three military clashes between the Georgians and Iranians is wrong as the notes on the first war scattered in Georgian and Armenian historical records are erroneously believed to refer to different wars.

First published 1999

არის ასახული ისეთ ფუნდამენტურ განმაზოგადებელ ნაშრომში, როგორიცაა ივ. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორია“. ეს მასალა არ არის გამოყენებული ნ. ჯანაშიას მონოგრაფიულ გამოკვლევებშიც, რომელმაც სხვა მხრივ საფუძვლიანად შეისწავლა ვ. გორგასლის ეპოქა და მისი ისტორიის წყაროები. ჯუანშერის ცნობებისადმი ასეთი დამოკიდებულების მიზეზია ტრადიციული შეხედულება მის თხზულებაზე, როგორც ნახევრად მხატვრულ ნაწარმოებზე და ის ფაქტი, რომ არ ხერხდებოდა ვახტანგ გორგასლის „ცხოვრებაში“ აღწერილი ამბების დამადასტურებელი მასალის გამოვლენა სხვა ისტორიულ წყაროებში. ის მეცნიერები, რომლებსაც სარწმუნოდ მიაჩნდათ ჯუანშერის მონათხრობი ირანელთა წინააღმდეგ ვახტანგის პირველი ომის შესახებ, სხვადასხვანაირად ათარიღებნ იქ აღწერილ ამბავს. ს. კაკაბაძის აზრით, ეს ომი მოხდა 472/273 წლის ახლოს³. როგორც ჩანს, ამ დებულებას იზიარებს მ. ლორთქითანიდეც, ვინაიდან შემდეგი ამბები – ვახტანგის დაზავება შაჰთან და აღმოსავლეთში სალაშქროდ წასვლა – უკვე 474-476 წნ. აქვს დათარიღებული⁴. ვ. გოილაძე ზემოაღნიშნულ ბრძოლას 460 წლით ათარიღებს⁵.

ამრიგად, ქართულ ისტორიოგრაფიაში არა-ერთგვაროვანი დამოკიდებულებაა ჯუანშერის ცნობებისადმი ვახტანგ გორგასლის ირანელებთან ბრძოლის შესახებ. სამაგიეროდ მეცნიერებაში დიდი ნდობით ეკიდებიან სომეხი ავტორის ლაზარ ფარპეცის მოთხრობას ამიერკავკასიის ხალხების 482-484 წნ. ანტისასანურ აჯანყებაზე, სადაც აღწერილია გაერთიანებული ქართული და სომხური ჯარების ბრძოლა სპარსელთა წინააღმდეგ ვახ-

3. ს. კაკაბაძე. ვახტანგ გორგასალი და მისი ხანა. თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი, 1994. გვ. 250.

4. მ. ლორთქითანიდე. ქართლი V საუკუნის მეორე წარებარში. თბ., 1979. გვ. 81.

5. ვ. გოილაძე. ვახტანგ გორგასალი და მისი ისტორიკოსი. თბ., 1991. გვ. 150. ეს თარიღი ვ. გოილაძეს მოჰყავს

ტანგ გორგასლისა და სომხეთის სპარაპეტის ვა-
ჰან მამიკონიანის სარდლობით.

ლაზარ ფარპეცის „სომხეთის ისტორია“, მართ-
ლაც პირველხარისხოვანი წყაროა, შექმნილი
მასში აღწერილი ამბების თანამედროვისა და
მონაწილის მიერ. ამ თხზულების „ვახტანგ გორ-
გასლის ცხოვრებასთან“ შედარებისას მკვლევრე-
ბი ალიშვნავენ მათ შორის არსებული დიდ სხვაო-
ბას. კერძოდ, ნ. ჯანაშია წერს: „ჯუანშერს მეტად
არასწორი ცნობები ჰქონია ბიზანტიასა და ორანის
ისტორიაზე... ეს კი ძალიან ართულებს ჯუანშერის
მიერ ნახსენებ ვახტანგ გორგასლის სპარსელებთ-
ან ომების დათარიღებასაც. ამ ომების აღწერი-
ლობას, რომელსაც გვანვდის ჯუანშერი არაფერი
აქვს საერთო ლაზარ ფარპეცის მიერ მოთხოვნილ

29

თავისი ქრონილოგიური სქემიდან, რომელიც აგებულია
491 წელზე, როცა მისი მტკიცებით ირანსა და ბიზანტიას
შორის მიმდინარეობდა ომი და ამ ომში დაიღუპა ვახტანგ
გორგასალი (ვ. გოილაძე, დასახელებული ნაშრომი).
გვ. 71 და სხვ.). მაგრამ მოსაზრება 491 წ. ომის შესახებ
კრიტიკას ვერ უძლებს (იხ. ნ. ლომოური. საქართველოსა
და ბიზანტიის ურთიერთობა V საუკუნეში. თბ., 1989).
გვ. 44(46) და, ამიტომ, მცდარი უნდა იყოს მისაგან
პოსტულირებული სხვა თარიღებიც. როგორც ჩანს, ვ.
გოილაძის მიერ შემოთავაზებული წლები წინ უსწრებს
რეალურ-ისტორიულ მოვლენებს. მაგ., ეგრისში ქართლის
მეფის ლაშქრობას მკვლევარი ათარიღებს 448-450
წლებით (გოილაძე ვ. გვ. 100), მაგრამ ჯუანშერის
თხზულებიდან გამომდინარე ეს სამხედრო კამპანია
457 წელზე ადრე ვერ შედგებოდა, ვინაიდან მემატიანის
(ცნობით, იმ ხანად საბერძნეთში მეფობდა ლეონ
დიდი (იმპერატორი ლეონ I, 457-474 წწ.). ვ. გოილაძე
ჯუანშერის ამ ცნობას გვიანდელ ჩანამატად მიიჩნევს,
რათა ახსნას შექმნილი შეუსაბამობა (გოილაძე ვ. გვ. 100,
შენ. 33), მაგრამ თავისი მოსაზრების დამამტკიცებელი
არგუმენტები არ მოჰყავს. სხვა ადგილას ვ. გოილაძე,
პრაქტიკულად, უკრიტიკულ იღებს ვახტანგ გორგასლის
„ცხოვრებაში“, აღწერილ ქართულ-სპარსული ჯარების
დიდ ლაშქრობას მცირე აზიაში, მაგრამ საკუთარი
ქრონილოგიური სქემიდან გამომდინარე ათარიღებს
მას 453-456 წლებით (გოილაძე ვ. გვ. 101 და სხვ.), თუმცა
ჯუანშერის ცნობით ეს გალაშქრება მეფეთა მეუე
ურმისძის (პორმიზდ III, 457-459 წწ.) ბრძანებით მოხდა.

482-484 წლების ქართლის აჯანყებასთან. ამიტომ ვერც იმას ვიტყვით, რომ ჯუანშერის ქართლისა და სპარსეთის პირველი ან მეორე ომი შეიძლება გულისხმობდეს სწორედ ამ აჯანყებას⁶. იგივე აზრისაა მ. ლორთქიფანიძე, რომელიც 482 წ. დაწყებულ აჯანყებასთან დაკავშირებით წერს: „როგორც აღნიშნულია ქართული ისტორიოგრაფიაში, ჯუანშერი ამ აჯანყების შესახებ ცნობებს არ გვაწვდის“⁷.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე მეცნიერები ვახტანგ გორგასლის მეფობაში აღნიშნავენ ორ ან სამ ომს (აჯანყებას) სპარსელთა წინააღმდეგ. კერძოდ, ივ. ჯავახიშვილს ორი ომი აქვს მოხსენიებული: 484 წლის (წყარო: ლაზარ ფარპეცის „სომხეთის ისტორია“) და 502 წლის (წყარო: ჯუანშერის მიერ აღწერილი ვახტანგის მეორე ომი ირანთან)⁸.

ს. კაკაბაძის მიხედვით, პირველი აჯანყება მოხდა 472/473 წ. (ეს არის ჯუანშერისეული პირველი ომი), მეორე აჯანყება კი 482-484 წლებში (ცნობებს მის შესახებ შეიცავენ ჯუანშერისეული მეორე ომი და ლაზარ ფარპეცის თხზულება)⁹.

6. ჯანაშიაც ორ აჯანყებას ითვლის: 1) 482-484 წლებში (წყარო: „სომხეთის ისტორია“) და 2) ირანბიზანტიის 502-506 წნ. დროს (წყარო: ჯუანშერისეული მეორე ომი)¹⁰.

მ. ლორთქიფანიძის მიხედვით, ვახტანგ გორგას-ალმა სპარსელებთან სამი ომი გადაიხადა: 1) VII ს-ის 70-იანი წნ. დასანყისში (ჯუანშერთან აღწერილი პირველი ომი), 2) 482-484 წლებში (აღწერილი ლა-

6. ჯანშია ლ.-ნ. ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ. თბ. 1962. გვ. 164-165.

7. ლორთქიფანიძე მ. გვ. 82

8. ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია. წ. I. თბ., 1951. გვ. 241-242, 290.

9. კაკაბაძე ს. გვ. 250-252, 351-359.

10. ჯანაშა 6. ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ნარკვევები. თბ., 1986. გვ. 48-53.

ზარ ფარპეცის მიერ) და 3) 502 წელს (ჯუანშერის მიერ აღნერილი მეორე ომი)¹¹.

ვ. გოილაძესაც, როგორც ჩანს, მიაჩნია, რომ გორგასალი სამჯერ ეომა სპარსელებს, თუმცა იგი არ ეხება 482-484 წლების აჯანყებას და განიხილავს მხოლოდ ჯუანშერთან აღნერილ ომებს, რომლებსაც შესაბამისად ათარიღებს 460 და 491 წლებით¹².

როგორც ვხედავთ, ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე არ არის გარკვეული თუ რამდენჯერ ეომა ვახტანგ გორგასალი სპარსელებს და რომელ წლებში წარმოქდა ეს ომები. ჯუანშერის მიერ აღნერილი ირანელთა წინააღმდეგ ვახტანგ მეფის პირველი ომისადმი დამოკიდებულება უკიდურესად არაერთგვაროვანია. ზოგიერთი მკვლევარი საერთოდ უგულებელყოფს ამ მოთხობას კი, რადგან არასარწმუნოდ მიაჩნია იგი, სხვები სრულ ნდობას უცხადებენ ჯუანშერს და აღნიშნულ ომთან დაკავშირებულ მის ცნობებს პრაქტიკულად კრიტიკის გარეშე იღებენ. ჩვენი შრომის მიზანია შეძლებისდაგვარად გავარკვიოთ ეს საკითხი. ვნახოთ რა რეალურ-ისტორიული საფუძვლები გააჩნია ჯუანშერის მოთხობას, პირველი ომის შესახებ, როდის და რა პირობებში მიმდინარეობდა ეს ბრძოლა და შეიძლება თუ არა მისი დაკავშირება სხვა ისტორიული წყაროების მონაცემებთან.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ვახტანგ გორგასალმა ორჯერ იომა სპარსელებთან, როგორც ეს მის „ცხოვრებაშია“ აღნიშნული. ამასთან იქ აღნერილი პირველი ომი უნდა იყოს 482-484 წლების აჯანყების უკანასკნელი ეტაპი ქართლში, რაზეც მიუთითებს ცალკეული დამოთხვევები ლაზარ ფარპეცის „სომხეთის ისტორიასთან“ და, მთლიანობაში, ამ ორი მატიანის მონაცემებს შორის არსებული ლოგიკური კავშირი.

11. მ. ლორთქიფანიძე. გვ. 79-89.

12. ვ. გოილაძე. გვ. 71-75, 150.

ჯუანშერი პირველი ომის დაწყების წინ ალნიშნავს, რომ ვახტანგმა წმინდა სამხედრო სამზადისის გარდა ადგილობრივი მაზდეანელები დაარბია: „შეაგდო საპყრობილესა შინა ბიზქარან მაცთური, ეპისკოპისი ცეცხლის მსახურთა, და მოსრნა და განასხნა ყოველნი ცეცხლის მსახურნი საზღვართაგან ქართლისათა“¹³. ლაზარის ცნობით კი, ქართლის აჯანყება დაიწყო ვახტანგის მიერ ვარსექნ პიტიახშის მოკვლით, რომელიც ქართველ მაზდეანელთა პოლიტიკური ლიდერი იყო¹⁴.

482-484 წწ. ქართულ-სომხურ აჯანყებას, როგორც აღვნიშნეთ, ლაზარ ფარპეცის ცნობებით აღწერებ. ლაზარი მართლაც შესანიშნავი მემატიანეა, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ის სომხეთის ისტორიას წერდა. იგი დაწვრილებით აშუქებს სომხეთში გამართულ ბრძოლას, მაგრამ ქართლში მომხდარი ამბების შესახებ მეტად სიტყვაძვირია. გამონაკლისს მხოლოდ ჭარმანიანის ველზე 483 წლის ზაფხულში გამართული ბრძოლა წარმოადგენს, სადაც ქართველები და სომხები მხარდამხარ იბრძოდნენ. ამ ბრძოლაში დამარცხების შემდეგ მოკავშირენი კვლავ დაშორდნენ ერთმანეთს, ვაჲან მამიკონიანმა თავისი მხედრობის ნარჩენები ბიზანტიის საზღვრებისაკენ წაიყვანა, ვახტანგმა კი ქართლის სიღრმისკენ დაიხია.

ლაზარი არ გვამცნობს თუ რა ხდებოდა ქართლში 483 წლის შემოდგომიდან 484 წლის გაზაფხულამდე, მაგრამ მისი ერთი ცნობა გვაფიქრებინებს, რომ იქ სამხედრო მოქმედებები გრძელდებოდა. კერძოდ, მის თხზულებაში ალნიშნულია, რომ ჭარმანიანში დამარცხების შემდეგ სომხები ომისაგან თავს იკავებენ. „მათ უნდოდათ ცოტათი დაესვენათ და სული მოეთქვათ დაშვრომისაგან. უცბად სომეხთა ზორავარ ვაჲანთან ვოსტანში მივიდნენ ქართლის მხარიდან ეშმაკ-მოსილი უგუნური

13. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბ., 1955. გვ. 178.

14. ლ.-ნ. ჯანაშია. გვ. 243.

კაცები. ისინი ამბობდნენ ცრუ სიტყვებს... რათა განხეთქილება შეეტანათ მის ჯარში¹⁵. თუ გამოვტოვებთ იმ არცთუ კორექტულ სიტყვებს, რომლებითაც ლაზარი ამკობს ქართველ დესპანებს, მისი თხრობიდან შემდეგი სურათი ისახება: ვახტანგ გორგასალი სპარსელებთან აქტიური ბრძოლის მომხრე იყო, როგორც ჭარმანიანამდე, ასევე მის შემდეგ და ყველანირად ცდილობდა სომხური მხარეც უფრო აქტიურად ჩაება საერთო მტრის წინააღმდეგ ომში.

33

მართლაც, სომეხთა ჯარში განხეთქილება მოხდა და დიდი რაზმი სეპუჰ მუშელის სარდლობით ქართველებს გაჰყვა. „მათ წაიყვანეს ისინი ქართლის საზღვრებში და ატარეს ეშმაკის კვალზე, რომლის მსახური თვითონვე იყვნენ... ამგვარად გონებას უბნევდნენ და აქეთ-იქით ატარებდნენ მამიკონიანთა სეპუჰს მუშელს და იმ რაზმს, რომელიც მასთან იყო, ვიდრე არ დამთავრდა ზამთრის სუსტიანი და ცივი ქარების ქროლვა¹⁶. სავარაუდოა, რომ მუშელის რაზმი ქართლში სპარსელთა წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაება. სხვამხრივ გაუგებარია, რატომ გააჩერებდნენ მას ამდენ ხანს თავისთან ქართველები. ასე რომ, როგორც ირკვევა, 483-484 წნ. ზამთარში ვახტანგ გორგასალი სამხედრო მოქმედებებს ანარმოებდა. საკუთრივ სომხეთში კი, ლაზარ ფარპეცის ცნობით, გაზაფხულამდე ბრძოლას ადგილი არ ჰქონია.

გაზაფხულზე სომხეთში სპარსი სარდალი ზარმი-ჰრ ჰაზარავუხტი მოვიდა დიდი ჯარით, შეუტია აჯანყებულ სომხებს და გაფანტა ისინი. ვაჲან მამიკონიანმა ბიზანტიის სამფლობელოებს შეაფარა თავი. ქართლში, როგორც ჩანს, სპარსელებს ასე წარმატებულად არ მისდიოდათ საქმე და, ამიტომ, მეფეთ მეფე პეროზმა, პეფთალებზე თავისი საბედისწერო გალაშერების წინ, ჰაზარავუხტს უბრძანა გადასულიყო ქართლში და „ქარ-

15. იქვე, გვ. 358.

16. იქვე, გვ. 259-260.

თლის მეფე ვახტანგი ან შეეპყრა, ან მოეკლა, ანდა იმ ქვეყნიდან გაეძევებინა¹⁷.

ჩვენი აზრით, აქედან იწყება ჯუანშერის თხზულებაში ვახტანგის სპარსელებთან პირველი ომის აღნერა. ზარმიპრ ჰაზარავუხტი, ამიერკავკასიაში ირანის ჯარების მთავარსარდალი, ქართულ წყაროში წარმოდგენილია როგორც სპარსთა მეფე. ძნელი სათქმელია რატომ არის ვახტანგ გორგასლის „ცხოვრებაში“ გამოტოვებული 482-483 წნ. ამბები, მაგრამ ის, რომ ძეგლის არსებულ ნუსხებს პირველი ომის დასაწყისი აკლია, აშკარად იგრძნობა. კერძოდ, ვახტანგ მეფე საგულდაგულოდ ემზადებოდა ირანთან ომისათვის: „ამაგრებდა ციხეთა და ქალაქთა, და ჰყაზმიდა მხედართა, და განამზადებდა ბრძოლად სპარსთა¹⁸. პირველად ვახტანგმა დაიწყო მტრული მოქმედებებიც, როდესაც დაარბია და ამოხოცა ცეცხლის მსახურნი. ყოველივე ამის შემდეგ ვხედავთ, რომ სპარსთა ლაშქარი უკვე დიდუბის ველზეა დაბანაკებული, ვახტანგი კი თავდაცვისათვის ემზადება მტკვარარაგვის ხაზზე.

მაშ რა გამოდის, იმიტომ გამოიწვია ქართლის მეფემ სპარსელები საომრად, რომ უბრძოლველად დაეთმო ქვეყნის ნახევარი (მცხეთის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორია) და თვითონ დედაქალაქში გამაგრებულიყო? ასეთი რამ ძნელი წარმოსადგენია. ვახტანგი შეეცდებოდა ჯერ საზღვარზე შეეჩერებინა მტერი. ამიტომ, თუ გავითვალისწინებთ ლაზარ ფარპეცის ცნობებს ჭარმანიანის ბრძოლისა და სხვა მოვლენების შესახებ და შევუჯერებთ მათ ქართულ მატიანეში აღნერილ ამბებს, ვახტანგ გორგასლის პირველი ანტისასანური აჯანყების ძირითადი ეტაპები ლოგიკურ წყობაში მოექცევა. ამრიგად, აჯანყების დაწყების შემდეგ ვახტანგი ქართლის სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვრებთან ცდილობს

17. იქვე, გვ. 263.

18. ქართლის ცხოვრება, გვ. 178.

մգրուս შეցազեցած. ՍԵԿՐԵԴ այ արօս ՔԱՐՄԱՆՈԱՆՈՒՅՆ ՀԵՂՈ. մացրամ 483 ԵԼՈՒՍ ՅԱՑԽԵՂՈՌԻ ՏԵՐՈՉՅՈՒՆ ԾԱՄԱՐԿՅԵՑՈՒՅՆ ՇԵՄԴՐԵ ԻԺԱԼԼԵՑՅՈՒԼՈ ԵԳԵՑՈ ՀՎԵԿԵՑՈՆ ՍՈՂՋՄԵՇՈ ՖԱԿԵՆՈՍ. ՏԵՐԵՂՐՈ ՏԱՐՁԼՈՒ ԱԺ ՖՐՈՆ ՏԱՍՈՒՐՈՒՅՆ, ՇՈՐԵՂՈ ՔԱՕՍ ՅԱՎԱՐԵՑՈ ՏԱՎԵՍ, մացրամ ՏԵՐԵՂՐՈ ՄՏԱՎԱՐՏԱԳԱՆ ՀՅԱՑԻՇՐՈ ՄՊԵՄԵՇԵՑՈ ՄՈՄԵՐԵՆՈ ՔԱՐՏԼՌԻ ՄՈՋՈՆ ՀԱՎԵՑԱՆԳՈՆ ՀՅԱՐԵՑՈ ՄԱՐԴԱՆ.

484 ԵԼՈՒՍ ԳԱՅԻԱՑԽԵՂՈՌՈ ԾՈՂՈՆ ՔԱՐՏԼՌԻ ՄՊՈՒՅ ՏԵԱՐՍԵԼՈՒ ՄԵՎՃՐՈՒՅՆ ՔԱՅԱՐԱՎՈՒԽԻ ՄՈՐ ՄՈՎՈՎԱՆՈԼՈ ՐԱՅՄԵՑՈ ՇԵՐՎԵՏ. ԵՎ ԿԱՐԱՎԱՃԼԵՑՈ ՖԱՄԱՏԱՏԵՑԵՑԵԼ ԳԱՅԻՎՈԱՃԵՑՅՈՒԼ ԿՐՈՒՐԵՑՈ, ՏԱԿԻՑԵՐԵՍՈՆ ՄՈՍՈ ԿԲՆՈՒՅՆ, ՐՈՄ ՈՐԱԿԵԼՈՒ ԼԱԺՔԱՐՈ ԵՐՏՆԱԵՎԱՐՀԵՐ ԱԼԵՄԱՑԵՑՈ ԴԱ ՔԱՐՏՎԵԼՈՒ ՄՏԱՎԱՐ ՏԱԼԵՑԵՑՈ¹⁹. ԾԵՐՐՈ ՔԱՐՏՎԵԼՈ ԵԱՐԻԿԵՑՅՈՒԼՈ ՄԳՐՈՒՍ ԹԵԱՐԵՑԵ ԳՐԱՎՈՂՈ, ԵԼՈՒՍ ՎԱԿԱՆ ՄԱՋՈԿՐՈՆՈԱՆՏԱՆ ՏԱՆԱՄՈՅՄԵՇԵՑՈ ՎՈ, ՏՐԱՅՔԻԿԱՎՈՒԼԱԳ, ՎԱՄՈՐՈՒՅՈՒՆ ՈՊՈ, ՎՈՆԱՌՈ ՍՈՄԵԵՏՈՒՍ ՏԵԱՐԱՎԵԳԻ ԱԺ ՖՐՈՆՈՍԱՏՎՈՆ ՀՅԱՐՈ, ՐՈԳՈՐԿ ԱՏԵՏՈ, ԱԼԱՐ ՑԵՎԱՎՈ²⁰. ԱԺ ՏՈՒՅԱ-ԿՈՎԱՌԻ ՎԱԿԻԱՆԳՄԱ ՇԵՎՈՎԼԵՑՅՈՒԼԱԳ ՏԵԿՆՈ ԸՆՈՒ ՏԵՎԵԼՈ ԾՈՒՄՈՆՆԱ ԲԻԱՑՄԱ ՖԱ ԱՅՏԻՇՐՈ ՏԱՎՈՎԱՎՈՎՈ ՔԱՅՔԻ-ԿԱ ԱՐԻԲԻԱ. ՀՅԱՆՑԵՐՈ ԱԼԵՐԵՌՈ ՔԱՐՏՎՈՒԼՈ ՀՅԱՐԵՑՈՆ ԾՈՒՄՈՆՆԱ ԵՐԵՐԱՑԻՎՈ ԳԱՋԼՈԱՏ, ՐՈՄԼՈՒ ԿԵՆԳՐՈ ԵՎՐԾՆՈՒՅՆ ՄՎԵԵՏԱ-ԱՐՄԱՑՈՒՍ ՏԵՄԱԳՐԵՏԱ ՏԵՍՑԵՄԱՏ, ԵԼՈՒՍ ՀՅՈՒՐԵՑՈ ԱՐԱԳՎՈՍԱ ԴԱ ՄԻԿՎՐՈՒՍ ՄԱՐՀՎԵՐՆԱ ԵԱ-ՑՈՐԵՑՈ, ՇԵՏԱՎԱՄՈՒՍԱԳ, ՄՎԵԵՏԱ-ԱՐՄԱՑՈՒՍ ՑԵՄՈՒ ԴԱ ՀՎԵՄՈՒ. ՄԵԴՈՒՍ ԾՈՒՄԵՑՈ ԳԱՅԱՐՏՈՒԵՑՅՈՒԼ Ոյն ԱԳՐԵԵՏՎԵ ՄՈՎՈՎՈ ԵԽՈՒ ՄԻԿՎԱՐԵՑԵ, ՐՈՄԼՈՒ ԱՎ ՄՎԵՎԱՐՈՒՄ ՀՐԵՑԵՐՎԵՑՈՆ ՏԵՐԱՖՈ ԳԱԴԱ-ՌՈԼՆԱ ԾՈՒՄՈՆՆԱ ԵՐՏՈՒ ՄԵԿՆԵՑԵ ՄԵՐՎԱՐ-ԱՐԱԳՎՈՍ ԵԱՑՈՍ ԳԱՄԱԳՐԵՑԱ, ՐՈԳՈՐԿ ԲԻՆՏ, ՄԻՑՆԱ ԸՆԱԲԱՎՈ ՄՎԵԵՏՈՒՍ ԳԻԱՏԱՇԵՏԱՎՐՈՒՍ ՖԱՎՈՏԱ, ՐԱՏԱ ՏԵԱՐՍԵԼՈՒ ՔԱՐՏԼՈՆ ԿՐԵՆԳՐԱԼՈՒՐ ՐԱԿՈՆԵՑՅՈ ԱՐ ՇԵԵԼՆՈԱՏ.

ՄԵՄԱՑԻԱՆԵ ՄՈԿԱԼԵ, ՄԱԳՐԱՄ ՏԱԿԻՑԵՐԵՍՈԳ ԱԼ-

19. ոյշը, ջ. 179.

20. լ.-ն. Հանա՛մու. ջ. 263-264, 266.

წერს სამხედრო მოქმედებების სურათს: „ხოლო მეფე და ჯუანშერ სპასპეტი დადგეს მცხეთას, და ნასრა და მირდატ დაუტევნა სპათა ზედა სომხითისა და ქართლისათა, რომელნი დგეს არმაზით კერძო. და რა ბრძოლიან სპარსი არმაზით კერძო, მცხეთით განვიდიან; და რა განვიდის ლაშქარი იგი მიერ კერძო მცხეთით, ენყუნიან არაგუსა ზედა. და ოდესმე განვლიან ფონი მტკურისა და შეიბინიან ფონსა ზედა ტფილისისასა, და როდესმე დღესა მათ სძლიან და რომელსამე დღეს ამათ“²¹.

ამ აღნერიდან ვხედავთ, რომ ვახტანგის ძალებში სომებთა სპაც შედის. შესაძლებელია ეს კონტინგენტი მას შემდეგ გამოეთიშა ვაჟან მამიკონიანის ჯარს, რაც იგი ფაქტობრივად დაიშალა სპარსელებთან დამარცხების შემდეგ. ყოველ შემთხვევაში ის ფაქტი, რომ ვახტანგ გორგასლის დროშის ქვეშ ამჯერად სომხებიც იბრძვიან, ამაგრებს მოსაზრებას, რომ სპარსელების წინააღმდეგ პირველი ომი – 482-484 წწ. აჯანყებაა. სხვამხრივ სომხური რაზმების ყოფნა უფრო მოსალოდნელი იქნებოდა სპარსულ ბანაკში, ვინაიდან ავტონომიური სომხეთის მხედრობა სასანიანთა სახელმწიფოს შეიარაღებული ორგანიზაციის ნაწილი იყო, რომელსაც შაჰები სისტემატურად იყენებდნენ საშინაო და საგარეო ომების დროს.

ჯუანშერის მიხედვით, საბრძოლო მოქმედებები ქართლში ოთხი თვე მიმდინარეობდა. ამ დროის ძირითადი ნაწილი 484 წლის ზაფხულზე უნდა მოდიოდეს. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ბრძოლებში ტყვედ ჩავარდნილი ვახტანგის თანამოღვანე, შემდგომში წმინდანად შერაცხული რაჭდენი სპარსელებმა ანამეს და მოკლეს აგვისტოს თვეში (მისა ხსენების დღეა ძვ. სტილით 3 აგვისტო). „რაჭდენ პირველმოწამის მარტვილობა“ XII ს-ის ძეგლი უნდა იყოს. მის ავტორს ზოგ სხვა წყაროსთან ერთად ჯუანშერის თხზულებაც გამოუყენებია. აქ მოხსენიებულია ვახტანგ გორგასლის მცხეთაში

21. ქართლის ცხოვრება, გვ. 180.

გამაგრება და ოთხვიანი ბრძოლა მცხეთა-არმაზის სანახებში. მაგრამ „ქართლის ცხოვრებაში“ დაცული ტექსტისაგან განსხვავებით, რაჭდენის მარტვილობის ავტორს, როგორც ჩანს, ვახტანგ მეფის მატიანის უფრო სრული ნუსხა ან მისი პერიოდის ამსახველი უცნობი ძეგლი ჰქონდა ხელთ. თუ „ქართლის ცხოვრებაში“ მკაფიოდ არ ჩანს ოთხვიანი ბრძოლის შემდეგ ვის მხარეზეა ტაქტიკური უპირატესობა, ნმ. რაჭდენის მარტვილობაში ვხედავთ, რომ გამარჯვების სასწორი აშკარად ირანელთა მხარეზე გადახრილა. მათ გაურღვევიათ ქართველთა სათავდაცვო ხაზი და გაჭრილან მუხრანში და შიდა ქართლის ვაკეზე, წრომამდე; მცხეთა-არმაზის ქართული გარნიზონი კი ბლოკირებულია²². ამის შემდეგ უფრო სარწმუნო ხდება ლაზარ ფარპეცის ცნობა იმის შესახებ, რომ ვახტანგ მეფემ წააგო სამხედრო დაპირისპირება ჰაზარავუხტთან და ცოტა ხნით „ეგრისის ქვეყნის მხარებში“ გადავიდა²³. ჩვენი მხრიდან დავუმატებთ, რომ შეიძლება ამ შემთხვევაში მაინცდამაინც ახლანდელი დასავლეთ საქართველო არ იგულისხმებოდეს. გამორიცხული არ არის, რომ მეფემ კლარჯეთს მიაშურა. ამ მოვლენებამდე რამდენიმე წლით ადრე იგი ამბობდა კლარჯეთის შესახებ: „უკეთუ განძლიერდენ სპარსი ჩუენ ზედა, საყუდელი ჩუენი აქა ყოფად არს“²⁴. კლარჯეთის დასავლეთი ნაწილი, როგორც ჩანს, გარკვეული დროს მანძილზე ეგრისის სამეფოში შედიოდა²⁵ და, შესაძლოა, ამიტომ მიათვალა იგი ლაზარმა „ეგრისის ქვეყნის მხარეებს“.

ჯუანშერის მიხედვით, ქართველებსა და სპარსე-

22. რაჭდენ პირველმონამის მარტვილობა // ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I. შედგენილი სოლ. ყუბანეიშვილის მიერ. თბ., 1946. გვ. 242-245.

23. ლ.-ნ. ჯანაშია. გვ. 264.

24. ქართლის ცხოვრება, გვ. 178.

25. დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. I. თბ., 1977. გვ. 92.

ლებს შორის ომი ბიზანტიის ჩარევამ შეწყვიტა. მას შემდეგ, რაც თითქოს ვახტანგის დასახმარებლად წამოსული ბერძენთა 80-ათასიანი მხედრობა ჯავახეთს მოადგა, სპარსთა „მეფე“ იძულებული გახდა ქართლის მეფისათვის ზავი შეეთავაზებინა²⁶. ცნობა ბიზანტიილთა გამოლაშქრების შესახებ აშკარად გამოგონილია. იმპერიის საშინაო და საგარეო მდგომარეობა იმ ხანად გამორიცხავდა კავკასიის საქმეებში ასეთ აქტიურ ჩარევას²⁷. მაგრამ რაც შეეხება იმას, რომ დაზავების ინიციატორად სპარსული მხარეა წარმოდგენილი, მიუხედავად მისი სამხედრო უპირატესობისა, ამაში ჯუანშერი მართალი უნდა იყოს. ომი მოულოდნელად შეწყდა 484 წლის ზაფხულის მიწურულს²⁸. ლაზარ ფარპეცის ცნობით, როდესაც ჰაზარა-

26. ქართლის ცხოვრება, გვ. 180-181.

27. იმხანად ბიზანტიაში გამწვავებული იყო დაპირისპირება მონოფიზიტებსა და დიოფიზიტებს შორის. გარდა ამისა, ოსტყუთები არბევდნენ ბალკანეთის პროვინციებს და იტალიაში გადასახლებამდე (488 წ.) კონსტანტინოპოლისაც ემუქრებოდნენ; დუნაის მხრიდან მოსალოდნელი იყო ჰუნთა შემოსევა, საბერძნეთის ნაპირებზე კი ვანდალების თავდასხმა. ჯუანშერის ცნობა ვახტანგის დასახმარებლად ბერძენთა მისულის შესახებ იმ პრობიზანტიური განწყობილებით აისახება, რომელიც წითელ ძაფად გასდევს მის თხზულებას. ეს მომენტი მაინცდამაინც ვახტანგ გორგასლის დროიდელ ვითარებას არ უნდა ასახავდეს, ვინაიდან ქართლის მეფის ბრძოლა ეგრისში ბიზანტიელთა წინააღმდეგ, ჩვენი აზრით, ამის შესაძლებლობას გამორიცხავს. იგი უთუყოდ ისტორიკოსის პირადი პოზიციაა, ჩამოყალიბებული მისი ეპოქის პოლიტიკური პრიორიტეტების ზეგავლენით. ეს ტენდენცია ვერ იარსებებდა XI ს-ში, ვინაიდან იმხანად ბიზანტიის იმპერია გაერთიანების გზაზე მდგომი საქართველოს ერთ-ერთი მთავარი მტერი იყო. სამაგიეროდ სხვა მდგომარეობა იყო VIII ს-ში, როდესაც ბიზანტია უშუალოდ არ ემუქრებოდა ქართლს, ხოლო დასავლეთ საქართველოში მისი გავლენა უკვე ნომინალური იყო აფხაზთა სამთავროს გაძლიერების გამო. არაბთა ბატონობით შეწუხტული ქართული საზოგადოებისათვის ბიზანტიის იმპერია მაშინ ალიქმებოდა, როგორც ქრისტიანობის ბურჯი და იმედი მუსლიმთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს ტენდენცია

ვუხტი ქართლში იმყოფებოდა, მას ირანიდან ეახლა მოციქული, რომელმაც ჩამოიტანა საშინელი ამბავი ჰეფთალების მიერ სპარსთა არმიის განადგურებისა და მეფეპეროზის მოკვლის შესახებ. შეშფოთებულმა ჰაზარავუხტმა ირანის დედაქალაქს, ქტეზიფონს, მიაშურა, სადაც გამეფდა პეროზის ძმა ვალარში. ჰაზარავუხტის რჩევით, მან შეცვალა პეროზის ძალისმიერი პოლიტიკა ამიერკავკასიაში მმართველობის ახალი, უფრო ლმობიერი ხაზით. კერძოდ, გაიზარდა სომხეთის თვითმმართველობის დონე, ანტიირანული აჯანყების მონაწილე სომეხი ნახარარები ახალმა შაჰმა შეიწყალა და დაასაჩუქრა, ვაჰან მამიკონიანი კი სომხეთის მარზბანად დანიშნა. მაგრამ ამასთან სომხეთი კვლავ რჩებოდა სასანიანთა უზენაესობის ქვეშ და მისი ლაშქარი ვალდებული იყო მონაწილეობა მიეღო სპარსეთის ომებში. ზავის დადებისთანავე სომეხთა რაზმი ირანში იქნა გაწვეული, სადაც მონაწილეობა მიიღო ახალი შაჰის მოწინააღმდეგებთან ბრძოლაში.

დიდ დათმობებზე წავიდნენ ირანელები ალბანეთშიც. ვალარშმა აქ აღადგინა 463 წელს გაუქმებული სამეფო ხელისუფლება და ტახტი დაუბრუნა ძველი დინასტიის წარმომადგენელს, ვაჩაგან III-ს. ალბანეთში აიკრძალა მაზდეიზმის ძალით გავრცელება და დაიწყო ქრისტიანობის აღორძინება²⁹.

ზემოთქმულის საფუძველზე 6. ჯანაშია სამარ-

ნათლად სჩანს, მაგალითად, „ჰაბოს წამებაში“, სადაც ბიზანტიის იმპერატორი მოიხსენიება როგორც ქრისტეს მსახური და ქრისტენთა მეფე (იოვანე საბანისქე). ჰაბოს წამება // „ქართული მწერლობა“, ტ. I. თბ., 1987. გვ. 454, 457). მირიგად, ის აშკარა პრობიზანტიური განწყობილება, რომელიც ვახტანგ გორგასლის „ცხოვრებას“ ახასიათებს, ჩვენი აზრით, კიდევ უფრო აძაგრებს იმ მოსაზრებას, რომ თხზულება აანერილია VIII ს-ის მეორე ნახევარში.

28. Очерки истории СССР, кризис рабовладельческой системы и зарождение феодализма на территории СССР, III-IX вв. М., 1958. С. 206.

29. მოვსეს კალანკატუაცი. ალვანთა ქვეყნის ისტორია.

თლიანად ფიქრობს, რომ „482-484 წლების აჯანყებას სპარსელების წინააღმდეგ ისევე უნდა მოეტანა გარკვეული წარმატება ქართლისათვის, როგორც მან მოუტანა სომხეთსა და ალბანეთს“³⁰. მეცნიერის ეს ვარაუდი ეყრდნობა სომხური წყაროების მონაცემებს სომხეთისა და ალბანეთის შესახებ, ქართული მატიანის ცნობათა გაუთვალისწინებლად. „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ კი გვიჩვენებს, რომ მეფის პირველი ომი სპარსელებთან ანალოგიური შინაარსის ზავით დამთავრდა. სპარსთა „მეფე“ უჩვეულო კეთილგანწყობით იღებს აჯანყებულ და ბრძოლაში დამარცხებულ ვასალს, ასაჩუქრებს მას და მეტყვიდრეობით უმტკიცებს სამფლობელოებს. მაგრამ სასანიანთა უზენაესობა ქართლზე ძალაში რჩება და საზავო ხელშეკრულების გაფორმებისთანავე ვახტანგს თავისი მხედრობით ირანის მტრებთან უწევს საომრად წასვლა. ჯუანშერის ცნობით, სპარსეთის მეფე ვახტანგს უუბნება ამ მტრების შესახებ: „უძრესი ბოროტი და დამდაბლება მეფობისა ჩემისა მათ ყვეს“³¹. ჩვენი აზრით, აქ იგულისხმებიან ჰეფთალები და ის მძიმე დამარცხება, რაც მათ მიაყენეს სასანიანებს. როგორც ვხედავთ, ჯუანშერისა და ლაზარ ფარპეცის ცნობები ერთმანეთს ემთხვევა იმაშიც, რომ სპარსელებმა აჯანყებულებს საპატიო ზავი შესთავაზეს და ზავის დადებისთანავე სამხედრო დახმარება სთხოვეს მმართველი შაჰის მტრების წინააღმდეგ. ვახტანგ გორგასლის სპარსეთში საომრად წასვლა ისტორიული ფაქტი უნდა იყოს, იგი „მოქცევა ქართლისაას“ მატიანებიც არის დადასტურებული³², მაგრამ გადაჭარბებული უნდა იყოს ის გამარჯვებები, რომლებიც, ჯუანშერის თქმით, სპარსელებმა და ქართველებმა მოიპოვეს აღმოსავლეთის ქვეყნებში. არსებობს ოფიციალური სასანური ტრადიციიდან მომდინარე გადმოცემა,

ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. დავლიანიძე-ტატიშვილმა. თბ., 1985. გვ. 40-41.

30. ლ.-ნ. ჯანაშია. გვ. 160.

31. ქართლის ცხოვრება, გვ. 184.

32. მოქცევა ქართლისა // შატბერდის კრებული X

თითქოს პეროზის დაღუპვის შემდეგ ირანელებმა მალევე იძიეს შური ჰეფთალებზე და წაართვეს მათ დაპყრობილი ტერიტორიები. როგორც ფიქ-რობენ, ეს არის ფალსიფიკაცია, შექმნილი ირანის პრესტიჟის ასამაღლებლად³³. ეს თუ ასეა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ ვერსიამ ქართულ მატიანეშიც შეაღწია და გამოხატულება ჰპოვა ვახტანგ გორგასლის დამსახურებათა აღწერაში სპარსელთა აღმოსავლურ ომებში.

საუკუნისა. გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა. თბ., 1979. გვ. 325.

33. И. М. Дьяконов. Очерк истории древнего Ирана. М., 1961. С. 278.

ფეოდალური საქართველოს ლაშეარი¹

42

The Army of Feudal Georgia

Feudalism took over in Georgia in the second half of the 1st millennium BC. Further development of the feudal relationship measurably changed the military structure of the country. In the lowlands, the feudal lords completely monopolized warfare. Folk militia, as the core of the armed forces, survived only in the highlands, where feudal relationship was not developed and free peasants made up the central social layer.

The military organization of the country further developed in the late 10th-early 11th century, after

ფეოდალურმა წყობილებამ საქართველოში ახ. ნ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში გაიმარჯვა. ფეოდალური ურთიერთობების შემდგომმა გაღრმავებამ მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა ქვეყნის სამხედრო ორგანიზაციაში. ბარშისამხედრო საქმე მთლიანად ფეოდალების (აზნაურების) მიერ იქნა მონოპოლიზებული. სამხედრო სამსახური საქართველოში, ისევე როგორც დასავლეთ ევროპაში, კასტური გახდა. მაგალითად, „ვეფხისტყაოსანი“ მკვეთრად განასხვავებს მშრომელი გლეხობისა და მხედარ-მოლაშქრეთა საზოგადოებრივ ფუნქციებს: „რაცა ვის რა ბედმა მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს, მუშა მიწყივ მუშაკობდეს, მეომარი გულოვნობდეს“. სახალხო მილიცია, როგორც შეიარაღებული ორგანიზაციის ძირითადი ფორმა, მხოლოდ მთიან რაიონებში შემოინახა, სადაც ფეოდალურ ურთიერთობებს ღრმა ფესვები არ გაუდგიათ და მოსახლეობის მთავარი სოციალური ფენა – თავისუფალი გლეხობა იყო.

საქართველოში აზნაურთა ცხენოსანი მილიცია, ისევე როგორც რაინდული შეიარაღებული ორგანიზაცია დასავლეთ ევროპაში, ფეოდალურ იერარქიაზე იყო დაფუძნებული. მსხვილი ფეოდალები (დიდებულები, დიდი აზნაურები) უშუალოდ მეფის ყმები (ვასალები) იყვნენ და საჭიროების შემთხვევაში მეფის დროშის ქვეშ საკუთარი ვასალების ლაშქარი გამოჰყავდათ. ყმა-აზნაურები ეკლესიასაც ჰყავდა.

საქართველოს გაერთიანების შემდეგ (X ს-ის ბოლო და XI ს-ის დასაწყისი) ქვეყნის სამხედრო ორგანიზაციამ შემდგომი განვითარება პპოვა.

1. პირველად დაიბჭდა როგორც ერთი თავი ავტორის ნაშრომში: „სამხედრო ისტორია“. ლექციების კურსი. სომა პრეს. თბ., 2002. გვ. 46-54.

თუ წინა პერიოდში შეიარაღებული ძალების უმაღლესი საორგანიზაციო ერთეული იყო საერისთავოს ლაშქარი, სახელმწიფოს ტერიტორიის ზრდასთან ერთად სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეულების რაოდენობის ზრდამ გამოიწვია ახალი, უფრო მსხვილი გაერთიანების საჭიროება, რომელიც რამოდენიმე საერისთავოს ძალებისაგან იქნებოდა შედგენილი. როგორც ჩანს, უკვე XI ს-ის პირველ ნახევარში საქართველოს სამეფოს სამი მთავარი რეგიონის ბაზაზე (აფხაზეთი, ანუ დასავლეთ საქართველო, სამხრეთ საქართველო და ქართლი), ჩამოყალიბდა სამი დიდი საორგანიზაციო ერთეული: 1) აფხაზეთის ლაშქარი, ანუ შიდა სპა; 2) ზემო ლაშქარი; 3) ქართლის ლაშქარი. ბრძოლაში ამ ერთეულებს, გარკვეულილად, ტაქტიკური დამოუკიდებლობა გააჩნდათ. შემდგომში ამ გაერთიანებათა რაოდენობამ ითხს მიაღწია და მათ ბაზაზე შეიქმნა სამხედრო ოლქების – სადროშოების – სისტემა.

ამრიგად, ქართული ფეოდალური შეიარაღებული ორგანიზაციის მთავარი შემადგენელი ნაწილი აზნაურთა ცხენოსანი მილიცია იყო. გარდა ამისა, მეფებსადამთავრებს ჰყავდათ მცირერიცხოვანი მუდმივი რაზმები (ტაძრეულები). მთელთა ქვეით ლაშქარი, თავისი მნიშვნელობით ჩამოუვარდებოდა აზნაურულ მხედრობას, განსაკუთრებით, განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში.

დავით აღმაშენებელმა (1089-1125), რომლის მეფობით იწყება ფეოდალური საქართველოს „ოქროს ხანა“, გაზარდა შეიარაღებული ძალების რაოდენობა. მან ჩამოყალიბა მუდმივი ჯარის ახალი რაზმი – მონასპა, რომელიც 5000 მეომარს ითვლიდა და გაქრისტიანებული უცხოელებისაგან შედგებოდა. გარდა ამისა, მეფემ, სამხედრო სამსახურის პირობით აღმოსავლეთ ევროპის ველებიდან საქართველოში გადმოასახლა ყივჩაყთა დიდი ურდო (40 000 მეომარი მათი ოჯახებით).

როგორც სპეციალურ, ისე სასწავლო და პოპუ-

the unification of Georgia. If previously the highest structural unit of the armed forces was an army of a military and administrative district called "saeristavo", the increase in their number, along with the territorial expansion of the country, brought about the necessity to establish a new larger unit comprising several saeristavo forces. At the outset of the 12th century, there were four such units, which led to a new system of military districts called "sadrosho".

So, the core of the Georgian feudal armed organization was represented by the noble militia cavalry. Besides, the kings and princes

(army commanders) had small permanent armies. In terms of military organization, the highlander infantry was inferior to the noble cavalry, especially in the period of developed feudalism.


Feudal Georgia reached the peak of prosperity under the reign of King Tamar (1184-1213). The armed forces of the country were made up by regular units, militia and supporting troops. The largest of the army units was the feudal militia. Supporting forces were the troops of vassal domains and hired army men, chiefly from the North Caucasus). On the whole, in the first quarter of

ლარულ ლიტერატურაში ხშირად ვკითხულობთ, თითქოს დავით აღმაშენებელმა ყივჩაყთაგან 40-ათასიანი მუდმივი ჯარი ჩამოაყალიბაო. ზოგი მეცნიერი კი დავითის მუდმივ ჯარს 60-65 ათასად ანგარიშობს. ეს წყაროების არასწორი გაგებით გამონვეული შეცდომაა. იმ დროს საქართველოს ეკონომიკურად არ შეეძლო ასეთი მრავალ-რიცხოვანი მუდმივი ჯარის შენახვა. ყივჩაყთა სამსახური მილიციური ხასიათისა იყო. აღმოსავლეთ საქართველოს სასაზღვრო რაიონებში განსახლებული მათი ტომობრივი ჯაგუფები ტრადიციულ მესაქონლეობას მისდევდნენ, საზღვრებს იცავდნენ და საჭიროების შემთხვევაში მსუბუქი ცხენოსანი რაზმები გამოჰყავდათ. მაქსიმალური ძალა, რომელიც მათ შეეძლოთ გამოეყვანათ ერთ ლამქრობაში, ალპათ არ აღმატებოდა 15-20 ათას ხმალს, რაც, ცხადია, ცოტა არ იყო. მთლიანად კი დავით აღმაშენებელს თავისი მეფობის ბოლო წლებში ველზე 60 ათასამდე მეომრის გამოეყვანა შეძლო.


ფეოდალურმა საქართველომ ძლიერების მწვერვალს მიაღწია თამარ მეფის (1184-1213) მართველობის ხანაში. მისი შეიარაღებული ძალები შედგებოდნენ მუდმივი კონტინგენტების, მილიციისა და დამხმარე რაზმებისაგან. ლაშქრის ყველაზე მასობრივი სახეობა ფეოდალური მილიცია იყო, დაკომპლექტებული ტერიტორიულ-ტომობრივი პრინციპით – მესხები, ტაოელები, აფხაზები, კახები, ქართლელები და ა.შ. დამხმარე ძალებს შეადგენდნენ ვასალური სამფლობელოებიდან გამოყანილი რაზმები და, აგრეთვე, მოკავშირეთა და მოქირავნეთა კონტინგენტები. ეს უკანასკნელნი ძირითადად ჩრდილო კავკასიიდან მოდიოდნენ (ყივჩაყები, ოსები, ლეკები, ადილები, ჩეჩენურ-ინგუშური ტომები). მთლიანობაში XIII ს-ის პირველ მეოთხედში საქართველოს შეეძლო ველზე გამოეყვანა 60-90 ათასი მეომარი. ამ ძალების დიდ ნაწილს კარგად შეიარაღებული და გაწვრთნილი ცხენოსანი ჯარი შეადგენდა.

ქართული ლაშქარი ბრძოლაში დროშების მიხედ-

© Հ. ամբողջապես 2002, 2010



Ա Պատմական հայություն - Խ Խաչքարագույն պատմական հայություն - Կ Կոմիտասի պատմական հայություն - Ե Եղիշեացի պատմական հայություն; Բ Բագրատուն պատմական հայություն - Շ Շահապատմական պատմական հայություն; Դ Դավիթացի պատմական հայություն - Վ Վահագանացի պատմական հայություն; Հ Հայություն - Տ Տիգրանացի պատմական հայություն; Ա Առաջնական պատմական հայություն - Խ Խաչքարագույն պատմական հայություն - Կ Կոմիտասի պատմական հայություն - Ե Եղիշեացի պատմական հայություն; Բ Բագրատուն պատմական հայություն - Շ Շահապատմական պատմական հայություն; Դ Դավիթացի պատմական հայություն - Վ Վահագանացի պատմական հայություն; Հ Հայություն - Տ Տիգրանացի պատմական հայություն



ბასიანის ბრძოლა. 1202 წ.

ვით ეწყობოდა. დროშა – სამხედრო ოლქიდან (სა-დროშოდან) გამოსულ ფეოდალური მილიციას და მასთან მიმაგრებულ რაზმებს აერთიანებდა. სულ საქართველოში ოთხი სადროშო იყო: 1.მეწინავე სადროშო (სამხრეთ საქართველოს საერისთავოები); 2.მემარჯვენე სადროშო (დასავლეთ საქართველოს საერისთავოები); 3.მემარცხენე სადროშო (კახეთ-ჰერეთი) და 4.მეფის სადროშო (ქართლი).

ბრძოლის ველზე დროშები, შესაბამისად, საპრძოლო წყობის ტაქტიკურ ელემენტებს წარმოადგენდა: ავანგარდს (მეწინავე დროშა), მარჯვენა ფრთას (მემარჯვენე დროშა), მარცხენა ფრთას (მემარცხენე დროშა) და არიერგარდს (მეფის დროშა). ზოგჯერ საპრძოლო წყობა სამ ნაწილად იყოფოდა, ან კიდევ სხვაგვარად. იმ დროისათვის საპრძოლო წყობის დანაწევრება ფრონტსა და სილრმეში ქართული სამხედრო ხელოვნების განვითარების მაღალ დონეზე მიუთითებს.

კერძოდ, სამნანილიანი საპრძოლო წყობა ქართველებმა თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ 1202 წ. ბასიანის ბრძოლაში გამოიყენეს. ქართული ჯარის მთავარსარდალმა დავით სოსლანმა მემარცხენე და მეფის დროშების გაერთიანებით შექმნა ძლიერი მარცხენა ფრთა. დაახლოებითი გაანგარიშებით მას აქ მთელი ძალების 50% ჰყავდა, მთლიანად კი ორივე ფრთაზე – ძალთა 75%. ქართულმა ავანგარდმა (მეწინავე დროშამ), რომელსაც ძმები შალვა და ივანე ახალციხელები მეთაურობდნენ, მონინააღმდეგის მთავარი დარტყმა მიიღო, მაგრამ გაუძლო მას. ამასობაში კი დავით სოსლანმა ძლიერი ფლანგებით (მარცხენა ფრთას თვითონ დავითი მეთაურობდა, მარჯვენას – ზაქარია მხარგრძელი) ორმაგი გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა მტერს და ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა.

საქართველოს პოლიტიკური დაშლის შემდეგ (XV ს.) მოიშალა ქვეყნის ერთიანი სამხედრო ორგანიზაციაც. მაგრამ სადროშოთა სისტემა არ

the 13th century, Georgia could gather a 60000-90000-strong army, the core of which was a well equipped and thoroughly trained cavalry.

After the political disintegration of Georgia in the 15th century, the single military organization of the country broke down as well. However, the sadrosho system carried on. It was preserved in the Kingdoms of Kartli, Kakheti and Imereti, which sprang up on the remnants of the monarchy. Each was divided into four military districts as in the period of united Georgia.

In the 16th-17th centuries Georgia was

exposed to the permanent military aggression of Iran and the Ottoman Empire. External wars were accompanied by endless internal strife. For example, only in the 16th century the Kingdom of Kartli underwent 14 wars with the Iranians, 11 wars with the Ottomans and 13 with the neighboring Georgian political units. The social resources traditionally liable to military service failed to meet the increasing warfare needs and therefore, from the 17th century serfs, who had not had a military liability previously, were also recruited.

In the 18th century the Georgian Army predominantly

gaმქრალა. იგი შემოინახა ერთიანი მონარქიის ნარგრევებზე აღმოცენებულ ქართლის, კახეთი-სა და იმერეთის სამეფოებში. ყოველი მათგანი ოთხ სადროშოდ იქნა დაყოფილი, როგორც გაერთიანებული საქართველო.

XIV-XV სს-ში, როდესაც დასავლეთ ევროპაში ინტენსიურად ვითარდება სამხედრო საქამე, საქართველოში უკვე მისი სტაგნაცია შეიმჩნევა. ცეცხლსასროლი იარაღის გავრცელებას საქართველოში აფერხებდა საკუთარი წარმოების დაცემა და დასავლეთ ევროპასთან დამაკავშირებელ გზებზე თურქ-ოსმალების გაბატონება, რომლებიც გასაგები მიზეზების გამო აბრკოლებდნენ კავკასიაში იარაღის შემოტანას. საქართველოს ტერიტორიაზე ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების პირველი შემთხვევა წყაროებით 1488 წელსაა და-დასტურებული, როდესაც შემოსეულმა მტერმა ზარბაზნის ცეცხლით დააზიანა და აიღო კოჯრის ციხე, მაგრამ ქართული ლაშქარი XVI ს-ის დასასრულამდე ძირითადად ისევ ცივი იარაღით იყო აღჭურვილი. მაგალითად, 1589 წელს კახეთის ჯარების აღლუმზე 13 ათასი მეომრიდან მხოლოდ 500 კაცს ჰქონდა პატრუქიანი თოფი. ცეცხლსასროლი იარაღი ჩვენში შედარებით ფართოდ ვრცელდება მხოლოდ XVII ს-დან.

XVI-XVIII სს-ში საქართველო ირანისა და ოსმალეთის (თურქეთის) პერმანენტული აგრესიის ობიექტი იყო. გარეშე მტრებთან ომებს თან ერთვოდა დაუსრულებელი შინაომები. მაგალითად, გამოთვლილია, რომ XVI ს-ში მარტო ქართლის სამეფომ გადაიტანა 14 ომი ირანებთან, 11 – ოსმალებთან, 13 – მეზობელ ქართულ პოლიტიკურ წარმონაქმნებთან. მოსახლეობის ტრადიციულად სამხედროვალდებული სოციალური ფენების რესურსები ვეღარ აკმაყოფილებდნენ გაზრდილ მოთხოვნილებებს და, ამიტომ, XVII ს-დან ლაშქარში ადრე არასამხედროვალდებული ყმა-გლეხების განვევაც დაიწყეს.

XVIII ს-ში ქართული ჯარი უმთავრესად კვლავ მილიციური ხასიათისა რჩებოდა. მასში წარმოდგენილი იყო ქართველი ხალხის ძირითადი სოციალური ფენები – თავადები, აზნაურები, გლეხები, თავისუფალი მთიელები. ქართლ-კახეთის სამეფოს სამხედრო ორგანიზაციაში გარკვეულ როლს ასრულებდნენ აგრეთვე XVI-XVII სს-ში ირანის შაჰების მიერ აღმოსავლეთ საქართველოში ჩამოსახლებული ნახევრად მომთაბარე თათრული ტომები (ელები), რომლებიც შემდეგ ქართველი მეფების სამსახურში ჩადგნენ. რეგულარულად ტარდებოდა მოსახლეობის აღნერები, რომლებიც აზუსტებდნენ სამხედროვალდებულთა რაოდენობას. მაგალითად, 1770 წ. აღნერით ქართლსა და კახეთში თავად-აზნაურთა გარდა სულ 23 000 სამხედროვალდებული ირიცხებოდა, აქედან 5000 თათარი.

ქალაქების მოსახლეობა ფეოდალურ საქართველოში სალაშქრო სამსახურისაგან თავისუფალი იყო. სამაგიეროდ მოქალაქეები ჯარის შესანახად სპეციალურ გადასახადს იხდიდნენ.

მილიციაში მეომრები საკუთარი ცხენ-იარაღით გამოდიოდნენ. კარგად შეიარაღებულ ქართველ მეომარს XVIII ს-ის მეორე ნახევარში ჰქონდა კაუიანი ოოფი, ერთი-ორი დამბაჩა, ხმალი და ხანჯალი, თუმცა უღარიბესი გლეხები ჯარში ზოგჯერ ცარიელი კომბატისა და ხანჯლის ამარა გადიოდნენ. შები და მშვილდ-ისარი შეიარაღებიდან XVIII ს-ის პირველ ნახევარში გამოვიდა.

მიუხედავად ლაშქრის მილიციური ხასიათისა, ქართველ მეომართა მომზადების დონე ფეოდალურ ხანაში ყოველთვის მაღალი იყო. ამის მიზეზი იყო როგორც მუდმივი საომარი მდგომარეობა, ასევე ჯარების ინტენსიური წვრთნა, რასაც დიდი ყურადღება ექცეოდა. კერძოდ, სადროშოებში რეგულარულად ტარდებოდა მეცადინეობები, რომლებში მონაწილეობა ყველა სამხედროვალდებულს მოეთხოვებოდა. არასაპატიო მიზეზით მეცადი-

remained militia-type. It was made up from the basic social strata of the Georgian people – princes, the gentry, peasants and free highlanders. The half-nomadic Turkic tribes, whom the Iranian Shah settled into East Georgia in the 16th-17th centuries and who later entered into the Georgian kings' service, also played a role in the military organization of Kartli-Kakheti Kingdom. Regular censuses helped to specify the number of individuals liable to military service. For example, according to the 1770 census, apart from nobles, there were 23 000 people liable to military service, including 5 000 Tatars.

The townsfolk were free from military service in feudal Georgia. However, they had to pay a special tax to support the army.

Although being of militia-type, the Georgian army could boast a high level of military training throughout the whole period of feudalism. This was caused by a state of permanent warfare as well as by intensive army training, which always was among the priorities. In particular, every individual liable to a military service was to take part in regular trainings held in the sadroshos. A fine was imposed on those who did not show up unless the motivation for absence was

ნეობის გაცდენაზე ჯარიმა იყო დაწესებული. ნადირობა სამხედრო ვარჯიშის მნიშვნელოვანი სახეობა იყო. დიდი სამეფო ნადირობა ნამდვილ ლაშქრობას წააგავდა, რომელშიც მონაწილენი საკუთარი საბრძოლო ალმებით გამოდიოდნენ.

გარდა ამისა, მეომართა ინდივიდუალურ მომზადებას ხელს უწყობდა საქართველოში ოდითგანვე ფართოდ გავრცელებული სპორტის ტრადიციული სახეობები – დოლი, ჯირითი, ყაბახი, ჩოგანბურთი, ფარიკაობა, ჭიდაობა და სხვა.

შუა საუკუნეების საქართველოში ფეოდალური მილიციის გარდა, როგორც ცნობილია, ყოველთვის იყო შედარებით მცირერიცხოვანი მუდმივი კონტინგენტებიც, რომლებიც, ფაქტობრივად, მეფე-მთავართა მცველ რაზმებს წარმოადგენდნენ. XVIII ს-ის მეორე ნახევარში ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II (1744-1798) შეეცადა საყველთაო სამხედრო ბეგარის საფუძველზე შექმნა უფრო ფართო ამოცანების მქონე მუდმივი ჯარი, ე. წ. „მორიგე ლაშქარი“, რომელიც თავის მაქსიმალური აღმავლობის ხანაში (1770-იანი წწ.), ფაქტობრივად, ნახევრადრეგულარულ შენაერთს წარმოადგენდა და დაახლოებით 3 ათას მეომარს ითვლიდა.

მორიგე ჯარში მსახურობა ყველა წოდების სრულასაკოვან მამაკაცს ევალებოდა წელიწადში ერთი თვე. ისინი ანაზღაურებას არ იღებდნენ, მხოლოდ ზოგიერთი სახელმწიფო გადასახადისაგან თავისუფლდებოდნენ. მუდმივ ულუფასა და ჯამაგირზე მხოლოდ მორიგე ჯარის მეთაურთა შემადგენლობა იყო, ვინაიდან ისინი ჯარში მუდმივ საფუძველზე მსახურობდნენ.

მუდმივ სამსახურში ირიცხებოდნენ მეზარბაზნეებიც. ზარბაზნების ჩამომსხმელი ქარხანა თბილისში იყო. მოგვარებული იყო დენთის წარმოებაც. ქართული არტილერია, მართალია ხარისხით იმ დროინდელ ევროპულ არტილერიას ჩამოუვარ-

დებოდა, მაგრამ შიშის ზარს სცემდა ირან-აზერ-ბაიჯანის სახანოებს, სადაც ეს საქმე კარგად არ იყო მოგვარებული.

ერეკლე II-ის პერიოდი ქართული ფეოდალური სამხედრო ხელოვნების განვითარების უმაღლესი საფეხურია. მეფე ბრძოლაში ჯარებს „წესისა-ებრ“, ანუ ტრადიციული ოთხნანილიანი საბრძოლო წყობით აყენებდა. ბრძოლა თოფ-ზარბაზნების გახურებული სროლით იწყებოდა, შემდეგ კი მტერს ხმალდახმალ შეუტევდნენ. ფრონტსა და სილრმეში დანაწევრებული ქართული საბრძოლო წყობა მოქნილობით გამოირჩეოდა და ბრძოლის პირობებში რთული მანევრის განხორციელების საშუალებას იძლეოდა. ამ მხრივ დამახასიათებელია 1751 წ. ბრძოლა ერეკნის მახლობლად როდესაც თავრიზის მთლობელის აზატ ხანის რიცხობრივად ჭარბმა ძალებმა უკუაქციეს ქართველების მარცხენა ფრთა და ალყაში მოაქციეს მათი ძირითადი ნაწილი, ერეკლემ ექსტრემალურ პირობებში მოახერხა ძალთა გადაჯგუფება და ძლიერი კონტრდარტყმით მტრის დამარცხება.

როგორც ტაქტიკოსს, ერეკლე მეფეს ახასიათებდა ინიციატივის ხელში ჩაგდების მიზნით სწრაფი მარშების მოწყობა და მტრისთვის მოულოდნელი დარტყმების მიყენება. მისი მხედართმთავრული ოსტატობა გამოიკვეთა აგრეთვე ჯარების სახეობათა როლის სწორ შეფასებასა და ბრძოლის დროს მათი ურთიერთმოქმედების ორგანიზებაში. მეომრების საბრძოლო სულის ამაღლების მიზნით მეფე, როგორც წესი, პირადად მიუძღვდა ჯარს იერიშზე და მონაწილეობდა შეტაკებებში.

დასასრულს, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს შეიარაღებული ძალები ხარისხით სჯობდნენ მოწინააღმდეგებებს. ამიტომ უმძიმესი საერთო ვითარების მიუხედავად, როგორც წესი, წარმატებულ ბრძოლებს ანარმონებდნენ მათთან. ცალკეული დამარცხებები (მათ შორის ყველაზე მძიმე იყო 1795

justifiable. Among the important types of training was hunting. The great royal hunt resembled a real military campaign, whose participants bore their respective battle banners. Besides, the traditional sports – horse racing, galloping, mounted archery contest, rounders, fencing, wrestling and other sports - largely contributed to the personal training of soldiers.

As commonly known, apart from the militia, there always were in feudal Georgia small regular armies, which acted as guards of the king and nobles. In the second half of the 18th century Erekle II attempted to establish a regular

army with more comprehensive objectives, the so-called "morige" – army "on duty", supported by a national military tax. In the peak of prosperity, the army was a semi-regular military force with approximately 3 000 soldiers.

Service in the morige army was mandatory for male adults of all social classes, for a month's period every year. They did not receive remuneration but were exempt from certain state taxes. Only the command staff members were paid as they served in the army on a permanent basis.

First published in 2002 as a chapter in the author's book „Military History“.

წლის კრწანისის კატასტროფა) გამოწვეული იყო უმთავრესად ღალატითა და მტრის ჯარების სიჭარბით.

ერეკლეს გარდაცვალების შემდეგ მისმა მემკვიდრეებმა თავი ვერ გაართვეს შექმნილ რთულ ვითარებას და აღმოსავლეთ საქართველო, ფაქტობრივად, თოფის გასროლის გარეშე ხელთ იგდო რუსეთმა (1801 წ.). დასავლეთ საქართველოში რუსებს გარკვეული წინააღმდეგობა შეხვდათ, მაგრამ 1810 წლისათვის ეს მხარეც დაიმორჩილეს. საქართველოს რუსეთის იმპერიაში შესვლით გაუქმდა ქართული სამხედრო ორგანიზაცია, რომელიც უწყვეტად არსებობდა სულ ცოტა ადრეიბერიული ხანიდან (ძვ.წ. IV-III სს.). მართალია, ქართული მილიცია კიდევ იკრიბებოდა მთელი XIX ს-ის განმავლობაში და მონაწილეობდა რუსეთის კავკასიურ ომებში, მაგრამ, ფაქტობრივად, ეს უკვე რუსეთის შეიარაღებული ძალების ერთერთი ირეგულარული ეროვნული ნაწილი იყო. საქართველოს ტრადიციული სამხედრო ფენის წარმომადგენლებმა (თავად-აზნაურობამ) რუსეთის არმიაში გააგრძელეს სამსახური.

ეკლესია და სამხედრო საქმე ფეოდალურ საქართველოში (IV-XVIII სს.)¹

საქართველოში ეროვნული ფეოდალური სახელმწიფოებრიობის არსებობის მთელ მანძილზე ქრისტიანული ეკლესია და სამხედრო საქმე ერთმანეთთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული. ლაშქართან ურთიერთობაში ეკლესის მთავარი მიზანი იყო მეომართა მორალური სულის განმტკიცება და მათი ფსიქოლოგიური მომზადება მომავალი ბრძოლებისათვის. მისი როლი ამ ამოცანის გადაწყვეტაში მით უფრო მნიშვნელოვანი იყო, რომ ქართულ ლაშქარს IV საუკუნიდან XVIII საუკუნის ბოლომდე ბრძოლა უხდებოდა ძირითადად არაქრისტიან მონინაღმდევებთან – ცეცხლთაყვანისმცემელ სპარსელებთან, წარმართ ხაზარებთან და მონღლოლებთან და განსაკუთრებით სხვადასხვა მუსლიმანურ სახელმწიფოებთან, რომლებიც, როგორც წესი, არ კმაყოფილდებოდნენ საქართველოს მხოლოდ დახარკვა-დამორჩილებით და მის თავიანთ სარწმუნეობაზე მოქცევას ცდილობდნენ.

როდესაც ქართული მხედრობა მტრის წინააღმდეგ ილაშქრებდა, მას თან მიჰყვებოდნენ და გვერდში ედგნენ სასულიერო პირები, მათ შორის უმაღლესი სამღვდელოებაც. ასე, მაგალითად, ჯერ კიდევ ქართლის პირველი კათალიკოსი პეტრე და მასთან ერთად ყველა ეპისკოპოსი, ვახტანგ გორგასალს ახლდა სპარსელებთან გადამწყვეტ ბრძოლაში უჯარმასთან 502 წ. და მზად იყვნენ ქართველი მებრძოლების ხვედრი გაეზიარებინათ.

სამშობლოსა და სარწმუნეობისათვის მოწამეობრივი სიკვდილით დაღუპულ გმირებს ეკლესია წმინდანებად შერაცხავდა, რითიც პირდაპირ უკავშირებდა ერთმანეთს რელიგიისა და მამულისათ-

The Church and Warfare in Feudal Georgia (4th-18th centuries)

Throughout the whole span of the national feudal statehood of Georgia, the Christian church and warfare were closely associated. The main goal of the church with regard to the army was to strengthen the warriors' fighting spirit and prepare them psychologically for a battle.

When the Georgian army went to war, the warriors were accompanied by the clergy including superior priests. They not only supported the soldiers morally, but at a time would personally take part in a battle and even

1. პირველად დაიბეჭდა გაზეთში „ახალი თაობა“, (1994 წლის 19 აპრილი, 20).

supervised military operations.

The Georgian church had its own army as well, made up from the gentry and peasants subordinated to the church. In a war, the church army would join the king's army.

The role of the church with respect to warfare was not limited to ideological upbringing of warriors and participation in the military organization. The church also played a significant humanitarian role: monasteries sheltered disabled warriors left without care for the rest of their lives.

First published in 1994.

ვის თავდადებას. ასე შეემატნენ ქართველ წმინდანებს უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში დაღუპული დავითი და კონსტანტინე, გობრონი, ბიძინა, შალვა და ელიზბარი და სხვა.

სასულიერო პირები არა მარტო მორალურად ამხენევებდნენ ქართველ მეომრებს, არამედ ცალკეულ შემთხვევებში სამხედრო ოპერაციებსაც ხელმძღვანელობდნენ. მაგალითად, დავით აღმაშენებლის სახელოვანი თანამებრძოლის, მწიგნობართუხუცეს გიორგი ჭყონდიდელის (ჭყონდიდის მთავარებისკოპოსის) სარდლობით ქართველთა რაზმებმა თურქებისაგან გაანთავისუფლეს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ციხე-ქალაქები – სამშვილდე და რუსთავი.

თამარ მეფის დროს, როდესაც ფეოდალურმა საქართველომ თავისი ძლიერების მწვერვალს მიაღწია და ქვეყანა საიმედოდ იყო დაცული უცხოელთა შემოსევებისაგან, კვლავ დიდი ყურადება ექცეოდა მეომრების რელიგიური სულისკვეთებით აღზრდას, მათში რწმენის ჩანერგვას, რომ გამარჯვება ღვთის ნებაზეა დამოკიდებული. შემთხვევით არ იყო, რომ ბაიინში გალაშქრების წინ 1202 წ. თვითონ თამარმა გულმხურვალედ ილოცა შეკრებილი მხედრების თვალწინ (მემატიანის ცნობით, მან მეომრებს ცხენებზე შესხდომა უბრძანა, თვითონ კი მაღლობზე ავიდა, სადაც ყველას დასანახავად დაეცა მუხლებზე და დიდხანს ტიროდა ღვთის წინაშე), შემდეგ დედოფალმა წარჩინებულებსა და ერისთავებს უბრძანა თაყვანი ეცათ და მთხვეოდნენ წმინდა ჯვარს. სამხედრო კამპანიის დასრულებამდე, თამარ მეფე, სამღვდელოებით გარშემორტყმული, ლოცვასა და ლიტანიობაში ატარებდა დროს. მთელ საქართველოში, ყველა საყდარსა და მონასტერში, სრულდებოდა ღამისთევები და ღმერთის ვედრება ლაშქრობის წარმატებით დასრულებაზე.

იმის საჩვენებლად, თუ როგორ მფარველობდა ზეცა ღვთისმოყვარე მხედრობას, XIV საუკუ-

ნის ქართველ ისტორიკოსს, უამთააღმწერელს, მოთხრობილი აქვს ერთი მეტად საინტერესო ამბავი, რომელიც საქართველოში მონღოლთა ბატონობის ხანას განეკუთვნება. მონღოლებმა არა მარტო მძიმედ დახარკეს ქვეყანა, არამედ ქართველებს დააკისრეს თავიანთ დაუსრულებელ ომებში მონაწილეობა, რასაც ათასობით ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდის სიცოცხლე ენირებოდა. განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა ციხესიმაგრე ალამუთის ალყა, ჩრდილოეთ ირანში. ალამუთის ციხე მუსლიმანური სექტის – ისმაილიტების – მთავარი საყრდენი პუნქტი იყო. ისმაილიტთა თავკაცები პოლიტიკური მიზნების მისაღწევად ფართოდ მიმართავდნენ ტერორის გზას.

თავისი სექტის წევრების – მულიდების – ფანატიკურ ერთგულებას ისინი იმით აღნიედნენ, რომ ათრობდნენ მათ ინდური ხაშხაშით შემზადებული ნარკოტიკული ნივთიერებით. აქედან მოდის ისმაილიტთა სხვა სახელწოდება – ხაშხინ. (ე.ი. ხაშხაშის მიმღები), საიდანაც, სხვათა შორის წარმოდგება ფრანგული სიტყვა – ასასინ (მკვლელი). მულიდთა მონამღლული ხანჯლების მსხვერპლი გამხდარა არაერთი მათი აქტიური მოწინაარმდეგე; მათ შორის, ბალდადის ხალიფები, სელჩუკთა სულთანი, ვეზირები, ამირები, ჯვაროსანი რაინდები და სხვ. როდესაც მონღოლები ირანს იპყრობდნენ (XIII საუკუნის შუა ხანები), ისმაილიტთა ციხესიმაგრეებსაც მიადგნენ. ისმაილიტები სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ მტერს. უამთააღმწერლის ცნობით, ალამუთის ალყა შვიდ წელიწადს გაგრძელდა და მთელი ამ დროის განმავლობაში მონღოლთა მხარდამხარეართული ლაშქარიც იბრძოდა.

ერთხელ ისმაილიტებმა მონღოლთა სარდალს, ჩაღატა ნოინს, მკვლელი მიუგზავნეს. იგი ღამით შეუმჩნევლად შეიბარა ჩაღატას კარავში, მძინარე ნოინს გულში დანა ჩასცა და შეუმჩნევლადვე გაუჩინარდა. როდესაც დილით მონღოლებმა

ჩაღატა მკვდარი იპოვნეს, ასტეხეს ერთი გოდება და ტირილი. არვინ უწყოდა, ვინ მოუსწრაფა სიცოცხლე დიდ ნოინს. გამოითქვა ეჭვი, რომ ეს ქართველების ნახელავი იქნებოდა: „ქართველები ისეთ ჭირში გვყავს ჩაყრილი, რომ უთუოდ ისინი მოკლავდნენ ჩაღატასო“, – დაასკვნეს მონღოლებმა და გამძვინვარებულები დაიძრნენ ქართველთა ბანაკისაკენ, რომელიც იქვე შორიახლო იყო გაშლილი.

56

როდესაც ქართველმა მეომრებმა გაიგეს, რომ მათ წინააღმდეგ მონღოლთა ლაშქარი მოემართებოდა, ძალიან შეშფოთდნენ. არ იცოდნენ, რა ექნათ. ზოგიერთი ბრძოლას ამჯობინებდა, ზოგიც კი რაოდენობრივი სიმცირის გამო ბრძოლას უაზროდ თვლიდა. მაშინ ქართლის ერისთავმა გრიგოლ სურამელმა განაცხადა: რომ შევებრძოლოთ, ყველას ერთიანად ამოგვხოცავენ, ხოლო თუ იარაღს არ აღვმართავთ, იქნებ მხოლოდ ნარჩინებულები დაგვსაჯონო. ამიტომ დავრჩეთ წყნარად და მივენდოთ იესო ქრისტეს და ყოვლად წმინდა ღვთისმშობელს, ისინი თუ იქნებიან ჩვენი მხსნელებიო. სურამელმა მოუწოდა მეომრებს მუხლი მოეყარათ და ღვთისმშობლისათვის მოწყალება ეთხოვათ.

ლოცვა რომ აღასრულეს, მონღოლებიც გამოჩნენ. მაგრამ ამ დროს, უცრად, ლერწმიანიდან ვიღაც კაცი გადმოხტა, აღმართა სისხლიანი ლახვარი და შესძახა: „მან ქუშტემ ჩაღატა“ – მე მოვკალ ჩაღატაო. მონღოლებმა ეს კაცი შეიძყრეს და მეთაურებს მიჰვარეს. დაკითხვაზე უცნობმა განაცხადა, მე ვარ მულიდი, ჩემმა უფროსმა თქვენი სარდლის მოკვლა მიბრძანა და მეც მოვკალიო. გაოცებული მონღოლების კითხვაზე – „შენ სამშვიდობოს იყავი გასული და რა გრჯიდა, სამალავიდან რომ გამოხვედი და ხმამაღლა იკივლე: „მე მოვკალ ნოინიო?“ მულიდმა უპასუხა: მე ლერწმიანში ვიყავი დამალული, როდესაც გამომეცხადა სიტურფეაღმატებული ქალი და მითხრა: „ეს რა ჰქმენ, კაცო, შენ კაცი მოჰკალი და ამისთვის მრა-

ვალი უდანაშაულო ადამიანი უნდა დაიხოცოს?“ მე ვკითხე: „რა ვქნა დედოფალო?“ მან მიპასუხა: „გადი და თქვი, რომ ის კაცი შენი მოკლულია და იხსენ ურიცხვი სული სიკვდილისაგან“. მე დავ-ემორჩილე მის სიტყვებს და ჰა, თქვენ წინაშე ვდ-გევარო. მონღოლებმა მულიდი ხმლით ორად გაჰ-კვეთეს, ქართველებს კი თავი დაანებეს. ასე იხსნა თავისი ერი ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმაო, წერს ისტორიკოსი.

57

საქართველოს მდგომარეობა მას შემდეგ გან-საკუთრებით დამძიმდა, რაც იგი დაიშალა ცალკეულ სამეფო-სამთვროებად და მის გვერ-დით ჩამოყალიბდნენ ძლიერი და აგრესიული მუსლიმანური სახელმწიფოები – ოსმალური თურქეთი და ყიზილბაშური ირანი (XV-XVI სს.). ასეთ ვითარებაში, – წერს ისტორიკოსი ვახუშტი ბაგრატიონი, – მლვდელმთავრებმა ერს უთხრეს, ნუ შეუშინდებით მტერს და ნუ უდალატებთ სარწმუნოებას და ჩვენ ვიქნებით თქვენი წი-ნამბრძოლებიო. მართლაც, ამ მძიმე პერიოდში სამლვდელოებას არა ერთი და ორი გმირული მაგალითი უჩვენებია ხალხისათვის. რად ღირს თუნდაც თევდორე ხუცესის თავდადება. 1609 წ. თევდორე ქართლში მოულოდნელად შემოჭრილ-მა ოსმალებმა შეიპყრეს და მეფე ლუარსაბ II-ის ის სადგომზე მათი მიყვანა უბრძანეს. ხუცესმა იფიქრა, ჩემი დარჩენილი სიცოცხლისათვის ეს როგორ გავაკეთო, მეფე მოვაკვლევინო და ქარ-თლი ავაოხრებინო. მერე მე რაღა მეშველება ან ჩემს სულსო? მან თურქები სხვა გზით წაიყვანა, რითიც ქართველებს ჯარის შეკრებისა და მტრის განადგურების საშუალება მისცა. გამხეცებულმა ოსმალებმა თევდორეს თავი გააგდებინეს, მად-ლიერმა ხალხმა კი შეიყვარა მისთვის თავდადე-ბული ხუცესი. ქართულმა ეკლესიამ თევდორე წმინდანად შერაცხა.

საინტერესო ფაქტს ჰქონდა ადგილი 1625 წ. მარაბდის ბრძოლის წინა ღამეს, როდესაც მთელი ქართლ-კახეთის ყოფნა-არყოფნის საკითხი იდგა.

ქართულ მხედრობას, წესისამებრ, ომის წინ ზიარება უნდა მიეღო. მეომრებმა ამ რიტუალის შესრულება სთხოვეს ეპისკოპოსს დომენტი ავალიშვილს, რომელიც განსაკუთრებულია ვტორიტეტით სარგებლობდა, მაგრამ დაამატეს: თუ ხვალ მახვილის ალებას და ბრძოლას აპირებ (ე.ი. თუ სისხლში გაისვრი ხელს), მაშინ ჯობია, სხვამ გვაზიაროს. მაგრამ ქართულ ბანაკში არ აღმოჩნდა არც ერთი ეპისკოპოსი თუ უბრალო მღვდელი (ისე კი ისინი ბლომად იყვნენ იქ), რომელსაც გადაწყვეტილი არ ჰქონდა პირადად მიეღო მონაწილეობა ბრძოლაში. მაშინ დომენტი ავალიშვილმა მიმართა ქართველებს: მე მახვილს ვიღებ არა ჩემი პირადი ინტერესებისათვის, არამედ სარნმუნობისა და ქრისტეს მცნების დასაცავად. ამიტომ უფლება მაქვს ვაზიარო მხედრობა, რომელთან ერთად მეც მზადა ვარ დავანთხიო საკუთარი სისხლიო.

ასე ფიქრობდა იმ დღეს სამღვდელოება და მართლაც, სისხლით მორწყულ მარაბდის ველზე, სხვა ქართველ გმირებთან ერთად, ბევრი სასულიერო პირიც დაეცა. მათ შორის ორი ეპისკოპოსიც იყო.

ამ პერიოდში მღვდელმთვრები განსაკუთრებულ როლს ასრულებდნენ კახეთის სამეფოს სამხედრო ორგანიზაციაში. XV საუკუნის ბოლოს და XVI საუკუნის დამდეგისათვის ეს პოლიტიკური ერთეული, ისევე როგორც ქართლისა და იმერეთის სამეფოები, დაიყო სამხედრო ოლქებად, ანუ სადროშოებად. მაგრამ ქართლისა და იმერეთისაგან განსხვავებით, სადაც სადროშოების სათავეში ძლიერი თავადური გვარების წარმომადგენლები იყვნენ დაყენებული, სარდლების გადაცემის მემკვიდრეობის უფლებით, კახეთის მეფეებმა სადროშოთა სარდლობა ეპისკოპოსებს ჩააბარეს. ამ ღონისძიების მიზანი იყო ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერება. მართლაც, ვინაიდან ეპისკოპოსობა მემკვიდრეობით არ გადაეცემოდა, ვერც სარდლობა გადავიდოდა მემკვიდრეობით. ასეთი რეფორმების წყალობით, კახეთის სამეფო

შედარებით ცენტრალიზებულ სახელმწიფოდ ჩა-
მოყალიბდა, განსხვავებით ქართლისა და იმერე-
თისაგან, სადაც სამეფო კარს ხშირად უპირისპ-
ირდებოდნენ ძლიერი სამხედრო ხელისუფლებით
აღჭურვილი ფეოდალური გვარები.

ქართულ ეკლესიას საკუთარი ლაშქარიც ჰყავ-
და, რომელიც ეკლესიის ყმა აზნაურებისა და
გლეხებისაგან შედგებოდა. ფეოდალურ საქართ-
ველოში ორი საკათალიკოსო არსებობდა: აფხაზე-
თის (დასავლეთ საქართველოსი) და მცხეთის (აღ-
მოსავლეთ საქართველოსი). მათი შეიარაღებული
ორგანიზაციებიც ერთმანეთსაგან განცალკავე-
ბული იყო. შემორჩენილია რამდენიმე ისტორიუ-
ლი დოკუმენტი, რომელიც საშუალებას იძლევა
ვიმსჯელოთ ამ საკათალიკოსოების სამხედრო
შესაძლებლობაზე XVII-XVIII საუკუნეებში. ასე,
მაგალითად, 1621 წლის ერთი საბუთიდან ირკვე-
ვა, რომ იმ დროს აფხაზეთის კათალიკოსს 513 მო-
ლაშქრე ჰყავდა – აზნაურები და გლეხები.

მცხეთის კათალიკოსს უფრო დიდი რაზმის გამო-
ყვანა შეეძლო. XVIII საუკუნის პირველი მეოთხე-
დის მონაცემებით, მის სამფლობელოში, აზნაურ-
თა გარდა, 866 მოლაშქრე გლეხი ირიცხებოდა. მცხეთის საყმო ლაშქარს თავისი სარდალი ჰყავდა,
რომლის რეზიდენცია მცხეთაში იყო. საეკლესიო
სამხედრო ორგანიზაციის მართვის გარდა, მას ევ-
ალებოდა მცხეთისა და მისი სანახების დაცვა, ამ
რაიონში სავაჭრო ქარავნების მშვიდობიანი მოძ-
რაობის უზრუნველყოფა, მცხეთის სიმაგრეებზე
ზრუნვა და სხვ. ომში მცხეთის ლაშქარი ქართლის
სამეფოს მეოთხე, ანუ შიდა ქართლის დროშაზე
გამოდიოდა.

ეკლესიის როლი ომთან დაკავშირებულ საქმი-
ანობაში არ ამოიწურებოდა მხოლოდ მებრძოლ-
თა იდეოლოგიური აღზრდითა და შეიარაღე-
ბულ ორგანიზაციაში მონაწილეობით. ამ მხრივ,
ეკლესია მნიშვნელოვან ჰუმანიტარულ როლსაც
ასრულებდა. კერძოდ, ომებში დასახიჩრებული

უპატრონოდ დარჩენილი მეომრების თავშესაფარი — მონასტრები იყო, სადაც მათ სიცოცხლის ბოლომდე ინახავდნენ.

ამრიგად, ფეოდალური ქართული სახელმწიფოებრიობის არსებობის მთელ მანძილზე (IV-XVIII სს.) შეიარაღებული ძალები და ეკლესია მჭიდროდ იყო ერთმანეთთან დაკავშირებული. ეს სიახლოვე განსაკუთრებით იმ მძიმე სამხედრო-პოლიტიკური ვითარებით იყო განპირობებული, რომელშიც ქვეყანა იმყოფებოდა აღნიშნული ისტორიული ხანის დიდ მანძილზე. სასულიერო წოდება, ისევე როგორც საქართველოს მოსახლეობის სხვა ფენები, მხარში ედგა თავის შეიარაღებულ ძალებს სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

ქართული სამხედრო ორგანიზაციის ისტორიიდან („შიდა სპა“, ანუ „შიდა ლაშქარი“)¹

ტერმინი „შიდა სპა“ („შიდა ლაშქარი“) ორჯერ გვხვდება „ქართლის ცხოვრებაში“. პირველად 1047 წლის ამბების გადმოცემისას, როდესაც ბაგრატ IV ლიპარიტ ბაღვაშს ებრძოდა. „მატიანე ქართლისა“ ამ ბრძოლის ერთ-ერთ ეპიზოდს ასე აღნირს: „მოვიდეს ვარანგი სამი ათასი კაცი, და დააყენა ბაშს; გარდამოიტანა თანა შვდასი კაცი და მოვიდა ბაგრატ შიდათ ლაშქრითა; და ამათ ვარანგთა მესხნი ვერლარა მოილოდინნეს, მივიდეს, და შეიბნეს თავსა სასირეთისა ჭალისასა; გაიქცა შიდა ლაშქარი ვერლარა უძლეს ბრძოლად ვარანგთა“².

მეორედ ეს ტერმინი („შიდა სპის“ სახით) დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს აქვს ნახმარი. მისი ცნობით, ქორონიკონსა 336 (1116 წ.) „ტაოს ჩამოდგეს დიდი თურქი ხარგებითა, ვინათვან ზამთრისა სიფიცხესა და მთათა სიმაგრეთა მიენდვნეს. ხოლო მეფემან მოიკელოვნა ესრეთ, რამეთუ სპათა ქართლისათა მზაობა უბრძანა და თვით ქუთათისს გარდავიდა, რომლითა უეჭუელ ყვნა იგინი. და თუესა თებერვალსა აცნობა ქართულთა და მესხთა, რათა კლარჯეთს დახუდენ პაემანსა, და თკა შიდითა სპითა ხუფთით ჭორობის პირი წარვლო. და შეკრბეს ერთად, და უგრძნეულად

**From the History of
Georgian Military
Organization
("the Inland Army")**

In the collection of Georgian historical chronicles of the Middle Ages, History of Georgia, the term "inland army" figures in two works: The 11th century anonymous historical narrative Chronicles of Kartli and the 12th century work The life of King David. The article maintains that the term "inland army" was used approximately from the 10th century till the 1120s to indicate the feudal army of western Georgia. In the mentioned period the "inland army" was the major military support of the central government.

1. ნერილის ძირითადი დებულებები პირველად გამოქვეყნდა ავტორის შრომაში: „შიდა ლაშქრის“ („შიდა სპის“) შნიმენელობის გარკვევისათვის“ // საქ. სსრ შეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. თბ., 1987, 1. გვ. 83-89. გავრცობილი ვარიანტი დაიბეჭდა სამეცნიერო ჟურნალში „სამხედრო თეორია“ თბ., 2009.
2. მატიანე ქართლისა. – ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაურხიშვილის მიერ. ტ. I, თბ., 1955, გვ. 301.

The article dwells on both the 1047 and 1116 military campaigns, where the “inland army” is mentioned. It also offers a map of 11th-12th century Georgia, which shows the regions where the “inland army” was formed.

First published in 1987

დაესხნეს მათ ზედა, უშიშად გულდებითა მსხდო-
მარეთა ბასიანამდე და მთად კარნიფორისად^{“3”}.

სხვა ცნობები „შიდა ლაშქრის“ შესახებ საისტო-
რიო წყაროებს არ შემოუნახავთ.

საქართველოს ისტორიის მკვლევრებს სხვადა-
სხვანაირად ესმით ამ ტერმინის მნიშვნელობა.
ყველაზე გავრცელებული შეხედულებით, „შიდა
ლაშქარი“ შიდა ქართლელი მეომრებისაგან შე-
დგებოდა. ეს აზრი ჯერ კიდევ ვახუშტი ბატონიშ-
ვილისაგან მოდის. იგი სასირეოს ბრძოლაზე
საუბრისას „შიდა ლაშქრის“ მაგივრად წერს „შიდა
ქართველინი“, რაც მის საკუთარ კომენტარს წარ-
მოადგენს⁴.

როგორც ჩანს, ამ ტერმინის მნიშვნელობა XVIII
ს-ში უკვე აღარ ახსოვდათ.

„შიდა ლაშქარი“ შიდა ქართლს დაუკავშირეს
აგრეთვე მ. ბროსემ და ნ. მარმა. ბროსემ ეს ტერ-
მინი ფრანგულად თარგმნა როგორც „შიდა ქარ-
თლის ძალები“ (Forces du Chida-Karthli) და „შიდა
ქართლის არმია“ (l'armée du Chida-Karthli)⁵. მარ-
მაც, ვ. ვასილევსკის ცნობილი ნაშრომის მე-9 თა-
ვის დამატებაში, სადაც მოთავსებულია „მატიანე
ქართლისას“ ნაწყვეტის მარისეული თარგმანი
ვარანგების შესახებ, „შიდა ლაშქარი“ განმარტა
შიდა ქართლიდან გამოყვანილ მხედრობად («С
востока, из Внутренней Карталинии»)⁶.

3. დავით ალმაშენებლის ისტორიკოსი. – ქართლის
ცხოვრება. ტ. I, გვ. 333.

4. ვახუშტი. აღნერა სამეფოსა საქართველოსა. – ქა-
რთლის ცხოვრება. ტ. IV. ტექსტი დადგენილი ყველა
ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ,
თბ., 1973, გვ. 147; ნ. ბერძენიშვილი, რეცენზია ი. ცინცა-
ძის წიგნზე: ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთო-
ბის ისტორიიდან (X-XVI სს.) // საქართველოს ისტორიის
საკითხები, V, თბ., 1971, გვ. 203.

5. histoire de la Géorgie, traduite du géorgien par M. Brosset,
I, 1849, გვ. 321.

6. В.Г.Васильевский. Варяго-русская и варяго-английская

„შიდა სპის“ მნიშვნელობის გარკვევას სპეციალური წერილი მიუძღვნა კ. გრიგოლიამ. მისი დასკვნით, შიდა სპა „სხვა არავინ შეიძლებოდა ყოფილიყო, თუ არა შიდა ქართლის სპა, შიდა ქართლის ლაშქარი, რომელსაც ერთიანობის ხანაში მეფის ხლების საპატიო მოვალეობა წესითა და ადათით ჰქონდა დაკისრებული... შიდა ლაშქარი შიდა ქართლიდან გამოდიოდა და შიდა ქართლის მხედრობას წარმოადგენდა“. მას, მკვლევრის აზრით, „ლეიბ-გვარდიის საპატიო მოვალეობა“ ჰქონდა დაკისრებული ერთიანი ფეოდალური მონარქიის ხანაში⁷.

„შიდა ლაშქარი“ შიდა ქართლის მხედრობადაა ახსნილი აგრეთვე „მატიანე ქართლისას“ ვ. დონდუასა და მ. ლორთქიფანიძის რუსულ თარგმანთა შენიშვნებში. პირველ შემთხვევაში ტერმინი განმარტებულია, როგორც – **местным, картлийским войском**⁸, ხოლო მეორე შემთხვევაში – **войско из Шида Картли**⁹. „მატიანის“ უკანასკნელ რუსულ გამოცემაში „შიდა ლაშქარი“ თარგმნილია ასე: **войско из внутренней части своего царства, кромеნტаრების გარეშე**¹⁰.

„შიდა ლაშქრის“ შიდა ქართლთან დაკავშირების სისწორეში პირველად ეჭვი შეიტანა ნ. ბერძენიშვილმა. მისი თქმით, „თავისთავად „შიდა ლაშქარი“ სრულიად არ ნიშნავს მაინცადამაინც „შიდა ქართველს“, ის ასევე შეიძლება „აფხაზეთის“ ე. ი. ლიხთი იქითის ლაშქარს ნიშნავდეს“¹¹. მაგრამ შემდგომში მკვლევარს ეს აზრი აღარ განუვითარებია.

дружины в Константинополе XI-XII вв. Т. I. СПб., 1908, гл. 316.

7. კ. გრიგოლია. „დავითის ცხოვრებაში“ დამოწმებული ერთი ტერმინის განმარტებისათვის // „ქართული წყაროთმცოდნება“, III. თბ., 1971. გვ. 122.

8. Хрестоматия по истории СССР, М., 1960, гл. 352.

9. Матиане Картлиса. Перевод, введение и примечания М. Д. Лордкипанидзе. Тб. гл. 85.

10. Летопись Картли. Перевод, введение и примечания Г. В. Цулая, Тб., 1982. гл. 69.

11. ნ. ბერძენიშვილი. რეცენზია... გვ. 203.

„შიდა ლაშქრის“ რაობას არკვევს აგრეთვე ქ. ჩხატარაიშვილი. მან ჯერ კიდევ 1966 წ. გამოთქვა მოსაზრება, რომ ეს იყო სამეფო დომენის მოლაშქრეებისაგან შემდგარი რაზმი, იგივე რაც XII ს-ის „სამეფოს სპა“, „ხასნი“, „ხასაგანიანი“¹². შემდეგ ქ. ჩხატარაიშვილმა ამ საკითხს საგანგებო გამოკვლევა მიუძღვნა. მან „შიდა ლაშქარში“, სავსებით სამართლიანად, დასავლეთ საქართველოს მხედრობა დაინახა, ოღონდ არა მთელი დასავლეთ საქართველოსი, არამედ მხოლოდ მისი ერთი ნაწილის, სამოქალაქოსი, რომელიც მკვლევრის ვარაუდით, ჯერ აფხაზეთის, შემდეგ კი გაერთიანებული საქართველოს სამეფო დომენი იყო¹³. ქ. ჩხატარაიშვილის აზრით, „შიდა სპის“, – სამოქალაქოს ტერიტორიაზე მდებარე სამეფო მამულებიდან გამომავალი მხედრობის, – გადმონაშთს წარმოადგენდა გვიანდელი „ფიცის კაცების“ ინსტიტუტი იმერეთის სამეფოში¹⁴.

ამრიგად, ისტორიკოსები განსხვავებული შეხედულებებისა არიან „შიდა სპის“ რაობაზე. ზოგი მას შიდა ქართლს უკავშირებს (ვახუშტი, მ. ბროსე, ნ. მარი, ვ. დონდუა, კ. გრიგოლია, მ. ლორთქიფანიძე), ზოგი – დასავლეთ საქართველოს (ნ. ბერძენიშვილი, ქ. ჩხატარაიშვილი). კ. გრიგოლიას და ქ. ჩხატარაიშვილის აზრით, რომლებმაც ეს საკითხი საგანგებოდ შეისწავლეს, „შიდა სპა“ განსაკუთრებული, რჩეული ნაწილი იყო – „სამეფო სპა“ (ქ. ჩხატარაიშვილი) ანუ „ლეიბ-გვარდიაა“ (კ. გრიგოლია).

როგორც ვხედავთ, ამ ტერმინმა მეცნიერთა საგანგებო ყურადღება მიიპყრო და სავსებით სამართლიანად. როგორც ქ. ჩხატარაიშვილი აღნიშნავს:

12. ქ. ჩხატარაიშვილი. უცხოელები XII ს-ის საქართველოს ლაშქარში. კრებულში: საქართველო რუსთაველის ხანაში. თბ., 1966, გვ. 162.

13. ქ. ჩხატარაიშვილი. ქართული ფეოდალური სამხედრო ორგანიზაციის ისტორიდან („შიდა ლაშქარი“) // „მაცნე“, ისტორიის სერია, 1971, 4, გვ. 132, 134.

14. იქვე, გვ. 138.

„შიდა სპის“... რაობის დადგენა ქართული ფეოდა-ლური სახელმწიფოს სამხედრო ორგანიზაციის შესწავლისათვის აუცილებელი რამა“¹⁵.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ „შიდა ლაშქარი“ ანუ „შიდა სპა“ უთუოდ დასავლეთ საქართველოს მხედრობას წარმოადგენდა. ეს თვითონ „ქართლის ცხოვრების“ ტექსტიდან მოჩანს. „მატიანეს“ ცნობით, ქართლში სასირეთის ბრძოლის წინ ლიპარიტია გაპატონებული. მის მხარეზეა ბევრი ქართველი აზნაური, მის განკარგულებაშია „ბერძენთა მეფისა განძი და ლაშქარი“. მხარს უჭერენ კახნი და ტაშირის მეფე. „და განძლიერდა იგი ძალითა მათითა ამას კერძოსა ქართლისასა“¹⁶. ასეთ ვითარებაში ბაგრატს საშუალება არ ექნებოდა შიდა ქართლში მნიშვნელოვანი ლაშქარი შეეკრიბა. გაძლიერებულ ლიპარიტს იგი დასავლეთ საქართველოდან უტევს დასავლეთ საქართველოს მხედრობით. იქიდანვე „გარდმოიტანა თანა“ მეფემ 700 ვარანგი¹⁷.

„შიდა ლაშქარი“ რომ სწორედ ლიხთიქითური მეომრებისაგან შედგებოდა, კიდევ უფრო ცხადად ჩანს „დავითის ცხოვრებაში“. 1116 წლის დამდეგს მეფე ქუთაისში გადადის. იქიდან ქართლელები და მესხები კლარჯეთში დაიბარა და თვითონ „შიდოთა სპითა“ ხუფათის მხრიდან დათქმულ ადგილზე ამოვიდა. ისტორიკოსი გარკვევით განასხვავებს ერთმანეთისაგან ქართლელებს, რომლებიც მესხებთან ერთად კლარჯეთში მტკვრის აუზიდან გადავიდოდნენ, და „შიდა სპას“, რომელსაც იმუამად იმერეთს მყოფი დავითი ედგა სათავეში და კლარჯეთს საწინააღმდეგო მხრიდან მოადგა.

15. იქვე, გვ. 132.

16. მატიანე ქართლისა, გვ. 300-301.

17. იქვე, გვ. 301. საკითხი, ვის მხარეზე იბრძოდნენ ვარანგები, დიდი ხანია აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. მკვლევართა ერთი ნაწილი მათ ბაგრატის მოკავშირეებად მიიჩნევს (ვახუშტი, მ. ბროსე, მ. ჯანაშვილი, დ. ბაქრაძე, ი. ცინცაძე და სხვ.), მეორენი კი – ლიპარიტის (ნ. მარი, ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, ვ. კოპალიანი, მ. ლორთქი-

ფანიძე, ვ. გოლიაძე და სხვ.). ჩვენ მიგვაჩნია, რომ ვარანგები ბაგრატის მოქირავნეები იყვნენ. ამაზე მიუთითებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ბაშში დაბანაკებული უცხოელები საომრად ქართლში გადმოჰყვით, ბრძოლის შემდეგ კი ისინი კვლავ ლიხს იქით გადადიან („მატიანე ქართლისა“, გვ. 301). ი. ცინცაძე სამართლიანად თვლის, რომ აფხაზეთში ვარანგების დასაყენებლად ლიპარიტს ხელი არ მიუწვდებოდა (ი. ცინცაძე, ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1956, გვ. 30). ნ. ბერძენიშვილი, რომელიც ეკამათება ი. ცინცაძეს ამ საკითხში, წერს: „ვინა სთქვი და სად, რომ ლიპარიტ-დემეტრეს დას. საქართველოში („აფხაზეთში“) მომხრენი არ ჰყოლიათ?... ანაკოფის ციხეში მყოფი დემეტრეს გამეფება „გულს ედგა“ არა ერთ აზნაურს. დასაშვებია განა, რომ დემეტრეს მომხრე ეს აზნაურები ყველა აღ-მოსავლეთ საქართველოდან იყვნენ?“ (ნ. ბერძენიშვილი. რეცენზია... გვ. 201).

ჩვენი აზრით, 1047 წლისათვის შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური სიტუაცია და მოვლენების მთელი შემდგომი განვითარება საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ დასავლეთ საქართველო ძირითადად ბაგრატის მხარეზე და მისი ხელისუფლების ქვეშ იყო. რა თქმა უნდა, დემეტრესა და ლიპარიტს შეიძლებოდა ლიხს იქითაც ჰყოლოდათ ცალკეული ფარული თუ აშკარა მომხრეები, მაგრამ, მანც, მათი ბანაკიდან, ვინც კი ვიცით, ყველანი აღმოსავლეთ ან სამხრეთ საქართველოდან არიან. „აფხაზეთის“ ლაშქარი კი ყოველთვის ბაგრატის მხარეზე მოჩანს (ანაკოფის ბერძნებისათვის გადაცემა არ ენინააღმდეგება ამ აზრს, რადგან სანაპირო ციხეში მტრის შეშვება მარტო ციხისთავსაც შეუძლია. მით უფრო არ გაუჭირდებოდათ ამისი გაკეთება ციხის მპყრობელ უფლისნულსა და მის დედას).

ვინც ვარანგებს ბაშში, სატახტო ქალაქის, - ქუთაისის მახლობლად უმტკივნეულოდ აყენებს და მათ ნანილს საომრად ქართლში წაიყვანს, იგი უდავოდ დასავლეთ საქართველოში მეტად მტკიცე პოზიციების პატრიოტია. ლიხთ-იმერეთი მისი საიმედო ზურგია. ასეთი კი მხოლოდ ბაგრატი იყო. ისტორიული წყაროებიდან სხვანაირი დასკვნის გამოტანა არ შეიძლება. დასავლეთ საქართველოს მხედრობით გძრტის იგი ანაკოფისა და ხუფა-თის ბიზანტიურ გარნიზონებს, უეჭველად დასავლეთ საქართველოს ლაშქარი მიიყვანა მან არყის ციხესთან, საბერძნეთიდან დაბრუნებულ მეფეს „ყოველი ლაშქარი აფხაზეთისა“ ეგებება სიხარულით, მემატიანე დაბეჯითებით ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ „ბაგრატს აქენდა ლიხს ქუმოთი კერძი“ (გვ. 304). ქართლსა და მესხეთში მეფეს მრავალი მომხრე ჰყავდა, მაგრამ მისი მთავარი

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ კ. გრიგოლიამ და ქ. ჩხატარაიშვილმა, რომლებმაც ეს საკითხი სპეციალურად შეისწავლეს, „შიდა სპა“ საქართველოს სამეფო ლაშქრის რჩეულ, გვარდიულ ნაწილად მიიჩნიეს, ოღონდ კ. გრიგოლიას აზრით, ეს გვარდია შიდა ქართლის, ხოლო ქ. ჩხატარაიშვილის აზრით, სამოქალაქოს მაცხოვრებლებისაგან შედგებოდა. რა შეიძლება ითქვას ამის თაობაზე?

ჩვენი აზრით, არ არსებობს არავითარი საბუთი იმისათვის, რომ „შიდა ლაშქარი“ – „გვარდიად“, ან სხვა რაიმე განსაკუთრებულად გამორჩეულ ნაწილად ჩაითვალოს. კ. გრიგოლია „შიდა სპას“ აიგივებს ერთიანი საქართველოს ლაშქრის მეოთხე (მეფის) დროშასთან, რომელიც ქართლელებისა-გან შედგებოდა და, მკვდევრის სიტყვით, „ლეიბ-გვარდიის საპატიო მოვალეობა ჰქონდა და კისრებული“.

უნდა აღინიშნოს, რომ მეფის დროშა ქართული ლაშქრის ისეთივე საორგანიზაციო-ტაქტიკური ერთეული იყო, როგორც მეწინავე, მემარჯვენე ან მემარცხენე დროშები და არსებითად მათვან არ განსხვავდებოდა, განსაზღვრული ადგილი ეჭირა საბრძოლო წყობაში. არც იმის თქმა შეიძლება, რომ მეფის დროშაზე ხლება განსაკუთრებული

დასაყრდენი მაინც დასავლეთ საქართველო იყო. როგორც წესი, აფხაზეთიდან ინყებდა ბაგრატი ახალ შეტევებს და დამარცხების შემთხვევაშიც კი იქ იხიზნებოდა. 1047 წელ-საც აფხაზეთიდან გადმოიყვანა მეფიმ, „შიდა ლაშქარი“ და ვარანგები, მაგრამ დამარცხდა და იქვე დასავლეთ საქართველოს შეაფარა თავი. იქით გაპრუნდნენ ვა-რანგებიც, რომლებმაც „შიდა ლაშქრის“ გაქცევის შემდეგ ბრძოლა ვეღარ გააგრძელეს (შესაძლებელია, ქვეითი ვარანგები, უკან დახევისას, ჩამორჩნენ „აფხაზებს“, რომ-ლებიც მეტნილად ცხენოსნები იქნებოდნენ, და მარტონი აღმოჩნდნენ ლიპარიტის ლაშქრის წინაშე). გამორიცხული არ არის, რომ კლდეკარის ერისთავმა უვნებლად გაუშვა ისინი და საგზლითაც მოამარაგა იმ პირობით, რომ მის წინააღმდეგ მახვილს აღარ აღმართავდნენ. მსგავსი მაგ-ალითები ისტორიაში ბევრია. ამის შემდეგ ქრება ყოველ-

პატივი იყო. რამდენადაც ცნობილია, არა ნაკლებ პატივად ითვლებოდა მეწინავეობა¹⁸.

ჩვენი აზრით, უმართებულო იქნება რომ „შიდა ლაშქარი“ მხოლოდ სამეფო დომენს – სამოქა-ლაქოს დავუკავშიროთ. ჯერ ერთი, ზუსტად არ არის ცნობილი, თუ სად მდებარეობდნენ იმ დროს სამეფო მამულები. განა შეგვიძლია დაბეჯითებით იმის თქმა, რომ XI-XII სს-ში სამოქალაქო მთლიანად მეფის დომენი იყო, ან სამეფო მიწები დასავლეთ საქართველოს სხვა რაიონებს არ მოიცავდნენ? ბაგრატ IV-ის დროს მოხსენიებული „ქუთაისისა სამოქალაქოსა ლაშქარი“, ჩვენი აზრით, ისეთივე ცალკე სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეულის (საერისთავოს?) ლაშქარი უნდა იყოს, როგორც იქვე ნახსენები „აფხაზეთისა ლაშქარი“ (იგულისხ-მება აფხაზეთი ვიწრო გაებით, აფხაზი ხალხით დასახლებული მხარე) ან „გურიელნი აზნაურნი და ლომისიანნი“¹⁹. არც „ფიცის კაცების“ ჩათვლაა სწორი „შიდა სპის“ გადმონაშთად. მასალები ამ ჩვენთვის საკმაოდ ბუნდოვანი ინსტიტუტის შესახებ მხოლოდ XVIII ს-დან გვაქვს და ამიტომ ძნელია მისი ფესვების XI-XII სს-ში ძებნა.

მიგვაჩნია, რომ „შიდა ლაშქარი“ იყო მთელი დასავ-ლეთ საქართველოს, ყოფილი აფხაზთა სამეფოს, მხედრობა. ამას მიგვანიშნებს ის გარემოება, რომ ორივე შემთხვევაში, როდესაც ეს ლაშქარია მოხ-სენიებული, კონტექსტი გულისხმობს აქციაში მთელი ლიხთიმერეთის ძალების მონაწილეობას.


1047 წ. მეფის წინააღმდეგ აჯანყებულ ლიპარიტ ბალვაშს გარდა საკუთარი მხედრობისა და დემე-

გვარი ხსენება ვარანგებისა „ქართლის ცხოვრებაში“. სავარაუდოა, რომ ბაშში დაბრუნებული ჩრდილოელები ჩასხდნენ თავიანთ ხომალდებში და სამუდამოდ დაემშვი-დობენ საქართველოს.

18. იხ. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბ., 1959. გვ. 249, 499.

19. მატიანე ქართლისა. გვ. 299.

ტრეს მომხრე ქართველი აზნაურებისა, ეხმარება კეისრის მიერ გამოგზავნილი ლაშქარი და კახეთისა და ტაშირ-ძორაგეტის სამეფოები. ასე გაძლიერებულ მტერსა და სახელგანთქმულ სარდალს ბაგრატ IV შეეცდებოდა მთელი თავისი ძალებით დაპირისპირებოდა. „შიდა ლაშქარი“ რომ მხოლოდ დომენის მხედრობა ყოფილიყო, საკმაოდ მცირერიცხოვანი იქნებოდა და ასეთი მცირე ჯარითა და ვარანგების 700-კაციანი რაზმით ბაგრატი ლიპარიტის წინააღმდეგ არ გაილაშქრებდა. კლდეკარის ერისთავთან საბრძოლოდ მეფემ, უეჭველია, დასავლეთ საქართველოს მთავარი ძალები დაძრა. ქართლში მას დამატებით უნდა შეერთებოდნენ ლიპარიტის მოწინააღმდეგე მესხ ფეოდალთა რაზმები, მაგრამ ლიპარიტმა



საქართველო XI - XII საუკუნეების დასაწყისში

დაასწრო და მეფეს მესხების მოსვლამდე აჰკიდა ბრძოლა.

1116 წელსაც, თუკი დავით აღმაშენებელმა ტაოში ჩამომდგარი თურქების დასარბევად საჭიროდ ჩათვალა ქართლელებიც წაეყვანა, მიუხედავად იმისა, რომ ქართლი ჯერ სელჩუკთაგან განმენდილი არ იყო და მისი ძალების ტაოში გადასროლა, ადგილზე, ბუნებრივია, ქვეყნის თავდაცვის უნარიანობას შეასუსტებდა, იგი მით უმეტეს წაიყვანდა აგრეთვე დასავლეთ საქართველოს მთელ იმ მხედრობასაც, რომლის ველზე გამოყვანა იქნებოდა შესაძლებელი, ვინაიდან, ქართლისაგან განსხვავებით, იმერეთს საგარეო საფრთხე არ ემუქრებოდა. ამრიგად, ამ „შემთხვევაშიც „შიდა სპის“ ქვეშ მთელი დასავლეთ საქართველოს ლაშქარი იგულისხმება.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ტერმინი „შიდა ლაშქარი“ („შიდა სპა“) XI-XII სს-ის ქართულ ნარატიულ წყაროებში დასავლეთ საქართველოს მხედრობას აღნიშნავს. ეს იყო ყოფილი აფხაზთა სამეფოს ლაშქარი, რომელიც ბაგრატ III-მ, „ანოსიანთა“ სამეფო გვირგვინთან ერთად, მემკვიდრეობით მიიღო.

აფხაზეთის სამეფოს ისტორია ბაგრატიონი უფლისწულის ქუთაისში გამეფებით არ დამთავრებულა. თანამედროვეთათვის 978 წელს მოხდა მხოლოდ აფხაზთა მეფეების ტახტზე ბაგრატ ბაგრტიონის ასვლა, რომელიც ამ დროისათვის მათი ერთადერთი კანონიერი მემკვიდრე იყო, თუ არ ჩავთვლით მის ბიძას – უსინათლო და უშვილო თეოდოსის. ივანე მარუშის ძე და მისი თანამოაზრე ფეოდალები ბაგრატის გამეფებით ახალი სახელმწიფოს შექმნას კი არ ცდილობდნენ, არამედ ზრუნავდნენ იმავე აფხაზეთის – დასავლეთ საქართველოს სამეფოს – ინტერესებისათვის. იმ სამეფოსი, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში საქართველოს გაერთიანებისათვის

ბრძოლის ჰეგემონი იყო. მაგრამ X ს-ის 60-იანი წნ. დასასრულიდან, გიორგი II-ის (922-957 წნ.) შვილებს შორის ატეხილი ბრძოლის შედეგად და-სუსტდა („განირყუნა ქუეყანა იგი და შეიცვალა ყოველი წესი და განგება, პირველთა მეფეთაგან განწესებული“²⁰) და პირველობა ტაო-კლარჯეთს დაუთმო. შექმნილი ვითარების გამოსასწორე-ბლად აფხაზეთის სამეფოს მესვეურებმა ტახტზე დასვეს ბაგრატი, რომელიც დედის მხრივ აფხა-ზთა მეფების შთამომავალი იყო და ამავე დროს გააჩნდა ლეგიტიმური უფლებები ქართლსა და ტაო-კლარჯეთზე. დასავლეთ საქართველოს ფეო-დალები ამ ახალგაზრდა მეფის ნინამძღლობით აპირებდნენ ამიერკავკასიაში პირველობისათვის ბრძოლის განახლებას, რასაც ობიექტურად საქმე საქართველოს გაერთიანებამდე მიჰყავდა²¹.

ლითიმერეთში ფეხმოკიდებულმა ბაგრატიონე-ბმა თანდათანობით შემოიტკიცეს დანარჩენი ქართული მიწები და ასე შეიქმნა ერთიანი საქა-რთველოს სამეფო²². ეს პროცესი საუკუნეზე მეტ სანს გრძელდებოდა და საბოლოოდ დასრულდა დავით აღმაშენებლის ეპოქაში. ბაგრატ III-ის და მისი უახლოესი მემკვიდრეების მთავარი და-საყრდენი გარეშე მტრებთან ომებში და ქართვე-ლი დიდებულების პარტიკულარიზმთან ბრძოლა-ში დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა და მისი სამხედრო ორგანიზაცია იყო²³. XI ს-ში, როდე-საც მიმდინარეობს ქართული მიწების შეკრების ინტენსიური პროცესი და ყალიბდება ერთიანი

20. იქვე, გვ. 275.

21. იხ. გ. მელიქიშვილი. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდა-ლურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი. თბ., 1973. გვ. 24.

22. საქართველოს სამეფო კარზე კარგად ახსოვდათ, რომ ერთიანი სახელმწიფოს სათავეში ჩადგომამდე ბაგრა-ტიონები „აფხაზთა“ მეფეები იყვნენ. „ძუელი სამეფო მათი აფხაზეთისა“, – წერს ამის შესახებ ლაშას მემატიანე (ქართლის ცხოვრება. ტ. I. გვ. 369).

23. შდრ. გ. მელიქიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 7.

სახელმწიფო, მისი გული, – მთავარი შემადგენელი ნაწილი, – რომელიც, გეოგრაფიული მდებარეობის გამო, ყველაზე კარგად არის დაცული საგარეო საფრთხისაგან და რომლის მოსახლეობა ყველაზე მეტად ინარჩუნებს ერთგულებას სამეფო ხელისუფლებისადმი, – ლიხთიმერეთია. იგი ამ პერიოდში მტკიცე ზურგია გამაერთიანებელი მეფეებისათვის, სახელმწიფოს ცენტრალური ნაწილი, რომელსაც ეყრდნობიან ისინი შეტევითი ოპერაციების წარმოებისას და თავს აფარებენ მარცხის შემთხვევაში. ამას კარგად ხედავდნენ უცხოელებიც. ამიტომ, ზოგიერთი თანამედროვე ბიზანტიელი ავტორი დასავლეთ საქართველოს უწოდებს „შიდა (უშინაგანეს) იბერიას“²⁴. ქართული წყაროებიც, ალბათ ანალოგიური მოსაზრებით, ლიხთიმერეთის მხედრობას ზოგჯერ „შიდა ლაშქარს“ ანუ „შიდა სპას“ უწოდებენ. ეს ტერმინი, შესაძლებელია ჯერ კიდევ ძველ აფხაზთა სამეფო-ში „წარმოიშვა და აღნიშნავდა სახელმწიფოს ისტორიული ბირთვის, ლიხთიმერეთის, ლაშქარს, განსხვავებით, მოგვიანებით შეერთებული ოლქებიდან (ქართლი და სსვ.) გამომავალი რაზმებისაგან.“

XI ს-ის ქართველი მეფეების ლაშქარში საქართველოს ყუთხის წარმომადგენლები მსახურობდნენ. გვხვდებიან აგრეთვე მეზოპელი კავკასიელი ხალხებისაგან შემდგარი კონტინგენტებიც. მაგრამ მათი სამხედრო ძალების ბირთვი „შიდა ლაშქარი“ იყო – სამეფოს ცენტრალური ნაწილის ფეოდალური მხედრობა.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ტერმინი „შიდა ლაშქარი“ იხმარებოდა XII ს-ის 20-იანი წნ. დასაწყისამდე, ე. ი. მთელი იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ხდება საქართველოს გაერთიანება. ეს პროცესი, როგორც აღვნიშნეთ, საბოლოოდ დასრულდა დავით აღმაშენებლის დროს. დედაქალაქ-

24. იოანე ზონარა. გეორგიკა, VI. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხეჩიშვილმა. თბ., 1966. გვ. 233-234.

ის თბილისში გადმოტანის შემდეგ, ლიხთიმერეთი მალე გადაიქცა გაზრდილი სახელმწიფოს განაპირობა მხარედ. ამას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ იგი, როგორც ჩანს, ადრეც, რამდენადმე ჩამორჩებოდა ქართლსა და სამცხე-ტაო-კლარჯეთს სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების დონით, დავით აღმაშენებლის დროიდან კი ქვეყნის პოლიტიკურმა და სამხედრო ცენტრმაც აღმოსავლეთში გადმოინაცვლა. შესაბამისად, შემცირდა ლიხთიმერეთიდან გამომავალი ლაშქრის ხვედრითი წონა ქართულ შეიარაღებულ ორგანიზაციაში. თუ ადრე „შიდა სპა“ ქვეყნის სამხედრო ძალების მთავარ ნაწილს წარმოადგენდა, თამარის დროს „აფხაზნი და იმერნი“ უკვე მხოლოდ ერთ სადროოშოს შეადგენდნენ, რაც ქართული ლაშქრის, დაახლოებით, 1/4-ს უდრიდა. ტერმინი „შიდა ლაშქარი“ დავიწყებას მიეცა. თუ „მატიანე ქართლისას“ ავტორი და დავითის ისტორიკოსი ყოველგვარი კომენტარის გარეშე ხმარობენ მას, რაც იმის მაუწყებელია, რომ თანამედროვეთათვის კარგად იყო ცნობილი შიდა ლაშქრის, ანუ შიდა სპის, მნიშვნელობა, ვახუმტიმიშის შესახებ უკვე აღარაფერი იცოდა.

ზემოთქმულის შეჯამებით გამოგვაქვს შემდეგი დასკვნები:

1. „შიდა ლაშქარი“ ანუ „შიდა სპა“ მთელი დასავლეთ საქართველოს ფეოდალურ მხედრობას აღნიშნავს;
2. ეს ტერმინი იხმარებოდა დაახლ. X ს-იდან XII ს-ის 20-იან წლებამდე.
3. საქართველოს გაერთიანებისათვის პრძოლის პროცესში „შიდა ლაშქარი“ ცენტრალური ხელისუფლების მთავარი სამხედრო ძალაა.

„ძეგლი ერისთავთა“ როგორც წყარო სამხედრო საქმის ისტორიისათვის ქართლის მთიანეთში¹

74

Dzegli Eristavta: a Historical Record on the Warfare in Kartli Highlands

Dzegli Eristavta, a 15th century family chronicle of Ksani princes (army commanders), is the only narrative source completely dealing with the history of Georgian highlands – in particular, the highlands of Kartli, the central province of the country. Therefore, the work holds a special place among other Georgian historical narratives, which mainly focus on the history of Georgian lowlands, leaving without due attention mountainous regions, which, however, are different in many ways, including the development

„ძეგლი ერისთავთა“ ერთადერთი ქართული ნარატიული წყაროა, რომელიც მთლიანად ეძღვნება საქართველოს მთის, კერძოდ, ქართლის მთიანეთის წარსულს². იგი შეიცავს უაღრესად მნიშვნელოვან ცნობებს ამ კუთხის პოლიტიკური, სოციალური და ეთნიკური მდგომარეობისა და ისტორიული გეოგრაფიის შესახებ. ამიტომაა, რომ ქართული ისტორიოგრაფიაში არ განელებულა ინტერესი ამ ძეგლის მიმართ და მიუხედავად მოკრძლებული მოცულობისა, მის წყაროთმცოდნეობით შესწავლას ას წელზე მეტი ხანია აწარმოებენ ქართველი ისტორიკოსები (მ. ბროსე, თ. უორდანია, მ. ჯანაშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, ი. სურგულაძე, შ. მესხია, დ. გვრიტიშვილი, საურ. კაკაბაძე, გ. მელიქიშვილი, ე. ხოშტარია-ბროსე, გ. არახამია, ვ. კიკნაძე და სხვ.).

მიუხედავად ამისა, როგორც სამხედრო-ისტორიული წყარო „ძეგლი ერისთავთა“ დღემდე არ ყოფილა სპეციალურად შესწავლილი, თუმცა იგი შეიცავს უაღრესად საინტერესო ცნობებს ქართლის მთიანეთში სამხედრო საქმის განვითარების შესახებ. ამ თხზულებაში მრავალი სამხედრო-ისტორიული ფაქტია ასახული. სამართლიანია ივ. ჯავახიშვილის სიტყვები „ძეგლი ერისთავთა“ -ს შესახებ, რომ მის „თითქმის ყოველ ფურცელზე

1. პირველად დაისტეჭდა, რუსული რეზიუმეთურთ, კრებულში: „ქართული წყაროთმცოდნება“ VII. გამომცემლობა მეცნიერება. თბ., 1987. გვ. 79-90.

2. ძეგლი ერისთავთა (ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანე) ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო შოთა მესხიამ // მსკი. ნავკ. 30. თბ., 1954 (შემდეგში გვერდები მითითებულია ამ გამოცემიდან).

of armed organization and the art of warfare.

The article refers to Dzegli Eristavta to track how the communal and tribal military leaders developed into feudal nobles and how the highlanders, previously forming a single military force, would split into a feudal army on the one hand and the common folk on the other. The process is illustrated by citing one of the Kartli communities represented by the Tskhrazmiskheli and Bibiluri-Kvenpneveli family clans.

The chronicle offers interesting information about weapons,

და სტრიქონში ან ლაშქრობასა და ომიანობაზეა ლაპარაკი, ან მიხდომასა და თავდასხმაზე³.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „ძეგლი ერისთავთა“ ორ ნაწილად იყოფა. პირობი-თად პირველ ნაწილს შეიძლება ვუნიდოთ „ლეგ-ენდარული“, მეორეს კი – „ისტორიული“. ლეგენდა-რულ ნაწილში, როგორც ცნობილია, აღნერილია ოსი უფლისწულების გადმოსვლა დვალეთში, მათი საბოლოო დამკვიდრება ცხრაზმისხევში და გაერისთავება. არ ვეხებით საკითხს, რამდენად სარწმუნოა ქსნის ერისთავების ოსთა მეფეები-საგან ნარმოშობის ცნობა. ჩვენთვის აქ საინტერე-სოა მატიანის მიერ დახატული სურათი ერთ-ერთი ძლიერი გვარის აღზევებისა და გაფეოდალების შესახებ. ბიბილურები, როგორც ჩანს, თავდა-პირველად ჩვეულებრივი მთიელები იყვნენ. თა-ვისთავად, მათ მიერ ციხისა და „დიდ-დიდი“ სახლების შენება (გვ. 344—345) ჯერ კიდევ გან-საკუთრებულს არაფერს ნარმოადგენს, თუმცა კი მიუთითებს ამ გვარის სიძლიერესა და ხევში პირვ-ელების პრეტენზიაზე. ციხე-კოშკები, როგორც ცნობილია, და „ძეგლიდანაც“ კარგად ჩანს, მთიელ ტომებს მრავლად ჰქონდათ. ბიბილურებისა და ბიბილურების ინუბება იმითი, რომ ისინი პირადი მამაცობისა და მეომრული თვისებების ნყალობით საყოველთაო პატივისცემას იხვეჭენ — „და შეიყუარნა (როს-ტომი) ყოველმან ერმან ცხრაზმისხევისმან“ — და ხდებიან ცხრაზმისხეველთა სამხედრო ბელადები („ნინამდვარ მბრძოლთა“). ხევის სამხედრო ორ-განიზაციის სათავეში მოქცევით ბიბილურები „სოფლებსა და ქვეყნებს“ უფლებიან, ე. ი. დანარ-

3. ი. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მნერ-ლობა // თხზულებანი, ტ. VIII. თბ., 1977, გვ. 264.

3 ჩვენი აზრით, „შარპა“ უნდა ნარმოდგებოდეს არაბული სიტყვიდან „საპრა“ — უდაბნო. სპარსულ და თურქულ ენებში ეს სიტყვა ნიშნავს აგრეთვე „მინდორს“, „ველს“. შესაძლებელია, გათურქებულმა თათრებმა ეს სახელი უნდეს ქართლის ვაკის აღმოსავლეთ ნაწილს, სადაც შეს-ანიშნავი საძოვრების გამო, განსაკუთრებით მუხრანში, მათი სადგომები იყო.

organization and structure of the highland troops. Military activities are described in detail, including the wars waged by the Tskhrazmiskheveli against the dwellers of the neighboring gorges, feudal campaigns against free highlanders aimed at their subordination and the struggle of the Georgian highlanders against the Mongols and the troops of Tamerlane. Apparently, the anonymous author of the chronicle personally witnessed some of the described events.

Dzegli Eristavta is a highly significant authentic historical record providing unique information

ჩენ თანამეთემეებს ქონებრივადაც უსწრებენ და უკვე „ქუენიფნეველები“ ხდებიან, „რამეთუ სხუა სახელი არა ინებეს“ (გვ. 345). ასე დაწინაურებულ, და ალბათ უკვე გააზნაურებულ გვარს, სამეფო ხელისუფლებაც ანგარიშს უწევს, რაც საბოლოოდ როსტომ ქვენიფნეველის ცხრაზმისხევის ერი-სთავად დამტკიცებაში გამოიხატა. ასე ხდება გვა-როვნულ-ტომობრივი სამხედრო არისტოკრატიის გადაზრდა ფეოდალურ არისტოკრატიაში, რაც მეტად დამახასიათებელია ადრეფეოდალური ურთიერთობებისათვის. ქვენიფნეველები აქა-მდე თუ ცხრაზმისხეველთა ერის არჩეული სამხ-ედრო წინამძღვრები იყვნენ, ახლა უკვე სამეფო ხელისუფლების მიერ დაყენებული გამგებლები ხდებიან, თუმცა მათი ძირითადი ფუნქცია – მხე-დართუფროსობა, რა თქმა უნდა, კვლავ ძალაში რჩება, რაზეც არაორაზროვნად მიუთითებს მეფის მიერ როსტომისათვის ძალაუფლების სხვა ინსიგ-ნიებს შორის საჭურველის, „თორნოსანი“ ცხენის, დროშისა და შუბის ბოძება (გვ. 346). როსტომის მემკვიდრის, ლარგველის დროს ქვენიფნეველთა „სასარდლო ოლქი“ ფართოვდება. არაგვსა და ლი-ახვს შორის მსხდომი დიდებულები და აზნაურები ლარგველის „მორჩილი და თანამილაშქრენი“ არიან. „ძეგლი ერისთავთა“-ს ცნობით, ლარგვე-ლის „სასარდლოს“ ფარგლებში სამხრეთით „შარ-ჰას მინდვრამდე“ უწევდა, რაც შიდა ქართლის ვა-კის აღმოსავლეთი ნაწილი უნდა იყოს. ამგვარად, ცხრაზმის ერისთავის სამხედრო ხელისუფლების ქვეშ მყოფი ტერიტორია, და მათ შორის, ბუნებრივ-ია, მისი საკუთარი სამფლობელოები, მოიცავდნენ შიდა ქართლის მთიანეთის ცენტრალურ ნაწილს, დვალებით დასახლებული მიწა-წყლის გამოკლე-ბით (გვ. 346-347).

მატიანეში ასახულია ცხრაზმის ერისთავთა სამხ-ედრო სამსახური მეფისათვის. მაგალითად, შალვა ერისთავმა მეფის გიორგი დავითის ძის ბრძანებით ლონწობნის ციხე აიღო, ვირშელ II გიორგი ბრძყინ-ვალის დროშის ქვეშ იბრძვის გორის ციხის გასათ-

ავისუფლებლად. ერისთავი ქვენიფნეველი თავის მეფესთან ერთად იღუპება თურქებთან ბრძოლაში და სხვ. გარდა ამისა, ერისთავთა გვარის ცალკეული წარმომადგენლები მუდმივად იმყოფებიან მეფის კარზე, ხელმწიფის შეიარაღებულ ამალაში. მაგალითად, ქვენიფნეველის ერთ-ერთი უმცროსი ძმა ოვანე „მარადის იყვის წინაშე მეფისა, რამეთუ იყო მქნე გოლიათი, ბრძოლათა შინა უძლეველი, რამეთუ მრავალგზის გამოიცადა იგი უამსა ბრძოლისასა, რამეთუ იყო ფრიად განთქმულ და სახელოვან და უმჯობეს ყოველთა მბრძოლთა“ (გვ. 353).

ქვენიფნეველები გაერისთავების შემდეგაც ბევრი რამით ნააგავდნენ ყოფილ სამხედრო ბელადებს („მბრძოლთა წინამძღვრებს“). ისინი პირველ ხანებში ტიპიურ „მთიელ ფეოდალებს“ უფრო გვაგონებენ ვიდრე ძირძველ ქართველ დიდებულებს. მათი ძალა მნიშვნელოვანილად, კვლავ საგვარეულო საძმოზეა დამყარებული. ქართლის მთიანეთში ჩვენი აზრით შემთხვევითი არ უნდა იყოს, მემატიანის მიერ იმისი აღნიშვნა, რომ „ამათ უამთა იყო შალვა ერისთავისა ნათესავი სამოცდათორმეტი შუბოსანი და ყოველნი მორჩილებას ქუეშე ქუენიფნეველისა“ (გვ. 352). შ. მესხიას გამოცემის ლექსიკონში შუბოსანი განმარტებულია როგორც – „ლაშქრის შუბებით შეიარაღებული ნაწილი“. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში ასეთი განმარტება სწორი არ არის. აქ შუბოსანი უნდა ნიშნავდეს არა მეშუბარს, არამედ საერთოდ მეომარს, ბრძოლისუნარიან მარაცაცს და „ძეგლის“ ზემოთ მოტანილი ცნობა აღნიშნავს თუ რამდენ მეომარს ითვლიდა მთლიანად ქვენიფნეველთა გვარი.

ცხრაზმისხვის გადაქცევამ საერისთავოს ცენტრად დააჩქარა იქ ფეოდალიზმის განვითარების პროცესი, რომელიც, რა თქმა უნდა, ბიბილურთა აღზევებაზე ადრე იყო დაწყებული. ახლა ამ ხევმა თავისი სოციალური განვითარებით კიდევ უფრო

about the military history of the 13th-15th century Georgian highland regions. In this respect, it has no parallels.

The article is followed by a map featuring military activities in Kartli highlands as described in Dzegli Eristavta.

*First published in
1987*

შორს მოიტოვა მეზობელი არაგვის მთიულეთი და, განსაკუთრებით, დვალეთი. ამან, ცხადია, სამხედრო საქმის ორგანიზაციაზედაც იქონია გავლენა. თუ ადრე ყველა ბრძოლისუნარიანი ცხრაზმისხეველი მამაკაცი მეომარი იყო, ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების შედეგად თავდაპირველი „ერი“ იყოფა და სამხედრო სამსახური უკვე მოსახლეობის გარკვეული კატეგორიის პრივილეგია ხდება. ბრძოლაში ერისთავის გვერდით ჩანან „მოახლენი მისნი“, „მონანი“, „აზნაურისშვილები“, „თავადნი“ (გვ. 347, 356, 359).

„ძეგლი ერისთავთაში“ ყურადღებას იქცევს შემდეგი გარემოება. საერისთავოს შექმნამდე მემატიანე ცხრაზმისხეველთა მხედრობას ლაშქარს არსად უწოდებს. წერს მხოლოდ: „ცხრაზმისხეველნი“, „ერი ცხრაზმისხევისა“, „მბრძოლნი“. საერისთავოს შექმნის შემდეგ კი ცხრაზმისხევის სამხედრო ძალების აღსანიშნავად მხოლოდ სიტყვა ლაშქარს ხმარობს: „შალვა წარვიდა ლაშქრითა თასითა“, „ვირშელი და ლაშქარი მისი“, „ვირშელმან შეკრიბა ლაშქარი“ და სხვ. (გვ. 349, 350, 360).

სამეფო მხედრობაც ასევე მხოლოდ „ლაშქრად“ და „სპად“ მოიხსენიება: „მეფემან დავით შეკრიბა ყოველი ლაშქარი თვისი“, „გიორგი მეფე განილაშქრა ალინჯას ყოვლითა სპითა ქართველთა“ და სხვ. (გვ. 347, 358).

მათგან განსხვავებით მთიელთა რაზმები, რომლებთან ბრძოლების აღწერასაც „ძეგლის“ ძირითადი ნაწილი ეთმობა, „ლაშქრად“ თითქმის არსად მოიხსენიება ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, რაც საერთო სურათს არ ცვლის. მათ შესახებ ასეა: „ყოველნი დვალნი“, „არაგვისა მთიულნი“, „ცხაგატელნი“, „წადელ-მოწევენი“, „კაცნი იგი“, „ყოველნი მამანი“ და სხვ. (გვ. 347, 350, 351, 353).

ერთი შეხედვით შეიძლება შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ მემატიანე საერთოდ მოწინააღმდეგის

ძალებს არ უწოდებს ლაშქარს. მაგრამ ეს ასე არ არის. თემურ ლენგის მხედრობაც ლაშქრად მოიხსენიება, ასევე „სპარსთა“ ლაშქარიც (გვ. 347, 348, 358, 359). ამავე დროს, ქვენიფნეველთა ერთგული უამურელები და გრემისხეველები ლაშქრად არ იწოდებიან, როდესაც მათ ერისთავის მთავარი ძალების გარეშე უხდებათ მეზობელთა თავდასხმების მოგერიება.

ამრიგად, ვხედავთ, რომ „ძეგლი ერისთავთას“ ავტორი ტერმინებს „ლაშქარი“, „სპა“ იყენებს მხოლოდ ფეოდალურ ყაიდაზე ორგანიზებული (მოწყობილი) მხედრობის აღსანიშნავად, რომელიც ძირითადად აზნაურებისა და მსახურებისაგან შედგებოდა⁴. თავისუფალ მთიელთა „ერი“, რომელშიც ყველა მამაკაცს შეუძლია გამოსვლა (მდრ. „ყოველნი დაბალნი“, „ყოველნი მამანი ქუემოთა მათ მახლობელთა სოფელისანი“), მემატიანისათვის „ლაშქარი“ არ არის, შეიარაღებული ხალხია, თუმცა „ძეგლის“ ავტორი მთიელ მეომრებს შორისაც განასხვავებს „თავადებს“, „თავებს“, „გოლიათებს“ და „ხევისბერებს“ – „წვრილი ერისაგან“ (გვ. 352, 356, 357).

„ძეგლი ერისთავთა“ -ს როგორც ისტორიული წყაროს თავისებურება, როგორც ვიცით, განპირობებულია იმით, რომ ეს მატიანე მოგვითხრობს საქართველოს ერთი პატარა კუთხის წარსულის შესახებ, თანაც მთიან ზოლში მდებარე კუთხისა. „ქართლის ცხოვრების“ ავტორები მთიანეთს ნაკლებ ყურადღებას უთმობდნენ. მათ თხზულებებში ძირითადად ბარის ისტორიაა ასახული. იქ გადმოცემული სამხედრო-ისტორიული ფაქტებიც, კერძოდ, სამხედრო საქმის ორგანიზაცია, ლაშქრის სტრუქტურა, ბრძოლის ფორმები – ბარის სინამდ-

4. ასეა ციხეების დაცვის აღწერის დროსაც: თუ მემატიანის სიტყვით, გრუსისი ციხეებს გრუელნი იცავენ, ქნოლოს ცეხეებს — ქნოდოელნი, მნა ციხეებს — მნაველნი და სხვ., არსად მეციხოვნეებად ცხრაზმისხეველები არ არიან მოხსენიებული: მათ მაგივრად გვაქვს: ერისთავის „ერთგულნი მონანი“ და „ციხიონნი“.

ვილეს ასახავენ. მთის შესახებ კი ცნობები მეტად მნირია. არადა მთელი რიგი თავისებურებების გამო (ბუნებრივი პირობები, სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარების სხვა დონე და ა.შ.) მთის რაონებში სამხედრო ხელოვნება და შეიარაღებული ორგანიზაცია საკმაო სპეციფიკურობით ხასიათდებოდა. „ძეგლი ერისთავთა“ რამდენადმე ასწორებს ქართული ნარატიული წყაროების ამ ხარვეზს. მის ფურცლებზე აღნერილი სამხედრო-ისტორიული ფაქტები მთილთა სამხედრო საქმეზე და მათი ბრძოლის ფორმებზე მოვითხოობს. ამ მხრივ „ძეგლის“ ცნობები უნიკალურია. ქართულ საისტორიო მწერლობაში სხვა ამდაგვარი წყარო არ მოიპოვება.

როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, „ძეგლი ერისთავთადან“ მოჩანს, რომ ქართლის მთიანეთში სამხედრო სამსახური ყველა ბრძოლისუნარიან მამაკაცზე ვრცელდებოდა. ეს იყო ის „ერი“, რომელიც ბარში დიდი ხნის წინ მოისპო. განვითარებული ფეოდალიზმი გამორიცხავს „წვრილი ერის“ ლაშქარში მონაწილეობას. გავიხსენოთ „ვეფხ-ისტყვაოსანი“:

რაცა ვის რა პედმან მისცეს,
დასჯერდეს და მას უშნობდეს:
მუშა მიწყივ მუშაკობდეს, მეომარი გულოვნობდეს.

ცხრაზმისხევში, „ძეგლის“ მიხედვით, თავდაპირველად დაახლოებით იგივე მდგომარეობაა რაც მეზობელ თემებში. მართალია, მატიანე ყრუდ ახსენებს აზნაურებისა და ციხისთავის არსებობას ცხრაზმისხევში ბიბილურთა მოსვლამდე, მაგრამ რეალურად ეს ადრინდელი აზნაურები არსად ჩანან. ცხრაზმელთა თავკაცებად, იმ პრებად, ვისაც ერის სახელით შეუძლია ლაპარაკი, ჩვენ ვხედავთ ლარგვისის მამასახლისს — გუგაკ ხუციანდაბისძეს და ეკლესის კლიტეთმპყრობელს. აზნაურები არ ჩანან არც სახალხო კრებაზე, არც ლაშქრობაში, რაც გამორიცხული იქნებოდა, იმ დროის ცხრაზმისხევში ისინი მართლა რომ ყოფილიყვნენ.

რაც შეეხება ციხისთავს, მატიანეში აშკარად ჩანს, რომ მისი ადგილი ბიბილურთა გამოჩენის დროს ვაკანტური იყო. ამიტომ იყავებს როსტომი უმტკივნეულოდ „ციხისთავისა ნაქონებ მამულებს“.

როგორც ჩანს, XIII ს-ის 20-იან წლებამდე, სანამ საქართველოში ცენტრალური ხელისუფლება ძლიერია და აქტიურად უტევს მთას, ცხრაზმისხევში ციხისთავებიც სხედან და აზნაურებიც იკიდებენ ფეხს, მაგრამ ხვარაზმელთა და მონლოლთა შემოსევების შემდეგ ციხისთავობა მოიშალა. ცხრაზმისხევში ხდება გვაროვნული ინსტიტუტების გამოცოცხლება, რაც ყოველთვის თან სდევს ფეოდალიზმის უკან დახევას. XIII ს-ის შემდეგ ამ პროცესს ადგილი აქვს როგორც საქართველოს მთიანეთში (აფხაზეთში, სვანეთში და სხვ), ასევე ჩრდილო კავკასიაში (დაღესტანში, დურძუკეთში, ოსეთში). ალბათ მსგავსი მდგომარეობა შეიქმნა ცხრაზმისხევსა და ზოგიერთ მის მეზობელ ხევში. ჩვენი აზრით, ბიბილურთა აღზევება სწორედ ამ შფოთიან დროს ხდება (XIII ს-ის შუახანები). მაშინ ამისათვის ყველა ხელსაყრელი პირობა იყო შექმნილი. ამიტომ სწორად არ მიგვაჩნია პირველ ერისთავთა თანამედროვე მეფების IX-X სს. და მით უმეტეს VI ს-ის მონარქებთან გაიგივება.

რაც შეეხება ცნობას პირველი ერისთავების შემდეგ 24 თაობის გამოცვლის შესახებ, მისი ჩართვა მემატიანეს დასჭირდა, რათა ერისთავთა ფეოდალური უფლებები ქსნის ხეობასა და მის მეზობელ მხარეებზე რაც შეიძლება დაეძველებინა. ჩვენი აზრით, როსტომ და ლარგველ ქვენიფნეველები ვირშელ I-ის უახლესი ნინაპრები იყვნენ.

ამრიგად, „ძეგლი ერისთავთა“ საკმაოდ კარგად გვიჩვენებს ცხრაზმის საერისთავოს – საქართველოს ერთ-ერთი სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეულის – წარმოშობას, რომელიც შემდგომში ქსნის ერისთავთა სათავადოდ გადაიქცა. ქვენიფნეველთა გაერისთავება, როგორც ჩანს, ხდება XIII

ს-ის შუა ხანებში. მანამდე ცხრაზმისხევში სამ-ხედრო დემოკრატიის ძლიერი გადმონაშთები იყო შემორჩენილი: ერი, მამასახლისი, სამხედრო ბე-ლადის ინსტიტუტი. საერისთავოს შექმნის შემდეგ თანდათანობით ხდება ერის გადაქცევა საერი-სთავოს ლაშქრად. ერისთავთა ძალაუფლების ერთ-ერთი დასაყრდენს მათი საგვარეულოს უმ-ცროსი წევრებისაგან შემდგარი რაზმი წარმოად-გენდა.

მთის ბუნებრივმა პირობებმა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, განაპირობეს აგრეთვე რიგი თავისე-ბურებები მთიელთა ლაშქრის სტრუქტურასა და ბრძოლის ფორმებში. ქართული წერილო-ბითი წყაროებიდან ყველაზე კარგად ეს „ძეგლი ერისთავთა“-ს მაგალითზე ჩანს.

ფეოდალური საქართველოს ბარში ლაშქრის მთა-ვარი ნაწილი ცხენოსანი ჯარი იყო. იგი რიცხო-ბრივად და თავის მნიშვნელობით აღმატებოდა ქვეითობას, თუმცა ეს უკანასკნელი, როგორც ჯა-რის სახეობა, აქ არასოდეს გამქრალა და საპატიო ადგილიც ეკავა. მაგრამ მთაში, სადაც მეცხენეო-ბის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობები არ იყო და, რაც მთავარია, რთული რელიეფი ხელს უშლიდა კავალერიის მასობრივ გამოყენებას, მეომრების დიდ ნაწილს ქვეითები შეადგენდნენ.

„ძეგლის“ ავტორი აღნერს რა განუწყეტელ ომებს მთიელთა შორის, არსად ახსენებს ცხენო-სან ჯარს. მთიელთა კუთვნილი ერთი ცხენიც კი არ მოჩანს მატიანეში თუ არ ჩავთვლით იმას, რო-მელიც მეფე „ისტვინიანებ“ აჩუქა როსტომს. ეს, რა თქმა უნდა, ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ცხენები საერთოდ არ იყო მთაში. ერისთავს, მის აზნაურებს, ხევისთავ-ხევისბერებსა და უბრალო მეომრების ნაწილსაც, უეჭველია, ჰყავდათ ცხენე-ბი, მაგრამ მათ ძირითადად გადაადგილებისათვის იყენებდნენ. ბრძოლას მეტილად ანარმოებდნენ ქვეითად, რაც, როგორც აღვნიშნეთ, ბუნებრივი პირობებით იყო ნაკარნახევი. ბარიდან ამოსული

ლაშქარიც მთაში ბრძოლისათვის იძულებულია ჩამოქვეითდეს. მაგალითად, თემურ-ლენგის მეომრები ვირშელის აზნაურებს დაქვეითებულები ეპროვიან მას შემდეგ, რაც ცხენით ბრძოლაში დიდი ზარალი განიცადეს (გვ. 359). მთაში ქვეითად ბრძოლის უპირატესობაზე პირდაპირ მიუთითებს ჟამთაღმწერელიც, როდესაც აღნერს დავით VIII-ის აჯანყებას: „უმეტეს მოისრვოდეს თათარნი, რამეთუ დიდად ავნებდეს მთიულელნი, იყვნეს ფერწერითა მალი, ცხენოსანი ვერ შეუვიდოდა საომრად, და ქუეითად იბრძოდეს თათარნი“⁵.

ცხენოსანი ჯარისათვის მთაში მოძრაობაც კი გარკვეულ სირთულეს წარმოადგენდა, განსაკუთრებით, ზამთარში. მეფე გიორგის მალაროზე ლაშქრობისას, მეფისლაშქარი „წარმოვიდეს გზასა მთისასა, რომელი იყო განყინებულ. მაშინ უმეტეს ევნო, რამეთუ ინქრეოდა ცხენები“ (გვ. 349).

„ძეგლიდან“ ჩანს რომ მთიელებს მთაში, მშობლიურ სტიქიაში ურჩევნიათ ბრძოლა. გორის ციხესთან მყოფი არაგველები, რომლებსაც, მატიანის ცნობით, შურდათ ვირშელის მეომრების სიმამაცისა, იმუქრებიან მათი მისამართით: „უკუეთუ ჰომსა ამას გარეგანსა უმჯობეს არიან, არამედ მივიდეთ მთასა ლომისისასა და მუნ შემებენ ჩუენ და იხილოთ, რომელი უმჯობეს ვართ“ (გვ. 350). მთაში ბრძოლისადმი ასეთი უპირატესობის მინიჭება გამოწვეულია იმით, რომ მთიელთა სამხედრო ხელოვნება, პირველ რიგში, მთიან ადვილებში ომისათვის იყო მორგებული. ძველი ქართველი ისტორიკოსებიდან ეს შენიშნული აქვს ვახუშტის, რომელიც, მაგალითად, სვანების შესახებ წერს: „ბართა შინა რაზმთა ვერ შემმართებელნი, მთათა სიმაგრეთა და ციხეთა შინა მაგარნი“⁶.

5. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუჩჩიშვილის მიერ.

ტ. II. თბ., 1959. გვ. 306

6. ბატონიშვილი ვახუშტი. აღნერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუჩჩიშვილის მიერ. თბ., 1973. გვ. 788.

„ძეგლი ერისთავთა“ გარკვეულ ცნობებს გვაწვდის შეიარაღების შესახებ. მოხსენიებულია ხმლები, შუბები (მათ შორის სატყორცნი შუბები), მშვილდისრები. საერთოდ, ჩანს სატყორცნი იარაღის ფართოდ გამოყენება – „დაასხეს ქვად და შუბი, მსგავსი წვიმისა“, „შეიქმნა სიმრავლე ისრისაა, ვითარცა სეტყუად ჭშირი“ და სხვ. (გვ. 35). ძალზედ ხშირი იყო საგორავების გამოყენება და თან დიდი რაოდენობით (გვ. 349, 351 და სხვ.)⁷. თუ როგორი ეფექტური საშუალება იყო ხევში მიმავალი ლაშქრის წინააღმდეგ საგორავი, ჩანს მეფე გიორგის ორგზის გალაშქრებიდან მაღაროზე. პირველ ლაშქრობაში სამეფო სპას ისე „დიდად ევნო ვიწროთა მათ ჭევთა სიმრავლეთა საგორვისათა“, რომ მეორედ მეფემ მაღაროზე დათოვლილი მთებით გადასვლა არჩია და გზაში, როგორც აღვნიშნეთ, ბევრი ცხენი გადაეჩეს უფსკრულში.

დასაცავი აღჭურვილობიდან მოხსენიებულია ფარი, ჯაჭვი, ცხენის თორი. რაოდენ ძვირად ფასობდა საჭურველი, ჩანს იქიდანაც, რომ მეორებს აბჯრები ყველა სხვა სახის ურჩევნიათ ნადავლს (გვ. 349).

„ძეგლში“ ვხედავთ და ეს სხვა წყაროებიდანაც ცნობილია, რომ ქართლის მთიანეთის მოსახლეობა, ისევე როგორც ქვეყნის სხვა კუთხებისა, ბრძოლაში თემობრივი პრიციპით ეწყობოდა. ცხრაზმის ერისთავის ლაშქარი, როგორც ჩანს, ცალკეული ხევების სამხედრო ძალებისაგან შედგებოდა, რომლებიც საერისთავოს სპაში აღმინისტრაციულ-საორგანიზაციო და ამავე დროს, შესაძლებელია, ტაქტიკურ ერთეულებს წარმოადგენდნენ.

7. საგორავი (საბას განმარტებით – „ლოდი დასაგორებელი“) სახელწოდებიდანაც ჩანს, რომ მთიდან დასაგორებლად გამოიყენებოდა. გარდა ქვის ლოდებისა ამ დანიშნულებისათვის ზოგჯერ იყენებდნენ ხის ძელებსაც (იხ. ფარსადან გორგიჯანიძე / ს. კაკაბაძის გამოცემა. საისტორიო მოამბე, 1925. ნან. II, გვ. 303).

ბრძოლებში მთიელები ცალკე რაზმებად ეწყობიან. მაგალითად, არაგვის მთიულები ომში ლომისის მთაზე ორ რაზმად დგანან: „ერთსა მას ქედსა ცხავატელ-გარეთნი და ყოველნი მიმდგომი მათი და ერთსა მას წადელ-მოწევენი და მიმდგომი მათნი“ (გვ. 351).

დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა თავდასხმის მოულოდნელობას. ამიტომ ადგილი ჰქონდათ ღამე თავდასხმებს და თავდასხმებს საფარიდან, დარტყმებს მოულოდნელი მიმართულებებიდან და სხვ. (გვ. 348, 349, 351).

მატიანე გვამცნობს თუ რა დიდ როლს ასრულებდნენ ციხეები. ბიბილურები დვალეთში და ცხრაზმისხევში დასახლებისთანავე ციხეების შენებას იწყებენ, რათა ომიანობის შემთხვევაში მტკიცე საყრდენი-თავშესაფარი ჰქონდათ. „ძეგლის“ ავტორი არ ასხვავებს ერთმანეთისაგან ციხესიმაგრეს და ცალკე მდგომ კოშკს. ორივეს ციხეს უნიდებს, თუმცა, ჩვენი აზრით, მატიანეში მოხსენიებული ციხეების უმრავლესობა სწორედ საპრძოლო კოშკებია, რომლებიც დღესაც საკმაო რაოდენობითაა შემორჩენილი ცენტრალური კავკასიონის ორივე კალთაზე. ამაზე მიუთითებს, ჯერ ერთი, მათი მრავალრიცხოვნება (ყოველ სოფელში რამდენიმე ციხე ჩანს) და მეორე, მათი შედარებით იოლად ალების ფაქტები: მაგალითად, შალვა ქვენიფნეველმა არაგვის ხეობაში ლაშქრობისას ერთი დღის განმავლობაში აიღო ცხრა ციხე, ხოლო ერთ კვირაში –ოცდახუთი. ვირშელმა დვალეთში ერთ დღეს რვა (ციხე აიღო და სხვ. სამაგიეროდ საერისთავოს მთავარი ციხე-სიმაგრეები), რომლებიც აგებული იყვნენ იმდროინდელი ქართული საფორტიფიკაციო ხელოვნების მოთხოვნათა შესაბამისად და მთიელთა საპრძოლო კოშკებს ზომითა და დამცველთა სიმრავლით ბევრად აღემატებოდნენ, არც ისე ადვილად ასაღები იქნებოდნენ. ამიტომ დავით VIII იძულებული გახდა ხანგრძლივ ბლოკადაში მოექცია ისინი, რათა მეციხოვნეები შიმშილით გატეხილიყვნენ (გვ.

349). მატიანეში გვაქვს ცნობები ციხეების ღამე იერიშით ალებისა და ა.შ. თავის მხრივ ციხეთა დამცველები აქტიურ თავდაცვას აწარმოებენ, ხშირად გამოდიან გარეთ და თავს ესხმიან მოალყებს. მაგალითად, გრუელებს „სამ გზის მთამდის ჰომითა გამოესხნეს“ მათ სიმაგრეებზე მომდგარი ცხრაზმისხეველები (გვ. 344).

„ძეგლი ერისთავთა“ შეიცავს ბევრ საყურადღებო ცნობას XIII-XIV სს-ში ქართლის მთანეთში მომხდარ ომებზე, რომელთა შესახებ სხვა წყაროები ან არაფერს ამბობენ, ან მნირ მასალას გვაწვდიან. განსაკუთრებით უხვადაა აქ მეზობელ თემებს შორის მიმდინარე ძმათამკვლელი შეტაკებების ამსახველი ფაქტები. ამ მხრივ მატიანე შეიძლება გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დადების“ შემდეგი სიტყვების ერთგვარ ილუსტრაციადაც გამოვიყენოთ: „დიდი უსამართლო და მძლავრებულობა ქმნილი იყო ერთმანერთსა ზედა და სისხლის სიმსუპუქებისათვის ადვილი ჩანდა ერთმანეთის ღალატად დასხმა და დაქცევა ციხეთა“⁸. „ძეგლი ერისთავთაში“ ვხედავთ, რომ ქსნელ და არაგველ მთიულებს შორის ხშირი იყო შეიარაღებული შეტაკებები. მათი ალწერისას მემატიანე ტენდენციურობას ამჟღავნებს თავისი ხევის სასარგებლოდ და ამიტომ მის ცნობებს კრიტიკულად უნდა მოვეკიდეოთ.

„ძეგლი ერისთავთას“ შემორჩენილ ნაწილს თავიდან ბოლომდე წითელი ძაფივით გასდევს დვალებისა და ქვენიფრეველების მტრობის ამბავიც. ქსნელებისა და არაგველების ბრძოლისაგან განსხვავებით, რომელიც მთაში პირველობისათვის მიმდინარეობდა, ერისთავების პოლიტიკა დვალების მიმართ არის სათავადოდ ჩამოყალიბების გზაზე მდგარი სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეულის სწრაფვა დაიმონის უფრო ჩამორჩენილი, ჯერ კიდევ გვაროვნული წყობილების საფეხურზე მყოფი ხალხი. ეს ბრძოლა თავისი არსით კლასობრივი

8. ს. კაკაბაძე. ძეგლის დადება გიორგი ბრწყინვალისა. ტფ., 1913, გვ. 4-5

იყო და ამიტომ მეტად სასტიკ და უკომპრომისო ხასიათს ატარებდა. მემატიანეს სურს, რომ დამნაშავე მხარედ დვალები წარმოაჩინოს, თითქოს ერისთავთა დამსჯელი ლაშქრობები მხოლოდ პასუხი იყო მათ მტრულ მოქმედებებზე. რა თქმა უნდა, ბრძოლაში ინიციატივა ზოგჯერ დვალებს ეკუთვნოდათ, მაგრამ მთლიანობაში აშკარად ჩანს, რომ შემტევი მხარე საერისთავოა. „ავაოქროთ ქუეყანაა მათი და ანუ შევქმნეთ მსახურ და მობეგრედ ჩუენდა“, მოუნიდებს ვირშელ III თავის მეომრებს დვალებზე გამხედრების წინ (გვ. 356). „ძეგლი ერისთავთა“ გვიჩვენებს, რომ სამხედრო უპირატესობა ყოველთვის საერისთავოს ლაშქრის მხარეზეა, რაც, უდავოდ, გამოწვეული იყო მისი უკეთესი აღჭურვილობითა და ორგანიზაციით. ამიტომ დვალები „ლაშქართან“ პირისპირ შებმას გაურბიან. თავს ესხმიან ან ლამით, ან იმ შემთხვევაში, როცა დარწმუნებული არიან თავის რიცხობრივ უპირატესობაში. გარდა ამისა, დვალები ხელიდან არ უშვებენ შესაძლებლობას თავის სასარგებლოდ გამოიყენონ საერისთავოს პოლიტიკური მდგომარეობის ყოველი გართულება. მაგალითად, მათ ვხედავთ ცხრაზმისხვზე ამხედრებული დავით VIII-ის ლაშქარში (გვ. 347), თემურ-ლეხგის ჯარების შემოსევის დროს ისინი ცდილობენ ვირშელის მოკვლას (გვ. 359), და სხვ. დვალები დამოუკიდებლადაც ესხმიან თავს საერისთავოს, მაგრამ მათი თავდასხმები მძარცველურ ხასიათს ატარებს, რაც საერისთავოს მთლიანობას არ ემუქრება და მხოლოდ მის განაპირა ტერიტორიებზე ვრცელდება (გვ. 353, 355, 356).

სამაგიეროდ, ერისთავები გეგმაზომიერად ახორციელებენ დვალების დამორჩილებას. მათი ლაშქარი ღრმად იჭრება დვალეთის ხევებში და სასტიკად უსწორდება მოსახლეობას წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში. სისტემატურად ხდება დვალთა ციხე-კოშკების დანგრევა, რაღაც ისინი მთიელთა თავისუფლების სიმბოლო და დასაყრდენი იყო ფეოდალებთან ბრძოლაში. „ძეგლი

ერისთავთაში“ განსაკუთრებით დაწვრილებით არის აღნერლი ვირშელ III-ის დიდი ლაშქრობა დვალეთ-მთიულთში 1390-იანი წე. მეორე ნახევარში. დასაშვებია, რომ „ძეგლის“ ავტორი ამ ლაშქრობის უშუალო მონაწილე იყო. მისი ცნობით, ერისთავმა გალაშქრების წინ სიტყვით მიმართა თავის მეორებს და ამცნო მათ ექსპედიციის მიზანი. ერისთავის ძლიერმა ლაშქარმა ჯერ ლიახვის ზემონელზე მცხოვრები დვალები დაიმორჩილა, შემდეგ კი თრუსოში გადავიდა. თრუსოელებმა ვირშელს დახმარება სთხოვეს მნაელებთან ბრძოლაში⁹. ერისთავის ლაშქარმა გამაგრებული სოფელი მნა იერიშით აიღო. ამის შემდეგ ვირშელი ძალთა დემონტრაციას აწყობს ხევ-მთიულეთში. მისი ლაშქარი კობამდე დაეშვება და იქიდან არაგვის ხეობაში გადმოდის. შესაძლოა, ვირშელმა მილიონის რთული უდელტეხილით ისარგებლა, რადგანაც მისი მხედრობა ხადის ვაკეზე აღმოჩნდა¹⁰, საიდანაც ლომისას გზით ცხრაზმის საერისთავოში დაბრუნდა (გვ. 356-357).

გასაკვირი არ არის, რომ მატიანეს ავტორი ცდილობს მუდამ ერისთავების გამარჯვებები გვიჩვენოს და ისანი მართალი საქმისათვის მებრძოლებად წარმოაჩინოს. ფეოდალური ხანის ყოველი ნარატიული ქრონიკა რომელიმე მეფის, დინასტიის ან წარჩინებული საგვარეულოს განსაზღიდებლად იწერებოდა. „ძეგლი ერისთავთა“ რომ ერთგვარ ტენდენციურ ხასიათს ატარებს, ადვილი მისახვედრია თუ მას უამთააღმწერლის ცნობების იმ ადგილებს შევუდარებთ, სადაც დავით VIII-ის

9. თრუსო დვალებით იყო დასახლებული, მაგრამ ამ დროს უკვე დაწყებული ჩანს ამ ხეობაში ოსების ჩამოსახლება, რაზეც მიუთითობს მნაელი ბელადების სახელები: ფარეჯან, ბალათარ და სხვ. მტრობა თრუსოელთა და მნაელთა შორის გვიჩვენებს, რომ ოსთა ჩამოსახლება ყოველთვის მშვიდობიანი არ ყოფილა.

10. ხადის ვაკე უნდა იყოს ხადის მინდორი — ყველაზე ვრცელი ადგილი შუაგულ ხადის ხეობაში (იხ. ჯ. გვასალია, გ. გორგაძე, მ. სურამელაშვილი, ლ. ჭურლულია. ხადის ხეობა. თბ., 1983. გვ. 8).

აჯანყებაზეა საუბარი. უამთააღმწერლის მიხედვით, მონღლებთან მებრძოლი დავითი არაგვის ხეობაშია გამაგრებული. იქ შესულ თათრებს შალვა ქვენიფნეველი მიუძღვის წინ. თათრები ვერ ახერხებენ მთიელების დამარცხებას და უკან იხევენ. მეფე ორგული ქვენიფნეველის დასასჯელად ცხრაზმისხევში ჩადგება და ერისთავის მამულებს არბევს. შალვა იძულებულია თავზე ნაცარგადაყრილი ეახლოს დავითს და პატიება ითხოვოს¹¹.

„ძეგლი ერისთავთას“ ავტორი ამ ამბებს სხვანაირად გადმოგვცემს. მისი ცნობით, დავითი ტახტის უზურპატორია და შალვა კანონიერი მემკვიდრის, ვახტანგის ინტერესების დასაცავად იწყებს ბრძოლას (რაც სწორი არ არის). დავითი ცხრაზმისხევის ციხეებს შემოეწყობა, მაგრამ მეციხოვნები მედგარ წინააღმდეგობას უწევენ. ძეგლის ავტორი დავითის ლაშქარში მთიულების და დვალების გარდა მუხრანის, კახეთისა და შირვანის თათრებსაც ასახელებს, რაც ისევ უზუსტობაა. აქ მემატიანე წინააღმდეგობაში ვარდება. ერთი მხრივ აღნიშნავს რომ ვახტანგი და შალვა მონღლოლთა მხარდაჭერით სარგებლობენ, მეორე მხრივ კი მონღლები დავითის ლაშქარში შეჰვავს. „ძეგლში“ არავითარი ცნობა არ არის შალვას მიერ თავზე ნაცრის ნაყრისა. პირიქით, იგი წარმატებით ებრძვის დავითს და ციხეებს ლენავს არაგვის ხეობაში (გვ. 350-351).

როგორც ვხედავთ, ავტორი ცდილობს თხზულების შემკვეთთა წინაპრების საქმიანობა მაქსიმალურად შეალამაზოს. ამასთან მის მოთხოვნაში ბევრი საინტერესო ცნობა გვხვდება, რაც უამთააღმწერელს არ შეუტანია თავის ნაშრომში. მაგალითად, დავით VIII-ის ცხრაზმის საერისთავოში ლაშქრობის დეტალები. შალვას მიერ ხადაში ციხეების აღებაც არ უნდა იყოს გამოგონილი. მხოლოდ, საგარაუდოა, რომ ამას ადგილი ჰქონდა დავითის ცხრაზმისხევში გალაშქრებამდე და არა მის შემდეგ.

ამრიგად, განსხვავებანი „ძეგლი ერისთავთას“ და უამთააღმწერლის ცნობებს შორის არც ისე დიდია. პირიქით, ქართული საისტორიო მწერლობის ეს ორი ძვირფასი ძეგლი მნიშვნელოვნად ავსებს ერთმანეთს.

სრულიად ორიგინალურ ცნობებს შეიცავს „ძეგლი ერისთავთა“ 1400 წ. ქართლის მთიანეთში თემურლენგის ჯარების შემოსევის შესახებ. ამ ცნობებიდან ვხედავთ, რომ ვირშელ ერისთავი მტრის დასახვედრად საგულდაგულოდ მომზადებულა. დედანული და ხიზანი მან ქნოლოს გაგზავნა, თვითონ კი თავისი ლაშქრით ბეჭუშის ციხესთან დაიკავა პოზიცია (გვ. 359). ამ ადგილის არჩევა შემთხვევით არ მომხდარა. პატარა ლიახვის სათავეში მდებარე ხევი ქნოლო საერისთავოს მიწებიდან ყველაზე უფრო მეტად არის დაცილებული იმ ადგილებს, საიდანაც მოსალოდნელი იყო თემურის შემოტევა. ქნოლოს მიდამოებში არსებული უმდიდრესი საძოვრები გამოკვებავდნენ გახიზნულ საქონელს. სამხრეთიდან კი ქნოლოს მისადაგომ ვიწრო ტყიან ხეობას და მთის ბილიკებს საიმედოდ ჰკეტავდა სიმაგრეთა მთელი სისტემა, რომლის მთავარი კვანძი ბეჭუშის ციხე იყო ¹².

ბეჭუშის ციხესთან გამართული ბრძოლები საკმაოდ დაწვრილებით არის აღწერილი „ძეგლში“. ვხედავთ, რომ ვიწრო ხევებში თემურის მხედართმთავრებმა ვერ გამოიყენეს თავიანთი ძალების რიცხობრივი უპირატესობა. მტრის ცხენოსანმა ჯარმა დიდი ზარალი განიცადა ქართველი მშვიდოსნებისაგან და იძულებული შეიქნა დაქვეითებულიყო. ბოლოს თემურის ნინამპრძოლებმა, რომლებმაც ველარ გაუძლეს ხმალდახმალ ბრძოლას, პირი იბრუნეს და მთელი ლაშქარი მათ მი-


12. ბეჭუშის ციხე მდებარეობდა ჩაბარუხის ხევის პატარა ლიახვთან შეერთების ადგილას (იხ. ვ. გვასალია. ქსნის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები // საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, III. თბ., 1967. გვ. 48).

ჰყვა (გვ. 359). ომში ქართველებმაც სერიოზული ზარალი ნახეს. მემატიანის სიტყვებით, ვირშელმა „შევკრიბა ლაშქარი, რომელიც დაპრჩომოდა“ (გვ. 360).

ორიოდე სიტყვა ცხრაზმის საერისთავოში თემურ-ლენგის ჯარების შესევების ლოკალიზაციის შესახებ. საერისთავოს ტერიტორია მტკვრის მარცხენა შენაკადების – ქსნის, ლეხურას, მეჯუდას და პატარა ლახვის ზემონელს მოიცავდა, რომელთა შორის ტყიანი ქედებია ჩამონალილი. სავარაუდოა, რომ თემური, ჩვეულებისამებრ, ცალკეულ რაზმებს გაგზავნიდა ხეობებში აღმა ასასვლელად. როგორც ჩანს, მტერს არც ერთი ამ მდინარეთაგანის სათავეებში არ აუღწევია ვინაიდან „ძეგლი ერისთავთაში“ მოხსენიებული დარბევას გადარჩენილი პუნქტები სწორედ იქ მდებარეობს. სავარაუდოა, აგრეთვე, რომ საერისთავოს მოსახლეობა შედარებით ნაკლებად დაზარალდა თემურ-ლენგის ჯარების თარეშისაგან, რადგანაც დროულად მოასწრო გახიზვნა. „ძეგლი ერისთავთა“ აღნიშნავს მხოლოდ შენობების დანგრევასა და ქვეყნის აოხრებას. საერისთავოზე დაძრული ლაშქრის მთავარ ძალებს თემური პატარა ლახვის ხეობაში გაგზავნიდა, ვინაიდან მოღალატეებისაგან (ბურდიას შვილი და სხვ.) ეცოდინებოდა, რომ ამ მდინარის სათავეებში იმყოფებიან კათალიკოსი, ერისთავი და დიდალი ხიზანი და საქონელი.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, ქსნის ერისთავთა ქრონიკამ შემოგვინახა ქართველი ხალხის თემურ-ლენგის ურდოების წინააღმდეგ გმირული ბრძოლის კიდევ ერთი სურათი.

ბესუშის ციხესთან ბრძოლების დამთავრების შემდეგ ვირშელ ერისთავი ქნოლოში ავიდა დედანულს მოსანახულებლად, იქ დვალებმა სცადეს მისი მოკვლა, რადგან ჩათვალეს, რომ საამისოდ ხელსაყრელი მომენტი დაუდგათ (გვ. 359). მართალია, ერთგული კაცის მიერ გაფრთხილებული



საბრძოლო მოქმედებები ქართლის მთიანეთში XIII საუკუნის დასასრულიდან XV საუკუნის დასაწყისამდე „ძეგლი ერისთავთა“-ს მიხედვით:

1 - საქართველოს საზღვარი; 2 - ცხრაზმის საერისთავოს დაახლოებითი საზღვარი XIV ს. დასაწყისში; 3 - დაბლების თავდასხმები ცხრაზმის საერისთავოში; 4 - ვირშელ III-ის დაშტრობა დაბლებითი უდიდესობითი დაბლების დასაწყისში;

5 - სხვა ფეოდალური დაშტრობები დაბლების დასაწყისში;

6 - ცხრაზმის საერისთავოში ოქმურლენგის ჯარების შედეგის მოავარი მიმართულებები;

7 - ციხესიმაგრების აღმართულების დაგილები;

8 - ციხესიმაგრების აღმართულების დაგილების დაგილები;

9 - უმნიშვნელოვანების ბრძოლების დაგილები.

ერისთავი მტერს გადაურჩა და შეთქმულების ორგანიზაციორებიც ამოხოცა, მაგრამ დვალების ეს აქცია თემურ-ლენგთან ომის დროს საქართველოს სამეფო კარზე, როგორც ჩანს, საერთო-საქვეყნო საქმის ღალატად ჩაითვალა და გადაწყდა მათი სამაგალითოდ დასჯა.

როგორც კი თემური საქართველოს გაეცალა, ლიახველ დვალებს სამი მხრიდან შეესია ლაშქარი. ქვემო დვალების დარბევას თვით გიორგი VII ხელმძღვანელობდა. ლიახვის სათავეების მახლობლად მდებარე ხოჯას არგველებმა შეუტიეს, ხოლო ცენტრიდან ვირშელმა მიაყენა დარტყმა და მივიდა როკამდე, სადაც თავდებოდა მარლან-დვალეთი და ინწყებოდა ქვემო დვალთა ტერიტორია (გვ 360-361). დვალეთის დარბევისა და იქ ნაშოვნი ალაფის აღნერაზე წყდება „ძეგლი ერისთავთას“ ტექსტი¹³.

ამრიგად, როგორც ვხედავთ „ძეგლი ერისთავთა“ შეიცავს მეტად საყურადღებო და მრავალმხრივ ცნობებს საქართველოს სამხედრო ისტორიის შესახებ XIII ს-ის დასასრულიდან XV ს-ის დასაწყისამდე. ხოლო ქართლის მთიანეთის სამხედრო საქმის ისტორიისათვის კი მისი ცნობები ნამდვილად უნიკალურია და ამ მხრივ მას ვერც ერთი სხვა წერილობითი წყარო ვერ შეეძრება.

13. ლიახვის ხეობის აოხრება, ცხადია, თემურთან უთანასწორო ბრძოლებში სისხლისაგან დაცლილი საქართველოს ინტერესებში არ შედიოდა და ამ შემთხვევაში გიორგი VIIIს ვერ გავამართლებო. დვალები ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ არ გამოსულან. ისინი შეეცადნენ თავიდან მოცილებნათ საძულველი მტერი, რომელსაც ცეცხლითა და მახვილით არაერთხელ გადაუვლია მათ სოფლებზე. დვალების დასჯა, ჩვენი აზრით, მეფისა და ქართველი ფეოდალების მხრივ ცხრაზმის ერისთავისადმი კლასობრივი სოლიდარობის გამოვლინება უფრო იყო, ვიდრე სამხედრო-პოლიტიკური აუცილებლობით ნაკარნახევი ღონისძიება.

The Struggle of the Georgian Population against the Minor Asian Nomadic Tribes

Under the Mongol domination in Anatolia, the Turkish nomads increased in number and intensified activities. Taking advantage of the unstable situation, they disobeyed the Mongol Ilkhanids and raided neighboring Christian countries (the Byzantine Empire, Trebizond, Cilician Armenia and Georgia). The most vulnerable to the Turkish raids was the southern part of Georgia, which in that period was a half-independent principedom. According to a 14th century anonymous chronicle, con-

სამხრეთ საქართველოს მოსახლეობის პრძოლა მცირეაზიელი მომთაკარე ტომების წინააღმდეგ¹

ხვარაზმელთა ხუთწლიანმა თარეშმა (1225-1230 წწ.) და მას მოყოლებულმა მონღოლთა ბატონობამ, საქართველოს თითქმის ერთიანად გამოაცალა ყველა ის მონაპოვარი, რასაც ქვეყანამ წინა საუკუნეების მანძილზე მიაღწია. საქართველომ დაკარგა პოლიტიკური დამოუკიდებლობა. მას ჩამოსცილდა ყმადნაფიციდამოხარკესამთავროები. მძიმე ხარკთან ერთად მონღოლებმა ქვეყანას „სისხლის ბეგარაც“ დაადგეს: ქართული ლაშქარი ვალდებული იყო მონაწილეობა მიეღო მონღოლთა გაუთავებელ ომებში, რაც იწვევდა ათასობით ჯან—ღონით სავსე ვაჟეკაცის სიკვდილს მონღოლთა სამხედრო-ნომადური არისტოკრატიის პოლიტიკური ინტერესებისათვის. ქვეყნის მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებდა მონღოლების პერიოდული შემოსევები, რაც გამოწვეული იყო ქართველთა ხშირი აჯანყებებით მათ წინააღმდეგ. 1250 წ. განმათავისუფლებელი ბრძოლის პროცესში დასავლეთი საქართველომ აღიდგინა პოლიტიკური დამოუკიდებლობა, მაგრამ ამას ქვეყნის ორ სამეფოდ გაყიფა მოჰყვა. ცენტრალური ხელისუფლების დასუსტება, ცხადია, მსხვილი ფეოდალების გაძლიერებას იწვევდა.

XIII ს-ის მეორე ნახევარში განსაკუთრებით დაწინაურდა ჯაყელთა საგვარეულო. სამცხის მფლობელები თავის გავლენას თანდათანობით მეზობელ საერისთავოებზე ავრცელებენ და მალე ფაქტობრივად მეფის ხელქვეითობიდანაც გამოდიან: უშუალოდ ემორჩილებიან წინა აზიის

1. წერილის ძირითადი დებულებები პირველად დაიბჭდა რუსულ ენაზე წიგნში: გ. ანაბადაძე. Источниковоедческие проблемы военной истории Грузии~. Мецниеребა. Тб., 1990. ქართულ ენაზე — სამეცნიერო-პოპულარულ კრებულში: „დიდგორი“. მეცნიერება. თბ., 1991.

გამგებელ მონღლოლთა ყაენს (ილხანს). ასე ეყრება საფუძველი კიდევ ერთ ქართულ სახელმწიფოებრივ ერთეულს — სამცხის სამთავროს.

სამცხის მთავარი ბექა ჯაყელი (1285-1306 წწ.) თითქმის მთელი სამხრეთი საქართველოს მფლობელი იყო. „უამთააღმწერელად“ წოდებული XIV ს-ის ქართველი ისტორიკოსის ცნობით, „ესე ბექა განდიდებულ იყო და აქუნდა ტასისკარითგან ვიდრე სპერამდე და ვიდრე ზღუამდე: სამცხე, ჭანეთი, აჭარა, შავშეთი, ნიგალისხევი: და ჭანეთი სრულიად მოსცა ბერძენთა მეფემან... ამასვე აქუნდა უმრავლესი ტაო, არტანი, კოლა, კორნიფორა, და კარი, და ამათ შინა ქუეყანანი და ციხენი, არტანუჯი და უდაბნონი ათორმეტი კლარჯეთი-სანი“. ბექა ხარკს უხდიდა მონღლოლთა ყაენს და, საჭიროების შემთხვევაში, ლაშქარი გამოჰყავდა მისთვის. ამასთან, სამცხის მთავარი აღმოსავლეთ საქართველოს მეფის ყმადაც ითვლებოდა და მის სავაზიროში ეკავა ერთ-ერთი უმაღლესი თანამდებობა — მანდატურთუხუცესობა. მაგრამ ეს ყმობა, როგორც ჩანს, უკვე მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა.

სამცხის სამთავროს პოლიტიკური და აგრეთვე ეკონომიკური გაძლიერება XIII ს-ის მეორე ნახევარსა და XIV ს-ის დასაწყისში მნიშვნელოვანი იყო ამ მხარის შედარებითი დაცულობით მონღლოლთა შემოსევებისაგან. 1260—1261 წლების აჯანყების შემდეგ სამხრეთ საქართველო ილხანთა ჯარებს აღარ დაულაშქრავთ, ხოლო ილხანთა მოწინააღმდეგე მონღლოლი უფლისწულების თარეშს ეპიზოდური ხასიათი ჰქონდა და თავისი მასშტაბით, ცხადია, ვერ შეედრება თუნდაც ჩრდილოეთის ულუსის — ოქროს ურდოს — გამგებლის, ბერქე-ყაენის „გამოსვლას“, რომელმაც 1266 წ. კახეთ-ჰერეთის მნიშვნელოვანი ნაწილი იავარჲყო.

მოკლედ, XIII-XIV სს-ის მიჯნაზე სამცხის სამთავრო საგრძნობლად უკეთეს პირობებში იმყო-

ventionally called the Centennial Chronicle, under the reign of Beka I (1285-1306) Georgia underwent a powerful invasion of the nomads. Remarkably, Beka not only defeated the enemy and ousted them from his country, but invaded their bases as well.

The article attempts to detect the nature of the warfare during the Turkish raids (1301-1302) and is followed by a map featuring the military operations.

The theses of the article were first published in 1990 in Russian in the author's book

"Источниковоедческие проблемы военной истории Грузии".

ფებოდა, ვიდრე ქართლი, რომელიც მონღოლთა შემოსევებმა, ოსთა ბელადების თარეშმა და შინა-ფეოდალურმა ომებმა „მოახხეს უბოროტესად“.

მიუხედავად ამისა, სრული სიმშეიდე, რა თქმა უნდა, არც სამხრეთ საქართველოში სუფევდა. მის საზღვრებს უტევდნენ თურქული (თურქმანული) ტომები, რომელებიც ძალიან გააქტიურდნენ XIII ს-ის მიწურულისათვის. წინამდებარე წერილის მიზანსაც, ამ მეომარი მომთაბარეების წინააღმდეგ ქართველი ხალხის ბრძოლის ერთი ეპიზოდის ჩვენება წარმოადგენს.

თურქმანული ტომები, ანუ ოღუზები, საქართველოს პირველად XI ს-ში მოადგნენ, სელჩუკთა დამპყრობლური ომების დროს. „მოეფინეს პირსა ყოვლისა ქუეყანისასა, ვითარცა მკალნი“, - წერს მათ შესახებ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. აღსანიშნავია, რომ მომთაბარეები საქართველოში მარტო ნადავლის საშოვნელად კი არ მოდიოდნენ, არამედ სახლდებოდნენ კიდევაც. ტაოში მათი საზამთრო სადგომები ჩნდება. მართალია, დავით აღმაშენებელმა დალაშქრა და დაანიოკა ტაოში ჩამომდგარი ტომები, მაგრამ თურქული საფრთხე სამხრეთ საქართველოსათვის და, პირველ რიგში, ტაოსათვის მაინც არ გამქრალა. გიორგი III-ისა და თამარის დროსაც კი, როდესაც საკუთრივ ქართულ მიწებს გარეშე მტერი თითქმის აღარ ემუქრება და ქართული ლაშქარი თავის ეთნიკური ტერიტორიის ფარგლებს გარეთ ებრძვის და ავინროებს მაჰმადიანებს, ტაო-არტაანში თურქმანები და სელჩუკიანი ამირები არა მარტო განაგრძობენ ყაჩაღურ რეიდებს, არამედ გარკვეულ ტერიტორიებაც კი იპყრობენ და ქართველებს ბრძოლა უხდებათ, რათა დაიბრუნონ ოლთისი, ბანა, ხახული და „სხვანი მრავალნი სახელოვანნი ციხენი და ადგილნი“. სამხრეთ საქართველოს ეჭიდებიან როგორც ცალკეული თურქმანული ტომები და მოსაზღვრე მაჰმადიანი ამირები, ასევე მცირე აზიაში ჩამოყალიბებული სელჩუკთა სახელმწიფოს (რუმის სასულთნოს) მესვეურები.

რუმის სულთანი რუქნ ად-დინ სულეიმანშაჰი, როგორც ცნობილია, სასტიკად დამარცხდა ბა-სიანის ველზე 1202 წ., მაგრამ ერთ-ერთმა მისმა მემკვიდრემ ალა ად-დინ ქეიყობად I-მა (1220-1237 წწ.), ისარგებლა რა საქართველოს დასუსტებით ხვარაზმელებთან ბრძოლაში, მოახერხა XIII ს-ის 30-იანი წლების დასაწყისში დროებით დაეპყრო ტაოში ოლთისი და ზოგიერთი სხვა ციხესიმაგრე.

ძნელი მისახვედრი არ არის, თუ როგორ წარიმართებოდა ამის შემდეგ რუმისა და საქართველოს ურთიერთობა, ორივე სახელმწიფო მოკლე დროში მონღოლთა უღელქვეშ რომ არ აღმოჩენილიყო.

1243 წ. მონღოლებმა სასტიკად დაამარცხეს რუმის სელჩუკები, წაართვეს მათ აღმოსავლეთ ანატოლია და სულთნების ხელში დარჩენილი მიწებიც მძიმედ დახარკეს. ამის შემდეგ სელჩუკთა სახელმწიფოს აღორძინება აღარ ეწერა. XIII ს-ის ბოლოს იგი იძლება ცალკეულ სამთავროებად და 1307 წ., როდესაც მონღოლებმა უკანასკნელი სულთანი მოკლეს, საერთოდ წყვეტს არსებობას.

მიუხედავად იმისა, რომ 1243 წ. შემდეგ მომთაბარე თურქულ ტომებს სელჩუკიანი სულთნები ზურგს ვეღარ უმაგრებენ, მათი თავდასხმები მეზობელ ქრისტიანულ ქვეყნებზე (ბიზანტია, ტრაპიზონის იმპერია, კილიკია, საქართველო) არ სუსტდება. პირიქით, სირიელი და მცირე აზიელი ოღუზები სარგებლობენ მონღოლთა შემოსევით გამოწვეული არეულობით და 1246-1247 წწ. საქართველოს სახელმწიფოს სასაზღვრო რაიონებში ორ დიდ ლაშქრობას აწყობენ. ერთი მათგანი კვლავ ტაოს წინააღმდეგ იყო მიმართული, მაგრამ სამხრეთ საქართველოს საერისთავოების გაერთიანებულმა ლაშქარმა ყვარყვარე ჯაყელის სარდლობით დაამარცხა მტერი და განდევნა ქართული მიწა-წყლიდან.

მონღოლთა გაბატონებამ დიდი ცვლილებები

მოუტანა მცირე აზიასაც. დამპყრობლებმა განსაკუთრებით მძიმედ ააოხრეს მისი აღმოსავლეთი და ცენტრალური რაიონები. ეს მიწები, როგორც აღვნიშნეთ, მათ სელჩუკებს ჩამოართვეს და უშუალოდ შეუერთეს თავის სახელმწიფოს. მონდოლთა ბატონობამ აქ სამოც წელინადზე მეტ ხანს გასტანა. ამ ხნის განმავლობაში აღმოსავლეთ ანატოლიაში შემცირდა ბინადარი მოსახლეობა (ათობით ათასი გლეხი და მოქალაქე მონდოლებმა გაუშლიტეს ან ტყვედ წაიყვანეს, ბევრი უცხო მხარეებში გადაიხვენა) და გამრავლდნენ მომთაბარეტომები (ადგილობრივ ხომადებს შეემატა შუა აზიდან და ორანიდან გადმოსული ჯგუფები). თურქმანთა ბელადები სარგებლობენ სელჩუკთა სახელმწიფოს დაშლითა და მონდოლების არც თუ ისე მყარი მდგომარეობით მცირე აზიაში და თანდათანობით ძალებს იკრებენ. მონდოლები ეჭვის თვალით შესცეკროდნენ შექმნილ ვითარებას, რადგანაც თურქმანთა გაძლიერება საფრთხეს უქმნიდა მათ ბატონობას წინა აზიის ამ ნაწილში. ჰულაგუ-ყაენი და სხვა ილხანები ჯარებს აგზავნიდნენ თურქმანთა წინააღმდეგ, მაგრამ მათი საბოლოო დამორჩილება ვერ ხერხდებოდა. ოლუზები მონაწილეობდნენ ანტიმონდოლურ გამოსვლებში, ყაჩაღობდნენ საქარავნო გზებზე და საერთოდ თავისუფლად გრძნობდნენ თავს.

განსაკუთრებით გააქტიურდნენ თურქული ტომები XIII ს-ის ბოლოდან. მათი დიდი მასები თავს ესხმიან მეზობელ ქრისტიანულ სახელმწიფოებს. მომთაბარეები მარტო ძარცვა-გლეჯას არ ჯერდებოდნენ; ახალი საძოვრების ძებნაში ისინი მთელ პროვინციებს იპყრობდნენ და თავიანთ ჯოგებით სახლდებოდნენ. მაგალითად, XIII ს-ის 80-90-იან წლებში თურქმანებმა გააპარტახეს და დაიპყრეს ტრაპიზონის იმპერიის დასავლეთი ნაწილი.

2. XI-XIV სს-ის ქართულ წყაროებში მცირე აზია ინოდება „საბერძნეთად“, როგორც ოდესლაც ბიზანტიის იმპერიაში

ამავე პერიოდში იწყება მომთაბარეების ახალი ძლიერი შემოტევა სამხრეთ საქართველოზე „ამათ უამთა გამოჩნდეს თურქი საბერძნეთს² მყოფნი, რომელიც დაემკვდრნეს ზაფხულის მთათა პარხალისათა და ზამთრის მახლობლად პონტოსა“, - გვაუწყებს უამთააღმნერელი. ნომადები ჭოროხის ზემო წელზეც იკიდებენ ფეხს — სპერსა და ბაიბურდში.

ამგვარად, XIV ს-ის მემატიანე გვაცნობს საქართველოზე ამხედრებული თურქმანების მომთაბარეობის ზონებს: ზაფხულის პერიოდს ისინი ატარებდნენ ჭოროხის ხეობის ზემო და შუა წელზე – პარხალის, სპერისა და ბაიბურდის იალაღებზე, ხოლო ზამთრობით შავი ზღვის (პონტოს) სანაპიროზე ჩამოდიოდნენ. მემატიანე არ აკონკრეტებს ზღვისპირეთის რომელ ნაწილში იყო განლაგებული ამ ტომების საზამთრო სადგომები, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიის გეოგრაფიას და აგრეთვე, XIII-XIV სს-ის მიჯნაზე არსებულ პოლიტიკურ სიტუაციას, დავრწმუნდებით, რომ აღნიშნული სადგომები მდებარეობდნენ მდ. ფილაბონიტისის (ახლანდელი ჰარშით-ჩაი) შესართავთან და უფრო დასავლეთით. სამხრეთ შავიზღვისპირეთის ამ ნაწილიდან ჭოროხისაკენ მიმავალი უმოკლესი გზა ჰარშით-ჩაის ხეობას აჰყვება და ვავუქის უღელტეხილით ქ. ბაიბურდთან ჩადის. ამ გზის სამხრეთ-აღმოსავლეთი მონაკვეთი ემთხვეოდა ტრაპიზონ-თავრიზის დიდ სავაჭრო მაგისტრალს, ზოგი რომელიც, მეცნიერის აზრით, ჰარშითის ხეობაში იმ დროს ტრაპიზონის იმპერიის პროვინცია ქალდია მდებარეობდა. ქალდია მდიდარი იყო სასარგებლო წიაღისეულით; მასზე, როგორც აღვნიშნეთ, გადიოდა მეტად მნიშვნელოვანი სავაჭრო გზაც. მომთაბარე ტომებს ეს კუთხე აგრეთვე თავისი საძოვრებიც იზიდავდა. ამიტომ ქალდიაზე ბატონობისათვის ტრაპიზონელ ფეო-

შემავალი მხარე, თუმცა XI ს-ის ბოლოდან ამ ქვეყნის დიდი ნაწილი უკვე თურქების მიერ იყო დაპყრობილი.

დალებსა და თურქმანთა ბელადებს შორის მრავალი ათწლეულის მანძილზე შეუპოვარი ბრძოლა წარმოებდა. ეს ბრძოლა ცვალებადი უპირატესობით მიმდინარეობდა. XIII-XIV სს-ის მიჯნაზე, როგორც ჩანს, აქ თურქები ბატონობდნენ, მაგრამ 1302 წ. სექტემბერში ტრაპიზონის იმპერატორი ალექსი II (1297-1330 წე.) ილაშქრებს მათ წინააღმდეგ და იკავებს ჰარშითის დასავლეთით მდებარე ქ. კერასუნტის. XIV ს-ის შეუბანებში ქალდიას ისევ თურქები ემუქრებიან. იმპერატორ ალექსი III-ის (1349-1390 წე.) ცდა 1360 წ. დაიბრუნოს პროვინცია, უშედეგოდ მთავრდება. მხოლოდ 20 წლის შემდეგ მოიპოვა იმპერატორმა მნიშვნელოვანი გამარჯვება თურქებზე. ტრაპიზონელი მემატიანე მიქელ პანარეტოსის ცრობით 1380 წლის თებერვალში „დაიძრა მეფე ხმელეთითა და ზღვით ჭაპნიდების“ წინააღმდეგ აიარა მთელი მდინარე ფილაბონიტისი საზამთრო სადგომებამდე და მოახრა მათი სადგომები, დახოცა, დაწვა და მოიალათა ისინი უკან დახეულთ ომის შემდეგ ბევრჯერ მოუხდათ ხელჩართული ბრძოლა დადევნებულ თურქებთან“.

ზემოთ მოყვანილი ცნობები ნათლად გვიჩვენებს, რომ ფილაბონიტისის, ანუ ჰარშითის, ხეობაში თურქმანებს საზამთრო სადგომები ჰქონდათ. მათვე ეკავათ 1302 წლის შემოდგომამდე ზღვის-პირა ზოლი კერასუნტის რაიონში.

ამრიგად XIII-XIV სს-ის მიჯნაზე ანატოლიის ჩრდი-

3. ტრაპიზონის იმპერიის ისტორიისა და მისი მატიანის მკვლევრები ეთნონიმ „ჭაპნიდს“, როგორც წესა, ჭანებსა და ჭანეთს უკავშირებენ. სინამდვილეში „ჭაპნიდს“ არაფერი აქვს საერთო ჭანთან. პანარეტოსის „ჭაპნიდი“ წარმოადგენს თურქული ტომი – ჩაფნი-ს სახელწოდების ბერძნულ ფორმას. ჩაფნების ტომი, რუმის სასულთნოს დაშლის შემდეგ, ნანილობრივ ქ. სინოპთან, ნანილობრივ კი – ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიაში ცხოვრობდა, ჩაფნებს შეუდლი და მტრობა ჰქონდათ ქალდიელ ფეოდალებთან XV ს-ის დასაწყისშიც, როდესაც ჰარშითის ხეობაზე თემურ-ლევნგთან მიმავალმა კასტილის ელჩობამ გაიარა.

ლო-ალმოსავლეთ ნაწილში ვხედავთ მომთაბარე თურქულ ტომებს, რომლებსაც საზამთრო სადგომები ჰქონდათ სამხრეთ შავიზღვისპირეთში – ფილაბონიტისის (ჰარშითის) ხეობასა და ქ. კერასუნტის მიდამოებში, ხოლო საზაფხულო სადგომები კი ჭოროხის ხეობაში – ბაიბურდიდან პარხალამდე. ეს ტერიტორიები ფორმალურად მონღოლთა ილხანებს და მათზე დამოკიდებულ ტრაპიზონის იმპერიასა და საქართველოს ეკუთვნოდათ, ფაქტობრივათ კი თურქული სამხედრო-ნომადური არისტოკრატიის ხელში აღმოჩნდა.

თურქმანების დამკვიდრება ჭოროხის ხეობაში კარგს არაფერს უქადდა ადგილობრივ ქართულ მოსახლეობას. მოსული ელემენტი დამხვდური-საგან განსხვავდებოდა ენით, რელიგიით, ზნეჩვეულებებით, საზოგადოებრივი წყობითა და სხვ. ამასთან ერთად, რაც მთავარია, ნომადებს ბინადარი ქრისტიანული მოსახლეობის რბევა ჩვეულებრივ ამბად მიაჩნდათ; შეიძლება ითქვას, რომ ეს მათი საქმიანობის ერთ-ერთი დარგი იყო. როგორც წესი, თურქების ყოველ გადმოსვლას საზაფხულო საძოვრებზე (ისევე როგორც საზამთრო საძოვრებზე) თან სდევდა ადგილობრივი მოსახლეობის ძარცვა და აწიოკება.

როგორც აღვნიშნეთ XI ს-დან მოყოლებული, სამხრეთ საქართველო არასოდეს ყოფილა სრულიად დაზღვეული მომთაბარეთა თარეშისაგან, მაგრამ ისეთი მასშტაბის შემოსევები, როგორიც განსახილველ პერიოდში მოხდა, შედარებით იშვიათი მოვლენა იყო. უნიკალური ცნობები თურქმანთა ამ შემოტევისა და მათ წინააღმდეგ ქართველი ხალხის ბრძოლის შესახებ შემონახულია უამთააღმნერლის თხზულებაში, რომელიც ძველი ქართული მატიანეების კრებულის – „ქართლის ცხოვრების“ – შემადგენელ ნაწილს ნარმოადგენს.

ჯამთააღმნერლის ცნობით, იმ დროს, როდესაც აღმოსავლეთ საქართველოში მეფე დავით VIII

(1293-1311 წწ.) მონღოლებს ეპრძოდა (ეს აჯანყება 1297 წ. დაიწყო და რამდენიმე წელინადს გრძელდებოდა; სამხრეთ საქართველოს ფეოდალებს მასში მონაწილეობა არ მოუღიათ), ტაოს თურქმანთა დიდი ურდო შემოესია. მემატიანე მომხდურთა რაოდენობას განსაზღვრავს 60 ათასი კაცით, რომელთაც თან მოჰყავდათ თავი-ანთი ოჯახები და ჯოგები. ეს რიცხვი რამდენად-მე გადაჭარბებული უნდა იყოს, მაგრამ მაინც მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოს წინააღმდეგ მომთაბარეთა დიდი ძალები დაძრულა. მათ სათავეში იდგა ვინმე აზატ-მოსე – „კაცი მხნე და ძლიერი“. ტაოს მოსახლეობა მტრის დაცემას არ მოელოდა და გახიზვნა ვერ მოასწრო, თურქებმა სასტიკად აიკლეს ქეყყანა. „ესოდენი სული მოისრა და ტყუე იქმნა, ვითარ შეუძლებელ არს მოთხრობა ვითარ ბერნი, ყმანი, ჭაბუკნი უწყალოდ მოისრვოდეს, და ჩვლთა ყრმათა დედის ძუძუთა შინა მოჰკვლიდიან“, – წერს ისტორიკოსი. მარბიელმა ბასიანამდე, მურღულამდე და ნიგალისხევამდე ჩააღწია. ქართველთა დაქასაქსული რაზმები მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ მტერს. კლარჯეთში შესული მოთარეშეები აზნაურმა წერწემელისძეებმა ამოწყვიტეს, ტაოს ერი-სთავი თაყა ფანასკერტელი თორთომთან შეება მომხდურებს და დიდადაც ავნო, მაგრამ ძალთა სიმცირის გამო გადამწყვეტი გამარჯვება ვერ მოიპოვა, თავისი ქვეყნიდან მტერი ვერ გააძევა. გამძვინვარებული თურქმანები მეტი სისასტიკით ანადგურებდნენ ტაოს.

როდესაც ტაოში დატრიალებულმა ამბებმა სამცხეში, ბექა ჯაყელის ყურამდე მიაღწია, მან ლაშქარი შეჰყარა და ტაოს დასახმარებლად დაიძრა, მაგრამ მტერს ვეღარ ჩაუსწრო; ტყვეებითა და ალაფით დამძიმებული ურდო საზამთრო სადგომებისაკენ წასულიყო. ჟამთააღმწერელის ცნობით, ბექამ სიტყვით მიმართა შეკრებილ ქართველ მეომრებს. მოაგონა მათ დავით აღმაშენებლის გამარჯვებანი თურქებზე და აღნიშნა, რომ ახალი

შემოტევა საქართველოზე თურქებს შეაძლებინა ქვეყნის დასუსტებამ თათართა ბატონობის პირობებში და, აგრეთვე, ქართველ დიდებულთა შორის არსებულმა ქიშკმა და განხეთქილებამ. ბექა მოუწოდებდა ქვეყნის თავკაცებს ერთიანი ძალით დახვედროდნენ მომთაბარეთა ახალ შემოსვას. თავისი გამოსვლა მან ამ სიტყვებით დაამთავრა: „ან ისმინეთ ჩემი, ტომწო და ერთნებანო, და შევკრებეთ ყოვლითა ძალითა ჩუენითა და მივმართოთ თურქთა, და არა მივსცეთ თავნი და შვილნი ჩუენნი, და არა განგუნირნეს ღმერთმან მოსავნი მისნი და აღმსარებელნი მისნი, და მოგუცეს ძლევა მათ ზედა, ვითარ მისცა მამათა ჩუენთა მათ ზედა. დავდვათ თავი ჩუენი სჯულისა შეუგინებლობისათვის და ძმათა ჩუენთათვის, უეჭუელად ღმერთი მოგუანიჭებს ცხორებასა“.

ეს სიტყვა მოწმობს, რომ იმ პერიოდის მოწინავე ადამიანები კარგად ხედავდნენ, რა დამღუპველი შედეგები მოჰქონდა საქართველოსათვის პოლიტიკურ დაშლას და ესმოდათ მისი გაერთიანების აუცილებლობა. მომდევნო წლის ზაფხულში თურქმანები ისევ გამოემართნენ საქართველოსაკენ. უამთაალმწერლის ცნობით მომთაბარეებთან ერთად მრავალი „სპარსიც“ მოდიოდა, „რამეთუ ყოველთა ქალაქთაგან გამოჰყვა კაცი სჯულითა სარკინოზი წოცად ქრისტიანეთა“.

ამ შემთხვევაში „სპარსი“ მაინცადამაინც სპარსელად არ უნდა მივიჩნიოთ. განვითარებული ფეოდალური ხანის ქართულ მატიანებში „სპარსი“ კრებითი სახელწოდებაა და აღნიშნავს ბინადარ მაჰმადიანს, განურჩევლად მისი ეთნიკური წარმომავლობისა. ასე რომ, აღნიშნული პერიოდის ქართული წყაროების „სპარსი“ სინამდვილეში შეიძლება იყოს სპარსელი, არაბი, ბიხადარი თურქი ან სხვა რომელიმე ეთნოსის წარმომადგენელი. „თურქებსა“ და „თურქმანებს“ კი ქართული მატიანები მხოლოდ ოღუზებს – მომთაბარე თურქულენოვან ტომებს უწოდებენ. აზატ-მოსეს მხედრობას გამოყოლილი „სპარსები“, სავარაუ-

დოა, რომ იყვნენ თურქმანთა ამ გაერთიანების მოქმედების ზონაში, ან მის ახლომახლო ქალაქებიდან – არზრუმი, ერზინჯა, ბაისურდი და სხვ. ამჯერად, ქართველები მომზადებულები დახვდნენ მტერს. ბექა ჯაყელის დროშის ქვეშ მთელი სამხრეთ საქართველოს ფეოდალურ მხედრობას მოყეარა თავი. აქ იყვნენ მესხები, შავშები, კლარჯები, ტაოელები, თორელები და სხვ. სულ 12 ათასი კარგად შეიარაღებული ცხენოსანი მეომარი. უამთაალმწერელი საკმაოდ დაწვრილებით გადმოგვცემს ბრძოლების მიმდინარეობას. მისი ცნობით, მონინაალმდეგე მხარეებს გენერალური ბრძოლა არ გაუმართავთ, ისინი მოქმედებდნენ ცალკეული რაზმებით, რაც სავსებით შეესაბამება საომარ მოქმედებათა წარმოების წესს ისეთ მთა-გორიან მხარეში, როგორიც იყო ტაო – ომის ძირითადი ასპარეზი. თურქმენებმა, ჩვეულებისამებრ, სპერ-ბაიბურთსა და პარხალის მთებზე დაიბანაკეს. იქიდან აზატ-მოსემ 10 ათასი მხედარი ვაშლოვანისაკენ⁴ გააგზავნა, რომლის დაბევის შემდეგ, მთავარი ძალებით, იგი სამცხისა და ქართლის მიმართულებით აპირებდა გაჭრას.


ვაშლოვანი, როგორც ჩანს, საკვანძო რაიონს წარმოადგენდა, სადაც თავს იყრიდენ სხვადასხვა კუთხიდან მომავალი გზებია. მიტომ, მის დასაცავად ბექას წინასწარ გამოუყვია გარკვეული ძალები. ვაშლოვანის მცველებმა თურქები დაამარცხეს და დიდი ზარალით უკუაქციეს. როდესაც ბექამ ამ გამარჯვების ამბავი შეიტყო, სპერ-ბაიბურდის მიმართულებით დაიძრა, სადაც მტრის მთავარი ძალები ეგულებოდა. აზატ-მოსემ, რომელმაც ქართველთა მანევრი დროზე ვერ შეიტყო, შურისძიების სურვილით შეპყრობილმა,

4. ვაშლოვანის ზუსტი ადგილმდებარეობა უცნობია. ფართო გაფებით იგი ტაოში შედიოდა, თუმცა ქამთაალმწერელი მას, როგორც ცალკე კუთხეს, ისე მოიხსენიებს. არსებობს მოსაზრება, რომ ვაშლოვანი სამხრეთ ტაოში, მდინარე ოლთისის წყლის სათავეებთან იყო (ა. თოდრია, ვ. კიკნაძე). ჩვენ ვფიქრობთ, რომ ვაშლოვანი უფრო ჩრდილოეთი არის საძებნელი (იხ. რუკა).

ახლა თვითონ გაიღაშქრა ვაშლოვანზე თურქ-მანთა მხედრობის ერთი ნაწილით, ხოლო მეორე ნაწილს უბრძანა ტაო დაერბია და ბანასთან გასულიყო. აზატ-მოსეს გეგმით, ბანასთან გადაწყვეტილი იყო თურქმანთა ორივე ნაწილის შეერთება და შემდეგ მთელი ძალებით საქართველოს სიღრმეში შეჭრა. მართლაც, ბანას ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ზეგანი ცხენოსანთა დიდი მასების მოქმედების საშუალებას იძლევა. უამთააღმწერლის ცნობით, აზატ-მოსეს მხედართა საერთო რაოდენობა 60-70 ათასს უდრიდა, რაც რამდენადმე გადაჭარბებული უნდა იყოს.

ქართველები, რომლებიც საკუთარ მიწა-წყალზე იბრძოდნენ, მომხდურებზე უფრო სწრაფად ერკვეოდნენ ტაქტიკურ ვითარებაში. ბექას მეომრებმა რამდენიმე თურქმანი შეიძყრეს და მათი ჩვენების საფუძველზე მტრის დარტყმათა მიმართულებები და შეტევის მიახლოებითი ვადები გაიგეს. ამ ცნობებზე დაყრდნობით ბექამ საპასუხო მოქმედების გეგმა შეიმუშავა: ლაშქრის რჩეული ნაწილი მან თავის შვილს სარგისს ჩააბარა და აზატ-მოსეს წინააღმდეგ გაგზავნა, თვითონ კი მომთაბარეთა მეორე დაჯგუფებისაკენ დაიძრა. სარგისი ვაშლოვანის მთაზე მიმავალ თურქებს დაეწია, ზურგიდან დაესხა თავს და დაამარცხა. გაქცეულ მტერს ქართველებმა მზის ჩასვლამდე სდიეს. უამთააღმწერელი საგანგებოდ აღნიშნავს ამ ბრძოლაში სარგის ჯაყელის მამაცობას: “ხოლო სარგის, დალათუ ყმა იყო, მწნედ იბრძოდა, რამეთუ გუარისაგან მოაქუნდა სიმჭვევა და მამაცობა მამურ-პაპეულად”.

ამასობაში ბექამ თურქმანების მეორე ნაწილს შეუტია, რომელსაც მრავალრიცხოვანი დედანული ახლდა თან, და დაფანტა ისინი. მომთაბარეებმა „მთათა მიმართეს და არღარა ესვიდეს საფასეთა, არამედ ყოველსავე დაიპყრიდეს. ხოლო ბექამან და სპათა მისთა მსწრაფლ დევნა-უყვეს, იპყრობდეს და ჭოცდეს“. თავზარდაცემულმა თურქმანებმა სპერს მიაშურეს, და „შეივლტოდეს



© გ. ანჩაბაძე 1990, 2010

სამხედრო მოქმედებები სამხრეთ საქართველოსა და უაფიზდგისმინჯოში 1301-1302 წწ.

- 1 - საქართველოს სახელმწიფო საზღვრები XIV-ის დამდეცები; 2 - მომთაბარეთია თავდემსმები;
- 3 - აზეტ-მისუ გმება; 4 - ქართველია მოქმედებები; 5 - ალექსი II-ის დაშვრითაბა; 6 - სპეციალური გადაშეგრძელება; 7 - უმნიშვნელოვანები პრძოლების ადგილები და წლები.

ქალაქსა და ციხესა სპერისასა და რომელნიმე ნორქალაქს“. ციხე-ქალაქი სპერი საქართველოს ფარგლებს გარეთ მდებარეობდა და მონღოლთა ყაენის სამფლობელოდ ითვლებოდა, მაგრამ ბექა ამას არ შეუჩერებია. იგი მიჰყვა გაქცეულებს, ქალაქი სპერი პირველიცე იერიშით აიღო და მის შიდაციხეს შემოადგა. მალე ამ ადგილზე სარგისიც მოვიდა თავისი ლაშქრით. უამთააღმწერლის ცნობით, იგი სპერს საპირისპირო მხრიდან მოადგა, ხოლო მანამდე მან უფრო შორს მდებარე ნორქალაქი ააოხრა. მემატიანე დუმს იმის თაობაზე თუ როგორ აღმოჩნდნენ სარგისი და მისი ლაშქარი ბექაზე უფრო ღრმად შეჭრილი მტრის ტერიტორიაზე, მაგრამ თუ საომარი მოქმედების ასპარეზის რუკას გადავავლებთ თვალს, ბევრი რამ ნათელი გახდება.

ჩვენი აზრით, ვაშლოვანში მოპოვებული გამარჯვების შემდეგ სარგისმა ჭოროხი გადალახა და პარხალის მთებზე დაბანაკებულ თურქმანებს შეუტია. მომთაბარები, რომელთა ძირითადი საბრძოლო ძალები უკვე განადგურებული და დაფანტული იყო, ქართულ ლაშქარს, ცხადია, წინააღმდეგობას ვერ გაუწევდნენ და ერთადერთი ღიად დარჩენილი გზით შეეცდებოდნენ გაქცევას სპერ-ბაიბურდისაკენ. ეს გზა ჭოროხის მარცხენა ნაპირს მოუყვება და საკმაოდ ძნელად სავალია. ეჭვს გარეშეა, რომ ამ გზაზე თურქმანებმა ბევრი ადამიანი დაპკარგეს, საქონელზე რომ აღარაფერი ვთქვათ. ისინი კი, ვინც ჭოროხის მარჯვენა სანაპიროთ შეეცადნენ გაქცევას, ბექას მეომართა ხელში აღმოჩნდნენ: „გარნა იქმნა ესეცა, რამეთუ შვილისა მისისა სარგისისაგან ლტოლვილი თურქენი უკანა მიეწივნეს მანდატურუსუცესსა ბექასა, სადა იგი მიმართეს მესხთა, და კუალად მოსწყვდეს“.

უამთააღმწერლის ცნობით, მომთაბარეთა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილმა უშველა თავს და მოასწრო ზღვისპირეთში გადახვენა, სადაც ქართველებს უკვე მათზე ხელი არ მიუწვდებო-

დათ. სარგისმა ჭოროხის მარცხენა ნაპირით სდია თურქმანებს, ალბათ ქ. ბაიბურდის სანახებამდე, შემდეგ შემოტრიალდა, ნორქალაქი აიღო და სპერის კედლებთან ბექას შეუერთდა. ალყაშემორტყმული სპერელები მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. მათ ბექას მოციქული გამოუგზავნეს, რომელმაც მთავარს მოახსენა: „ჩუენ ყაენისა ყაზანისანი⁵ ვართ, და თურქი ძლით გარდაიხუენეს პონტოსაკერძ, და ან გევედრები მე, მოგურიდო და უკუსდგე, და უზომო ოქრო და ვერცხლი, და ჯორი და ცხენი მოგცეთ“. ბექამ სპერისა და ბაიბურდის მცხოვრებთვან დიდი კონტრიბუცია აიღო და ძლევამოსილი ქ. არზრუმისაკენ გაემართა. არზრუმელთა თავკაცები ბექას მორჩილად წინ შემოეგებნენ და „მოართუეს მათცა ძლუენი, ალაფი“. სავარაუდოა, რომ აღნიშნული ქალაქების დახარკვის მიზეზი იყო მათი მოსახლეობის მონაწილეობა აზატ-მოსეს ავანტიურაში. ქართველებმა არზრუმს ზიანი არ მიაყენეს და ნადავლით დატვირთულები სამშობლოსაკენ გამობრუნდნენ. საგულისხმოა, რომ ბექას ამ ლაშქრობას კეთილგანწყობით შეხვდა ყაზან-ყაენი, რომელიც განრისხებული იყო თურქმანებზე მათი ურჩობისა და თარეშის გამო. მან სამცხის მთავარს გამარჯვება მოულოცა და უბოძა ქ. კარი, მისი მიმდგომი ქვეყნითურთ. ამავე დროს, ასეთი ნაბიჯით ცბიერი ილხანი კიდევ უფრო აღრმავებდა უფსკრულს ბექა ჯაყელსა და მონღოლთა წინააღმდეგ მებრძოლი მეფის, დავით VIII-ს შორის, ხელს უწყობდა ქართველების ერთმანეთისადმი დაპირისპირებას.

როგორც აღვნიშნეთ, ჟამთააღმწერელი თურქმანებთან ომის ზუსტ თარიღს არ იძლევა. იგი მხოლოდ წერს, რომ მათი შემოსევები და დამარცხება მოხდა აღმოსავლეთ საქართველოში დავით VIII-ის აჯანყების წლებში. ამიტომ, ქართულ

5. იგულისხმება მონღოლთა ილხანი ყაზან-ყაენი (1295-1304)

ისტორიოგრაფიაში ამ კამპანიას, როგორც წესი, ათარიღებენ მიახლოებით, XIII ს-ის ბოლოსა და XIV ს-ის დასაწყისის ფარგლებში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ საკითხის გასარკვევად მეტად საყურადღებოა მიქელ პანარეტოსის ცნობა ტრაპიზონის იმპერატორის თურქმანებზე თავდასხმის შესახებ. ბერძენი მემატიანე გვაუწყებს, რომ „მეფე უფალმა ალექსიმ გაილაშქრა თურქებზე. შევიდა კერასუნტში, შეიძყრო კუსტუგანი 1302 წლის სექტემბერში და მაშინ დაიხოცა მრავალი თურქი“. სავსებით დასაშვებია, რომ ტრაპიზონელთა სექტემბრის გალაშქრება, ტაოს ზაფხულის კამპანიასთან პირდაპირ კავშირში იყოს. იმპერატორმა, შესაძლოა დამოუკიდებლად, მაგრამ უფრო საგარაუდოა, რომ თავის სიმამრთან, ბექა ჯაყელთან შეთანხმებით (ალექსი II-ს ცოლად ჰყავდა სამცხის მთავრის ასული), შეუტია საქართველოში დამარცხებულ და „პონოსაკერძ“ გადახვეწილ ტომებს. უცნობია „კუსტუგანის“ ვინაობა, რომლის შეპყრობას საგანგებოდ აღნიშნავს პანარეტოსი. ამ კაცის სახელს ბერძენი ავტორი უთუოდ დამახინჯებით გადმოგვცემს. გამორიცხული არ არის, რომ საქმე ეხება თურქების სწორედ იმ ბელადს, რომელსაც უამთაალმწერელი აზატ-მოსეს უწოდებს. ამრიგად, ტაოში მომთაბარეთა განადგურების ყველაზე სავარაუდო თარიღია 1302 წლის ზაფხული.

ბექას მიერ თურქმანების დამარცხება გვიჩვენებს, რომ საქართველოსა და მის შეიარაღებულ ძალებს უნარი შესწევდათ გამკლავებოდნენ მომთაბარე ტომთა მრავალრიცხოვან ურდოებს, მაგრამ ამავე დროს ეს ომი მცირეაზიელი თურქობის გაძლიერების მაუწყებელი იყო, რაც შემდგომში მათი ოსმალთა სახელმწიფოში გაერთიანებით დაგვირგვინდა. ამან კი მძიმე შედეგი მოუტანა საქართველოს და, უპირველეს ყოვლისა, მის სამხრეთ რეგიონებს.

კახეთის სადროშოების საკითხები ვახუშტი გატონიშვილის თხზულებაში¹

110

The Question of Kakheti Sadroshos in the Work of Prince Vakhushsti Bagrationi

A distinguished Georgian historian, Prince Vakhushsti Bagrationi (1696-1757), describing the 16th-17th century Kakheti Kingdom, mentions the location of its military districts, sadroshos. The information provided by Vakhushsti is accepted without any criticism in the Georgian historiography.

The present article reveals that Prince Vakhushsti made some mistakes when describing the locations of the Kakheti sadroshos, which can be put down to the changes in the initial system of Kakheti

განვითარებული ფეოდალური ხანის ქართული სამხედრო ორგანიზაციისათვის დამახასიათებელია სადროშოების, ანუ სამხედრო ოლქების სისტემა, რომელსაც, როგორც ჩანს, XI ს-ში ეყრება საფუძველი, ხოლო საბოლოო სახით ყალიბდება XII-XIII ს-ის დასაწყისში¹. საბოლოო სახით ჩამოყალიბებული ეს სისტემა ითვალისწინებდა სახელმწიფოს მთელი ტერიტორიის დაყოფას ოთხ მსხვილ სამხედრო-ადმინისტრაციულ ერთეულად – სადროშოდ. ყოველი ასეთი ოლქის სათავეში იდგა სარდალი, ანუ სპასპეტი, რომლის საბრძოლო აღმის ქვეშ ერთიანდებოდა ამ ერთეულში შემაგალი საერისთავოებიდან თუ ფეოდალური სამფლობელოებიდან გამომავალი სამხედრო ძალები.

ბრძოლის ველზე სადროშოთა რაზმები, როგორც წესი, წინასწარ განსაზღვრულ ადგილს იკავებდნენ. კერძოდ, ავანგარდს შეადგენდა მენინავე დროშა; მარჯვენა და მარცხენა ფრთებს, შესაბამისად, — მემარჯვენე და მემარცხენე დროშები; ხოლო მეუკანავეს, ანუ საერთო რეზერვს, მეფის დროშა წარმოადგენდა². ფეოდალური საქართველოს „ოქროს ხანაში“, ვახუშტის ცნობით, ქვეყნის თემები სადროშოებში ასე ნაწილდებოდნენ: „წინამბრძოლი იყუნ თორელნი, ციხისჯვარელნი და ახალციხელნი და მიმყოლნი მათნი სრულიად მესხნი და კლარჯნი, და სომხითისა, რომელნი ეპყრათ; ხოლო მემარჯუნე მიმსულელ-მცემელნი სრულიად ლიხთ-იქითი აფხაზ-ჯიქითურთ; მემარ-

1. Г.З. Аничабадзе. Источниковоедческие проблемы военной истории Грузии. Тб., 1990, с. 85, 123-124.

2. იხ. გ. აჩაბაძე, ქართული ლაშქრის საბრძოლო ნუობა და ბრძოლის წარმოების ხერხები თემურაზ II-ის „სარკე თქმულთა ანუ დღის და ღამის გაბასების“ მიხედვით // მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1984, 2, გვ. 92-97.

ცხენეთ მიმსულელ-მცემელნი სრულიად ჰერ-კახნი; ხოლო მეფისა ალმის მპყრობელნი ქართველნი და რომელი როქით სპანი ეპყრეს მეფესა³.

როგორც ამ ციტატიდან ვხედავთ, და ეს სხვა წყაროებითაც დასტურდება, ერთიანი საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მენინავე დროშა მოიცავდა ქვეყნის სამხრეთ ნაწილს, დასავლეთი იყო მემარჯვენე, აღმოსავლეთი (ჰერეთ-კახეთი) – მემარცხენე, ხოლო ქვეყნის გეოგრაფიული და პოლიტიკური ცენტრი – ქართლი – მეფის სადროშოს წარმოადგენდა.

111

military districts after the first half of the 17th century.

On the other hand, it should also be mentioned that except the above-mention inaccurate information, Prince Vakhushti's notes about the military organization of medieval Kakheti are altogether reliable.

The article is followed by a schematic map of Kakheti military districts.

First published in 1997

ეს სისტემა ისე შეისისხლხორცა ქართულმა სამხედრო ორგანიზაციამ, რომ ქვეყნის პოლიტიკური დაქუცმაცების შემდეგ აღმოცენებული სამეფოები – ქართლის, კახეთისა და იმერეთის – XV ს-ის ბოლოს და XVI ს-ის დასაწყისში ისევ ოთხ-ოთხ სადროშოდ (სასპასპეტოდ) დაიყო. მაგრამ ქართლისა და იმერეთისაგან განსხვავებით, სადაც სადროშოთა სარდლობა მემკვიდრეობით ჩაბარდა უძლიერესს თავადურ სახლებს, რამაც კიდევ უფრო გაზარდა მათი პოლიტიკური წონა, კახეთის სამეფოში სადროშოებს ძირითადად ეპისკოპოსები განაგებდნენ. ეპისკოპოსობა კი, როგორც ცნობილია, მემკვიდრეობითი თანამდებობა არ იყო. ამითი კახეთის მეფეებმა თავის გვაროვან ვასალებს – საერო ფეოდალებს – ცენტრალური ხელისუფლების ხარჯზე შემდგომი გაძლიერების საშუალება მოუსახეს. ალბათ, ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ კახეთში არ შექმნილა ისეთი ძლიერი საფეოდალოები, როგორც ქართლსა და იმერეთში. გარდა ამისა, კახეთის სადროშოებში სამეთაურო ფუნქციების ერთგვარ დაყოფასაც ვხედავთ: თუმცა პირველი სამი სადროშოს სათავეში ფორმალურად ეპისკოპოსები იდგნენ, უშუალო ხელმძღვანელობა, როგორც წესი, მოურავების ხელთ იყო.

3. ბატონიშვილი ვახუშტი. ალწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხხიშვილის მიერ. თბ., 1973. გვ. 30.

ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებულია, რომ XVI-XVII სს-ის დასაწყისში კახეთის მენინავე სადროშოს ბირთვს წამოადგენდა ქიზიყი (ოლქის სარდალი – ბოდბელი ეპისკოპოსი, მისი თანაშემწე სამხედრო საკითხებში – ქიზიყის მოურავი), მემარცხენე სადროშო რუსთველისა იყო (თანაშემწე – მარტყოფის მოურავი) და მოიცავდა გარეკახეთსა და მარტყოფ-საგურამოს, მემარჯვენებისა კი გაღმამხარს ეკუთვნოდა (ეპისკოპოსი ნეკრესელი და ენისხელის მოურავი)⁴.

112


ეს ცნობები ძირითადად ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებებიდან არის ამოკრეფილი⁵ და, ჩვენი აზრით ერთ უზუსტობას შეიცავს, რომელიც თავის დროს, გარკვეული მიზეზის გამო, დაუშვა XVIII ს-ის ამ დიდმა მეცნიერმა, შემდეგ კი უკრიტიკოდ გაიზიარეს თანამედროვე მკვლევარებმა.

ნათქვამი არ ეხება კახეთის მენინავე სადროშოს – ქიზიყს. ის, რომ ქიზიყელები ამ სამეფოს პირველი, ანუ მენინავე დროშის მფლობელები იყვნენ, მონ-მდება სხვა წყაროებითაც და სრულიად კანონზომიერია, გამომდინარე კახეთის გეოსტრატეგიული მდებარეობიდან. XVI-XVII სს-ის დასაწყისში, სანამ კახეთის სადროშოები პირვანდელი სახით არსებოდნენ, ამ სამეფოს სამხედრო ორგანიზაცია, ფრონტით, თუ შეიძლება ასე ითქვას, სამხრეთი-საკენ იყო მიმართული. მთავარი მოწინააღმდეგე კახეთს ირანის მხრიდან ემუქრებოდა და, ამიტომ, ბუნებრივია, რომ ამ მიმართულებით პირველი სამხედრო ოლქი ბოდბელის სადროშო იქნებოდა.

მენინავე სადროშოს განლაგება მთავარი საოპერაციო მიმართულების ხაზზე, დაკანონებული

4. ა. კლიმიაშვილი. მასალები XV-XVIII სს. ქართლისა და კახეთის სადროშოების ისტორიისათვის // XIV- XVIII სს. რამდენიმე ქართული ისტორიული დოკუმენტი, თბ., 1964, გვ. 124; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 239; ნ. ასათიანი. სადროშო // ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. VIII, გვ. 624.

5. ბატონიშვილი ვახუშტი, გვ. 538, 542, 545.



ქანეთის სადროშოები XVI საუკუნესა და XVII საუკუნის დასაწყისში

- 1 - ქანეთის სამეფოს საზღვარი; 2 - სადროშოების საზღვრები;
3 - სარდალ-ეპისკოპოსთა რეზიდენციები. რომაული ციფრებით
აღნიშნულია სადროშოები: I - მეტიავე; II - მემარჯვე; III -
მემარცხენე; IV - მეფის. ჩართულ სქემაზე: სადროშოთა რაზ-
მების განლაგება ქართულ საბრძოლო წყობაში.

ჩანს ქართულ სამხედრო ორგანიზაციაში. ასე, მაგალითად, ერთიანი სამეფოს დროს მეტინავე სადროშო სამხრეთ საქართველოსა და სომხითის საერისთაოებს მოიცავდა, ანუ იმ ტერიტორიულ ერთეულებს, რომლებიც პირველები ხვდებოდნენ ირან-აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან და მცირე აზიიდან წამოსულ მტერს.

გვიან შუა საუკუნეებშიც ცალკეული ქართული სამეფოების მეწინავე სადროშოები განლაგებულნი არიან იმ საზღვრებთან, საიდანაც სამხედრო ოლქების ჩამოყალიბების მომენტისათვის (XV ს-ის ბოლო – XVI ს-ის პირველი ნახევარი) მოსალოდნელი იყო ძირითადი საფრთხე, კერძოდ, ქართლის მეწინავე სადროშო სომხით-საბარათიანოა, ანუ ის კუთხე, რომელიც ქართლის მთავარი მტრის, ირანის, მხრიდან არის პირველი. რაც შეეხება იმერეთის სამეფოს, რომელმაც XVI-XVII სს-ის დიდი ნაწილი დასავლეთ ქართულ სამთავროებთან ომებში გაატარა, მისი მეწინავე სადროშო, როგორც ცნობილია, მოიცავდა ვაკე-საჩინოს, ე.ი. იმ მხარეს, რომელიც დედაქალაქ ქუთაისს იცავდა სამეგრელო-გურიის მხრიდან.

როგორც ვხედავთ (და ეს ზემოთაც იყო აღნიშნული), კახეთში ქიზიყის მეწინავეობა სრულიად კანონზომიერი ჩანს. მაგრამ ამ შემთხვევაში, გაუგებარია, რატომ უნდა ყოფილიყო რუსთველის ოლქი (გარეკახეთი) მემარცხენე, ხოლო ნეკრესელისა კი (გალმამხარი), მემარჯვენე სადროშო, როგორც ამას ბატონიშვილი ვახუშტი წერს და იმეორებენ თანამედროვე ავტორები. განა უფრო ბუნებრივი არ იქნებოდა რომ, პირიქით, რუსთაველის დროშა ყოფილიყო მემარჯვენე, ხოლო ნეკრესელისა კი – მემარცხენე? ისევე როგორც ერთიან სამეფოში მემარჯვენე იყო დასავლეთით მდებარელიხთ-იმერეთი, ხოლო მემარცხენე – აღმოსავლეთით მდებარე ჰერეთ-კახეთი.

ამრიგად, ლოგიკური მსჯელობით კახეთის სადროშოების განლაგება სწორედ ასეთი უნდა ყოფი-

ლიყო, მაგრამ თუ ამ მოსაზრებას არ გამოეძებნებოდა დამადასტურებელი ისტორიული წყარო, ის, ცხადია ვერ გასცდებოდა ზეპირი ვარსუფის ფარგლებს. მაგრამ ასეთი წყარო არსებობს. ეს არის არჩილის „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა“, სადაც ერთ-ერთი ბრძოლის აღნერისას თეიმურაზი ამბობს:

„... ჩვენ მივედით, მეწინავე ზედან შეჰქდა დიდთა ჯართა.
ქისიყელთა გაუჭირდათ, მიყვირს, ან კი ვინ შემართა?
მიეშველებ მემარცხენი ენისნელთა დროსა მალე,
კვლავ შეიქნა ცემა დიდი, ვეღარ ჰპოვეს მათ წამალე...“⁶

115

როგორც ვხედავთ, კახეთის ლაშქრის მემარცხენე ფრთად აქ დასახელებული არიან ენისნელები, ანუ ენისელის მოურავის დროშის კაცები, რომელიც, როგორც ვიცით, ნეკრესელი ეპისკოპისის თანაშემწენე იყო სამხედრო ოლქის მართვის საქმეში. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, მემარჯვენეობა რჩება რუსთველს, რაც სავსებით ემთხვევა სადროშობის განლაგების ჩვენ მიერ შემოთავაზებულ სქემას.

მაგრამ, სანამ სხვა საკითხზე გადავიდოდეთ, პასუხი უნდა გაეცეს კითხვას: რატომ ვანიჭებთ უპირატესობას არჩილის ცნობას და რა უნდა ყოფილოყო ვახუშტის შეცდომის მიზეზი?

არჩილის ცნობისათვის უპირატესობის მინიჭების უფლებას გვაძლევს ჯერ ერთი ის, რომ იგი უფრო ლოგიკური ჩანს, და მეორე, არჩილი ათ წელიწადზე მეტ ხანს იჯდა კახეთის ტახტზე და ამ კუთხის სამხედრო ორგანიზაციის ისტორია სხვაზე უკეთესად ეცოდინებოდა. ხოლო ვახუშტის შეცდომა, ჩვენი აზრით, გამოწვეულია იმითი, რომ XVII ს-ის პირველ ნახევარში, ყიზილბაშთა მიერ კახეთის სასტიკი აოხრების შემდეგ, ამ სამეფოს სადროშოთა სისტემა მნიშვნელოვნად შეიცვალა. კერძოდ, ოლქების რაოდენობა შემცირდა სამამდე

6. არჩილიანი, ტ. II. გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა. თბ., 1937. გვ. 63.

და გაიზარდა რუსთველის სადროშოს ტერიტორია, რომელსაც სხვა მიწებთან ერთად დაუქვემდებარეს ყოფილი ნეკრესელის ოლქიც, სადაც მოსახლეობა ძალიან შეთხელებული იყო, განაპირა მხარეები კი, ლეკებს ჰქონდათ დაკავებული. ასეთმა ვითარებამ გასტანა XVIII ს-ის 40-იან წლებამდე, როდესაც აღმოსავლეთ საქართველოში თეიმურაზისა და ერეკლეს გამეფების შემდეგ, კახეთის სადროშოები ძირითადად კვლავ პირვანდელი სახით აღდგა. როგორც ცნობილია, ვახუშტი ამ დროისთვის დიდი ხანია რუსეთში იყო გადასახლებული და საქართველოში მიმდინარე პროცესების დეტალური ცოდნა არ შეეძლო.

ახლა, რაც შეეხება კახეთის მეოთხე სადროშოს. ცნობები მის შესახებ ქართულ წყაროებში თითქმის არ შემონახულა, მაგრამ ძირითადი ტერიტორიის მოხაზვა სირთულეს არ წარმოადგენს, რადგან მთლიანობაში ვიცით პირველი სამი სადროშოს ფარგლები. ცხადია, რომ მეოთხე სასარდლო ოლქი მოიცავდა მათ ჩრდილოეთით მდებარე კახურ მიწებს, ქალაქ გრემის ჩათვლით. ამავე დროშაზე იქნებოდა მიწერილი თუშ-ფშავებელსურთა ლაშქარიც. მით უმეტეს, რომ ეს მთაანი კუთხები კახთა მეფების სახასო სამფლობელოებს წარმოადგენდნენ. მაგრამ რაც შეეხება დიდოეთს., რომელიც განსახილველ ეპოქაში კახელ ბაგრატიონთა მოხარკე ქვევანა იყო, მისი სადროშოებში შეყვანა არ შეიძლება; ვახუშტი გარკვევით აღნიშნავს, რომ კახეთის მოხაზლვრე დიდოელები „ჰყმობენ კახთა მეპატრონეთა და აძლევენ ხარკთა და არა ლაშქართა“⁷.

აკ. კლიმიაშვილის აზრით, მეოთხე დროშის სარდალი უნდა ყოფილიყო ალავერდელი ეპისკოპოსი, რადგანაც მას, როგორც კახეთის მღვდელმთავართა შორის ყველაზე უფროსსა და პატივდებულს თავისი სასარდლო ოლქი ექნებოდა. ამასთან, ხსენებული ავტორი იქვე დამატებით მეფის სა-

7. ბატონიშვილი ვახუშტი, გვ. 553.

დროშის არსებობასაც ვარაუდობს⁸. ზოგიერთ კარტოგრაფიულ გამოცემაში კი კახეთის მეოთხე სამხედრო ოლქს, საერთოდ „ალავერდელი ეპისკოპოსის სადროშო“ ეწოდება⁹. ამ მოსაზრებებს ვერ დავეთანხმებით; ქართულ სამხედრო ორგანიზაციაში ოთხ სადროშოზე მეტი არ ყოფილა და მეოთხე დროშა მეფეს ეკუთვნოდა, თუმცა რეალურად მას, როგორც ნესი, მეფის მიერ დანიშნული რომელიმე ნარჩინებული მეთაურობდა. ასე იყო კახეთშიც. ბატონის დროშის ჯარი გაკვრით მოიხსენიება კახეთის მეფის დავით II იმამყულიხინის 1710 წლის ერთ საბუთში¹⁰. უფრო გარკვეული ცნობებია კახეთის სამეფო დროშის შესახებ, რუსი ელჩების — ზვენიგოროვსკისა და ანტონვის „მუხლობრივ აღნერილობაში“, რომლებიც 1589 წელს კახეთის შეიარაღებული ძალების აღლუმს დაესწრნენ. ელჩების ცნობით, ლაშქარი მინდორში იდგა ხუთ „პოლკად“ დაწყობილი. კახთა მეფე ალექსანდრე შეიარაღებული ამალით, რაზმიდან რაზმით გადადიოდა და ჯარს ათვალიერებდა. შემდეგ რუსულ ნ्यაროში აღნიშნულია: „К первому полку приехал под знамя, и в том полку сын его царевич Юры; сказал Олесандро, что то его Александров полк (ხაზგასმა ჩვენია. – г. а.). А к другому полку приехал, и в том полку воевода Едиша да старец Кирило; а сказал Олесандро царь, что то правая рука. К третьему полку приехал, и под знаменем сын его царевич Давид а епископ Захарей Киситцкой; а сказал, что то большой полк. А на два полка указал, что то полки ж; а того не сказал – кто воевод имени и которые полки“¹¹.

8. აკ. ელიმიაშვილი, გვ. 124.

9. საქართველოს სასწავლო-გეოგრაფიული ატლასი. გამომცემლობა „განათლება“. თბ., 1992, გვ. 33.

10. საქართველოს სიძველენი, ტ. III. ე. თაყაიშვილის რედ. თბ., 1910. გვ. 510.

11. Сношения России с Кавказом. Материалы извлеченные из Московского главного архива МИД С.А. Белокуровым, Вып. 1, М., 1889, с. 172.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, წარმოდგენილი ცნობით, კახეთის ჯარების ერთ-ერთი რაზმი მეფის დროშას წარმოადგენდა და გიორგი ბატონიშვილის სარდლობის ქვეშ იყო. ელჩები მოიხსენიებენ მეწინავე დროშას¹², რომლის სათავეში ვხედავთ დავით ბატონიშვილსა და ბოდბელ ეპისკოპოსს, და მემარჯვენე დროშას, რომელსაც მეთაურობენ „ვოევოდა“ ედიშა და ბერი კირილე (როგორც ჩანს, თვითონ რუსთაველი რაღაც მიზეზის გამოვერ დაესწრო აღლუმს და მას ცვლიდა ცნობილი დიპლომატი არქიმანდრიტი კირილე).

დანარჩენი ორი რაზმიდან ერთი ნამდვილად ნეკრესელის სასარდლოს მხედრობა იქნებოდა, მეხუთე „პოლკის“ შესახებ კი მხოლოდ ვარაუდით შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო მეფის მუდმივი ჯარის ნაწილი — ცხენოსანი მეთოვეები, რომელთა 500-კაციანი ქვედანაყოფი, ელჩების ცნობით, წარმოდგენილი იყო აღლუმზე.

დასასრულს, გვინდა აღვნიშნოთ, რომ ვახუშტი ბატონიშვილის ცნობები გვიანი შუასაუკუნეების კახეთის სამხედრო ორგანიზაციის შესახებ, მიუხედავად, ჩვენი აზრით არსებული ერთი უზუსტობისა, მთლიანობაში პირველხარისხოვანი მნიშვნელობისაა.

12. მართალია, „მუხლობრივ აღწერილობაში“ იმდროინდელი რუსული სამხედრო ტერმინოლოგით ამ რაზმს „დიდი პოლკი“ ეწოდება, მაგრამ ეჭვგარეშეა, რომ აქ სწორედ მეწინავე დროშა იგულისხმება.

იოსებ თბილელის „დიდმოურავიანი“, როგორც სამხედრო-ისტორიული წყარო¹

აღორძინების ხანის ქართული მწერლობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის იოსებ თბილელის (გარდ. 1688 წ.) პოემაში, „დიდმოურავიანი“, როგორც ვიცით აღნერილია სახელგან-თქმული ქართველი მხედართმთავრის გორგი სააკაძის ცხოვრება.

იოსებ თბილელმა „დიდმოურავიანი“, როგორც პოემის პროლოგიდან ირკვევა, მეფე არჩილის შთაგონებით დაწერა და მისი ეს ნანარმოები არჩილის „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“ -ს შემდეგ ყველაზე ადრინდელი ქართული წყაროა გ. სააკაძის შესახებ². ბერი ეგნატაშვილი, „პარიზის ქრონიკის“ ავტორი, ბესარიონ კათალიკოსი და ვახუშტი მნიშვნელოვანნილად თბილელის ცნობებს ემყარებიან, როდესაც სააკაძის საქმიანობას აღნერენ.

გაცილებით უფრო რთულია „დიდმოურავიანის“ წყაროების დადგენა და ეს საკითხი დღემდე, შეიძლება ითქვას, ვარაუდების სფეროს არ სცდება. ფიქრობენ, რომ თბილელს ხელთ ჰქონდა რაღაც დოკუმენტური წყაროები, მათ შორის სააკაძთა საგვარეულოსაბუთები. რომიგი იყენებდა ოჯახურ გადმოცემებს და, აგრეთვე, თავისი უფროსი თანამედროვეების ცნობებს, რომლებსაც კარგად ეხსომებოდათ XVII ს-ის პირველი მესამედის ამბები. ს. ცაიშვილის აზრით „დიდმოურავიანის“ ერთ-

119

**Didmouraviani by
Ioseb Tbileli: a
Source of Military
History**

The Tbilisi Bishop Ioseb Tbileli, a distinguished 17th Georgian clergyman, poet and public figure (died in 1688) took an active part in the political life of East Georgia, struggling for the strengthening of the royal power. Among his poetic compositions especially noteworthy is the gem of the Georgian patriotic epos, a poem Didmouraviani – (The Great Mouravi), dedicated to the author's elder relative, the renowned military commander Giorgi Saakadze (circa 1570-1629). Giorgi Saakadze was the mouravi

1. პირველად დაიბეჭდა, რუსული რეზიუმეთურთ, კრებულში: „ქართული წყაროთმცოდნეობა“ VI. გამომცემლობა მეცნიერება. თბ., 1985. გვ. 68-77.

2. მკვლევართა უმრავლესობას (კ. კეკელიძე, ს. ცაიშვილი, რ. ფირცხალაიშვილი) „დიდმოურავიანი“ 1680-იან წლებში მიაჩინათ დაწერილი. მხოლოდ გ. ლეონიძე ვარაუდობდა, რომ იგი შექმნილია 1664-1675 წლებში, ე. ი. არჩილის პოემაზე უფრო ადრე.

(governor) of Tbilisi from 1608 – hence his appellation the Great Mouravi. Ioseb Tbileli's poem, praising Giorgi Saakadze, features the struggle against foreign conquerors waged by the Mouravi. Naturally, this kind of work offers considerable materials related to the military history and therefore appears as an important source of the early 17th century Georgian military history.

The poem presents a thoroughly detailed description of the invasions of the Ottoman Turks and Crimean Tatars in the Kingdom of Kartli in June 1609 and the defeat in the Tashiskari battle, in which Giorgi Saakadze

ერთი წყაროა არჩილის „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“. კერძოდ, ის ადგილები, სადაც მარტყოფის, მარაბდისა და ქსნის ომებია აღნერილი³. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამის მტკიცება არ შეიძლება. იოსები, რა თქმა უნდა, კარგად იცნობდა არჩილის პოემას, მაგრამ აღნიშნულ ომებს იგი შედარებით უფრო მოკლედ და, რაც მთავარია, სხვანაირად აღნერს. რაც შეხება ერთი-ორი უმნიშვნელო დეტალის დამთხვევას, ეს, ჩვენი აზრით, აისწერა იმით, რომ არჩილმა და იოსებმა, ამ შემთხვევაში, ერთი და იგივე ზეპირგადმოცემებით ისარგებლეს.

როგორც ცნობილია, „დიდმოურავიანი“ იოსებ თბილელმა გამოჩენილ სარდალს გიორგი სააკაძეს მიუძღვნა და ამ პოემაში საანტერესოდ ასახა სააკაძის ქართველი ხალხის გმირული ბრძოლა ხელმძღვანელობით უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ. ბუნებრივია, რომ ასეთი ნაწარმოებები მრავლად შეიცავს საყურადღებო სამხედრო-ისტორიულ ფაქტებს და ამიტომაც იგი XVII ს-ის პირველი მეოთხედის საქართველოს სამხედრო-ისტორიის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს.

მაგალითად, „დიდმოურავიანში“ გარკვეული ცნობების ნახვა შეიძლება ქართველი მეომრების შეიარაღების შესახებ. პოემიდან ვგებულობთ, რომ იმ დროს ჩვენში ცეცხლსასროლი იარაღი უკვე ფართოდ იყო გავრცელებული. კერძოდ, მეოთხეები საქმაო რაოდენობით არიან ქართლის ლაშქარში 1609 წელს⁴. მარაბდასთან დამარცხების შემდეგ გიორგი სააკაძესთან დარჩენილ სამოციოდე კაცში თოვიანებიც ურევია⁵. მეოთხეებს აყენებს სააკაძე ბირთვისის ციხეში⁶ და სხვ. ამავე დროს თოვის გვერდით ჯერ კიდევ ფართოდ იხმარებოდა

3. ს. ცაიშვილი. შოთა რუსთაველი — დავით გურამიშვილი. თბ., 1974. გვ. 148, 155.

4. ი. ტფილელი. დიდმოურავიანი / გ. ლეონიძის რედაქციით. თბ., 1939. გვ. 13, სტროფი 65.

5. იქვე, გვ. 32, სტრ. 211.

6. იქვე, გვ. 39, სტრ. 265.

მშვილდ-ისარი. საგულისხმოა, რომ მეთოფეები და მშვილდოსნები პოემაში თითქმის ყოველთვის ერთად მოიხსენებიან. მაგალითად, „თხრილის პირს ჩვენ მიუყენეთ მეთოფე, ქამანდარები“⁷ ან „ზოგი მშვილდისარ-თოფითა, ოცსა გვაქვს ცხენზე შუბანი“⁸.

როგორც ჩანს, თოფი, იმ დროს ძირითადად რიგითი, თუმცა პროფესიონალი მეომრის იარაღი იყო. ლაშქრის მეთაური ნაწილი მას თითქმის არ იყენებდა. ეს კარგად ჩანს თუნდაც კასტელის ალბომიდან, სადაც დიდგვაროვანი ქართველები უმეტესად მშვილდ-კაპარჭით მორთულები არიან ნარმოდგენილი. არჩილიც ნარჩინებულ ქართველ ჭაბუკებს ურჩევს შეისწავლონ

ისრის თლა, სწორად გამართვა, გაქლიბვა,
სეფქის გაწყობა,
მშვილდის ჩაგდება, ყულაჯი, ქარქაშის კარგა ჩაწყობა⁹

ანალიგიური სურათია წარმოდგენილი „დიდ-მოურავიანში“. პოემის მიხედვით გიორგი სააკაძეც მშვილდ-ისრითაა შეიარაღებული. კერძოდ, ქანზე მომხდარი ბრძოლის აღნერისას იოსებ თბილელი მას ათქმევინებს:

მე ხუთი ქეში¹⁰ ისარი დავლიე მათზე სროლით¹¹.

ორი ისრით გაუმასპინძლდა გიორგი ქველ წერე-თელსაც და სხვ¹². მაგრამ მძიმედ აღჭურვილი ცხენოსანი ჯარისთვის, რომელიც მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში ქართული ლაშქრის მთავარ ძალას წარმოადგენდა, ძირითადი იარაღი მაინც შუბი იყო. გაშლილ ველზე ბრძოლაში, რომელიც ქართველ რაინდებს ყველაზე მეტად უყვარდათ:

took a vigorous part. The article considers this campaign in detail, combining the information reflected in the loseb Tbilevi's work with other 17th century records. It also offers a map of the military activities.

Didmouraviani also describes other important wars having taken place within the same period of the Georgian history, including the East Georgian (Kartli and Kakheti) uprising against the Iranian Shah in 1625, where Giorgi Saakadze was among the organizers. The rebellion was accompanied with such large-scale wars as the overwhelming defeat of the 30 000 strong Iranian army at Mart-

7. იქვე, გვ. 13, სტრ. 65.

8. იქვე, გვ. 32, სტრ. 211.

9. არჩილი. საქართველოს ზნეობანი. არჩილიანი, ტ. I. თბ., 1936. გვ. 6, სტრ. 26.

10. „ქეში“ სპარსულად კაპარჭს ნიშნავს.

11. დადმოურავიანი, გვ. 33, სტრ. 216.

12. იქვე, გვ. 39, სტრ. 269.

kopi in March 1625, as well as the defeat of the Georgian army at Marabda in July 1625. Later followed guerilla struggle waged under Saakadze's command, which eventually compelled the Iranian army to withdraw from the Georgian territory.

After the Iranians left the country, East Georgia became gripped by an internal feudal strife. The confronting factions were headed by Giorgi Saakadze and King Teimuraz I respectively. The decisive battle took place near Bazaleti Lake in 1626. Giorgi Saakadze lost and escaped to the Ottoman Empire, where he was executed in 1629.

ვაჟაპეტი ისწრაფოდეს, თითქმის კბილთა იმსხვრევდიან მინდვრადა სჯობს ომი ცხენზედ, სიმაგრეში რასა ჰქონდა¹³.

ომის ბედს შუბოსანი კავალერიის დარტყმა წყვეტ-და. ისე როგორც ამას აღნერს ფარსადან გორგი-ჯანიძე: ჯერ „ნელად იარეს, მერე ფარები დაი-ფარეს და შუბები წაიგრძელეს და ცხენჭენებით მიუხდნენ“¹⁴.

იგივე სურათია „დიდმოურავიანში“. აქაც ხელჩარ-თული ბრძოლები ცხენოსან მეშუბართა იერიშით იწყება. მაგალითად, სხერტის ჭალასთან ბრძო-ლაზე იოსები მოურავს ათქმევინებს:

ისინი ორნივ დახოცეს, ჩვენ დაკრჩით იყო ველია: შუბებსა ხელი ვამაგრეთ, მოგვვონდა საქმე ძველი¹⁵.

როდესაც მონინააღმდეგები ერთმანეთში აირე-ოდნენ, გრძელი შუბების მოხმარება ძნელი ხდე-ბოდა, თანაც შუბი, როგორც წესი, მალევე ტყდე-ბოდა და საქმე ლახტსა და ხმალზე მიდიოდა, როგორც ამას გიორგი სააკაძე ამბობს პოემაში:

ფიცით შეგყადორ მეფეო, სამი გავსტეხე შუბია,
მასუკან ლახტით ვიბრძოდი, სისხლით აფივსი უბია,
ლახტიც რომ გატყდა, ხმალს ხელი მივჰყავ,
ვაყენე გუბია¹⁶.

მსგავსი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება როგორც „დიდმოურავიანიდან“, ასევე სხვა ლიტერატურული, ნარატიული თუ დოკუმენტური ძეგლებიდან.

იოსებ თბილელის პოემიდან ისე ჩანს თითქოს XVII ს-ის დასაწყისში გლეხობას კიდევ არ გააჩნდა საკუთარი საბრძოლო იარაღი. მაგალითად, მან-გლისელები, ავტორის თქმით, ნამგლებით და

13. არჩილი. გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა, არჩილიანი, ტ. II. თბ., 1937. გვ. 73, სტრ. 633.

14. ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია / ს. კაკაბაძის გამ. საისტორიო მოამბე, II. თბ., 1925. გვ. 234.

15. დიდმოურავიანი, გვ. 8, სტრ. 42.

16. დიდმოურავიანი, გვ. 14, სტრ. 71

ცელებით იყვნენ შეიარაღებულნი¹⁷. სააკაძის მიერ სახელდახელოდ შეგროვებულ რაზმშიც, 1609 წ. ჯოხიანი გზირებიც ერივნენ („არავინ დავაგდე, საომრად მოდიან ჯოხით გზირები“)¹⁸.

გლეხთანგან ვინც ომში ვაჟკაცობას გამოიჩინდა, საძუალება ეძლეოდა სოციალურ კიბეზე ზევით ანეულიყო, გამხდარიყო პროფესიონალი მეომარი. გიორგი სააკაძე, მაგალითად, თავის რაზელთა რიცხვს დაბალი, არასამხედრო წრეებიდან გამოსული გულადი ვაჟკაცებითაც ავსებდა. ამას იგი პირდაპირ ამბობს პოემაში:

ვისაც რომ კარგი შევატყვი, კაცობის ჰქონდეს ხალისი,
ცხენ-იარაღით შევატყვი, ძველი ქნის მან ახალ ისი,
დღეს ერთი გამოვაჩინი, მოვპევაზმი, მერე ხვლ ისი,
კაცობის სწავლას ევლტოდეს, ვით ოქრო დავახალისი¹⁹.

სპეციალურ ლიტერატურაში არაერთხელაა აღნიშნული, რომ „დიდმოურავიანისათვის“ სპეციფიკურია 1609 წ. ტაშისკარის ომის დაწვრილებითი აღწერა და რომ სხვა ქართული ხარატიული წყაროები დიდად ეყრდნობიან ამ ამბავში მას, ამიტომ აღარ შევჩერდებით თბილელის პოემის, როგორც ტაშისკარის ბრძოლის ისტორიის პირველწყაროს მნიშვნელობაზე და პირდაპირ გადავალთ ფაქტების ჩვენებაზე.

1609 წ. შემოსევის მიზეზად ქართული წყაროები ასახელებენ ირან-ოსმალეთის ომის ფრონტიდან გამობრუნებული ყირიმელი თათრების გამოვ-

Apart from describing the history of wars, the Didmouraviani includes interesting information about weapons, organization and structure, warfare strategies and tactics of the Georgian army.

*First published in
1985*

17. იქვე, გვ. 7, სტრ. 31.

18. იქვე, გვ. 8, სტრ. 39; ჩვენი აზრით, ეს ადგილი ისე კი არ უნდა გავიგოთ, თითქოს ეართულ ლაშქარში აუცილებლად ჯოხიანი გზირებიც იყვნენ. იმსებ თბილელს აქ მხოლოდ იმის თქმა უნდოდა, რომ სახელდახელოდ მოგროვებულ რაზმში ლამის უსაჭურვლო მებრძოლებიც ერივნენ. თუმცა „პარიზის ქრონიკის“ ავტორს ეს ადგილი სიტყვასიტყვით გაუგია და წერს: „ჯოხიანი იყო და მეომარიცო“ (ცხოვრება საქართველოსა, პარიზის ქრონიკა / გ. ალასანის გამ. თბ., 1980. გვ. 67).

19. დიდმოურავიანი, გვ. 49. სტრ. 347.

ლას საქართველოზე ძარცვა-რბევის მიზნით²⁰. ამის საწინააღმდეგოდ ისქანდერ მუნში წერს, რომ შემოსევის მიზანი იყო ქართლელთა დასჯა, რომელთაც ცოტა ადრე ყიზილბაშებთან ერთად სამცხეზე ოსმალების წინააღმდეგ ილაშქრეს; მათი უკუგდებისათვის და ქართლზე თავდასასხმელად ვეზირმა მურად ფაშამ, რომელიც ამ დროს ანატოლიაში ამბოხებულ ჯელალიებს ეომებოდა, ყირიმის ხანის სარდალი და რამდენიმე ოსმალო ფაშა გამოგზავნა²¹.


„საქართველოს ისტორიის ნარკვევებში“ ნათქვამია, რომ ქართლელები მათ შემოსევას მოელოდნენ და ამიტომ ქვეყანაში შემოსასვლელი გზები სათანადოდ გაამაგრესო²². წყაროებიდან ეს არ დასტურდება. პირიქით, ქართული წყაროები ერთხმად აღიარებენ, რომ მტრის დაცემა ლუარსაბ მეფისათვის მოულოდნელი აღმოჩნდა და თევდორეს გმირობა თუ არა, იგი შეიძლებოდა ტყვედაც ჩავარდნოდა მომხდურებს. რაც შეეხება თრიალეთის გადმოსასვლელი გზების ჩაკეტვას, ეს უკვე მტრის გამოჩენის შემდეგ დაევალათ იარალის და ზაქარიას და მათ ეს ამოცანა, როგორც ცნობილია, ვერ შეასრულეს.

1609 წ. კამპანიის შესწავლისას, ბუნებრივია, იბადება კითხვა: რას ნარმოადგენდა მტრის

20. ქართლის ცხოვრება, ტ. II. თბ., 1959, გვ. 385; ვახუშტი. აღნერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1973. გვ. 21; ბესარიონ კათალიკოსი. ლუარსაბ მეფის მარტვილობა // ს. ყუბანებიშვილი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I. თბ., 1946. გვ. 409; ოსმალეთის სულთნები ხშირად იწვევდნენ ყირიმის ხანის ლაშქარს ყიზილბაშებთან საომრად. თათრებს ირან-ოსმალეთის ფრონტზე მოხვედრა ორი გზით შეეძლოთ: ან ზღვით, ყირიმიდან მცირე აზიამდე, ან ხმელეთით, ჩრდილო კავკასიის გავლით. ამ შემთხვევაში (1609 წ.) ისინი, როგორც ჩანს, ზღვით იყვნენ გადმოსულები.

21. ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ / ვ. ფუთურიძის გამოც. თბ., 1969. გვ. 73.

22. საქართველოს ისტორიის ნარკვები, ტ. 4. თბ., 1973. გვ. 254.



1609 წლის კამპანია ქართლის სამეფოში

ლაშქარი, ვისგან შედგებოდა და რა სიდიდისა იყო?

ქართული წყაროები შემოსეულ მტერს „თათარ-ხანს“, „თათრებს“, „ყირიმებს“ და „მგლისტყ-აოსნებს“ უწოდებენ და მათ რიცხვს 60-80 ათასი კაცით განსაზღვრავენ²³. მხოლოდ ერთი 1636 წ. ჟამნებულანის ცნობით, ლაშქრობაში თათრების გარდა „სამცხისა და ნიგლის ხევის ფაშაები და შავშეთის ლაშქარი“ მონაწილეობდა²⁴.

126

ისეანდერ მუნშიც აღნიშნავს, რომ ქართლზე 2 000 თათარი და ოსმალო ფაშები წამოვიდნენ. მკვლევრები, რომლებიც ამ საკითხს შეხებიან, მტრის არმიის რიცხვს ან დუმილით უვლიან გარს, აღნიშნავენ მხოლოდ მის სიდიდეს, ან წყაროთა ცნობებს იმეორებენ (60 000 მეომარი, აქედან 2 000 თათარი). მხოლოდ გ. ჯამბურია „ნარკვევებ-ში“ ეჭვის ქვეშ აყენებს ქართული წყაროების რიც-ხობრივ მონაცემებს და ვარაუდობს, რომ მთელი ლაშქარი 10 ათასამდე შეიძლებოდა ყოფილიყო, რომელთაგან 2 ათასი იყო ყირიმელი²⁵.

რა თქმა უნდა, 60-80 ათასიანი ლაშქრის მოსვლა 1609 წ. ამშების დროს მართლაც ძნელად წარმო-სადგენია, მაგრამ მისი რაოდენობის 10 ათასით განსაზღვრა, სარწმუნო საბუთების გარეშე, ჩვენი აზრით, ასევე არ უნდა იყოს მისაღები.

წინასწარ აღვნიშნავთ, რომ წყაროების უქონლო-ბის გამო მტრის მეომართა რაოდენობის დადგენა ჩვენს არ გვიცდია, მხოლოდ „დიდმოურავიახის“ ტექსტის ანალიზის შედეგად იმ დასკვნამდე მი-ვედით, რომ მათ ნახევარს მაინც, თუ მეტს არა, თათრები შეადგენდნენ.

პირველი ფაქტი, რაც ამას მოწმობს, ჩვენი აზრით,

23. დიდმოურავიანი. გვ. 9, სტრ. 47; ლუარსაბ მეფის მარტ-ვილობა, გვ. 409.

24. ჯ. ოდიშელი. მცირე ქრონიკები. თბ., 1968. გვ. 61.

25. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4. გვ. 256.

ის არის, რომ წყაროები შემოსეულთაგან ჯერ თათრებს ახსენებენ და მერე კი ფაშებს, რაც არ მოხდებოდა 10 ათასიან, ან მითუმეტეს, 60 ათასიან ჯარში თათარი მხოლოდ 2000 რომ ყოფილიყო.

გარდა ამისა შემოსეული ლაშქრის შეიარაღება, და საერთოდ მთელი მოქმედება, როგორც ამას იოსებ თბილელი აგვინტერს, სწორედ თათრებისათვის იყო დამახასიათებელი.

ქართული წყაროების ცნობით, მტერმა ისე სწრაფად გაიარა აბიცი, ტაშირი, ჯავახეთი და მოადგა თრიალეთს, რომ ლუარსაბ II-ს ბოლო მომენტამდე არაფერი გაუგია. ასეთი სწრაფი მოძრაობა სწორედ მსუბუქი თათრული კავალერიისათვის იყო დამახასიათებელი, სადაც ყოველ მხედარს ერთი-ორი სამარქაფო ცხენი ჰყავდა და შეეძლო შეუჩერებლივ ერთი ცხენიდან მეორეზე გადახტომა, რათა ცხენების დალლის გამო ლაშქრის სვლა არ შენელებულიყო. გარდა ამისა დიდი ყურადღება ექცეოდა თავდასხმის მოულოდნელობას. ამისათვის თათრები ცდილობდნენ შენიღბულად ევლოთ, დამე კოცონს არ ანთებდნენ, დღე ხეობებისა და დღელების ფსკერზე მოძრაობდნენ უცნობ ადგილებში მოენეს იჭერდნენ და მეგზურობას აწევინებდნენ (გავიხსენოთ თევდორეს ისტორია). სწორედ კარგი შენიღბვისა და მოპილურობის წყალობა იყო ის, რომ თათრები სისტემატურად არბევდნენ რუსეთისა და პოლონეთის სამფლობელოებს. იჭრებოდნენ ისე ღრმად, რომ აღწევდნენ მოსკოვამდე, რიაზანამდე, ლიტვამდე და მეტწილად დაუსჯელები ბრუნდებოდნენ უკან.

ქართველებისათვის ასევე მოულოდნელი აღმოჩნდა 1609 წლის ივნისში თრიალეთზე მტრის ურდოს გამოჩენა.

შემოსეულმა ლაშქარმა რბევით გაიარა თრიალეთი, შიდა ქართლის მარჯვენა სანაპირო და ბრძონასთან მტკვარი გადალახა. იოსებ თბილელს დაწვრილე-

ბით აქვს მტრის მოძრაობის მარშრუტი ნაჩვენები. საგულისხმოა, რომ მომხდურები მხოლოდ სოფ-ლებს არპევდნენ და არც ერთ ციხეზე იერიში არ მიუტანიათ. ესეც თათრებისთვის იყო დამახასი-ათებელი. მათ უჭირდათ ციხესიმაგრეების წინააღ-მდეგ ბრძოლა, რომლებსაც, როგორც წესი, გვერდს უვლიდნენ ან ბლოკადაში აქცევდნენ ხოლმე, რათა გარნიზონს მათვის ზურგში არ დაერტყა, სანამ ისინი არემარეს არპევდნენ. მსუბუქად შეიარაღე-ბული თათრები, ასევე გაურბოდნენ მძიმედ შეი-არაღებულ ლაშქართან პირისპირ შებმას, რადგან ასეთ შემთხვევებში ხშირად განიცდიდნენ ხოლმე მარცხს. ამიტომაც იყო, რომ შემოსეული მტერი მტკვრის დინებას თარეშით აღმა აუყვა და ქართ-ველთა რაზმები ზურგში მოიტოვა²⁶.

ქართველები მტერს ფეხდაფეს მისდევდნენ. პირველი სერიოზული შეტაკება ნიაბის ბოლოს, სხერტის ჭალასთან მოხდა, სადაც შესაძლოა, ქართველები მტრის ოსმალურ ნაწილს შეებნენ („ფაშები იყვნეს რო ვხოცეთ“²⁷). აქ გამოიჩინეს თავი გიორგი სააკაძემ და ზაზა ციციშვილმა. აქვე დაეცნენ იარალი და ზაქარია.

მტრის ძირითადი მასა ამის შემდეგაც დასავლე-თისაკენ აგრძელებდა მოძრაობას. მას ლუარსაბ II, გიორგი სააკაძე, ზაზა ციციშვილი, ბარათაშვილე-ბი და დელუ-მაპმად ხანი მისდევდნენ (სამეცნ და მეწინავე სადროშოების ლაშქარი, ყიზილბაშების რაზმი). ფრონების შესართავთან მათ მტკვარი გადალახეს (იოსებ თბილელი საგანგებოდ აღნიშ-

26. სასწავლო და პოპულარულ ლიტერატურაში ხშირად აღნიშნულია, რომ მემოსეულ მტერს მიზნად ჰქონდა ქართლის დაპყრობა. ამ აზრს ვერ დავეთანხმებით, თა-თარ-ოსმალთა მთელი მოქმედება გვიჩვენებს, რომ მათი ამოცანა იყო მხოლოდ ტყვეებისა და ალავურის შორის, რის შემდეგაც უკან უნდა გაძრუნებულიყვნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარია რატომ არ შეეცადა მტერი ციხეების აღებას ან ქართველთა რაზმების განადურებას მათ გაერთიანებამდე.

27. დიდმოურავიანი. გვ. 9, სტრ. 43.

ნავს მტკვრის გადაცურვის სიძნელეს ივნისში) და მარცხნა ნაპირზე მყოფ მუხრანბატონს, ამილახვარს და ერისთავებს (მემარცხენე და მემარჯვენე სადროშოების ლაშქარი) შეუერთდნენ. პარალელურად ქართველთა ერთმა რაზმმა კორტანეთ-თან მტერს ბორჯომის ხეობაში შესასვლელი გზა გადაუკეტა. მომხდურები ალყაშემორტყმულნი აღმოჩნდნენ. მათ თხრილებით გაამაგრეს თავისი ბანაკი და თავდაცვისათვის მოემზადნენ, თუმცა, როგორც გამოქცეულმა ტყვემ აუწყა ქართველებს, გადარჩენის იმედი აღარა ჰქონდათ. ქართველი სარდლები ტყვეს მტრის აღჭურვილობაზეც შეეკითხნენ, რაზედაც მან უპასუხა:

გვითხრა თუ მშვილდით იბრძვიან,
ფოლადი ისრის პირევდა,
თოფი და შუბი არა აქვთ, საყალნო მწვე ქვითკირებდა²⁸

შემდეგ უკვე ბრძოლის პროცესში სააკაძე ამბობს:

ჩვენი ბრძოლა შუბით არის, მათი ფარ-ხმალ ისარია²⁹

მაშასადამე, წყარო გვიჩვენებს, რომ მტრის ძირითადი იარაღი იყო ხმალი და მშვილ-ისარი, რაც სწორედ ყირიმის თათრებისათვის იყო დამახასიათებელი. აი, მაგალითად, რას წერს მათ შესახებ ფრანგინულერი გიორგი ბოპლანი, რომელმაც 1630-1648 წწ. გაატარა ბოლონეთის სამხრეთ საზღვრებზე და კარგად გაიცნო თათრები: „ისინი აღჭურვილნიარიან ხმლით, მშვილდით, და კაპარჭით, რომელშიაც 19 ან 20 ისარი უდევთ“³⁰. თურქი მოგზაური ევლია ჩელებიც, რომელმაც ცოტა მოგვიანებით (1665 წ.) აღწერა ყუბანელი ნოღაელები (ისინი მნიშვნელოვან რიოლს ასრულებდნენ ყირიმის სახანოს სამხედრო ორგანიზაციაში) გვაცნობებს: „მათი იარაღი ხმალი და მშვილდისარია სხვა საჭურველი არ გააჩნიათ“³¹.

28. იქვე, გვ. 13, სტრ. 64.

29. იქვე, გვ. 14, სტრ. 73.

30. ციტირებულია: В.В.Каргалов. На степной границе. М., 1974. С. 12.

31. ევლია ჩელები. სეიაპათ-ნამე, ტ. 7. სტამბული, 1928. გვ. 711 (თურქულ ენაზე).

„დიდმოურავიანში“ ნაჩვენებია ქართველი სარ-დლების ბჭობა ბრძოლის წინ. საინტერესოა ნუგზარ ერისთავის მიერ წამოყენებული წინა-დადება, – ღამით დავეცეთ, მთიელთ ასეთი ჩვევა გვაქვს³². ბოლოს საბჭომ სააკაძის გეგმა მიიღო. მტრის ბანაკს ჯერ ისრები დაუშინეს, შემდეგ კი ცხენოსანმა ჯარმა მიიტანა იერიში.

პოემაში ბრძოლის დასაწყისი ასეა აღნერილი.

თხრილი პირს ჩვენ მიუყენოთ მეთოფე, ქამნდარები!,
ესროლე, თოფის კომლითა ვერ დაიბახონ დარები!
აქათ ესენი ესროდეს, ზეით გზა განაკარები³³,
რა თოფის სროლა გათავდა, შუბთა ქნეს
ჯაჭვე ჩხარები³⁴.

გამოთქმულია მოსაზრება, თითქოს გიორგი საა-კაძემ მეთოფეებს სროლა დააწყებინა იმიტომ,
რომ თოფის წამლის ბოლს დაეფარა ქართული
მხედრობა და შესაძლებლობა მიეცა მისთვის
შეუმჩნევლად მიახლოვებოდა მტრის ბანაკს. ამ
აზრს ვერ დავეთანხმებით. მაშინდელი დენთი,
ცხადია, კვამლიანი იყო, მაგრამ განა იმდენად,
რომ შეტევაზე გადასული რამდენიმე ათასი ცხე-
ნოსანი მთლიანად დაეფარა?³⁵ გარდა ამისა, თუ
მეთოფეების მიერ ატეხილი სროლის მიზანი თა-

32. დიდმოურავიანი. გვ. 11, სტრ. 58.

33. განაკარები — შეკრული. იგულისხმება კორტანეთში
მყოფი რაზმის მიერ გადაკეტილ, გზა, რამაც მტერს სამ-
ცხეში გადასვლის საშუალება მოუსპო.

34. დიდმოურავიანი, გვ. 13, სტრ. 65.

35. მართალია, არჩილი მარაბდის ბრძოლის (1625 წ.) ალ-
ნერისას აღნიშნავს, რომ ყიზილბაშთა თოფუ-ზარბაზნების
ბათქმა ძლიერი კვამლი დააყენაო, მაგრამ უნდა გავით-
ვალისწინოთ, რომ მარაბდასთან ირანელთა ავანგარდის
12 ათასმა თოფმა და ზარბაზნები იგრიალა, ტაშისკარის
ბრძოლაში კი, შესაძლოა ქართველებს საცეცხლე სამუ-
ალებათა ამ რაოდენობის მეათედიც არ გააჩნდათ. გარდა
ამისა, ისევ არჩილის ცნობით, ქართველებს შეტევა არ
დაუწყიათ, სანამ ნიავმა თოფის კვამლი არ გაფანტა
(„ვირემ კვამლი არ განქარდა მათკენ ვერვინ ვერ გაიქცა“
/გასაუბრება, გვ. 74, სტრ. 641/). მხოლოდ ამის შემდეგ
ეკვეთა მტერს აზვირთებული ტალღასავით ქართული
მხედრობა („რა განქარდა თოფის კვამლი, შეუტივეთ ერთ-
პირობით“, იქვე, სტრ. 642).

ვისებური „კვამლის საბურველის“ შექმნა იყო, მაშრალას აკეთებდნენ მათ გვერდით ქამანდარები, ანუ მშვილდოსნები? ისინი ხომ თავისი მშვილდებით ბოლს ვერ დააყენებდნენ, ხოლო მოწინააღმდეგისათვის ისრების დაშენა ასეთი ბულიდან სრულიად არაეფექტური იქნებოდა. ჩვენი აზრით, ოსმალ-თათართა ბანაკისათვის სროლის ატეხვას ერთი მიზანი ჰქონდა — ისრებით და ტყვიებით მტრისათვის ზარალის მიყენება და მის რიგებში არევ-დარევის შეტანა, რაც მოიერიშე ცხენოსნებს გაუადვილებდა ძირითადი ამოცანის, მომხდურთა განადგურების, განხორციელებას.

ბრძოლამ საღამოს ცხრა საათამდე გასტანა და, როგორც ცნობილია, ქართველთა გამარჯვებით დასრულდა. ბატალიური სცენა პოემაში მაღალმხატვრულად და ამავე დროს, ისტორიულად დამაჯერებლად არის წარმოდგენილი.

„დიდმოურავიანში“ კიდევ მრავალი სხვა სამხედრო-ისტორიული ფაქტია აღნერილი, რომელებიც გიორგი სააკაძეს მიუღია მონაწილეობა. კერძოდ: მარტყოფის ბრძოლა, ახალციხის აღება, კახეთის განთავისუფლება, შემდეგ შარაბდა, პარტიზანული ბრძოლები, ლისი, ქარჩოხი, ბირთვისი, დაღესტანზე და ოსეთზე ლაშქრობები და სხვა.

ამ ფაქტებს თბილელი უფრო მოკლედ აღნერს, ვიდრე სხვა ქართველი ავტორები (არჩილი, ფარსადან გორგიჯანიძე, ბერი ეგნატაშვილი), მაგრამ, ამავე დროს, ბევრ ისეთ დეტალს ურთავს, რაც დანარჩენ ძეგლებში არ არის ასახული და, ამრიგად, ამ საკითხებშიც ინარჩუნებს პირველაარისხოვანი წყაროს მნიშვნელობას.

საინტერესოა 1626 წ. ბაზალეთის ბრძოლის აღნერა. ჩვენი აზრით, პოემაში სწორად არის ახსნილი სააკაძის დამარცხება, როგორც მისი ფეოდალური ლაშქრის უდისციპლინობისა და მეომართა დაბალი მორალური სულის შედეგი.

ამ ბრძოლაში, როგორც ჩანს, რიცხობრივი უპირატესობა მოურავის მხარეზე იყო. იგი თავის ლაშქრზე „კას ჯარის აღსარიცხით“ ამბობს³⁶. მაგრამ, გიორგის მოკავშირები (მესხები, იმერლები), როგორც ჩანს, მას, როგორც მთავარსარდალს, მაინცდამაინც, არ ემორჩილებოდნენ. სახლებში წასვლით იმუქრებოდნენ და სააკაძეს ძალა არ ჰქონდა ისინი თავის ნებაზე დაეყოლიებინა.

132

შეეულთა ლაშქრთ მიყვეს, ვერ უჭერდი იმა თავსა, სტუმართა და თვით მოსრულთა, რა ვეტყყოდი იმთ აესა, დფომასა და გაძლებასა მე ვჰყადრებდი თუ მეთავსა, ზოგმა მეც მწვე დამიმარცხა, მათი სახლი ავა თავსა! ეგრე მითირეს: „ან შეგვაბი, ან გაგვიშვი ჩვენსა, შინა³⁷..

გარდა ამისა, სააკაძის მოლაშქრეთა საბრძოლო სულიც ვერ იქნებოდა სათანადო დონეზე, რადგან ფეოდალურ საქართველოში საკუთარ მეფესთან შებმა კარგ საქციელად არ ითვლებოდა. თბილელი მოურავს ათქმევინებს:

რაცა მოხდა სრულ ვიცოდი, არ მინდოდა ესე ომი, ყმა არ უნდა პატრიისა ბრძოლისა და შებმის მდომი. თავს მოღალავს ან მოვდების, ცუდად არის მკლვების მშრომი, ქვეითი ხომ მუხლს დაღალავს, ვერც იქნების ცხენს შემჯდომი³⁸.

36. იქვე, გვ. 56. სტრ. 409. საგულისხმოა, რომ თეიმურაზმა მოსკოვში ყოფნისას, 1658 წ., ალექსი მიხეილის ძის წარმომადგენლებთან საუბარში გაიხსენ პაზალეთის ბრძოლა და აღნიშნა, რომ იქ მას მხოლოდ 3 000 მხედარი, ჰყავდა, „მოლალატე“ სააკაძეს კი 40 000 (გ. პაიჭაძე, მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (1652-1658) // სასტორიო მოამბე, ტ. 19-20. თბ., 1965). ძალთა თანაფარდიბას თეიმურაზი, გასაგები მიზეზების გამო, ძალიან უნდა აზვიადებდეს, მაგრამ იმაში, კი, შესაძლებელია, მართალია, რომ მოურავის ლაშქარი რიცხვით სჯობდა მისას. არჩილიც ხომ ედიშა ვაჩინაძეს ათქმევინებს გიორგის მომხრებზე „თუმც არიან უმრავლესნი, ეგრე დგიან ვითა ტევრი“ (გაბაასება, გვ. 79, სტრ. 683).

37. დიდმოურავიანი, გვ. 56, სტრ. 410, 411.

38. დიდმოურავიანი, გვ. 56, სტრ. 413.

აუცილებელი არ არის, რომ ეს აზრი თვით გიორგი სააკაძისა იყოს. შეიძლება თბილელმა იგი პოემა-ში ჩართო, რომ მოურავის ერთგვარი რეაბილიტაცია მოეხდინა ბაგრატიონთა თვალში. მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ 1626 წლის იმ შემოდგომის დღეს სააკაძის მომხრე ბევრი მეომარი ფიქრობდა ასე, და ამან, საბოლოო ჯამში, განაპირობა მისი დამარცხება.

სეხნია ჩხეიძის „ცხოვრება მეფეთა“ როგორც სამხედრო-საისტორიო წყარო¹

134

History of the Kings By Sekhnia Chkhheidze: a Source of Military History

History of the Kings is an 18th century historical narrative describing the 1653-1739 military and political events. The author of the work, Sekhnia Chkhheidze, was a professional military man and a witness and participant of the late 17th century and early 18th century wars. His work is almost completely dedicated to the description of these wars. It also includes some details from the author's biography. Sekhnia Chkhheidze first mentions himself in connection with the 1687 events, when he took part in the King

„ცხოვრება მეფეთა“ XVIII ს-ის ქართული ნარატიული ძეგლია. მასში აღნერილია 1653-1739 წწ. სამხედრო-პოლიტიკური ამბები. ობზულების ავტორი, სეხნია ჩხეიძე, პროფესიონალი სამხედრო პირი იყო, XVII საუკუნის დასასრულისა და XVIII საუკუნის დასაწყისის ომების თანამედროვე და მონაწილე. სწორედ ამ ომების აღნერას მიუძღვნა მან, თითქმის მთლიანად, თავისი ნაშრომი. ბიოგრაფიული მონაცემები სეხნია ჩხეიძის შესახებ, ძირითადად, მისსავე ობზულებაშია შემორჩენილი. პირველად იგი თავის თავს 1687 წლის ამბებთან დაკავშირებით ახსენებს, როდესაც მონაწილეობა მიიღო გიორგი XI-ის (1676-1688, 1703-1709 წწ.) გალაშქრებაში არაგვის საერისთავოზე². სეხნია ჩხეიძის მთელი შემდგომი ცხოვრებაც მდიდარია სამხედრო თავგადასავლებით, როგორც საქართველოში, ასევე ირანში, სადაც იგი ბატონიშვილ ქაიხოსროს ამაღლასთან ერთად გაემგზავრა 1696 წ.

სეხნია ჩხეიძე თავისი დროისათვის განათლებული ადამიანი იყო. კარგად იცნობდა ძველ ქართულ საისტორიო ლიტერატურას. მაგრამ, როგორც მეომარსა და ფეოდალს, მას, განსაკუთრებით, სამხედრო საკითხები აინტერესებდა. შეიძლება ითქვას, რომ „ცხოვრება მეფეთა“ სამხედრო-ისტორიული ფაქტების განუწყვეტელ ჩამოთვლას წარმოადგენს. ამ ცნობების მნიშვნელობას

1. პირველად დაიბეჭდა, რუსული რეზიუმეთურთ, ურნალში: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. თბ., 1888. 4. გვ. 56-64.
2. ს. ჩხეიძე. ცხოვრება მეფეთა. ნიგნში: საქართველოს ცხოვრება, ახალი მოთხრობა 1469 წლიდგან, ვიდრე 1800 წლამდე. ორ ნიგნად აღნერილი. მეორე გამოცემა ზ.ჭიჭინაძის მიერ, თბ., 1913. გვ. 5 (შემდეგში გვერდები ტექსტში მითითებულია ამ გამოცემიდან).

განსაკუთრებით ზრდის ის გარემოება, რომ ავტორი წერილობითი პირველწყაროებით კი არ სარგებლობდა (ასეთები, სავარაუდოდ, მას არც გააჩნდა), არამედ აღწერდა საკუთარი თვალით ნანახს, ხოლო ზოგჯერ კი იშველიებდა სხვა უშუალო მოწმეების მონათხრობს. მისი თხზულების დამახასიათებელი ნიშანია, აგრეთვე, ქრონოლოგიური მონაცემების სიუხვე, რითაც „ცხოვრება მეფეთა“ ადრინდელი ქართული ნარატიული ძეგლებისაგან მკვეთრად განსხვავდება.

უკანასკნელად სეხნია ჩხეიძე თავის თავს ახსენებს 1723 წ. დასაწყისის ამბების აღწერისას, როდესაც იგი ვახტანგ VI-ის (1716-1724 წ.) პეტრე დიდთან ურთიერთობის გამო განრისხებულმა შაჰმა დილეგში ჩააგდო (გვ. 35). მაგრამ, როგორც ჩანს, ტყვეობა დიდხანს არ გაგრძელებულა, „ცხოვრება მეფეთა“-ში 1723 წ. კონსტანტინე-მაჰმადყული-ხანის მიერ თბილისის აღების აღწერა, უშუალო მოწმის მიერ დაწერილს ჩააგავს. როგორც ჩანს, სეხნია ჩხეიძე ვახტანგ VI-საც გაპყოლია რუსეთში, თუმცა იგი სამეფო ამალის წევრთა სიების შემორჩენილ ნაწილებში არსად მოიხსენიება. ეს მოჩანს მისი ცნობებიდან, სადაც ქართლის მეფის პერეტბურგისაკენ მგზავრობაა აღწერილი. ეს აღწერილობა შეიცავს ზოგ ისეთ უმნიშვნელო წვრილმანს, რომელიც მხოლოდ თვითმხილველს თუ დაამახსოვრდებოდა. ავტორი არც აქ დალატობს თავის ინტერესს სამხედრო საქმისადმი, მის თხზულებაში ბევრი დეტალური ცნობაა ვახტანგის დასახვედრად გამოსული რუსული ჯარის ნაწილების შესახებ (გვ. 38).

აღსანიშნავია, რომ ივ. ჯავახიშვილი საკმაოდ უარყოფითად აფასებდა „ცხოვრება მეფეთა“-ს, სწორედ მისი ავტორის სამხედრო აღწერილობებისადმი მისწრაფების გამო. „თხზულება საზოგადოდ შინაარსის მხრივ მეტად ერთფეროვანია, – წერდა იგი, – მოთხრობა თითქმის განსაკუთრებით მეფეთა პოლიტიკურს და სალაშქრო თავგადასავალს ეხება. ავტორი ომისა და ვაჟკაცობის

of Kartli's campaign against one of the Georgian magnates. The rest of his life was made up from military adventures in Georgia as well as in Iran, where he served in the Georgian military units sent as an aid to the Iranian Shah by his vassal, the King of Georgia.

Sekhnia Chkheidze's work is very interesting in terms of military history as it describes the armament and warfare tactics of the Georgian army. This information confirms and makes complete the notes found in parallel records. Besides, as mentioned above, Chkheidze provides unique material about the wars in which he personally took part.

Especially interesting is the description of the Georgian Army maneuvers against the Afghan and Beluji tribes that had risen against the Iranian Shah. The Georgian soldiers found it difficult to fight in the strange land, in the eastern deserts. "We happened to be in such places where none of us had ever passed, to say nothing about fighting," Sekhnia Chkheidze writes. Describing warfare in a desert is among the specific properties of History of the Kings, which will certainly attract the attention of any military historian. Besides, Chkheidze's work includes interesting information about the military activities on

დიდი მოტრფიალეა და თვითოეულის შემთხვევით სარგებლობს, რომ დაწვრილებით და აღტაცებით აგვინეროს ისეთი ლაშქრობაც კი, რომელიც სპარსეთში მომხდარა და საქართველოსთან არავითარი კავშირი არ აქვს³. მეცნიერი თვითონ სეხნია ჩეხიძესაც მკაცრად ახასიათებს ხოცვა-ულეტვის სცენების დეტალური აღწერების გამო⁴. მართლაც, „ცხოვრება მეფეთა“-ში გვხვდება ადგილები, რომლებიც შუა საუკუნეების ყველაზე სასტიკ ზნე-ჩვეულებებს გვახსენებს. მაგალითად, „რა გათენდა, მიართვეს თავი ხუთას ორმოცი, აქაცა და იქაცა ააშენა თავების მინარა, თითო ოცოც წყრთა“ (გვ. 17). აუღლელვებლად მოგვითხრობს სეხნია ჩეხიძე, თუ რა გზით დაამყარა „წესრიგი“ გიორგი XI-მ ყანდაარის ოლქში: „საითკენაც ურჩი იყო გაუსედვის ჯარსა და უყვის ყალთამი, ზოგი კლდესა გადაყარის, ზოგი ცოცხალი დამარხის, ზოგთ კბილები დააძურის და თავზე დაარჭვის“ (გვ. 22). „ცხოვრება მეფეთა“-ში სხვა მსგავსი ადგილებიც მოიპოვება. მაგრამ, ჩვენი აზრით, გამართლებული არ არის ამის გამო ავტორი გულბოროტ პიროვნებად ჩავთვალოთ, მით უმეტეს, რომ ასეთი ადგილები „ცხოვრება მეფეთა“-ში მაინც არც თუ ისე ძევრია. არ შეიძლება აგრეთვე, XVIII ს-ის თხზულებას თანამდეროვე საზომებით მივუდგეთ. პირიქით, სეხნია ჩეხიძეს, ჰუმანური ან სხვა რაიმე მოსაზრებებით რომ დაემალა ეს ფაქტები და ამით შეელამაზებინა თავისი დროის სინამდვილე, მისი თხზულების, როგორც საისტორიო წყაროს მნიშვნელობა, უფრო ნაკლები იქნებოდა.

ჩვენს ავტორს, ფეოდალური ომის აღმნერელს, მართლაც უყვარს ამა თუ იმ მეომრის, და განსაკუთრებით ბავრატიონთა სახლის წარმომადგენლების საპრძოლო მამაცობის ჩვენება. მაგრამ ამავე დროს იგი მონინააღმდეგის გმირობასაც არ ჩქმალავს. მაგალითად, მისი მოთხრობა გულადი

3. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. VIII, ქველი ქართული საისტორიო მნერლობა. თბ., 1977, გვ. 360-361.

4. იქვე. გვ. 361.

ბელუჯის შესახებ, რომელმაც მარტომ გაარღვია მტრების რკალი, მოჰკლა რამდენიმე მათგანი და ხმალი შემოჰკრა თვით სეხნიასაც, ჩვენი აზრით, საკმაოდ დამაჯერებლად გვიჩვენებს „ცხოვრება მეფეთა“-ს ავტორის ობიექტურობას (გვ. 15-16).

ვერ დავეთანხმებით, აგრეთვე, ივ. ჯავახიშვილის იმ სიტყვებსაც, რომ სეხნია ჩხეიძის მიერ აღნერილი სპარსეთში მომხდარი ომები, საქართველოსთან არავითარ კავშირში არ არის. ჩვენი აზრით, რადგან ამ ომებში მონაწილე ჯარების მნიშვნელოვან ნაწილს ქართველთა რაზმები შეადგენდნენ, ხოლო ყველა საბრძოლო ოპერაციებს ირანის მხრიდან, ქართველი მეფეები და უფლისწულები სარდლობდნენ, თამამად შეიძლება ეს ომები საქართველოს ისტორიასაც მივაკუთვნოთ და მათ შესახებ არსებული ცნობები გამოვიყენოთ საქართველოს სამხედრო ისტორიის შესასწავლად.

სეხნია ჩხეიძე დიდი რაოდენობით ფაქტობრივ მასალას გვაწვდის აღმოსავლეთ და ნაწილობრივ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიებზე მომხდარი ომების შესახებ XVII ს-ის დასასრულისა და XVIII ს-ის პირველ ნახევარში. ეს არის მეფეთა ბრძოლა მეამბოხე თავადების წინააღმდეგ, ძმათამკვლელი ომები ქართლსა და კახეთს შორის (გვ. 3-7, 35-36). მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ქართველი ხალხის ბრძოლას უცხოელ დამპყრობლებთან: გიორგი XI-ის აჯანყებას სეფიანთა ირანის წინააღმდეგ (გვ. 7), ბრძოლას ოსმალო ოკუპანტებთან 1723-1735 წე-ში (გვ. 37, 38, 45, 46), ხოლო შემდეგ კვლავ ირანელებთან (გვ. 48, 49) და სხვ.

შინაფეოდალური ომებისა და ირანელ და თურქ დამპყრობლების შემოსევათა ფონზე XVIII ს-ის პირველ ნახევარში, სულ უფრო და უფრო ხშირდებოდა და საშიშ სახეს იღებდა, დალესტნელი ხალხების გვაროვნული და ფეოდალური ზედაფენის მიერ მოწყობილი თავდასხმები. თუ ადრე ლექ-თა თარეში მხოლოდ კახეთის განაპირა მხარეებს ემუქრებოდა, XVIII ს-ის 20-იანი წლებიდან, ხელ-

the Georgian territory against Iran and Turkey. Abundance of chronological data should also be regarded as an asset of the work.

*First published in
1988.*

საყრელი პირობების გამო, იგი თითქმის მთელს აღმოსავლეთ საქართველოზე გავრცელდა. ხშირად ლეკებს თვითონ ქართველი ფეოდალები იწვევდნენ, რათა მათი მეშვეობით ანგარიში ეს-წორებინათ თავიანთ მეტოქეებთან. დაღესტნელთა რაზმების გამოყენებას მუდამ ცდილობდნენ, აგრეთვე თურქი და ორანელი ხელისუფლები. მათი პოლიტიკა მთიელთა მიმართ ორგვარ ხასიათს ატარებდა: ჯერ ერთი, როგორც აღვნიშნეთ, ყიზილბაშები და ოსმალები ცდილობდნენ ლეკების სამხედრო ძალა გამოყენებინათ თავისი მონინააღმდეგების, მათ შორის, ქართველების წინააღმდეგ, მაგრამ, მეორე მხრივ, ლეკთა თარეში ძირს უთხრიდა მათ საკუთარ ბატონობასაც აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, და ამიტომ ორანელი და ოსმალო გამგებლები, გაიმაგრებდნენ თუ არა მეტნაკლებად აქ თავის პოზიციებს, ბრძოლას იწყებდნენ მთიელთა წინააღმდეგ. ამ შემთხვევაში დამპყრობლები ცდილობდნენ ლეკებთან ომში ქართველების გამოყენებასაც.

„ცხოვრება მეფეთა“ შეიცავს დიდ მასალას აღმოსავლეთ საქათველოში ლეკთა თარეშისა და მასთან ბრძოლის შესახებ (გვ. 32, 33, 40-43). ეს ცნობები გვიჩვენებს თავდასხმების ხასიათსა და მათი არეალის თანდათანობით გაფართოვებას. ქართველები ლეკებს ებრძოდნენ, როგორც შემოჭრილი რაზმების დევნა-მოსპობის გზით, ასევე ამიერკავკასიაში მათი მთავარი ბაზის, ჭარბელაქნის წინააღმდეგ ლაშქრობების მოწყობით. თუკი პირველ შემთხვევაში წარმატება ხშირი იყო, მეორე — რიგი მიზეზების გამო — უშედეგო აღმოჩნდა. ამაში ბრალი, მნიშვნელოვანნილად, ირანელ და თურქ ხელისუფლებს მოუძღვდათ. მაგალითად, სენია ჩხეიძის ცნობით, ვახტანგ VI-მ, 1721 წელს შაჰის სურვილით ჭარელებს ომი აუტეხა, მაგრამ მალე საპატიო ხალათი და განკარგულება მიიღო შეენყვიტა წარმატებით დაწყებული ლაშქრობა. მიზეზი იმაში მდგომარეობდა, რომ ყაენს ქართველების გაძლიერებისა ეშინოდა

ჭარის დამორჩილების შემთხვევაში. ჭარელთა დასჯა მან შირვანის ხანს დაავალა, რომელიც მალე დამარცხდა და მოკლული იქნა ლეკთა მიერ. ამის შემდეგ მთიელთა თარეში კიდევ უფრო გახსირდა (გვ. 32-34).

გარკვეულ ცნობებს გვაწვდის სეხნია ჩხეიძე, აგრეთვე, საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობების შესახებ. კერძოდ, „ცხოვრება მეფეთა“ - ში გარკვეული ცნობებია დაცული ვახტანგ VI-ის განჯისაკენ გალაშქრებაზე, რომელსაც უნდა მოჰყოლოდა პეტრე დიდის ჯარებთან შეხვედრა შირვანის ტერიტორიაზე (გვ. 34).

განსაკუთრებით დაწვრილებით არის აღნერილი სეხნია ჩხეიძის თხზულებაში ქართველთა სამხედრო საქმიანობა ირანში, XVII ს-ის დასასრულსა და XVIII ს-ის დასაწყისში. მეტადრე ეს ეხება იმ მოვლენებს, რომლებშიც თვით სეხნიას ჰქონდა მონაწილეობა მიღებული.

სეფიანთა სახელმწიფოში ქართველები დიდი გავლენითა და პატივისცემით სარგებლობდნენ. ქართლის მეფე, შაჰის შემდეგ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირად ითვლებოდა. ბევრმა წარჩინებულმა ქართველმა ირანის სახელმწიფოს სამსახურში მაღალ თანამდებობას მიაღწია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ქართველთა როლი სეფიანთა სამხედრო ორგანიზაციაში. ჯერ კიდევ შაჰ-აბას I-ის (1587-1629 წნ.) მიერ შექმნილ რეგულარულ ჯარში, ღულამთა 10 ათასიანი ცხენოსანი კორპუსი მეტწილად ქართველებისაგან შედგებოდა. ამის გარდა, ქართლ-კახეთის სამეფოების ლაშქარიც ხშირად მონაწილეობდა სეფიანთა ომებში. ირანის სამხედრო ძლიერების დაცემასთან ერთად, სეფიანთათვის სულ უფრო და უფრო იზრდებოდა ქართული რაზმების მნიშვნელობა. ეს უკვე ძველი ღულამები კი აღარ იყვნენ – ირანული არმიის მეომრები, არამედ უშუალოდ ქართული ჯარები, ჩამოყალიბებულნი და შეიარაღებულნი საქართველოში, თავისი მეთაურებითა

და სარდლებით. ქართველები, არაიშვიათად, ნებაყოფლობით მიდიოდნენ ამ სამსახურში. თავადაზნაურებს იგი უქადდა შაჰის საჩუქრებისა და ჯამაგირს, დავლასა და სახელს. „გვქონდა მორქმა და მოვლენა, ლხინი და ნადირობა, ბურთობა და ყაბახის სროლა“, – ნერს ამის შესახებ სეხნია (გვ. 18).

აღმოსავლეთ ირანის პროვინციები, იმ დროს, ავღანელ და ბელუჯ ფეოდალთა თარეშის ასპარეზს წარმოადგენდა, რომლებიც საკუთარი მიზნებისათვის იყენებდნენ თავისი ხალხების ბრძოლას სეფიანთა ბატონობის წინააღმდეგ. მარბიელი რაზმების მოგერიება და აჯანყების ჩაქრობა, შაჰმა სულთან-ჰუსეინმა (1694-1722 წწ.) ქართველებსა და გიორგი XI-ს დაავალა, რომელიც სეფიანთა არმიის მთავარსარდლად და რიგი აღმოსავლური ოლქების გამგებლად დანიშნა.

სეხნია ჩხეიძემ მანანილეობა მიიღო ირანულ-ქართული ჯარების მრავალ საბრძოლო ოპერაციაში. ზოგიერთი მათგანი მას მეტად დაწვრილებით აქვს აღნერილი. საბრძოლო მოქმედებები, მეტნილად, ქერმანისა და სისტანის უდაბურ ადგილებში მიმდინარეობდა. ადამიანებიცა და ცხენებიც ძალიან იტანჯებოდნენ სიცხის, უწყლობისა და საკვების უქონლობის გამო. მომთაბარეთა მსუბუქი რაზმების დევნაში ქართველებს მრავალდღიანი მარშების მოწყობა უხდებოდათ უკიდეგანო, დაუსახლებელ და უწყლო ტერიტორიებზე, მათთვის სრულიად უცხო ქვეყანაში. „ბიაბანსა შიგან სიარულმა შეგვაწუხა... ის ალაგები გზითაც არავის გაევლო, არამ-თუ საომრად ვინ წავიდოდა“, – ჩივის სეხნია (გვ. 18). უდაბნოში ომის აღნერა „ცხოვრება მეფეთა“-ს ერთ-ერთი სპეციფიკური მხარეა, რასაც აუცილებლად უნდა მიაქციოს ყურადღება სამხედრო ისტორიის მკვლევარმა.

„ცხოვრება მეფეთა“-ში კარგად მოჩანს სეფიანთა სამხედრო ძლევების დაცემა. მათი ერთადერთი რეალური ძალა ქართული რაზმებილა რჩებოდა.

ისპაჲანის მცხოვრებთა აჯანყების ჩაქრობაც კი, 1707 წ. სულთან-ჰუსეინმა ქართველებს მიანდო (გვ. 24). ყიზილბაშთა და ავლან-ბელუჯთა სამხედრო თვისებების შედარებისას სეხნია ჩხეიძე, ამ უკანასკნელთ, აშკარა უპირატესობას ანიჭებს (გვ. 16). „ცხოვრება მეფეთა“-ში ვხედავთ, რომ ირანელებს, მათი მოხინააღმდეგენი: ლეკები, ავლანელები, ბელუჯები – არად აგდებდნენ (გვ. 12, 32). ამავე დროს ქართველთა სამხედრო თვისებებს, ეს ხალხები, რომლებიც არაერთხელ შეხვედრიან ჩვენს წინაპრებს, ბრძოლის ველზე, მაღლა აყენებდნენ (გვ. 12-32). სეხნია ჩხეიძის მონაცემებს ქართველების სამხედრო რეპუტაციის შესახებ კავკასიისა და წინა აზიის ხალხებში კარგად ადასტურებენ სხვა იმდროინდელი წყაროები⁵.

შემდეგ „ცხოვრება მეფეთა“-ში აღნერილია გიორგი XI-ის მმართველობა ყანდაარში და მისი დაღუპვა 1709 წ., ქართველთა რაზმის ძნელი გადასვლა ყანდაარიდან გირიშკამდე, მოხსენიებული, აგრეთვე, სხვა წყაროებში, მეფე ქაიხოსროს ლაშქრობები ავლანელებზე და სხვა.

ხანგრძლივ და მძიმე ომებს მრავალი სიცოცხლე ეწირებოდა და აღმოსავლეთში მყოფი ქართული ლაშქარი პერიოდულ შევსებას საჭიროებდა. სეხნია ჩხეიძე გვაცნობს ქართლში შეიარაღებული რაზმების ჩამოყალიბების შესახებ რიცხვით 1 000 კაცამდე და მეტი, ირანში გასაგზავნად (გვ. 4, 20, 24).

„ცხოვრება მეფეთა“ შეიცავს გარკვეულ მასალას აღმოსავლეთ საქართველოს სამხედრო ძალების ორგანიზაციისა და სტრუქტურის შესახებ. მოხსენიებულია სადროოშოები (გვ. 31). ლაშქარი ძირითადად მხედრებისაგან შედგებოდა, რომლებიც ცხენებზეც და ქვეითადაც იბრძოდნენ. წინა დროსთან შედარებით ძალზე გაზრდილი ჩანს ჯარების

5. მაგალითად: О.П. Маркова, Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке, М., 1966 с. 101.

აღჭურვილობა ცეცხლსასროლი იარაღით, რასაც არ შეიძლება გავლენა არ მოქმდინა ბრძოლის ფორმებზე. თხზულებაში ხშირია ხანგრძლივი და ძლიერი თოფის სროლის ხსენება. მაგალითად, „დაგვიწყეს სროლა, თავმან თქვენმან, ასე მოდიოდის ფინდიხისაგან ფოთოლი, ხშირი წვიმა ყოფილ იყო“, „იყო სროლა დილითგან შუალამედი“ და ა.შ. (გვ. 5, 41, 42) მოხსენიებულია თბილისის ციხის ზარბაზნებიც (გვ. 35). ამასთან ერთად, XVIII ს-ის დასაწყისამდე კიდევ ფართოდ იყენებდნენ მშვილდისარს. სეხნია ჩხეიძის ცნობით, მშვილდისარი განსაკუთრებით მეთაურთა შემადგენლობაში ინარჩუნებდა პოზიციებს (გვ. 13, 26). ჩვენი აზრით, ეს ფაქტი, უპირველეს ყოვლისა, მრავალსაუკუნოვანი ტრადიციით უნდა აიხსნას. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია აგრეთვე, იმ პერიოდის ცეცხლსასროლი იარაღის დაბალი ხარისხი.

მნიშვნელობას ინარჩუნებდა შუბიც, ქართული ცხენოსანი ლაშქრის მთავარი იარაღი საუკუნეების მანძილზე (გვ. 5, 6, 13, 16, 28). ხელჩართულ ბრძოლაში გადამნებულებით მნიშვნელობა ენიჭებოდა ხმალს, რომელიც ფართოდ გამოიყენებოდა, როგორც ცხენით, ასევე ქვეითად ომში (გვ. 15, 16, 26). თავდასაცავი აღჭურვილობიდან „მეფეთა ცხოვრება“-ში მოხსენიება ფარი. ფარი კარგად იცავდა მებრძოლს ცივი იარაღისაგან, მაგრამ თოფის ტყვიას იგი ვერ აკავებდა (გვ. 12).

სეხნია ჩხეიძე, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, როგორც წესი, არ აღწერს დაწვრილებით სამხედრო წყობას, მხარეთა მოქმედების ხერხებსა და ფორმებს. მაგრამ, სამაგიეროდ, მას იმდენი ცნობა აქვს სხვადასხვა ბრძოლასა და შეტაკებაზე, რომ ეს, რამდენადმე ანაზღაურებს მისი აღწერების ლაკონურობას. ყველა ეს ცნობა, ერთად აღებული, წარმოდგენას გვიქმნის ტაქტიკის შესახებ. ასე რომ „ცხოვრება მეფეთა“-ს ფრაგმენტული ცნობების შეჯერებით, შეიძლება იმდროინდელი საბრძოლო მოქმედებათა ფორმების აღდგენა.

ჩვენ ვხედავთ, რომ მებრძოლი მხარეები საკუთარი განლაგების დასაცავად ყარაულს გამოჰყოფდნენ, მონინააღმდეგს ზვერავენ, ზოგჯერ მზვერავები მთავარ ძალებს რამოდენიმე დღის სავალით უსწრებენ წინ (გვ. 12, 14, 17, 28). ბრძოლები მიმდინარეობს დანაწევრებული საბრძოლო წყობით. გვხვდება ძალთა ორი, სამი და მეტი ელემენტები-საგან შემდგარი საბრძოლო დაწყობა. ფართოდ იყენებენ შემოვლასა და გარშემორტყმას (გვ. 15, 43). სუსტი მხარე, როგორც წესი, ბრძოლაში იყენებს საველე სიმაგრეებს (სანგრებს, საფრებს, ქვის ყორებს, ადგილზე არსებულ ნაგებობებს). მათ ჩამოქვეითებულნი უტევენ. ძალების ნაწილი რეზერვშია დატოვებული კონტრიერიშის მოსაგერიებლად (გვ. 15, 43). ხმირია ღია ბრძოლისა-გან თავის არიდების შემთხვევები და მოულოდნელი თავდასხმების მოწყობა მტრის ცალკეულ რაზმებზე და საყარაულო პოსტებზე. მაგალითად, გიორგი XI-ის სეფიანთა წინააღმდეგ აჯანყების დროს, სენია ჩენიძის ცნობით, „ეცემოდიან ჩვენის ჯარის კაცნი, იმით მონაპირეს კაცსა გააქცევდიან, დახოცდიან“ (გვ. 7)⁶.

„ცხოვრება მეფეთა“ გვიჩვენებს, აგრეთვე, სამხედრო ეშმაკობის ფორმებსა და ხერხებს. როგორც ცნობილია, სამხედრო ეშმაკობა, ეს არის ფანდი, ხრიკი, რომლის დანიშნულებაა შეცდომაში შეიყვანოს მოწინააღმდეგე, მცდარ გზაზე დააყენოს იგი. მისი მეშვეობით იქმნება საბრძოლო მოქმედებათა წარმატებით წარმართვისა და გამარჯვების მოპოვების ხელსაყრელი პირობები. სენია ჩენიძის თხზულებაში სამხედრო ეშმაკობის ელემენტებს, მის ცალკეულ მეთოდებს, ვხვდებით ფეოდალური შინაომის აღწერის დროს (გვ. 7, 35).

6. თითქმის ასევე აღნერს ამ ბრძოლებს სომეხი ისტორიკოსი ზაქარია ქანაქერცი: «Когда персы выступали против грузин, они прятались, а ночью нападали на войска (персов), убивали и захватывали их имущество» (З.Канакерци. Хроника. Перевод с армянского, предисловие и комментарий М.О. Дарбинян-Меликьян. Москва, 1969. С. 192).

მაგრამ განსაკუთრებით საინტერესოა ცნობა ოს-
მალებისაგან გორის განთავისუფლების შესახებ
1734 წ. ავტორი მოგვითხრობს, რომ გორელთა
დახმარებით ქართველი მეომრები ღამით შეიპარნ-
ენ ქალაქში და დაიკავეს სახლები მთის ძირთან,
რომელზეც ციხეა აგებული. ეს ისე შენილბულად
გაკეთდა, რომ ოსმალურ გარნიზონს არაფერი
გაუგია. თურქებს, საერთოდ, წარმოდგენაც არ
ჰქონიათ, რომ მათზე თავდასხმა მზადდებოდა,
და ამიტომ, გამოხატისას ციხის კარები გაიღო და
ოსმალო ჯარისკაცებმა, თავ-თავიანთ საქმეებზე,
ქალაქში ჩამოსვლა იწყეს. მაშინ ოთხმა საგანგე-
ბოდ შერჩეულმა ქართველმა მხრებზე ძელები
შეიგდო და ციხისაკენ გასწია, ოსმალები ხის მასა-
ლას აგროვებდნენ და არ კითხულობდნენ იმას, თუ
ვის მიჰეონდა იგი მათვის. ქართველებმა ძელები
ციხის შესასვლელში ისეთნაირად დაჰყარეს, რომ
კარის დახურვისათვის ხელი შეეძალათ. ამასო-
ბაში, ჩასაფრებული ქართველები ქალაქში მყოფ
ოსმალებს დაერივნენ. შეიქმნა ხოცვა-ულეტვა.
ციხეში განგაში ატყდა და მცველებმა, ძელებისდა
მიუხედავად კარების ჩარაზვა მაინც მოასწრეს.
მაშინ, შიგნით დარჩენილმა ოთხმა ქართველმა
დამალული სატევრები იძრო. მათ დასჭრეს იანი-
ჩართა აღა, დახოცეს კარის მცველები, დაღენეს
კლიტები და კვლავ გახსნეს კარი. თურქების
ნაწილი დახოცილი, ნაწილი კი დატყვევებული
იქნა (გვ. 45-46). ასე, ორიგინალური ჩანაფიქრისა
და შენილბვის კარგი ორგანიზების მეშვეობით,
მოხერხდა მოულოდნელობის მიღწევა და დიდი
დანაკლისის თავიდან აცილება.

„ცხოვრება მეფეთა“-ში ვხვდებით აგრეთვე ცნო-
ბებს ჯარების მოძრაობის სიჩქარისა და დღიური
გზის სიდიდის შესახებ. ამ ცნობებით ქართულ
ცხენოსან ლაშქარს შეეძლო მრავალდღიანი
მარშების მოწყობა, საშუალო სიჩქარით 20 ალაჯი
დღეში (გვ. 14). ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში
აღაჯის სიგრძე 4 კმ-დან 7,5 კმ-დე მერყეობდა.
XVIII ს-ის არითმეტიკის ერთ ქართულ სახელმძ-

ღვანელოში „დღის გზა“ 12 აღაჯით არის განსაზღვრული. გ. ჯაფარიძეს მიაჩნია, რომ აღაჯი საშუალოდ უდრიდა 6 კმ-ს და ამრიგად, დღის გზა 72 კმ იყო⁷. ჩვენი აზრით ხორმალური სვლისათვის ეს ძალიან ბევრია. 1880-იან წნ. დღიური გზა საქართველოში 37—40 კმ-ს შეადგენდა⁸. ასევე იყო ძველ დროშიც; მაგალითად, ურარტულთა ლაშქარი დღეში 30—40 კმ-ს გადიოდა⁹. შეა საუკუნეების არაპ გეოგრაფთა გამოთვლით დღიური გზა დაახლოებით 37,5 კმ-ს უდრიდა¹⁰. ამრიგად, თუ ერთი დღის გზად 38 კმ-ს მივიჩნევთ, ზამოხსენებული ქართული სახელმძღვანელოთი ერთი აღაჯი დაახლოებით 3,2 კმ გამოვა. გამოდის, რომ სეხნია ჩხეიძის მიხედვით, ქართული ლაშქარი აჩქარებული მარშით დღეში დაახლოებით 64 კმ-ს გადიოდა¹¹. იმ დროისათვის ეს მოძრაობის ძალიან მაღალი ტემპი იყო და მისი მიღწევა შეიძლებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ლაშქარი მრავალრიცხოვანი არ იყო, არ აფერხებდა მძიმე აღალი, ჰყავდა კარგი ცხენები¹², ხოლო მხედართა სპეც-მომზადება მაღალ დონეზე იდგა.

ამასთან დაკავშირებით, შეიძლება გავიხსენოთ „ცხოვრება მეფეთა“-ში არაერთგზის მოხსენიებ-

7. გ. ჯაფარიძე. ნარკვევი ქართული მეტროლოგის ისტორიიდნ, თბ., 1970. გვ. 155.

8. А.М. Аргутинский. Экономический быт государственных крестьян Сигнахского уезда Тифлисской губернии, “Материалы для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского края”, IV. Тифлис, 1886. С. 311.

9. С.А. Есян. Оружие и военное дело древней Армении, Ереван, 1966, с. 129.

10. Константин Багрянородный. Об управлении государством, Известия гос.академии материальной культуры, 1934, вып.91. С.65.

11. ლაშქრისათვის დღიური გზის სიდიდე, ცხადია, საკმაოდ პირობითი ცნებაა, რადგანაც დამოკიდებულია მის რიცხვზე, ადგილის ხასიათზე, გზების მდგომარეობაზე, მტრის ნინააღმდეგობაზე და სხვ.

12. სეხნია ჩხეიძის (ცნობით ქართველ მეთაურებს სამარჯაფო ცხენებიც ჰყავდათ (გვ. 12).

ული ნადირობა, ბურთაობა, ყაბახი და ფეოდალთა სხვა გასართობი თამაშები. ისინი დროის ტარების გარდა სამხედრო-ფიზიკური აღზრდის ინტერესებსაც ემსახურებოდნენ, რომლის გარეშეც ზემოთ აღნიშნული მხედრული მიღწევები წარმოუდგენელი იყო.

მთლიანობაში, სეხნია ჩეხეიძის „ცხოვრება მეფეთა“ საკმაოდ მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლია. მართალია, ავტორი ყურადღებას არ აქცევს სოციალურ-ეკონომიკური და კულტურის ისტორიის ფაქტებს, მაგრამ, სამაგიეროდ იგი მეტ-ნაკლები დეტალურობითა და, რაც მთავარია, თანმიმდევრობით მოგვითხრობს სამხედრო-პოლიტიკური მოვლენების შესახებ. მისი ცნობები ამ საკითხში მნიშვნელოვნად ავსებს, ან ადასტურებს სხვა წყაროთა მონაცემებს. თხზულების დადებით მხარედ უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ქრონოლოგიური ცნობების სიუხვე. სამხედრო ისტორიის საკითხებიდან „ცხოვრება მეფეთა“ შეიცავს ძირითადად ცნობებს ქართული ლაშქრის შეიარაღებისა და ბრძოლის ტაქტიკური ფორმების შესახებ. გარდა ამისა, ძეგლმა შემოგვინახა XVII ს-ის დასასრულისა და XVIII ს-ის პირველ ნახევარში უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ ქართველი ხალხის ბრძოლის ამსახველი მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მასალა.

ქართული ლაშპრის საბრძოლო ცეობა და პრძოლის ნარმოების ხერხები თეიმურაზ II-ის „სარკე თქმულთა ანუ დღის და ღა- გაასების“ მიხედვით¹

„სარკე თქმულთა“ თეიმურაზ II-ის (1700-1762 წწ.) ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი ორიგინალური ნაწარმოებია. ხელნაწერებში ტექსტის სათაური ჩვეულებრივ ასეა ნარმოდგენილი: „დღისა და ღამის გაბაასება, თქმული მეფის ერეკლეს ძის, მეფის თეიმურაზისაგან, რომელი იქმნა ცხებული შემდგომად წელინადის ცხრის თქმისა ამისა; ან წიგნსა ამას ენოდების სარკე თქმულთა“².

როგორც ვხედავთ, ცნობა პოემის დაწერის დროის შესახებ სათაურშივეა მოცემული. ნათქვამია, რომ თეიმურაზი ამ ნაწარმოების დამთავრებიდან ცხრა წლის შემდეგ აკურთხეს მეფედ და აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ „სარკე თქმულთა“ დაწერილი უნდა იყოს დაახლოებით 1736 წ., ვინაიდან თეიმურაზის ოფიციალური მეფედ კურთხევა 1745 წ. ოქტომბერში მოხდა (ფაქტობრივად თეიმურაზი გამეფდა 1744 წ.).

„სარკე თქმულთა“ ორი დიდი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში გალექსილია ბიბლიური ამბები, ქრისტეს ცხოვრება, მსოფლიო კრებები და სხვ. ამ ნაწილს დღესდღეობით მხოლოდ თეიმურაზის პოეტური მექავიდრეობის შესწავლისათვის თუ აქვს მნიშვნელობა. მისგან განსხვავებით „სარკე თქმულთას“ მეორე ნაწილი ძალიან საინტერესოა. იქ მხატვრულ ფორმებში იმდროინდელი საქართ-

**Military Arrange-
ment of the Geor-
gian Army and
Warfare Techniques
according to King
Teimuraz II's Poem
Dispute between
Day and Night**

Dispute between Day and Night is the largest and most important work by King Teimuraz II (1700-1762). The full title of the poem says that Teimuraz had composed it nine years before his enthronement, i.e. in circa 1745 (he became the virtual king in 1744).

Dispute between Day and Night artistically features the ethnology of his contemporary Georgia: balls, wedding parties, hunting, fishing, childbirth, national

1. პირველად დაიბეჭდა, რუსული რეზიუმეთურთ, უ-
რნალში: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. თბ., 1984. 2. გვ. 93-98.

2. თეიმურაზ მეორე. თხზულებათა სრული კრებული. გ.
ჯაკობიას ნინასიტყვაობით, რედაქციით, ლექსიკონით და
შენიშვნებით. თბ., 1939.

sport games and other worldly events. The poem also offers important information about the military formation and warfare techniques of the Georgian units. The poem describes the military order and warfare techniques of the Georgian army, which proves even more important if we bear in mind that the king was an experienced warrior and commander ("I used to write on horseback, I fought", the writes about himself), and took part in many severe battles; therefore, his information in this regard is undoubtedly reliable. Teimuraz exhaustively describes the four-partite order of the Georgian army. The

ველოს ეთნოგრაფიული სინამდვილეა გადაშლილი: მეჯლისი, ქორნილი, ნადირობა, თევზაობა, ბავშვის დაბადება, ბურთაობა, ყაბახის სროლა და სხვა საყოფაცხოვრებო სურათები.

მეტად საყურადღებოა, აგრეთვე „სარკე თქმულაში“ მოტანილი ქართული ლაპქრის საბრძოლო წყობისა და ბრძოლის ხერხების აღწერა.

საქართველოს ისტორია შეიძლება ითქვას, ომების ისტორია იყო. ქართველ ხალხს, უძველესი დროიდან XVIII ს-ის მიწურულამდე მუდმივად ხმლის ქნევა უხდებოდა ძლიერი და მრავალრიცხოვანი მტრების მოსაგრიებლად და ამ პირობებში მისი სამხედრო ხელოვნება არ შეიძლება სათანადო არ განვითარებულიყო და დახვეწილიყო. მიუხედავად იმისა, რომ საისტორიო წერილობით წყაროებში ხშირად იხსენიება ქართველთა ბრძოლები და ომები, ცნობები ქართული ლაპქრის მოქმედების სტრატეგიული და ტაქტიკური ფორმების შესახებ მაინც მნირია. ეს კიდევ უფრო ზრდის „სარკე თქმულთას“ მონაცემების მნიშვნელობას მით უმეტეს, რომ პოემის ავტორი, თეიმურაზ II, როგორც ყველა ქართველი მეფე, ამავე დროს მეომარი და სარდალი იყო, არაერთხელ ყოფილა ფიცხელ ბრძოლებში („ვწერდი, ცხენს მჯდომი, ვლაშქრობდი“, — წერს თავის თავზე) და ამიტომაც მისი ცნობები, ამ საკითხში, უეჭველად იმ-სახურებენ ნდობას.

როგორც წერილობითი საისტორიო წყაროები გვიჩვენებს, ფეოდალური საქართველოს სამეფო მისი ძლიერების ხანაში, ოთხ სამხედრო ოლქად, ანუ სადროობდა, იყოფოდა. პირველ სადროშოს წარმოადგენდა სამხრეთსაქართველომისი მიმდებარე თემებით, მეორე სადროშოს ლიხთ-იმერეთი, მესამე სადროშოს — კახეთ-ჰერეთი და მეოთხეს — ქართლი. სადროშოებიდან გამოსული რაზმები, „სრულიად საქართველოს“ ლაპქრის საბრძოლო წყობაში მკაცრად განსაზღვრულ ადგილს იკავებდნენ. როგორც ვახუშტი გადმოგვცემს, „ნი-

ნამბრძოლნი იყუნ თორელნი, ციხისჯუარელნი და ახალციხელნი. და მიმყოლნი მათნი სრულიად მესხენი და კლარჯნი და სომხითისა, რომელნი ეპყრად; ხოლო მემარჯვენე მიმსვლელ-მცემელნი სრულიად ლიხთ-იქითი აფხაზ ჯიქითურთ; მემარცხენეთ მიმსვლელ-მცემელნი ჰერ-კახნი; ხოლო მეფისა ალმის მპყრობელნი ქართველნი და რომელნი როქით სპანი ეპყრნეს მეფესა³.

ქვეყნის სამხედრო ძალების ოთხ სადროშოდ დაყოფის სისტემა იმდენად შეისისხლხორცა ქართულმა სამხედრო ხელოვნებამ, რომ იგი გადატანილი იქნა ერთიანი სახელმწიფოს დაშლის შემდეგ, მის ნაცვლად აღმოცენებული ქართლის, კახეთის და იმერეთის სამეფოების სამხედრო ორგანიზაციებში, სადაც XVIII ს-ის დასასრულამდე იარსება⁴.

თეომურაზ II-ს თავის პოემაში აღნერილი აქვს სწორედ ეს, კლასიკური საბრძოლო წყობა ბრძოლის ველზე, ქართული ლაშქრის ოთხ დიდ რაზმად გაშლა სადროოშოების მიხედვით და ეს აღნერა გაცილებით უფრო დეტალურია, ვიდრე სხვა რომელიმე წყაროს ცნობები ამ საკითხზე. პოემაში თეომურაზი ასე გადმოგვცემს ლაშქრის მოქმედებას ბრძოლის ველზე:

დააწყონ რაზმი ოთხ რიგად, წინ მენინავე იდგესა,
სხვა დროშა მეორე ზურგად მეფეს მემარჯვენეთ უდგესა,
მარცხნივ მხარს მესამე დროშა მემარცხენეთ გაარიგესა,
მეფე მეოთხე დროშითა სამს დროშას უკან ვლიდესა.

თვითონ რაზმსა უფროსადა სარდალი
ჰყავს მარიგებლად,
ადრიოთგანვე მიცემული დროშაზედა ჯარი მხლებლად,
თავადი და გლეხი ბევრი დროშას ახლდეს შესაბმელად,
უნდა იყოს თვითონ რაზმი თორმეტ ათას აზ ნაკლებად.

unique details make the poem an unparalleled historical record on this subject. The military order was structured to the system of “droshos” (military districts), which acquired its classical shape in the 12th century and existed till the end of the 18th century. The basic elements of the Georgian military order, “droshas”, which translate as flags, were the troops of the military districts. In Teimuraz's times they were made up from infantry and mounted gunmen and mounted lancers. From the rear the soldiers were protected by the artillery. The droshas would deploy in three rows and would dynamically interact during the

3. ბატონიშვილი ვახუშტი. აღნერა სამეფოსა საქართველოსა. ს. ყაუხჩიშვილის გამოც. თბ., 1973, გვ. 30.

4. ა. კლიმიაშვილი. მასალები XV-XVIII სს. ქართლისა და კახეთის სადროშოების ისტორიასათვის // XIV—XVIII სს. რამდენიმე ქართული ისტორიული დოკუმენტი, თბ., 1964. გვ. 122.

warfare. The poem also describes the specificities of fighting at night, the techniques of capturing a fortress, etc.

First published in 1984

რაზმს თვითონ წინ ჰყავს მეთოფე ქვეითი, ცხენიანია, ქვეითს ცხენიანს თავ-თავად ჰყავს მიჩენილი თავნია, მეშუბარი უდგას უკანა, შეკაზმული აქცსო ტანია, საომრად დამზადებული მოსაწონია ყმანია.

რა შეიქმნას მტერი მტერზე ერთმანეთზე მიწეული, ჯერ დასცლიან ზარბაზნებსა, ხმა აქვთ ზეცას ანეული, მერმე ესვრის ქვეითობა, ჩახმახი აქცსთ მოწეული, მასთან დასცლის ცხენიანიც მეთოფეცა გულად სრული.

ერთმანერთზე რა დასცლიან თოფს, შეუტევს მეშუბარი, მეზინავეს სხვა დროშები ზურგს მოაბავს,
ვით კლდე მყარი,
ვინცა ვარგა ვაჟი-კაცი, წინ მივიდეს, არ დამდგარი,
თორმეტ შუბზე გარდაწყვეტა „— უთქვამთ,
დადებული არი⁵

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ქართული ლაშქარი ბრძოლის წინ ოთხ დიდ რაზმად ენყობოდა სად-როშობის მიხედვით. რაზმები რიცხვით დაახლოებით ერთმანეთის ტოლები იყვნენ.

რა თქმა უნდა, ძნელი დასაჯერებელია, რომ თითოეული მათგანი 12 ათას მებრძოლს ითვლიდა. სადროშოებში შეიძლებოდა ყოფილიყო ამდენი სამხედროვალდებული მამაკაცი მაგრამ გვგონია, უკეთეს შემთხვევაშიც კი ველზე, რეალურად, ქალალდზე აღნიშნული რაოდენობის ნახევარზე მეტი გამოსულიყო. მიუხედავად ამისა, თეომურაზის ეს ცნობა მაინც საყურადღებოა. იგი გვიჩვენებს, რომ წესით სადროშოთა რაზმები რიცხობრივად ტოლფარდები უნდა ყოფილიყვნენ.

ყოველ რაზმს თავისი სარდალი ჰყავდა, რომელიც სადროშოს სათავეში ადრითგანვე იყო დაყენებული და კარგად იცნობდა მეომრებს. რაზმების წინა ხაზს ქვეითი და ცხენოსანი მეთოფეები შეადგენდნენ, რომლებსაც თავ-თავიანთი მეთაურები ჰყავდათ. ჩვენი აზრით, მეთოფეები ოთხ-ხუთ მწერივზე ღრმად არ იქნებოდნენ დაწყობილნი, რათა ცეცხლსასროლი იარაღის ძალა, რაც შეიძლება ეფექტურად ყოფილიყო გამოყენებული.

5. თეომურაზ მეორე. გვ. 86-87, სტრ. 703-707.

ზარბაზნები მეთოფეების წინ, ან მათ ქვედანა-
ყოფებს შორის არსებულ ინტერვალებში იდგე-
ბოდა. პოემიდან არ ჩანს, ქვეითი და ცხენოსანი
მეთოფეები ცალკ-ცალკე რაზმებად იყვნენ დაწყ-
ობილი თუ ერთსა და იმავე რიგებში იდგნენ, წინ
ქვეითი და უკან ცხენოსანი. რაზმის მეორე ხაზს
წარმოადგენდა მეშუბართა მხედრობა, ქართული
ფეოდალური ლაშქრის მთავარი დამრტყმელი
ძალა⁶.

მენინავე რაზმი არმიის ავანგარდი იყო. მთავარი
ძალები მემარჯვენე და მემარცხენე დროშებისა-
გან შედგებოდა. მემარჯვენები დგებოდნენ მენი-
ნავე რაზმის მარჯვნივ და უკან, მემარცხენები
კი, იმავე ხაზზე მენინავისგან შესაბამისად მარ-
ცხნივ და უკან. მეფის დროშა არმიის მესამე ხაზს
ჰქმნიდა და ფაქტობრივად საერთო რეზერვს წარ-
მოადგენდა.

ასეთი საბრძოლო წყობა ქართულ ლაშქარს უკვე XIII ს-ის დასაწყისში გააჩნდა და ეს ფაქტი იმდრო-
ინდელი ქართული სამხედრო ხელოვნების გან-
ვითარების მაღალ დონეზე მიუთითებს. დასავ-
ლეთ ევროპაში მსგავსი დაწყობა გაცილებით
გვიან დაიწყეს. თამარის ეპოქიდან თეიმურაზ II-
ის დრომდე განვლილმა საუკუნეებმა ბევრი რამ
მოიტანეს სამხედრო საქმეში და, რა თქმა უნდა,
შეიტანეს ცვლილებები ქართული ლაშქრის სა-
ბრძოლო წყობაში, მაგრამ ლაშქრის ოთხ ნაწილად
დაყოფა და ბრძოლის ველზე ამ ნაწილების ჭადრ-
აკული განლაგება, როგორც ჩანს, ძირითადად
უცვლელი დარჩა. „სარკე თქმულთა“-ში აღნერ-
ილი „ომის ამბავი“ XVII-XVIII სს-ის ქართული სა-
ბრძოლო წყობაა.

6. ასეთ საბრძოლო წყობას ვხვდებით ი. თბილელთან: „თხრილის პირს ჩვენ მიუყენეთ მეთოფე-ქამანდარები“ (ი. თბილელი. დიდმოურავიანი. გ. დეონიძის რედაქციით, თბ., 1939. გვ. 13, სტრ. 65); არჩილთან: „შევსხედით რანიც ვიყა-
ვით, მეთოფეები წინ წადგეს“ (არჩილიანი. ტ. II. გაბაასება
თეიმურაზსა და რუსთველისა. თბ., 1937. გვ. 115, სტრ.
999) და სხვა წყაროებში.

მოწინააღმდეგე



მეწინავე
დროშა

მემარცხენე
დროშა

მემარჯვენე
დროშა

მეფის
დროშა

© გ. ანჩაბაძე 1984, 2010

ოთხნაწილიანი ქართული საბრძოლო წყობა

ბრძოლას მეწინავე დროშა იწყებდა. თოფ-ზარბაზნების დაცლის შემდეგ მტერს მეშუბარი ცხენოსნები მოუხდებოდნენ. ისინი წინ გამოდიოდნენ, ალბათ, მეთოფეთა რაზმებს შორის დატოვებული ინტერვალებიდან და, აგრეთვე, მათი ფლანგების შემოვლის გზით. მეწინავეთა დარტყმა, ჩვეულებრივ, მტრის საბრძოლო წყობის ცენტრზე მოდიოდა. თუ მტერი შეეცდებოდა ქართველთა მეწინავე რაზმისთვის გვერდებიდან მოევლო, მაშინ მის ფლანგები მემარჯვენე და მემარცხენე დროშების დარტყმის ქვეშ აღმოჩნდებოდა, რომლებიც მცირე ხნის შემდეგ ებმებოდნენ ბრძოლაში. თეიმურაზს კარგად აქვს ნათქვამი: „მეწინავეს სხვა დროშები ზურგს მოაბამს ვით კლდე მყარი“. მსგავსი ამბავი აქვს აღნერილი არჩილს „თეიმურაზიანში“.

„ჩვენ მივედით მეწინავე ზედან შეჰქმდა დიდთა ჯართა, ქისიყელთა გაუჭირდთ, მიყვირს ან კი ვით შეჰქმართა, მიეშველნენ მემარცხენი ენისნელთა დროშა მალე, კვლავ შეიქმნა ცემა დიდი, ველარ ჰპოვეს მათ ნამალე..⁷

საერთო რეზიერვი, მეფის დროშა, ბრძოლაში ებმებოდა კველაზე გადამწყვეტ მომენტში, ან გამარჯვების დასაგვირგვინებლად, ან ბრძოლის რომელიმე უბანზე შექმნილი სახიფათო მდგომარეობის გამოსასწორებლად.

თუ მტერი დამარცხდებოდა და პირს იპრუნებდა, მას დიდ მანძილზე მისდევდნენ. მეშუბარი მხედრების მიერ ცხენიდან ჩამოგდებული მტრის მეომრებს ხშირად ქვეითები ხოცავდნენ. პოეტი ამბობს:

გამარჯვებული შუბები თორმეტი გასტეხს მტერსაო, რაინ გაიქცეს თვით მტერი, ვინ შეუნაავს ხელსაო, შეგ გაერევა ვაჟკაცი, ვით ბარი გუნდში ტრედსაო, მათ ჩამოყარონ მტერი და ბევრს გამოსჭირიდნენ ყელსაო.⁸

7. არჩილიანი, ტ. II, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა, გვ. 63, სტრ. 549-550.

8. თეიმურაზ მეორე. გვ. 87, სტრ. 708.

ასეთია თეიმურაზ Ⅱ-ის მიერ „სარკე თქმულთა ანუ დღისა და ღამის გაბაასებაში“ დახატული ომის სურათი. რა თქმა უნდა, ზემოთ აღნერილი საპრძოლო წყობა შაბლონი არ იყო და მხედართმთავარს სხვა შემთხვევაში, გარკვეული სიტუაციიდან გამომდინარეს, სხვანაირად შეეძლო დაეწყო ლაშქარი. ამის შესახებ პირდაპირ უწერია ვახუშტის: „ხოლო წესთა ამათთა იყო ყოველი ივერია ანუ გეორგია ოთხ სადროშოდ გაყოფილი გარნა ოდესე სამად მიმსვლელად ანუ სხვარიგ მიიყვანდიან, ვითარ ამჯობნის მეფე ანუ სპასალარი“⁹.

თუ მტრის ლაშქარი იმდენად მრავალრიცხოვანია, რომ მასთან პირისპირ შებმა უაზრობაა, თეიმურაზი მიზანშეწონილად თვლის პარტიზანული ბრძოლის გამართვას, მოულოდნელი თავდასხმის მოწყობას მტრის ბანაკზე.

დიდსა ჯარსა თუ პირდაპირ დღისით ვერვინ მოერევის დამე თაგა დაესხიან, კაცი ხმილთ შიგ შეერევის, შეუტყობრივ დასხმა მტერსა ფეხს აუდგაშს, აირევის, ამ გზით გატყდას მძლავრი ჯარი, დამარცხდების, გაიქცევის¹⁰.

პოემაში მოკლედ არის აღნერილი აგრეთვე ციხესიმაგრის წინააღმდეგ ბრძოლა — „ყუმბარის სროლა, ზარბაზნის და ნაღმის მიცემულობა, ეს ყველა იქნას დღისითა, მას ზედა იერიშობა“¹¹, მტრის ქვეყნის დარბევა მოთარეშეთა მიერ და სხვ.

ამრიგად, როგორც ვნახეთ, თეიმურაზ Ⅱ-ის პოემა „სარკე თქმულთა ანუ დღისა და ღაბაასება“ შეიცავს მეტად საყურადღებო ცნობებს ქართული ლაშქრის ბრძოლის ფორმების შესახებ. დასტურდება, რომ ქართული საბრძოლო წყობა დაანაწევრებული იყო ფრონტსა და სიღრმეში. სადროშოები წარმოადგენდნენ როგორც საორგანიზაციო, ასევე ტაქტიკურ ერთეულებს, რომლებიც ბრძოლაში აქტიურად ურთიერთქ-

9. ბატონიშვილი ვახუშტი. გვ. 30.

10. თეიმურაზ მეორე. გვ. 88, სტრ. 714.

11. იქვე, გვ. 87, სტრ. 711.

მედებდნენ ერთმანეთთან. ასეთი დაწვრილებითი ცნობები ქართული ლაშქრის საბრძოლო წყობის შესახებ არც ერთ სხვა წყაროში არ არის შემონა-ხული.

1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომი და აფხაზეთის აჯანყება¹

აფხაზეთის ინტეგრაცია რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში რამდენიმე ეტაპისგან შედგებოდა. 1810 წელს აფხაზეთის სამთავრო რუსეთის პროტექტორატად გამოცხადდა, მაგრამ ქვეყნის შინაგანი მართვა-გამგეობა მთლიანად აფხაზეთის მთავრისა და სხვა ადგილობრივი ფეოდალების ხელში დარჩა: სოხუმში დისლოცირებული რუსული გარნიზონი მხოლოდ აკვირდებოდა სიტუაციას და არ ერეოდა ავტონომიური სამთავროს საშინაო საქმეებში.

XIX ს-ის 30—40-იან წლებში რუსული ადმინისტრაციის პირდაპირი მმართველობა უკვე აფხაზეთის ცალკეულ რაიონებზე ვრცელდება: იქმნება სამურზაყანოს და წებელდის საბოქაულოები, 1846 წელს კი მთავარ მიხეილ შარვაშიძის სამფლობელოებიდან ფულადი ანაზღაურების ფასად აფხაზეთის ნავსადგურები გამოიყო, თუმცა რუსული ადმინისტრაციისა და სასამართლოს მოქმედების არე შემოიფარგლებოდა ქ. სოხუმით. ამიტომ 1864 წლამდე აფხაზეთის მოსახლეობის დიდი ნანილი, თუმცა ოფიციალურად კარგა ხანია რუსეთის ქვეშევრდომად ითვლებოდა, სინამდვილეში ნაკლებად ემორჩილებოდა ცენტრალურ ხელისუფლებას და თავისუფალი იყო ყოველგვარი ადმინისტრაციული დაქვემდებარებისაგან.

მრავალწლიანი კავკასიის ომის დამთავრების შემდეგ რუსეთის მთავრობამ მიზანშეწონილად ჩათვალა კავკასიაში აქა-იქ შემორჩენილი ავტონომიური ერთეულების ლიკვიდაცია. აქტი აფხაზეთის

1. პირველად დაბეჭდა კრებულში: „ნოდარ შენგელია 75 (ისტორიის მეცნიერებათა დოქტორ, პროფესორ ნოდარ შენგელიას დაბადების 75 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული)“. გამომცემლობა ჰოროსი XXI. თბ., 2008. გვ. 36-43.

The Russo-Turkish War (1877-1878) and the Abkhazian Uprising

The direct Russian rule in Abkhazia started in 1864, when the autonomous Principality of Abkhazia was abolished and the authority passed on to a representative of the Russian military administration. The colonial regime established in the country evoked strong discontent among the Abkhazians (the 1866 uprising). The Russo-Turkish war, started in 1877, stirred a new Abkhazian rebellion. The revolts were encouraged by the Turkish propaganda which was interested in instigating anti-Russian unrest in the Caucasus.

სამთავროს გაუქმების შესახებ საჯაროდ გამოქვეყნდა 1864 წლის 12 ივლისს (ძვ. სტილით) და აქ შემოღებული იქნა ე.წ. სამხედრო-სახალხო მმართველობის სისტემა, რომელიც უკვე აპრობირებული იყო ჩრდილო კავკასიაში. ამის შემდეგ აფხაზეთს ოფიციალურად ეწოდა „სოხუმის სამხედრო განყოფილება“, რომლის უფროსებად რუსი სამხედრო ჩინები ინიშნებოდნენ.

პირდაპირი რუსული მმართველობის შემოღება ნებატიურად იყო აღქმული აფხაზეთის მოსახლეობის მიერ. თავად-აზნაურობის უკმაყოფილებას იწვევდა სახელმწიფო პოლიტიკა, მიმართული მათი უფლებების შეზღუდვისაკენ, გლეხობა კი ვერ ეგუებოდა უპრალო ხალხისადმი რუსი ჩინოვნიკების დამოკიდებულებას, რომლებიც ვერ ერვენიდნენ აფხაზური ცხოვრების წესის თავისებურებებში და არად აგდებდნენ ადგილობრივ სოციალურ და ყოფით სპეციფიკას.

პოლიტიკური ვითარება აფხაზეთში განსაკუთრებით დაიძაბა 1866 წლის ზაფხულში, როდესაც რუსეთის ხელისუფლებამ აქ საგლეხო რეფორმის ჩატარების სამზადისი დაიწყო. აფხაზთა რეაქცია შეიარაღებულ აჯანყებაში გადაიზარდა, რომლის ჩახმობის შემდეგ თურქეთში, ფაქტობრივად, ძალით იქნა განდევნილი 20 ათასამდე აფხაზი. თუ ამ ციფრს დავუმატებთ კავკასიის ომის დასრულების დროინდელ ემიგრანტთა (მუჭავირთა) რიცხვს აფხაზეთიდან, ვნახავთ, რომ XIX ს-ის 60-იან წლებში აფხაზეთიდან ოსმალეთის იმპერიაში 40 ათასზე მეტი ადამიანი გადასახლებულა, რამაც თითქმის მთლიანად დააცარიელა მდ. ბზიფის დასავლეთით მდებარე ტერიტორიები და კოდორის ხეობა.

აფხაზეთი 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის წინ. მკაცრი რეპრესიებისა და მოსახლეობის შეთხელების მიუხედავად ბუნტარული განწყობილება აფხაზეთში, რომელსაც აღვივებდნენ თურქეთიდან საიდუმლოდ მოვლენილი აფხაზი

At the end of April 1877, Turkish military troops landed on the Abkhazian coast. They brought a great amount of weapons to the insurgent Abkhazians. Hostilities between Russian troops and Abkhazians, supported by several battalions of Turkish regular army, lasted three and a half months. The Abkhazian rebels were defeated after Russia sent additional military forces to the region. Approximately 40 000 Abkhazians, more than half of the pre-war population of Abkhazia, followed the Turkish troops when they left Sukhumi.

First published in 2008

მუჰაჯირები, არ ცხრებოდა. უკვე 1876 წელს ხელისუფლება იძულებული გახდა შეექმნა სპეციალური საჯარისო დაჯგუფება, ე.წ. სოხუმის რაზმი, რომლის ძირითადი დანიშნულება იყო „აფხაზურ მოსახლეობაში წერიგის შენარჩუნება“². 1877 წლის დასაწყისში სოხუმის რაზმში 4752 ჯარისკაცი და ოფიცერი ირიცხებოდა 4 სამთო ქვემეხით. რაზმი ემორჩილებოდა სოხუმის სამხედრო განყოფილების უფროსს გენერალ-მაიორ კრავჩენკოს. სოხუმის განყოფილების ჯარების შემადგენლობაში შედიოდა აგრეთვე აფხაზური მილიცია პოლკოვნიკ გრიგოლ შარვაშიძის მეთაურობით.

ეს იყო დრო, როდესაც მახლობელ აღმოსავლეთში ახალი პოლიტიკური კრიზისი იწყებოდა. ოსმალეთის იმპერიაში შემავალი ბალკანეთის სლავური ხალხების ეროვნული თვითშეგნების ზრდამ, ბოსნია-ჰერცეგოვინასა და ბულგარეთში რამდენიმე აჯანყება გამოიწვია, რომელებსაც სერბეთმა და ჩერნოვორიამ დაუჭირეს მხარი (1875-1876 წწ.). ამ მოვლენებმა მთელი ევროპის ყურადღება მიიქცია და გაამწვავა ბრძოლა დიდ სახელმწიფოებს შორის გავლენათა სფეროების განაწილებისათვის. განსაკუთრებით აქტიურად გამოდიოდა რუსეთი, რომელიც სლავი ხალხების დაცვის საბაბით ბალკანეთში ფეხის მოკიდებასა და შავი ზღვის სრუტეებზე გაპატონებას ცდილობდა.

1877 წლის 12 აპრილს რუსეთის იმპერიამ ოსმალეთს ომი გამოუცხადა და დაიწყო შეტევა საომარი მოქმედებების ორ სახმელეთო ასპარეზზე — ბალკანეთისა და კავკასია — ანატოლიის ფრონტებზე. შავ ზღვაზე, სადაც ოსმალები ბატონობდნენ (რუსეთს 1856 წლის პარიზის ზავით აკრძალული

2. Материалы для описания Русско-турецкой войны 1877-1878 гг. на Кавказско-Малоазиатском театре. Т. V. Составлен в Военно-историческом отделе при штабе Кавказского военного округа полковником Фон-Климан. Тифлис, 1909. С. 256.

ჰერინგდა აქ ფლოტის ყოლა), გათვალისწინებული იყო მხოლოდ სანაპირო ხაზის დაცვა.

რუსეთ-თურქეთის ომის საერთო მსვლელობა. რუსეთ-თურქეთის ომის მთავარ ასპარეზზე, ბალკანეთში, რუსეთის არმიამ დუნაი გადალახა და თურქების გააფთრებული წინააღმდეგობის მიუხედავად სტამბოლს მიუახლოვდა (1878 წ. იანვარი). რუსთა მონინავე რაზმები 12 კილომეტრის დაშორებით იყვნენ ოსმალეთის დედაქა-ლაქიდან, როდესაც ალექსანდრე II-მ, ევროპული სახელმწიფოების მოთხოვნით შეტევის შეჩერება ბრძანა. თურქეთის აზიურ ნანილში რუსები არ-ზრუმს მიადგნენ და აღმოსავლეთ ანატოლიის ამ მნიშვნელოვან სტრატეგიულ და ადმინისტრაციულ პუნქტს ალყა შემოარტყეს. ომი დასრულდა სან-სტეფანოს ზავით (საზავო ხელშეკრულება გადახედილი იქნა 1878 წ. ბერლინის კონგრესზე). რუსეთმა მიიღო არტაანი, ყარსი და ბათუმი მიმდებარე ოლქებით და ტერიტორია დუნაის შესართავთან. გარდა ამისა ოსმალეთმა ალიარა რუმინეთის, სერბეთისა და ჩერნოვორიის დამოუკიდებლობა და დათანხმდა ავტონომია მიენიჭებინა ბულგარეთისათვის.

ომი და კავკასიის მთიელები. რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებამ კავკასიის მთიანეთში მდელვარება გამოიწვია. აქ კარგად ახსოვდათ რუსეთ-მთიელთა ომი და მთიელთა ოპოზიციის ბელადები რევანშზე ოცნებობდნენ. გარკვეულ როლს ასრულებდა აგრეთვე თურქეთის ემისართა პროპაგანდა, რომლებიც კავკასიის ხალხებს აჯანყებისკენ მოუწოდებდნენ და ოსმალთა დახმარებას პირდებოდნენ. ეს აგიტაცია შედეგს არ გამოიღებდა მთიელთა ფართო მასებში დიდი უკმაყოფილება რომ არ ყოფილიყო რუსეთის კოლონიური პოლიტიკის გამო. რუსეთ-თურქეთის ომის დაწყების შემდეგ ჩრდილო კავკასიის ზოგ რეგიონში (დაღესტანი, ჩეჩენეთი, ჩერქეზეთი) შეიარაღებულმა აჯანყებებმა იფეთქა. რუსეთის მთავრობამ, რომელსაც

კავკასიის ომის განახლებისა ეშინოდა, ამბოხე-ბულთა წინააღმდეგ დიდი ძალები დაძრა და მათი გამოსვლები სისხლში ჩაახშო.

1877 წელს აფხაზეთშიც მოხდა ფართო მასშტა-ბის შეიარაღებული გამოსვლა რუსების წინააღმ-დეგ, მაგრამ ჩრდილო კავკასიისგან განსხვავებით აქ ოსმალთა ჯარებიც შემოიჭრნენ, რომლებ-საც შეუერთდნენ აჯანყებული აფხაზები, რამაც საბაბი მისცა რუსეთის ხელისუფლებას ომის დამ-თავრების შემდეგ თითქმის მთელი აფხაზი ხალხი მოღალატედ გამოეცხადებინა.

ალსანიშნავია, რომ 1877 წლის აფხაზეთის აჯა-ნყება, მიუხედავად მისი საერთო-სახალხო ხა-სიათისა, თითქმის შეუსწავლელია საბჭოთა ის-ტორიოგრაფიაში, ვინაიდან სახალხო გამოსვლა რუსეთის წინააღმდეგ ოსმალო ინტერვენტებთან ერთად, არ ეწერებოდა ოფიციალური ისტორიის სქემაში. ამ სქემის მიხედვით, რუსეთის არმია კავკასიაში განმათავისუფლებლის როლში გამო-დიოდა და ადგილობრივი მოსახლეობის მტკიცე მხარდაჭერით სარგებლობდა. ამიტომ აფხაზე-თის 1877 წლის მოვლენებზე საუბრისას, საბჭოთა ისტორიულ ლიტერატურაში, როგორც წესი, არ მახვილდება ყურადღება ანტირუსული გამოსვ-ლის მასობრივ ხასიათზე და აჯანყებულთა წრე ითარგლება მხოლოდ „მოღალატე თავად-აზნაუ-რებისა და პროვოკაციის ანკესზე წამოგებული გლეხების“ მცირე ნაწილით.

ოსმალთა დესანტი და აჯანყების დაწყება. აფხაზეთში, რომლის მოსახლეობა ვერ ეგუებო-და კოლონიურ რეჟიმს, სახალხო მღელვარებები ომის გამოცხადებამდე დაიწყო, 1877 წლის აპრი-ლის ბოლოს კი აფხაზეთის ნაპირებთან ოსმალთა სამხედრო გემები გამოჩნდნენ და რამდენიმე ადგ-ილას აფხაზი და ჩერქეზი მუჰაჯირებისგან შემდ-გარი სადესანტო რაზმები გადმოსხეს. მართალია, ამ ძალების საერთო რაოდენობა 2—3 ათას კაცს არ აღემატებოდა, მაგრამ დესანტის გამოჩენამ

დააბნია რუსული სარდლობა, რომელმაც სოხუმის რაზმს სანაპიროდან უკან დახევა უბრძანა.

დესანტის პირველი ტალღის გადმოსვლისთანავე გუდაუთაში ხალხმრავალი თავყრილობა გაიმართა. ოსმალეთის წარმომადგენლებმა სულთნის ფირმანი წაიკითხეს, რომელიც აფხაზებს რუსებთან ომისკენ მოუწოდებდა. ხალხის მხარდამჭერი ყიუინის შემდეგ მოლამ ყურანი გამოიტანა და შეკრებილნი სულთნის ერთგულებაზე დააფიცა. თვითმხილველის აღნერით, აფხაზები გულსაკიდ ჯვრებს იხსნიდნენ, ხეებზე კიდებდნენ და ყურანს ემთხვეოდნენ. ამის შემდეგ სოხუმზე ლაშქრობის ბრძანება გაიცა³.

არ უნდა გვეგონოს, რომ ყველა აფხაზი მხარს უჭერდა შეიარაღებული აჯანყების იდეას. იყვნენ ისეთებიც, ვისაც ესმოდა, რომ შეცდომა ამ ვითარებაში მთელი ხალხისათვის ტრაგიკული შედეგით დასრულდებოდა. ეს ადამიანები მზად იყვნენ იარაღით ხელში გამოსულიყვნენ რუსეთის მხარეზე თუ სამთავრობო ჯარები აქტიურ წინააღმდეგობას გაუწევდნენ მტერს⁴. მაგრამ გენერალმა კრავჩენკომ, რომელსაც გაზვიადებული ცნობები ჰქონდა დესანტის რიცხოვნობის შესახებ, გადაწყვიტა გამაგრებულიყო წებელდის ტაფობში, რომელიც ჯერ კიდევ ომამდე განიხილებოდა როგორც ძხელადმისადგომი საყრდენი პუნქტი, სადაც რაიმე გართულების შემთხვევაში თავს შეაფარებდა აფხაზეთში დისლოცირებული რუსეთის ჯარი. ამიტომ წებელდის ბაზა უზრუნველყოფილი იყო პროვინციანული და საპრძოლო მასალების საწყობებით. ამრიგად, რუსებმა უბრძოლველად დათმეს აფხაზეთის სანაპირო ზოლი და მთელი გუდაუთის უბანი, რითიც აფხაზებს მოწინააღმდეგის მხარეზე გადასვლისკენ უბიძგეს.

3. Абхазия и в ней Ново-Афонский монастырь. Составил И.Н. Москва, 1899. С. 208.

4. მაჭავარიანი. ხალხის არეულობა აფხაზეთში / “დროება”, 154’ 1878.

სოხუმის რაზმის უკუქცევა. 2 მაისს ოსმალთა ხომალდებმა დაპომბეს სოხუმი, შემდეგ კი ქალაქი აჯანყებულებმა გაძარცვეს. მალე მთელი სანაპირო ზოლი ადლერიდან ოჩამჩირემდე ოსმალებისა და აჯანყებული აფხაზების ხელში აღმოჩნდა. სოხუმის რაზმი, რომელიც დამძიმებული იყო ლტოლვილებით (ქალაქის მშვიდობიანი მოსახლეობა და ბერძენი, ბულგარელი და სხვა მოახალშენები სოხუმის ახლომახლო სოფლებიდან), მთებისკენ იხევდა. რაზმს განუწყვეტელი მოგერიებითი ბრძოლის წარმოება უხდებოდა აფხაზებთან, რომლებიც ზურგიდან და ფლანგებიდან ემუქრებოდნენ მას.

კრავჩენკო წებელდაში ველარ გაჩერდა; მან მიიღო ბრძანება გაენადგურებინა პროვიანტის საწყობები და გადასულიყო კოდორის მარცხენა ნაპირზე. საისტორიო წყაროები ერთხმად აღნიშნავენ იმ სიძნელეებს, რომლებსაც სოხუმის რაზმი წააწყდა კოდორისკენ მსვლელობისას. „გზას თავდაპირველად არა უშავდა რა, – ვკითხულობთ რუსულ სამხედრო ქრონიკებში, – მაგრამ ჯამპალთან⁵ მიახლოვებისას იგი თანდათან მთის ბილიკად იქცა და რაზმს ხშირად უხდებოდა უფსკრულის პირას ციცაბო კლდებზე სიარული. მოძრაობას უფრო აძნელებდა აღალი, მოახალშენეთა საქონელი, და თვითონ მოახალშენენი მათი ოჯახებით“⁶.

უკუქცევისას დააგდეს მთელი ალალი და საბრძოლო მასალების ნაწილი. დაილუპა აგრეთვე XIX საუკუნის აფხაზეთის ისტორიის უნიკალური წყაროთა მასივი – სოხუმის სამხედრო განყოფილების არქივი: ქალალდების დასტებით დატვირთული ფორნები ერთ-ერთ ხეობაში მიატოვეს. თვითმხილველის ცნობით, რამდენიმე თვის შემ-

5. ჯამპალი – მდინარე წებელდაში, კოდორის მარჯვენა შენაკადი.

6. Война 1877 и 1878 гг. Т. III. Война в Азиатской Турции / Под. ред. генерал-майора Зыкова. Вып. 2. Батум, Сухум и стоянка на границе. С.-Петербург, 1882. С. 211.

დეგაც კი იქ მთელი არემარე საქმიანი ქაღალდებ-ით იყო მოფენილი⁷.

ყველაზე ძნელი აღმოჩნდა კოდორის გადალახვა ბაგადის კლდეებთან. განუწყვეტლივ წვიმდა; სოხუმის რაზმი ორი დღის განმავლობაში გადადიოდა კლდეებს შორის დაკიდებულ ხიდზე, რომლის სიგრძე 28, ხოლო სიგანე 1,5 ნაბიჯი იყო; დაშლილი ზარბაზნები ხელით გადაპქონდათ. ხიდის ქვეშ კი, 30 მეტრის სილრმეზე, მიქროდა აქაფებული კოდორი, რომელშიც ლტოლვილთა საქონლის დიდი ნაწილი დაიხრჩო. სანამ მდინარეზე რაზმის მთავარი ძალები გადადიოდნენ, ავადმყოფებით, დაჭრილებითა და ლტოლვილებით, არიერგარდი გრიგოლ შარვაშიძის მეთაურობით აფხაზთა შეტევებს იგერიებდა, რომლებსაც ოსმალთა ორი ზარბაზანი უმაგრებდა მხარს. 17 მაისს არიერგარდიც გადავიდა კოდორზე და ხიდი გაანადგურა.

ბრძოლები მდინარე ლალიძგაზე. ამასობაში ოჩამჩირის ოკრუგში სოხუმის რაზმის დასახმარებლად გამოგზავნილი გენერალ-მაიორ ალხაზოვის (ი.ალხაზიშვილი) კოლონა შემოვიდა. ამ ორი დაჯგუფების გაერთიანების შედეგად შეიქმნა ახალი საბრძოლო ერთეული – ინგურის რაზმი, რომლის მეთაურობა გენერალმა ალხაზოვმა ჩაიბარა. აფხაზებთან რამდენიმე წარუმატებელი შეტაკების შემდეგ ინგურის რაზმმა კოდორიდან მდინარე დალიძგისაკენ დაიხია, სადაც გამაგრდა და გადაკეტა სამურზაყანოსა და სამეგრელოში მიმავალი გზები.

ის ძალები, რომლებმაც რუსებს დალიძგამდე დაახევინეს, ძირითადად მუჰაჯირებისა და აჯანყებულთა რაზმებისაგან შედგებოდა, რომელთა

7. Дьячков-Тарасов А.Н. Абхазия и Сухум в XIX столетии// Известия Кавказского отдела Русского географического общества. Т. XX, №2. Тифлис, 1910. С. 207.

მხარეზე გადავიდა აფხაზური მილიციის დიდი ნაწილიც. ზღვიდან მათ მოქმედებას უზრუნველყოფდა თურქელი ჯავშნოსანი ხომალდები. რაც შეეხება ოსმალთა არმიის რეგულარულ ნაწილებს, მათი გადმოსროლა აფხაზეთში, ფაქტობრივად, რეგიონში საბრძოლო მოქმედებების დაწყებიდან ერთი თვის შემდეგ დაიწყო. ოსმალთა ჯარი, ძირითადად, სოხუმში იყო დაჯგუფებული და არჩეარობდა ბრძოლაში ჩაბმას. ოსმალური სარდლობა იმედს ამყარებდა აფხაზთა აჯანყებაზე, რომლებიც ჩრდილოკავკასიელ მთიელებთან ერთად რუსეთის კავკასიის არმიის გარკვეულ ნაწილს დააკავებდნენ. ამიტომ ოსმალთა გეგმებში არ შედიოდა საკუთარი ძალების აქტიური გამოყენება აფხაზეთში. სამაგიეროდ ოსმალები თანხებს არ ზოგავდნენ აფხაზთა შესაირალებლად: მათ მოსახლეობას ათასობით თოფი და დიდი რაოდენობით ვაზნები დაურიგეს. ამ იარალის გარკვეულ ნაწილს შეადგენდა იმ დროისათვის სავსებით თანამედროვე პიბოდი-მარტინისა და ჰენრი-ვინჩესტერის შაშხანები, რომლებიც თურქეთის მთავრობას ამერიკის შეერთებულ შტატებში ჰქონდა ნაყიდი⁸. ცხადია, ყველა აფხაზ მებრძოლს არ ექნებოდა ასეთი თოფები, მაგრამ მთლიანობაში შეიძლება ითქვას, რომ თურქების მეოხებით, აჯანყებული აფხაზების სასროლი იარალი ხარისხობრივად აღემატებოდა მოწინააღმდეგის შეიარაღებაზე მყოფ ნიმუშებს. 1877 წელს რუსეთის რეგულარული ჯარები კავკასიაში აღჭურვილი იყვნენ მოძველებული კარლეს სისტემის თოფებით⁹ და მხოლოდ ცალკეულ ნაწილებს გააჩნდათ თანამედროვე ბერდანის შაშხანები. რაც შეეხება ინგურის რაზმში შემავალ ქუთაი-

8. Щастливцев П. Наступление Сочинского отряда /«Тифлисский Вестник» №201'1877; Война 1877 и 1878 гг. Т. III. Война в Азиатской Турции / Под. ред. генерал-майора Зыкова. Вып. 2. Батум, Сухум и стоянка на границе. С.-Петербург, 1882. С. 216.


9. Военное искусство капиталистического общества (1789-1917 гг.) / Сборник материалов для военных училищ. Москва, 1953. С. 162.

სისა და სამურზაყანოს მილიციის მებრძოლებს, მათ საერთოდ კაუიანი თოფები ჰქონდათ, რაც სრულიად არ პასუხობდა დროის საბრძოლო მოთხოვნილებებს. (მხოლოდ ომის მსვლელობაში გამოიცა ბრძანება მილიციის გადაიარაღების შესახებ ნაალაფევი თურქული შაშხანებით.)

რუსული ჯარებისაგან გაწმენდილ აფხაზეთში მოხალისეთა შეგროვება დაიწყო. „ბიჭვინტის ოკრუგს კომლზე ერთი კაცი გამოჰყავდა, კოდორის უბანში კი მდინარე მოქვამდე ჩვენს წინააღმდეგ ქუდზე კაცი გამოვიდა“, – ვკითხულობთ რუსულ სამხედრო-ისტორიულ ლიტერატურაში¹⁰. აჯანყებულთა ლაშქარი აფხაზურ თემებში შეკრებილი მილიციისა და მუჰაკირთა რაზმებისაგან შედგებოდა, რომლებსაც მეთაურობდნენ გავლენიანი თავად-აზნაურები – რაშიდ გეჩბა, კამბულათ და სალაპ მარდანიები, ხერიფს მარშანია, ედირბეი ცანბა და სხვ. აჯანყებულებმა დასავლეთის მიმართულების უზრუნველსაყოფად ადლერში ძლიერი რაზმი დააყენეს, მთავარი ძალები კი გადაისროლეს კოდორის უბანში. მათი მეთაურების ჩანაფიქრით იგეგმებოდა სამურზაყანოში შეჭრა და მისი მოსახლეობის მიმხრობა. ამ საშიშროებას რუსეთის სარდლობაც გრძნობდა: „უეჭველი იყო, რომ თუ ჩვენ ინგურამდე დავიხევდით უკან, აგვიჯანყდებოდნენ სამურზაყანოებიც,“ – თვლიდნენ კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბში¹¹. საკმაოდ მრავალრიცხოვანი სამურზაყანოს მილიცია, როგორც ჩანს, არც თუ დიდი ხალისით იბრძოდა სამთავრობო ჯარების მხარეზე, განსაკუთრებით სამხედრო კამპანიის პირველ ეტაპებზე. კერძოდ, სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ სამურზაყანოები უტყვიო მუხტებს უშენდნენ

10. Материалы для описания Русско-турецкой войны 1877-1878 гг. С. 333.

11. იქვე. გვ.304.



საბრძოლო მოქმედებები აღნაზეთში (1877 წ. აპრილი-აგვისტი)

აჯანყებულებს¹², ცალკეული მილიციონერები კი მოწინააღმდეგის მხარეზე გადადიოდნენ¹³.

2 იქნის, გამთენისას, აფხაზთა დიდმა მასებმა, ლალიძეის გადალახვის მიზნით იერიში მიიტანეს ინგურის რაზმის მარცხენა ფლანგზე, ილორთან. შეტევას ზღვიდან საარტილერიო ცეცხლით მხარს უჭერდა ორი თურქული ჯავშნიანი გემი. მართალია, სამთავრობო ძალებმა აფხაზთა პირველი დარტყმა მოიგერიეს, მაგრამ შუადლემდე შეტევა რამდენიმეჯერ განახლდა, თუმცა კვლავ უშედეგოდ. ამის შემდეგ აჯანყებულები ტყეს შეეფარნენ და რუს ჯარისკაცებთან ურთიერთსროლა გააგრძელეს¹⁴.

ილორის კოლონაზე დარტყმის პარალელურად აფხაზებმა ინგურის რაზმის მარჯვენა ფლანგსაც შეუტიეს სოფელ ფოქვეშთან (20 კმ-ით ზემოთ ლალიძეაზე), მაგრამ რუსთა კარგად გამაგრებული პოზიციების თავგანწირული შტურმი აქაც მოგერიებული იქნა თოფებისა და არტილერიის ცეცხლით. ამ დღეს აფხაზთა წარუმატებლობის ერთ-ერთი მიზეზი, როგორც ჩანს, ის იყო, რომ გენერალ ალხაზოვს აგენტურული მონაცემები გააჩნდა აჯანყებულთა გეგმების შესახებ და დროულად გამოიყენა რეზერვები¹⁵.

მძიმე ზარალი, რომელიც აფხაზებმა განიცადეს 2 იქნის, მათი თურქებთან უთანხმოების საბაბი გახდა. აჯანყებულები მოკავშირეებს პასიურობაში ადანაშაულებდნენ და მათგან უფრო აქტიურ ქმედებებს ითხოვდნენ. ოსმალო მეთაურებს თავისი რეგულარული ჯარისა და არტილერიის ნაწილის ოჩამჩირეში გადასროლა მოუხდათ. 13

12. Война 1877 и 1878 гг. Т. III. Война в Азиатской Турции. С.209.

13. Материалы для описания Русско-турецкой войны 1877-1878 гг. С. 304, 333.

14. იქვე. გვ. 324-326.

15. Война 1877 и 1878 гг. Т. III. Война в Азиатской Турции. С. 215-216; Материалы для описания Русско-турецкой войны 1877-1878 гг. С. 326-328.

ივნისს ინგურის რაზმის პოზიციებზე შეტევა განახლდა, რომელშიც აფხაზებთან ერთად უკვე ოსმალური ბატალიონებიც მონაწილეობდნენ. მაგრამ ალხაზოვმაც მიიღო მაშველი ძალა და ეს შეტევაც მოიგერია, ხოლო 15 ივნისს თვითონ განავითარა კონტრიერიში ოჩამჩირის მიმართულებით. ცხარე ბრძოლებში ორივე მხარე სერიოზულ ზარალს განიცდიდა. მარტო 15 ივნისს ინგურის რაზმის საერთო დანაკლისმა მოკლულთა და დაჭრილთა სახით 368 კაცი შეადგინა¹⁶.

168

რუსეთის ჯარების კონტრშეტევა და კამპანიის დასასრული. პოზიციების მედგარი დაცვის მიუხედავად, ინგურის რაზმის თავდაცვითი ტაქტიკა აფხაზეთის მოსახლეობაში რუსეთისათვის სასურველ ეფექტს ვერ იწვევდა. „არა მარტო აფხაზები, არამედ სამურზაყანოებიც კი აღარ ენდობოდნენ ჩვენი იარაღის ძალას და თურქების მხარეზე გადარბოდნენ,“ – ნათქვამია 1877-1878 წლების ომის რუსულ აღნერილობაში¹⁷. ამიტომ ალხაზოვმა კონტრშეტევის დაწყება გადაწყვიტა. ივლისის დასაწყისში მისმა ჯარებმა, რომლებიც ამ დროისათვის ითვლიდნენ $1\frac{1}{4}$ ქვეით ბატალიონს, კაზაკთა 2 ქვეით ასეულს, 15 ცხენოსან ასეულსა და 20 ქვემეხს, სამეგრელოსა და სამურზაყანოს მილიციასთან ერთად¹⁸, განახორციელეს დარტყმა ფრონტის ჩრდილო უბანზე. ინგურის რაზმის მარჯვენა ფრთის კოლონამ „მტრის მედგარი წინააღმდეგობისა და თავდაცვითი ხერგების მიუხედავად“ 19 ივლისს სოფ. ჯგერდას მიაღწია და აფხაზებს კოდორამდე დაახვინია. შემდეგ მდ. მოქვის მარჯვენა ნაპირით რუსები ზღვისაკენ დაეშვნენ და გადაწვეს შემხვედრი სო-

16. Материалы для описания Русско-турецкой войны 1877-1878 гг. С. 338.

17. იქვე. გვ. 333

18. Война 1877 и 1878 гг. Т. III. Война в Азиатской Турции. С. 343. 1877-1878 წნ. ომის დროს კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარებში ქვეითი ბატალიონში შტატით უნდა ყოფილიყო 682 კაცი, კაზაკთა ასეულში – 128 მხედარი.

ფლები. ამ მანევრით ოჩამჩირეში მყოფი თურქები გათიშულნი აღმოჩნდნენ აფხაზებისაგან და სასწრაფოდ სოხუმში ევაკუაციას შეუდგნენ. ამრიგად, მთელი კოდორის უბანი სამთავრობო ჯარების ხელში აღმოჩნდა¹⁹. ადგილზე დარჩენილმა მოსახლეობამ მორჩილება განაცხადა, გასცა მძევლები და იარაღის ჩაბარება დაიწყო.

რუსეთის არმიისა და მილიციის რიგებში აფხაზეთის პრივილეგირებული წოდების არაერთი წარმომადგენელი იბრძოდა. კერძოდ, ბევრგან გამოიჩინა თავი პოლკოვნიკმა გრიგოლ შარვაშიძემ, რომელმაც 1877 წლის კამპანიისათვის გენერლობა მიიღო; სამურზაყანოელთა ასეულმა, რომელსაც თავადი ბათა ემუხვარი მეთაურობდა, ტყვედ ჩაიგდო აჯანყების ერთ-ერთი მოთავე ხერისფს მარშანია; თავადმა მისოსტ მარშანიამ რუსები საიდუმლო ბილიკებით გაიყვანა აჯანყებულთა ზურგში და მოტყუებით ააღებინა ერთ-ერთი თავდაცვითი ხერგი, რომლის ყველა დამცველი (48 კაცი) დახოცილი იქნა²⁰.

2 აგვისტოს რუსულმა სარდლობამ 1877 წლის აფხაზეთის კამპანიის უკანასკნელი ფაზა დაიწყო. საერთო მიმართულებით სოხუმზე სხვადასხვა მხრიდან დაიძრა სამი საჯარისო შენაერთი – ინგურის, მარუხისა და სოჩის რაზმები. გენერალ-მაიორ ალხაზოვის ინგურის რაზმი, რომელიც ამ დროისათვის 10 ქვეით ბატალიონსა და მილიციის 2 „დრუჟინას“ ითვლიდა, კოდორის მხრიდან უტევდა სოხუმს. 3-ათასიანი მარუხის რაზმი (4 ბატალიონი, მილიციის დანაყოფები და 2 სამთო ქვემები) გენერალ-ლეიტენანტ ბაბიჩის მეთაურობით მარუხის უდელტეხილიდან დაეშვა, ხოლო სოჩის მხრიდან დაიძრა პოლკოვნიკ შელკოვნიკოვის კოლონა – 2500 კაცი (21/2 ბატალიონი და კაზაკთა 4 ასეული) 2 ზარბაზნით. სამხედრო მო-

19. «Кавказ» №147'1877.

20. Материалы для описания Русско-турецкой войны 1877-1878 гг. С. 343.

ქმედებების საერთო ხელმძღვანელობა დაევალა ყველაზე ძლიერი რაზმის მეთაურს – გენერალ ალხაზოვს.

აფხაზეთში ამ დროისათვის მუჭაჯირთა მხედრობის გარდა ოსმალთა რეგულარული ჯარების დაჯგუფება იმყოფებოდა – 12 ბატალიონი 3 საარტილერიო ბატარეიით²¹. ამ ძალებითა და ბუნებრივ ზღუდებზე დაყრდნობით შეიძლებოდა სოხუმის გარშემო ძლიერი თავდაცვითი ხაზის მოწყობა თუ აფხაზური მოსახლეობა ძველი ენთუზიაზმით გააგრძელებდა ბრძოლას. ეს კარგად ესმოდათ რუს მეთაურებსაც; ამიტომ კავკასიის არმიის სარდლის თანამემნე, თავადი სვიატოპოლკ-მირსკი, თავის მინერილობაში გენერალ ალხაზოვისადმი 1877 წლის 24 ივლისს აღნიშნავს: „ამ მიზნის მიღწევა (ოსმალთა აფხაზეთიდან განდევნა. – გ.ა.) ადვილი იქნება თუ რთული, ძირითადად დამოკიდებულია აფხაზთა განწყობაზე. ამიტომ ჩვენთვის ხელსაყრელია, რომ აფხაზეთში სამი მხრიდან ჯარების შეყვანის მუქარამ ან თუნდაც რაზმების მოძრაობის დაწყებამ, აიძულოს ადგილობრივი მოსახლეობა, დაგვმორჩილდეს“²².

მირსკის აზრით, „აფხაზთა მუხანათობა <...> უმკაცრეს სასჯელს იმსახურებს, რომლის ზომა ხელმწიფე იმპერატორის უზენაეს ნებაზეა დამოკიდებული, მაგრამ ამ უბედურმა ხალხმა ჯერ კიდევ შეიძლება შეიმსუბუქოს ხვედრი და გარკვეული შეწყნარება დაიმსახუროს თუ თურქების ნინაალმდეგ შეტრიალდება და ჩვენს ჯარებს დაეხმარება მათი სოხუმიდან განდევნაში“. აფხაზეთის „დაშოშმინება“ რომ გამარტივებულიყო, სვიატოპოლკ-მირსკი ალხაზოვს ურჩევ-

21. ოსმალთა რეგულარული არმიის ბატალიონი (თაბური) 1877-1878 წწ. შტატით ითვლიდა 774 კაცს, თუმცა, ფაქტობრივად, მისი რიცხოვნობა უფრო მცირე იყო ხოლმე. ბატარეა 6 ქვემეხისგან შედგებოდა და 110 ჯარისკაცს ითვლიდა.

22. Материалы для описания Русско-турецкой войны 1877-1878 гг. С. 354.

და: „მოთავეთა გაცემას ნუ მოითხოვთ, ამ ზომაშ შეიძლება მხოლოდ გაართულოს მოსახლეობის მასების დამორჩილება. დიდი უძედურება არ იქნება თუ ყველაზე დამნაშავე აფხაზები თურქებთან ერთად დატოვებენ მხარეს“. მაგრამ ის თემები და სოფლები, „რომლებიც ჯიუტად გააგრძელებენ ურჩობას, უნდა დაისაჯონ იარაღის ძალით, ყველა აქედან გამომდინარე შედეგით. დაინდეთ მხოლოდ ქალები და ბავშვები“²³.

მაგრამ კოდორის უბანში განცდილი დამარცხებითა და სოჩის რაზმის მიერ გაგრის გასასვლელის დაძლევით²⁴ დემორალიზებული აფხაზები, სერიოზულ წინააღმდეგობას აღარ უწევდნენ რუსებს: ისინი ცეცხლს უკიდებდნენ თავიანთ სახლ-კარს და ოჯახებითა და საქონლით სოხუმისკენ გარბოდნენ, სადაც უკვე ევაკუაციის გამალებული სამზადისი იყო. ცხენოსანმა კაზაკებმა და სამურზაყანოელებმა, რომლებიც ლტოლვილებს მიდევდნენ, ასობით თავი საქონელი ჩაიგდეს ხელში. რამდენიმე მცირე შეჯახების შემდეგ სამთავრობო ჯარებმა სოხუმს მიაღწიეს და გარს შემოეწყვნენ მას. მზვერავები და გადმომრბენები ერთხმად აცხადებდნენ, რომ ოსმალები მოკლე ხანში აპირებდნენ ქალაქის დატოვებას.

ამიტომ გენერალი ალხაზოვი არ ჩქარობდა შტურმის დაწყებას, რათა თავიდან აეცილებინა ზედმეტი მსხვერპლი. ბოლოს მას აცნობეს, რომ ნავსადგურიდან გავიდნენ უკანასკნელი ხომალდები, ხოლო სოხუმს რამდენიმე მხრიდან ცეცხლი ჰქონდა წაკიდებული. ხანძარი ქალაქს ორი დღე ანადგურებდა. რუსთა პიკეტებმა, რომლებიც სოხუმში 20 აგვისტოს დილით შევიდნენ, მარტო მხრიოლავი ნანგრევები და ათასობით დახოცილი

23. იქვე. *Приложение*, С. 200.

24. გაგრის გასასვლელს იცავდა ძველ რუსულ ფორტში გამაგრებული აფხაზურ-ჩერქეზული რაზმი და ოსმალთა ჯავშნოსანი ხომალდი „თინა შევქეთი“, რომლის ზარბაზნებს სანაპირო გზა ჰქონდათ მიზანში ამოღებული.

ხარ-ძროხა აღმოაჩინეს. ოსმალებმა, რომლებსაც არ შეეძლოთ თან წაეყვანათ ამდენი ცხოველი, ამოხოცეს ისინი, რათა „გაურებს“ არ დარჩენოდათ. მიუხედავად ამისა, სამთავრობო ჯარებმა აფხაზეთში მაინც ჩაიგდეს ხელში 50 ათასამდე მსხვილფეხა რქოსანი, რომელთა ნაწილი არმიას გადაეცა, ნაწილი კი ყუბანის ოლქში გადარეკეს.

172

ასე დასრულდა ოსმალთა ჯარების 1877 წლის ექსპედიცია აფხაზეთში და აფხაზთა სახალხო აჯანყება. სამ-ნახევარი თვის განმავლობაში მიმდინარე სამხედრო მოქმედებებმა მკვეთრად შეცვალა ქვეყნის პეიზაჟი; აფხაზეთი განადგურებული იყო. „ცოტა ხნის წინ დასახლებულ და სიცოცხლით სავსე ვრცელ ფართობებზე მხოლოდ ნანგრევები იყო დარჩენილი, – ნათქვამია 1877—1878 წწ. ომის რუსულ ოფიციალურ ისტორიაში, – მთელს ტერიტორიაზე არსად ჩანდა ძე კაცისა! თურქებმა თან წაიყვანეს აფხაზეთის მოსახლეობის თითქმის ნახევარი, დაარჩენი კი აქეთ და იქით დაიფანტა. თურქებმა გადაწვეს რუსული, ბულგარული, ბერძნული დასახლებები და იმ აფხაზთა აულები, ვინც არ ემორჩილებოდა მათ, ჩვენ კი იძულებული ვიყავით მოღალატე აფხაზების აულები დაგვენგრია! ომამდე გაშენებული სიმინდის ყანები, მშვენიერი ბალები და ვენახები ან განადგურდა ან მოსავლის ამდები აღარ ჰყავდა. მხოლოდ ძალლებისა და ტურქების ჯოგები დაძრნოდნენ ტყეებში, დაცარიელებულ სოფლებში და გამვლელებს ჰკენდნენ“²⁵.

შედეგები. 1877 წლის მოვლენების ყველაზე მძიმე შედეგი აფხაზეთისთვის იყო ახალი მასობრივი მუჰაჯირობა. აფხაზებს უძნელდებოდათ სამშობლოს დატოვება²⁶, მაგრამ ოსმალეთში მაინც

25. Война 1877 и 1878 гг. Т. III. Война в Азиатской Турции. С. 227.

26. ამ ამბების თანამედროვე, აფხაზეთის მკვიდრი ეროვნებით ქართველი მწერალი და პედაგოგი კონსტანტინე მაჭავარიანი მუჰაჯირების შესახებ წერდა:

ძირითადად ნებაყოფლობით მიდიოდნენ, რადგან რუსების მხრიდან სისხლიანი ანგარიშსწორებისა ეშინოდათ. იყო, ცხადია, ძალით წაყვანის ფაქტებიც. 1877 წელი გადასახლებულთა საერთო რიცხვით აღემატება დანარჩენ „მუჰაჯირულ“ წლებს, თუმცა ზუსტი ციფრების დასახელება შეუძლებელია სათანადო სტატისტიკური მონაცემების არარსებობის გამო. ოფიციალური ცნობებითაც დეპორტირებულთა რაოდენობა 30 ათასს აღნევდა. ამ ციფრს ასახელებს კავკასიის ნაცვალი, დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე²⁷. სხვა წყაროებში კი (უპირატესად 1870-იანი წწ. მიწურულის პერიოდიკის შეფასებები) 1877 წლის მუჰაჯირთა რიცხვი 30-დან 50 ათასამდე მერყეობს²⁸. ეს მაშინ, როდესაც ომამდელ აფხაზეთში სულ, დაახლოებით, 75 ათასი ადამიანი ცხოვრობდა.

ამრიგად, საშუალო სიდიდე რომ ავიღოთ, გამოდის დაახლოებით 40 ათასი მიგრანტი, თუმცა აღსანიშნავია, რომ ომის დამთავრების შემდეგ მათი ნაწილი (ზოგი ცნობით, 15 ათასი კაცი) უკან დაბრუნდა. ამრიგად, მხოლოდ 60—70-იანი წლების მუჰაჯირობის შედეგად აფხაზეთიდან ოსმალეთის იმპერიაში 80 ათასამდე ადამიანი გადასახლდა, მთლიანად XIX საუკუნეში კი (1810 წლიდან მოყოლებული) – დაახლოებით 100 ათასი, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის, რუსეთ-ოსმალეთის მეტოქეობისა და აფხაზთა ეროვნული წინააღმდეგობის შედეგი

„უყვარდათ კი აფხაზებს თავისი მინა, თავისი სამშობლო? დიახ უყვარდათ, თუკი ბევრ მათგანს თურქეთში გადასახლებისას პარკით მიჰქონდა მშობლიური მინა, რათა სამარქში ჩაეტანა უცხო ქვეყანაში“ (Мачавариани К.Д. Описательный путеводитель по Сухуму и Сухумскому округу. Сухум, 1913. С. 309).

27. ციფრებულია: ცვიჯბა ლ.И. Этно-демографические процессы в Абхазии в XIX веке. Сухум, 2001. ჩ. 82.

28. დანვრილებით იხ.: დაიდვარია გ.А. Махаджирство и проблемы истории Абхазии XIX столетия. Сухуми, 1982. С. 356-380.

გახდა აფხაზური ეთნოსის დიდი ნაწილის სამშობლოდან განდევნა²⁹.

აფხაზური შეიძრალებული ფორმირებები, რომელებმაც ოსმალებთან ერთად დატოვეს აფხაზეთი 1877 წლის აგვისტოში, როგორც ჩანს, რუსეთ-თურქეთის ომის სხვა ფრონტებზე იქნენ გადასროლი, მათ შორის, აჭარა-გურიის მიმართულებაზე. 1877 წლის 1 სექტემბრის „დროებაში“ ვკითხულობთ: „ოზურგეთიდამვე გვწერენ, რომ აქ დარწმუნებით ამბობენო, ვითომც მომეტებული ნაწილი იმ ოსმალოს ჯარებისა და აგრეთვე აფხაზებისა, რომელიც სოხუმიდამ გავიდნენ, სულ ბათუმში და ციხის-ძირზე გადმოვიდნენო. თუ ეს ამბავი მართალია (და ჩვენ საფუძველი არა გვაქვს ჩვენს კორრესპონდენტს არ დავუჯეროთ), მაშინ ადვილი გასაგებია ის ზემოხსენებული გარემოებაც, რომელსაც ჩვენი ოზურგეთელი კორრესპონდენტი გვწერს, რომ მუხა-ესტატეს სამის მხრით მიადგნენ ოსმალოს ჯარებიო“³⁰.

რეპრესიული რეჟიმის დამყარება აფხაზეთში. რუსეთის ხელისუფლებამ აფხაზეთზე კონტროლის აღდგენის შემდეგ სამშობლოში დარჩენილი აფხაზების სამაგალითოდ დასჯა გადაწყვიტა. აჯანყების მრავალი მონაზილე (როგორც გლეხები, ასევე უმაღლესი კლასის ნარმომადგენლები) გასახლებული იყო ციმბირსა და რუსეთის ჩრდილოეთ გუბერნიებში. გარდა ამისა, თითქმის მთელი აფხაზი ხალხი ოფიციალურად იქნა გამოცხადებული „დამნაშავე მოსახლეობად“, რომელსაც მცირე დაუმორჩილებლობისთანავე სამუდამო გადასახლება ემუქრებოდა იმპერიის სიღრმეში, კავკასიის ფარგლებს გარეთ. დასჯას გადაურჩა მხოლოდ სამურზაყანოს უბანი და მისი მომიჯ-

29. როგორც ფიქრობენ, აფხაზურ-აბაზური ეთნიკური ჯგუფის მუჰაჯირთა საერთო რაოდენობა 135 ათას ადამიანს აღნევდა, ხოლო უბიხებთან ერთად – დაახლოებით 180 ათასს (Дзиадзария Г.А. Махаджирство и проблемы истории Абхазии XIX столетия. С. 373).

30. „დროება“, 133' 1877.

ნავე ორი თემი – ილორი და ფოქვეში, რომლებიც მთელი ომის განმავლობაში სამთავრობო ჯარების ხელში იყვნენ და აჯანყებას არ შეუერთდნენ. „დამნაშავე“ აფხაზების უფლებები მნიშვნელოვნად შეიზღუდა: მათ ჩამოერთვათ მიწაზე საკუთრების უფლება და აეკრძალათ აფხაზეთის ტერიტორიის დიდ ნაწილზე ცხოვრება, სადაც მთავრობა დამკვრელური ტემპებით ცდილობდა მისთვის პოლიტიკურად უფრო სანდო ხალხების (პირველ რიგში, რუსების) ჩამოსახლებას. კერძოდ, აფხაზური დასახლებები არ შეიძლებოდა ყოფილიყო ზღვის სანაპიროზე, მაღალმთიან ზონაში და სოხუმის გარშემო – ქალაქიდან 25 კილომეტრის რადიუსში. ამან აფხაზთა ისედაც შემცირებული ეთნიკური ტერიტორია ორად გახლიჩა³¹.

„დამნაშავე მოსახლეობის“ სტატუსი აფხაზებს მხოლოდ 1907 წელს მოუხსნეს.

31. ამის შესახებ უკვე 1897 წ. წერდა პეტრე ჭარაია: „... აფხაზები ახლა მიყოლებით ერთგან არ ცხოვრობენ სოხუმის ოლქში: ერთი ნაწილი ცხოვრობს კოდორის „უჩასტკაში“, ოხურებსა და კოდორს შუა (აბუზელები), მეორე ნაწილი (ბზიფელები) გუდაუთის ნაწილში. ესენი – აბუზელები და ბზიფელები – თითქმის ორი დღის სავალზე არიან დაშორებული ერთმანეთზე, ასე რომ მათ შორის მისვლა-მოსვლა, კავშირი ერთმანეთში თავად-აზნაურობას თუ შეუძლია“ (ვ. ჭ-ა. მინისმფლობელობა აფხაზეთში / „კვალი, 12'1897).

ქართული ჯარი 1918-1921 ნლეპში¹

176

The Georgian Army in 1918-1921

After the collapse of the Russian Empire, the Transcaucasia officially proclaimed independence on 22 April 1918. The Transcaucasia Federation was set up, which split into the independent republics of Georgia, Azerbaijan and Armenia on May 26-28 of the same year. The Georgian government appealed to Germany for patronage. The German armies entered Georgia and remained in the country till the end of WWI. With the help of German military professionals, Georgia started building a regular national army, its core being the Georgian units back

რუსეთის სახელმწიფოს დაშლისა და მისი შემადგენლობიდან ამიერკავკასიის ფაქტობრივი გამოყოფის შემდეგ (1917 წლის ნოემბერი), მთელი აქტუალობით დაისვა ეროვნული შეიარაღებული ძალების შექმნის საკითხი. ამიერკავკასია, როგორც რუსეთის შემადგენელი ნაწილი, პირველ მსოფლიო ომში თურქეთის წინააღმდეგ იბრძოდა, და გამოვიდა, რომ რევოლუციის შედეგად რუსეთის არმიის დაშლის გამო, საზავო ხელშეკრულების დადებამდე, თურქეთის ფრონტი ამიერკავკასიის ეროვნულ ნაწილებს უნდა გაემაგრებინათ. აზერბაიჯანელმა მუსავათისტებმა უარი განაცხადეს ერთმორწმუნე და მონათესავე თურქების წინააღმდეგ ბრძოლაზე და ამიტომ ფრონტი ფაქტობრივად ეკავათ სასწრაფოდ ჩამოყალიბებულ ქართულ (12 000 კაცი) და სომხურ (17 000 კაცი) კორპუსებს.

ეს მცირერიცხოვანი ძალები, ცხადია, ვერ შეძლებდნენ თურქეთის არმიის დიდი ხნით შეჩერებას. თურქები შეტევაზე გადმოვიდნენ და 1918 წ. თებერვალში აიღეს არზინჯანი, მარტში – ტრაპიზონი და არზრუმი, აპრილში – ბათუმი და ყარსი. ინტერვენტების შეჩერება ქართველებმა მხოლოდ მდინარე ჩილოქზე მოახერხეს (1918 წლის აპრილი), სომხებმა – ერევნის მისადგომებთან (1918 წლის მაისი).

1918 წ. 22 აპრილს ამიერკავკასიამ ოფიციალურად გამოაცხადა დამოუკიდებლობა. შეიქმნა ამიერკავკასიის ფედერაცია, რომელიც იმავე წლის 26-28 მაისს დაიშალა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის სუვერენულ რესპუბლიკებად. ამ პერი-

1. პირველად დაიბეჭდა როგორც ერთი თავი ავტორის ნაშრომში: „სამხედრო ისტორია“. ლექციების კურსი. სომაპრეს. თბ., 2002. გვ. 73-78.

ოდში საქართველოს ხელისუფლებამ მფარველობის თხოვნით მიმართა გერმანიას. ქვეყანაში გერმანული ჯარები შემოვიდნენ (20-25 ათასი კაცი), რომელებიც აქ პირველ მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხებამდე იმყოფებოდნენ. გერმანელი სამხედრო სპეციალისტების დახმარებით დაიწყო რეგულარული ქართული ჯარის ჩამოყალიბება, რომლის ბირთვი თურქეთის ფრონტიდან დაბრუნებულმა ნანილებმა შეადგინეს.

რეგულარული ჯარის პარალელურად იქმნებოდა საქართველოში ყველაზე გავლენიანი – სოციალ-დემოკრატიული – პარტიის შეიარაღებული ფორმირება – სახალხო გვარდია, რომელიც მაღლე აგრეთვე სახელმწიფო სამხედრო ორგანიზაციად გადაიქცა. იგი შედგებოდა მუდმივი ქვედანაყოფებისა და სარეზერვო ბატალიონებისაგან, თავისი არტილერიით, ჯავშანმატარებლებით, საინჟინრო ნანილით და სხვ.

სახალხო გვარდია იყო ნებაყოფლობითი გაერთიანება, რომლის მებრძოლებს, როგორც წესი, არ ევალებოდათ ყაზარმებში ცხოვრება. გვარდიელები უმეტეს დროს თავის სახლებში და სამოქალაქო სამსახურში ატარებდნენ, სამხედრო მწყობრში დგებოდნენ მხოლოდ წვრთნისა და ომის დროს. გვარდიაში სამსახური უსასყიდლო იყო, მაგრამ გვარდიელის მიერ სამსახურის შესრულების დროს, მის ოჯახს მთავრობისაგან გარკვეული დახმარება ეძლეოდა. ჯამაგირს იღებდნენ მხოლოდ გვარდიის ოფიცერები და ინსტრუქტორები, ვინაიდან, რიგითი გვარდიელებისაგან განსხვავებით, ეს მათი ძირითადი სამსახური იყო.

1918 წ. ზაფხულში საქართველოს პარლამენტმა მიიღო პირველი საკანონმდებლო აქტები, რომელსაც უნდა დაფუძნებოდა ქვეყანაში სამხედრო მშენებლობა. ეს იყო კანონი სახალხო გვარდიის რეორგანიზაციის თაობაზე, დებულებები საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მმართველობის და საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო

from WWI.
At the beginning of 1921, the Georgian armed forces were made up from: 1. the regular army and the frontier units; 2. the fleet; 3. the People's Guardia (the armed formation of the governing Social-Democratic Party). According to the Russian intelligence sources, the Georgian armed forces would count in a war 50 000 soldiers and officers (including 15 000 soldiers of the People's Guardia, whose warfare capacity was inferior to that of the Regular Army).

The Georgian armed forces had to wage regular local wars in the frontier regions; the hardest trial, however, was the

1921 war against the Soviet Russia, which the Georgian Army failed to overcome.

After Azerbaijan and Armenia forcefully became Soviet, the Red Army invaded Georgian on 16 February, 1921. The main target of the Russian army was Tbilisi, which they approached from the Azerbaijani and Armenian territories. Secondary blows were delivered from Sochi to Sokhumi and from the North Caucasus towards Kutaisi. Severe battles took place at the outskirts of Tbilisi in the snowy days of February. Tbilisi Army managed to overpower the first echelon of the enemy. However, the

ბეგარისა და მუდმივი ჯარის შესახებ, სპეციალური კანონი საქართველოს რესპუბლიკის რეგულარული არმიის ორგანიზაციის შესახებ.

განისაზღვრა, რომ საქართველოს რესპუბლიკის რეგულარულ ჯარში შევიდოდა ორი ქვეითი დივიზია, ერთი ცხენოსანი ბრიგადა, ერთი საარმიო არტილერიის ბრიგადა, ერთი მესანგრეთა ბატალიონი, ერთი საავტომობილო ასეული, ჯავშანმატარებელთა ჯავუფი, ერთი საავიაციო გუნდი და სანაპირო (სასაზღვრო) ჯარი.

პირველი რესპუბლიკის დროს ქართული ჯარის ჩამოყალიბების საქმეში მთავარი პრობლემა არა-საკმარისი დაფინანსება იყო. ხელისუფლება, მართალია, ცდილობდა რაც შეიძლება მეტი თანხები გამოეყო შეიარაღებული ძალების საჭიროებისათვის, მაგრამ სახელმწიფო ბიუჯეტის ქრონიკური დეფიციტურობის პირობებში ეს არ ხერხდებოდა. ამიტომ იყო, რომ სამხედრო მშენებლობის სრული პროგრამა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ბოლომდე ვერ განხორციელდა.

გარკვეული პრობლემები მოიტანა აგრეთვე არმიისაგან განცალკევებული სახალხო გვარდიის არ-სებობამ. თავისთავად, ამ ტიპის ტერიტორიული სამხედრო ფორმირებები სავსებით გამართლებულია. ისინი შინაგანი ჯარის ფუნქციებს ასრულებენ და ამავე დროს წარმოადგენენ რეგულარული შეიარაღებული ძალების რეზერვს (მაგალითად, ნაციონალური გვარდია ამერიკის შეერთებულ შტატებში). მაგრამ საქართველოში სახალხო გვარდიის პარტიული ნიშნით შექმნა მიზანშეწონილი არ იყო, ვინაიდან ამან შეიარაღებულ ძალებში – არმიასა და გვარდიას შორის – გარკვეული დაძაბულობა გამოიწვია. ითვლებოდა, რომ მთავრობა გვარდიისადმი მეტ ზრუნვას იჩენდა. საერთოდ, საქართველოს პირველი რესპუბლიკის მმართველი პარტია – სოციალ-დემოკრატები, ეჭვის თვალით უყურებდნენ ძველ ოფიციებს, გასაკუთრებით თავად-აზნაურობის წარმომად-

გენლებს, რომელთა დიდი ნაწილი არ იზიარებდა მარქსისტულ იდეოლოგიას. ამიტომ იყო, რომ ბევრი გამოცდილი სამხედრო სპეციალისტი არ იქნა გამოყენებული ქართული ჯარის მშენებლობის პროცესში.

უეჭველია, რომ სამხედრო მშენებლობის საქმეში გარკვეული ხელის შემშლელი ფაქტორი იყო, აგრეთვე, ქართული სამხედრო ორგანიზაციის განვითარებაში საუკუნოვანი პაუზის შედეგები, რამაც გაქრობის პირას მიიყვანა ეროვნული სამხედრო კულტურა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ჰყავდა საკმაოდ მრავალრიცხოვანი და კარგი ოფიცერთა კორპუსი, რომელსაც რუსეთის არმიაში და პირველი მსოფლიო ომის ფრონტებზე ჰქონდა წრთობა მიღებული. ასეთი კადრების მეცადნეობის შედეგი იყო ის, რომ საქართველოს რესპუბლიკაში შეიარაღებული ძალების ოფიცერთა ღირსეული ცვლა იზრდებოდა. ეს კარგად გამოჩნდა 1921 წ. რუსეთ-საქართველოს ომში, რომელშიც გმირული ბრძოლით სახელი მოიხვეჭეს თბილისის სამხედრო სკოლის იუნკრებმა.

რას წარმოადგენდნენ საქართველოს შეიარაღებული ძალები 1921 წლისათვის?

საქართველოს შეიარაღებულ ძალებს შეადგენდა: 1) რეგულარული არმია და სანაპირო ჯარი; 2) საზღვაო ფლოტი და 3) სახალხო გვარდია.

არმია და ფლოტი სამხედრო სამინისტროს ემორჩილებოდა, სახალხო გვარდია – გვარდიის მთავარ შტაბს. შეიარაღებული ძალების ამ ორი ჯგუფის ერთიანი სარდლობის ქვეშ გაერთიანება ხდებოდა მხოლოდ ომის დროს, როდესაც ინიშნებოდა მთავარსარდალი.

საბჭოთა რუსეთის სტრატეგიული დაზვერვის მონაცემებით, საქართველოს არმია მშვიდობიან დროს შედგებოდა სამი ქვეითი ბრიგადის (თითოში 4 ქვეითი ბატალიონი, 1 მსუბუქი არტილერიის

Russians resumed the advance with added forces and attacked from the flanks. In the evening of February 24, the Georgian capital was besieged from three sides. Having no reserves, the Georgian political and military authorities made a decision to abandon the city. On February 25 the Red Army entered Tbilisi. Other Georgian units retreated as well. The government failed to organize united popular resistance. The situation also aggravated at the Turkish border: on February 21 the Celmalists made territorial claims to Georgia and deployed troops in the frontier regions.

By March 19 the Bol-

sheviks had entered all central Georgian cities. Before that, on March 16, Russia and Turkey had concluded an agreement under which the disputable territories had been transferred to Turkey.

First published in 2002 as a chapter in the author's book "Military History"

დივიზიონი და მეტყვიამფრქვევეთა ბატალიონი); ერთი ცალკეული ცხენოსანი ბრიგადისა (2 ცხენოსანი პოლკი და 1 მსუბუქი არტილერიის დივიზიონი) და ცალკეული ქართულ-მუსლიმანური დივიზიონისაგან. საარმიო არტილერია ითვლიდა ხუთ მსუბუქ და ერთ მძიმე არტილერიის დივიზიონს. მათგან ოთხი მსუბუქი არტილერიის დივიზიონი, როგორც აღინიშნა, ცხენოსანი და ქვეითი ბრიგადების შემადგენლობაში იყო, ხოლო ერთი მსუბუქი და მძიმე დივიზიონები კი უშუალოდ ემორჩილებოდნენ სამხედრო სამინისტროს.

რეგულარულ არმიას ჰყავდა აგრეთვე საინჟინრო-ტექნიკური ჯარები, რომელთა შემადგენლობაში შედიოდა: მესანგრეთა ბატალიონი; რადიოტელეგრაფის ასეული; ავტოჯავშნოსანი რაზმი; სატანკო დივიზიონი; საავტომობილო ასეული; 6 ჯავშანმატარებელი და საავიაციო გუნდი.

გარდა ამისა, თავდაცვის სამინისტროს ემორჩილებოდა აგრეთვე სანაპირო ჯარი, შემდგარი 7 პოლკისაგან (თითოში 354 ან 461 კაცი, მათგან 24 ოფიცერი) და ორი საყარაულო ბატალიონი.

ომის შემთხვევაში რეზერვისტების გაწვევით ხდებოდა ბრიგადების დივიზიებათ, ხოლო ბატალიონების პოლკებათ გადაქცევა (გაშლა). პოლკის საშტატო შემადგენლობა იყო 2225 ჯარისკაცი და ოფიცერი.

საქართველოს საზღვაო ფლოტში შედიოდა კონტრნალმოსანი „პატარა კახი“, 4 ხის კორპუსიანი გამანადგურებელი, 4 ნაღმოსანი კატარლა და 10 სხვადასხვა დანიშნულების ხომალდი. გარდა ამისა, სანაპირო ჯარს 22 ორთქლის კატარლა ჰყავდა.

სახალხო გვარდიის ნაწილები, როგორც ზემოთ ითქვა, შედგებოდა მუდმივი და სარეზერვო ქვედანაყოფებისაგან. კერძოდ, ქვეითი ჯარი შედგებოდა ერთი სრული საშტატო შემადგენლობის ბატალიონისა და 23 კადრირებული ბატალიონისაგან, რომლებიც ომის დროს რეზერვისტებით

ივსებოდნენ. კავალერია წარმოდგენილი იყო ერთი ცხენოსანი პოლკით. გვარდიას გააჩნდა აგრეთვე საარტილერიო ბრიგადა და ტექნიკური ნაწილები.

საქართველოს შეიარაღებულ ძალებს ჰქონდათ რამოდენიმე სამხედრო-სასწავლო დაწესებულება: 1) თბილისის სამხედრო სკოლა ქვეითი ჯარის, კავალერიის, არტილერიისა და სინჟინრო ჯარების ოფიცრების მოსამზადებლად; იქვე იყო უნტერ-ოფიცერთა სკოლა; 2) ავტოსკოლა; 3) მძღოლების სკოლა; 4) სახალხო გვარდიის სამხედრო სასწავლებელი. გარდა ამისა, თბილისის პოლიტექნიკურმათან დაგეგმილი იყო 1921 წ. სამხედრო-საინჟინრო განყოფილების გახსნა საფორტიფიკაციო-სამშენებლო, საავიაციო და კავშირგაბმულობის განყოფილებით.

საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე ითვლებოდა, რომ ჯარის მაქსიმალური რაოდენობა, რომელიც ქვეყანას მოპილიზაციის შედეგად შეეძლო დაეყენებინა თოფქეშ 1921 წლის დასაწყისისათვის უდრიდა 65-80 ათას კაცს.

საქართველოს პირველი რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებს თავიდანვე მოუხდათ ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლების წარმოება აფხაზეთში, სოჩა-ტუაფსეს სექტორში, სომხეთის საზღვარზე, ლიახვის ზემო წელზე, სამხრეთ საქართველოში, წითელ ხიდთან, მაგრამ ყველაზე მძიმე გამოცდა მათვის, რომლის დაძლევაც ვერ მოხერხდა, აღმოჩნდა 1921 წლის ომი საბჭოთა რუსეთთან.

რუსეთში ბოლშევიკებმა 1920 წლისათვის გაანადგურეს კონტრრევოლუციის მთავარი ძალები და იმპერიის ყოფილი სამფლობელოების ხელახლა შემოკრებას შეუდგნენ. მათ იმავე წელს ძალით გაასაბჭოვეს აზერბაიჯანი და სომხეთი. ამრიგად, 1921 წლის დამდეგისათვის საქართველო, თავისი სახმელეთო საზღვრების პერიმეტრის 78 პროცენტით, უკვე საბჭოთა რესპუბლიკების რკალში იყო

მოქცეული, მხოლოდ სამხრეთ-დასავლეთიდან ემეზობლებოდა ჩვენს ქვეყანას ქემალისტური თურქეთი.


საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის დადებული იყო 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება, რომლითაც რუსეთმა საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარა. სამაგიროდ საქართველოს მთავრობამ ბოლშევიკებს ქვეყნის ტერიტორიაზე ლეგალური მუშაობის ნებართვა მისცა. მაგრამ მალე გაირკვა, რომ 7 მაისის ხელშეკრულება რუსეთს ჰირდებოდა ქართველთა სიფხიზლის მოსადუნებლად. მოსკოვი ემზადებოდა სამხედრო ინტერვენციისათვის ამიერკავკასიის უკანასკნელი რესპუბლიკის გასაბჭოობის მიზნით.

1921 წ. 12 თებერვალს, სომხეთთან მოსაზღვრე რაიონში ბოლშევიკებმა მოაწყვეს გლეხთა აჯანყების იმიტაცია, 16 თებერვალს კი „აჯანყებულთა“ დახმარების საბაბით საქართველოში რუსეთის ჯარები შემოიჭრნენ.

მთავარ დარტყმას თბილისის მიმართულებით აზერბაიჯანისა და სომხეთის ტერიტორიებიდან ახორციელებდა მე-11 საბჭოთა არმია (40,2 ათასი ხიშტი და ხმალი, 196 ქვემები, 1065 ტყვიამფრქვევი, 7 ჯავშანმატარებელი, 8 ტანკი და ჯავშნოსანი მანქანა, 50 თვითმფრინავი). დამხმარედარტყმები განახორციელეს საბჭოთა მე-9 არმიის 31-ე მსროლელმა დივიზიამ (სოხუმის მიმართულებით) და ჩრდილო კავკასიიდან თერგის ჯგუფის ჯარებმა (კობისა და ქუთაისის მიმართულებით).

საქართველოს შეიარაღებული ძალების საერთო რაოდენობა მონინაალმდეგის დაზვერვის ცნობით 50 000 ჯარისკაცი და ოფიცერი იყო (აქედან 15 000 კაცი სახალხო გვარდიაში, რომელიც ბრძოლისუნარიანობით ჩამოუვარდებოდა რეგულარულ არმიას).

თებერვლის თოვლიან დღეებში თბილისის სამ-



ხრეთ მისადგომებთან ცხარე ბრძოლები გაიმართა. წითლებმა შეტევა მოიტანეს ტაბახმელა-კოჯირის მონაკვეთზე, მაგრამ ქართული ნაწილების კონტრიერიშმა ისინი უკუაგდო (18-20 თებერვალი). 23 თებერვალს რუსებმა დამატებითი ძალებით განაახლეს შეტევა, მაგრამ ამჯერად უკვე შემოვლითი გზებით – დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან – დაემუქრენ საქართველოს დედაქალაქს. 24 თებერვლის სალამოს თბილის უკვე სამი მხრიდან იყო ალყაშემორტყმული და ჩანდა, რომ რკალი მალე მთლიანად შეიკვროდა. ქართულ სარდლობას რეზერვები აღარ ჰყავდა მდგომარეობის გამოსასწორებლად; სამობილიზაციო გეგმა არასაკმარისი სისწრაფით სრულდებოდა, ხოლო ახლად გაშლილ ნაწილებს არ ყოფნიდათ აღჭურვილობა. ამიტომ მიღებული იქნა გადაწყვეტილება თბილისის დატოვების შესახებ. ლამით მთავრობამ და ჯარმა ქალაქი დატოვა, 25 თებერვალს დღისით კი თბილისში წითელი არმია შემოვიდა.

ქართული ჯარები სხვა მიმართულებებზეც უკან იხევდნენ. ხელისუფლებამ ვერ მოახერხა საერთო-სახალხო წინააღმდეგობის ორგანიზება. მდგომარეობა გართულდა თურქეთის საზღვარზეც. 21 თებერვალს ქემალისტურმა მთავრობამ საქართველოს ულტიმატური ფორმით მოსთხოვა ქალაქების – ართვინისა და არდაპანის (არტაანი) დაცლა. ეს მოთხოვნა შესრულებული იქნა, მაგრამ თურქები არ შეჩერებულან და მალე ბათუმსა და ახალციხეს მოადგნენ. 18 მარტს საქართველოს მთავრობა ბათუმიდან საზღვარგარეთ ემიგრაციაში წავიდა, ხოლო ქალაქში დარჩენილმა ქართულმა ნაწილებმა თურქებს ბრძოლა გაუმართეს და ქალაქი შეინარჩუნეს. ეს იყო პირველი რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების უკანასკნელი წარმატება. თურქების უკანდახევის შემდეგ ბათუმში რუსები შევიდნენ. 19 მარტისათვის საქართველოს ყველა ძირითად ქალაქში უკვე ბოლშევიკური დროშა ფრიალებდა. მანამდე კი 16 მარტს მოსკოვში რუსეთსა და თურქეთს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც ართვინი, არდაპანი და ზოგი სხვა ტერიტორია თურქეთს გადაეცა.

ქცევის ტრადიციული ნორმები კავკასიაში ომართისა და შეიარაღებული კონფლიქტების დროს¹

კავკასია, რომელიც თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო სამხედრო-სტრატეგიული და საგაჭრო გზების შესაყარს წარმოადგენს, უძველესი დროიდან განიცდიდა უცხოული დამპურობლების პერმანენტულ შემოსევებს. ეს შემოსევები ხდებოდა როგორც სამხრეთიდან (ირანის ზეგანი, მესოპოტამია, მცირე აზია), ასევე ჩრდილოეთიდან (ევროპის ველებიდან და აღმოსავლეთ ევროპიდან). კავკასიელი ხალხების ისტორიაში დიდი ადგილი უკავია ხანგრძლივ და სისხლისმღვრელ ომებს უცხოული დამპურობლების წინააღმდეგ.

ამასთან ერთად კავკასიურ ეთნოსებსა და სუბეთნოსებს შორის სხვადასხვა მიზეზების გამო ხშირად ხდებოდა შეიარაღებული შეტაკებები, რომლებიც ზოგჯერ ხანგრძლივ შინაომებში გადაზრდილა. ყოველივე ამან თავისებური დაღი დაასვა ადგილობრივი მოსახლეობის მენტალიტებს, აისახა მისი ქცევის სტერეოტიპებში. ასეთმა ვითარებამ გარკვეულ ისტორიულ პერიოდში აიძულა კავკასიელი აბორიგენები შეჩვეოდნენ გასამხედროებულ ყოფას, გამოემუშავებინათ არა მარტო ომისა და ბრძოლის ხერხები, არამედ მთლიანობაში სამხედრო კულტურა; მისი ისეთი ელემენტები, როგორიცაა სამხედრო ეთიკა, რაინდული მორალი, მოწინააღმდეგებისა ურთიერთობის პრინციპები და სხვ.

წინამდებარე მოხსენების მიზანია ომებისა და შეიარაღებული კონფლიქტების დროს კავკასიაში ქცევის ტრადიციული ნორმების განხილვა. ნაშ-

The Traditional Standards of War and Conflict behavior in the Caucasus

The aim of the article is to consider the traditional standards of behavior observed by conflicting sides in the Caucasus and draw parallels with the present times. The research is based on the historical materials on Georgia and the Caucasian highlanders.

The traditional Caucasian art of warfare rested on the principles of “the morals of knights” and required observance of humane laws with

1. პირველად დაბეჭდა რუსულ ენაზე კრებულში:

‘Традиция разрешения конфликтов на Кавказе и методы институтов гражданского общества’. Кавказский Форум неправительственных организаций, 2001.

regard to the enemy even on the battle-field, which, however, was not always observed in the real life.

First published in 2001

რომი დაწერილია საქართველოსა და ჩრდილო კავკასიის ხალხების ისტორიის, ლიტერატურისა და ფოლკლორის მასალებზე.

წერილობითი და ზეპირი ისტორიული წყაროები გვიჩვენებს, რომ კავკასიის ხალხთა ემოციური დამოკიდებულება გარეშე მტრებთან ომებსა და შიდაკავკასიური (კავკასიურ კულტურულ-ისტორიულ წრეში მომხდარი) კონფლიქტებისადმი სავსებით იდენტური არ იყო. მაგალითად, დაღესტნური ზეპირისიტყვიერების არაერთი ძეგლი ავლენს უარყოფით დამოკიდებულებას ამიერკავკასიის ქვეყნებზე და, კერძოდ, საქართველოზე, ყაჩალური თავდასხმებისადმი („ლეკიანობისადმი“), რაც იმის მიმანიშნებელია, რომ დაღესტნის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ამ მახინჯი სოციალური მოვლენის ნინააღმდეგი იყო. მაგალითად, დაღესტნის ხალხების ფოლკლორში გავრცელებულია ასეთი ანდაზური თქმები: „ყაჩალობით ნაშოვნი, ყაჩალობითვე იკარგება!“, „ვინ იცის, დაბრუნდება ცოცხალი საქართველოში საყაჩალოდ წასული?“ და სხვ. იგივე აზრია გატარებული ისტორიულ სიმღერებსა და ბალადებში („მუსალავი“, „ნორში წავიდა ლაშეარი“ და სხვ.), რომლებიც დაიტირებენ უაზრო სამხედრო ექსპედიციებში დაღუპულ ვაჟკაცებს.

მაგალითად, ხუნძური სიმღერა „მუსალავი“ წარმოადგენს საქმროდაკარგული ქალწულის მოთქმას:

Пусть беда поразит тебя, хан Квази!
Ты посланьем в Ансох молодежь созвал.
Пусть они пропадут в Кахетии все,
Кто гонца своего к Мусалаву слал!
Ускакал Мусалав за крутые хребты,
Оставил меня он в кровавых слезах,
Оставил меня в громких стонах, в беде,
И к Тиндинским лугам Лачен улетел².

(ვ.დერუჟავინის თარგმანი)

2. Пoэзия народов Дагестана. Т. I. M., 1960. С. 82.

ამავე დროს, დაღესტნურ ფოლკლორში ბრძოლა უცხოელი დამპყრობლების (თემურ-ლენგი, ნადირ შაჰი, რუსი გენერლები) წინააღმდეგ წარმოდგენილია როგორც სრულიად ბუნებრივი მოვლენა და მისი ღეგიტიმურობა არავითარ ეჭვს არ იწვევს. ხალხური პოეზია მრავალრიცხვან საგმირო-ისტორიულ სიმღერებში, ისეთებში როგორებიცაა „ფართუ ფატიმა“, „ბრძოლა ნადირ შაჰთან“, „სიმღერა გმირ მურთაზალიზე“, „შაბან ჭარელი“, „საღლოის ხიდი“, „სიმღერა ჰაჯი-მურადზე“ და სხვ., ხოტბას ასხავს უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ მებრძოლებს. გმირის დაღუპვის შემთხვევაშიც კი ასეთი სიმღერები, როგორც წესი, ამაღლებული განწყობით მთავრდება, ისე როგორც ლეზგური ბალადა ბიჭზე, რომელიც მრისხანე თემურ-ლენგს არ დაემორჩილა:

Не дано врагам убить вовеки,
Погасить живого сердца пламень,
Не дано врагам свалить вовеки
Мальчика, что превратился в камень.
Если связан ты с родной землею,
Ты, в бою погибнув, стань скалою!³

(ს.ლიპკინის თარგმანი)

ხშირი ომები და თემთაშორისი შეჯახებები, ცხადია, დაპირისპირებული საზოგადოების წარმომადგენლებისაგან „მტრის ხატს“ ქმნიდნენ, მაგრამ ამავე დროს მონინააღმდეგები არ ჩრდილავდნენ დასაფასებელ თვისებებს. კერძოდ, გამანადგურებელი „ლეკიანობის“ მიუხედავად ქართულ ფოლკლორში დაღესტნელები წარმოგვიდგებიან, როგორც ლირსეული მონინააღმდეგენი, ხაზგასმულია მათი სამხედრო თვისებები:

თოფი ჭარელთაც იციან,
საპირისნამლე რქისაო,
გადმოსვლა ჭიუხებშია,
ხმარება ხანჯრებისაო.

ასევე პატივისცემით მოიხსენიებს ხევსურული

3. იქვე, გვ. 54.

სიმღერა ქისტების საბრძოლო თვისებებს:

სამაისტროებს ვაჟებსა
ბაქნით ასმიერ ლუდიო.
დიდია მაისტის თავი,
ყმა იქ ვერ ჩავა ცუდიო.
გან იქაც ქალევება,
გადამრუდონ ქუდიო?
გამოვლენ ქისტის შვილები,
ხანჯრით იციან ჩხუბიო.4

188

XVIII ს-ის ფეოდალური დასავლეთ საქართველოს ისტორიაში მნიშვნელოვანი მოვლენაა 1780 წლის რუხის ბრძოლა აფხაზებთან და მათ მოკავშირეებთან (ჩერქეზები, ჯიქები, ყარაჩაელები და სხვ.). რუხთან დაპირისპირებული ძალების შემადგენლობა წააგავს 1992-1993 წწ. ქართულ-აფხაზურ ომში მონაწილე სამხედრო ფორმირებების ეთნიკურ სტრუქტურას, მაგრამ ამ ორი შეიარაღებული კონფლიქტის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მიზეზები ძალიან განსხვავდება ერთმანეთისაგან, ისევე როგორც სხვა არის ეპოქათა საერთო ისტორიული ფონი. რუხთან მებრძოლი აფხაზი და ქართველი ფეოდალები ერთი კულტურულ-ისტორიული სამყაროს წარმომადგენლები იყვნენ, რომელთანაც ახლო იყო ჩრდილო კავკასიელი ხალხების არისტოკრატია. ამიტომ „აფხაზი მტრის“ სახე XVIII – XXს-ის დასაწყისის ქართულ მნერლობაში (ბესიკი, დ. დადიანი, ი. ჭყონია, ნ. ლორთქიფანიძე და სხვ.) ძალიან განსხვავდება ჩვენი დროის ომისშემდგომი სტერეოტიპებისაგან.

მაგალითად, ბესიკი, რომელიც სოლომონ I-ის მომხრე იყო, პოემაში „რუხის ომი“ სოლომონთან დაპირისპირებულ აფხაზ მთავრებს „კარგ ყმებად“ და მძლევლებად („მძლევანი“) მოიხსენიებს. მაგალითად, პოეტი ამ სიტყვებით ახასიათებს ერთ-ერთ მათგანს, აბუუს მფლობელს

4. ქართული ხალხური პოეზია. ტ. 2, ნ. 1. თბ., 1974. გვ. 93.

ბექირბეი შარვაშიძეს: „მოყმე კარგი ძმა მეოთხე გარს ურბენდის ბექირ მხნევან“.⁵

რუხის ბრძოლის თემას ქართველი მწერლები და პოეტები შემდეგშიც შეეხებიან. ხშირად მათი შემოქმედების წყარო ოჯახური გადმოცემები იყო, ვინაიდან რუხის ომის ამბავი, რომელშიც დასავლეთ საქართველოს არისტოკრატიული გვარების მრავალი წარმომადგენელი მონაწილეობდა, დიდხანს იყო შემონახული მათ შთამომავლებში. ამ წრეებიდან იყვნენ გამოსულნი პოეტები გრიგოლ (1814-1902)⁶ და დავით (1833-1907)⁷ დადაანები და პროზაიკოსი ნიკო ლორთქიფანიძე (1880-1944), რომლებმაც რუხის ბრძოლას სპეციალური ნაწარმოებები მიუძღვნეს⁸.

რუხის ომის ამბავი ქართულ ლიტერატურაში დროთა ვითარებაში ზოგიერთი მითიური დეტალით შეივსო, მაგრამ მთავარი, რაც მას ახასიათებს, ეს არის მტრული დამოკიდებულების უქონლობა აფხაზთა მიმართ, რომლებმაც ქართველების წინააღმდეგ იარაღით გამოილაშქრეს. ეს ფაქტი XIX – XX სს-ის დასაწყისის ქართული საზოგადოების დამოკიდებულების მაჩვენებელია აფხაზი ხალხისადმი.

ისევე, როგორც ბესიკის პოემაში, შემდეგი დროის ნაწარმოებებშიც დაპირისპირებულ ძალთა დახ-

5. ბესიკი. თხზულებანი. თბ., 1962. გვ. 126.

6. გრიგოლ დადაანი – ოდიშის მთავრის ლევან V-ის ვაჟი. თავისი დროისათვის ცნობილი პოეტი. წერდა ფსევ-დონიმებით – „კოლხიდელი“, „იოანე გეგენჭკორი“ და სხვ. 1830 წლიდან სამხედრო სამსახურში იყო და ინფანტერიის გენერლის მალალ ჩინს მიაღწია.

7. დავით დადაანი – ცნობილი ისტორიკოსისა და სამხედრო-პოლიტიკური მოღვაწის ნიკო დადაანის (დიდი ნიკოს) შვილიშვილი.

8 იოანე გეგენჭკორი. რუხის ბრძოლა ანუ ცხოვრება დიდისა მეფისა სოლომონისა. თფილისი, 1895; დ.დადაანი. რუხის ომი. ხელნაწერი რვეული. აკად. კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, -285; ნ.ლორთქიფანიძე. ერთომეული. თბილისი, 1981.

ასიათებისას ვერ ვხედავთ მკვეთრ დაყოფას „ჩენებს/კარგებს“ და „უცხოებს/ცუდებს“ შორის. ავტორები ერთნაირად აღტაცებულნი არიან როგორც ქართველი, ასევე აფხაზი და ჩერქეზი რაინდებით. (ამ მხრივ, მართალია, ცოტა გვერდით დგას გრიგოლ დადიანის პოემა „რუხის ბრძოლა“ მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ იგი დაწერილია 1836 წ., კავკასიის ომისა და აფხაზურ-მეგრული ურთიერთობების გამწვავების პერიოდში სამურზაყანოს საკითხზე. თუმცა აქაც აღნიშნულია ბექირბეის ვაჟკაცობა და კეთილშობილება.)

რუხის ბრძოლა, როგორც ტიპური ფეოდალური ომი, ცალკეული ორთაბრძოლების სახით მიმდინარეობდა, რომლებშიც ყველა მეომარი თავისითვის ღირსეულ მონინააღმდეგეს ირჩევდა. დავით დადიანის მიხედვით (1892 წ.) (ცალკეული ორთაბრძოლები ჯერ კიდევ მთავარი ძალების დაჯახებამდე იმართება: „იქ იმერელი კალდიმით მოდის, ჩერქეზი შაშხვიან წინ ეგებება, / ორთავ საქებრად ვალსა მოიხდის, / ერთი კვდება და მეორე რჩება. // აქ დაეტაკა ჯიქი მეგრელსა / სწყვიტეს ერთმანეთს ხრმალი ძლიერად / ორნივ წავიდა სულთ საყოფელსა...“⁹.

ნიკო ლორთქიფანიძის მოთხოვის მიხედვით (1924 წ.) მონინააღმდეგები პატივით ეკიდებიან ერთმანეთს და ფიცხელ ბრძოლაში ჩაბმულები ერთმანეთს სასიკვდილოდ არ იმეტებენ. მაგალითად, იმერელი სარდალი აგიაშვილი, რომელმაც მძიმედ დაჭრა თავადი ასტამურ ინალიფა, აფხაზებს აცნობებს ამ ამბავს, რათა დაჭრილის დროულად აღმოუჩინონ დახმარება.

მსგავსი სიტუაციაა არჩილ ბატონიშვილისა და მოხუცი ანჩაბაძის ორთაბრძოლის დროსაც, რომელიც მონინააღმდეგეთა გაშაირებით იწყება. არჩილი, რომელმაც ხმლით დაჭრა მონინააღმდეგე, იმედოვნებს, რომ დაჭრილი ცოცხალი გა-

9. დ.დადიანი. დასახ. ნაშრ. გვ. 306.

დარჩება და უკმაყოფილოა თავისი თავით, რა-დგანაც „არავაუკაცური“ დარტყმა გამოუვიდა – წვერით აძგერა ხმალი¹⁰.

რუხის ომის თემაზე შექმნილ ცალკეულ ნაწარ-მოებებში გამოირჩევა მოთხრობა სოლომონ I-სა და ბექირბეი შარვაშიძის შეუმდგარი ორთაბრძოლის შესახებ. XX ს-ის დასაწყისამდე შემონახული ზეპირთქმულებების საფუძველზე იგი ყველაზე დაწვრილებით აქვს მოტანილი ილია ჭყონიას (1860-1927), რომელიც ამ შემთხვევაში „თ.მაგმაძის“ ფსევდონიმით გამოდის. მისი ცნობით, გურულებმა და ზემო იმერლებმა ფიცხელი ბრძოლით გააქციეს ჯიქ-ალანთა რაზმები, მაგრამ თვით აფხაზთა ლაშქარი ურყევ ბურჯად იდგა და თავგამოდებით ეჩეხებოდა ოდიშელებსა და ქვემო იმერლებს. ჯიქ-ალანთა გაქცევის შემდეგ მეფემ ქაიხოსრო წერეთელს შესძახა: „ქაიხოსრო, ეს რა ამბავია, ხონთქრის ლაშქრის გამწყვეტს აფხაზები უნდა გიჭირვებდნენ საქმეს“? სარდალმა უპასუხა: „ბატონი, თქვენი რისხვა მქონდეს თუ ბექირბეი შარვაშიძე ერთ სახონთქრო ლაშქრად არ ღირდეს! ის რომ არ ყოფილიყო ომი დიდი ხნის მოგებული გვექნებოდა“.

მეფემ ჭოვრიტით ბექირი მოქებნა და შეუტია. ერთმანეთს ხმლის მოსაქნევზე ჩაუჭერეს ცხენები, თვალი თვალს გაუყარეს, მაგრამ არც ხმალი მოუქწევიათ, არც არა უვნიათ რა.

მერე მათ კითხეს: რატომ არ შეებითო?

მეფემ თქვა: „არასოდეს შემხვედრია ბექირბეისთანა ვაჟვაცი, იმ წუთს, როცა მან რუხის ომში ცხენი ჩამომიჭენა, ისეთი ზავთიანი იყო მისი ვაჟვაცური გაბედულება, რომ საუცხოვოდ მომენონა და მომესურვა მისი დაახლოვება და სამშობლოსათვის გამოყენება. ვიფიქრე, დღეს თუ სამშობლოს ჭირისუფალთ ხელს უშლის, ხვალ იმავ

10. 6.ლორთქიფანიძე. დასახ. ნაშრ. გვ. 21-23.

სამშობლოსვე მცველად გამოდგება. ამიტომაც შემბრალდა მისი სიყრმე და ველარ გავიმეტე გა-საფუჭებლათ! შემემართა, არა მგონია უმარცხოთ გადავრჩენილიყავ“.

ბექირბეის ეთქვა: „ხმლის მოსაქნევზე რომ მი-ვუახლოვდი მეფეს, უფროს-უმცროსობის რიგის-ამებრ, ჯერ მისგან ველოდი ხმლის პირველს მო-ქნევას, არც მან ინება შემოტევება, და მეც ისე გამღალა თვალით, რომ აზრათაც არ მოშავლია პირ-იქით შემებედა“¹¹.

ასეთი დამოკიდებულება რუხის ომში დაპირისპ-ირებულ მხარეებს შორის მნიშვნელოვანნილად იმითი აიხსნება, რომ, როგორც ითქვა, ქართუ-ლი და აფხაზური ფეოდალური არისტოკრატია ერთსა და იმავე კულტურულ-ისტორიულ სა-მყაროს ეკუთვნოდა – ქართულ ქრისტიანო-ბასა და მწიგნობრობაზე დაფუძნებულ ფეო-დალურ სამყაროს, რომლის ჩამოყალიბებაში ნ.ბერძენიშვილის სიტყვით „აფხაზთა ტომი ისე-თივე მონაწილეობას იღებდა, როგორც დასავლე-თის თუ აღმოსავლეთის ქართული ტომები“¹². ამ სამყაროსთან ახლო იდგნენ ჩრდილო კავკასიე-ლი ფეოდალებიც (ჩერქეზი, ოსი, ვაინახი და სხვ.). თუმცა მამაცი მტრისადმი პატივისცემა და ცალკეულ შემთხვევებში მისი დანდობა მხოლოდ კულტურულ-ისტორიული ერთობით როდი აიხს-ნება. ეს მომენტი უცხო არ არის შუასაუკუნეების რაინდული ეთიკისათვის დასავლეთ ევროპიდან იაპონიამდე. ამ მხრივ გამონაკლისს არც უცხო კულტურებთან ურთიერთობა წარმოადგენდა. გავიხსენოთ თუნდაც ცოტნე დადიანის ისტორია ან ილია ჭავჭავაძის მოთხოვნა „ნიკოლოზ გოს-ტაშაბიშვილი“, რომელიც რეალურ გადმოცემას უნდა ეფუძნებოდეს.

11. თ.მაგმაძე. ზეპირთქმულებანი იმერეთის მეფის სოლო-მონ დიდის დროიდან. ძველი საქართველო. ტ. II. თბ., 1913. გვ. 44-45.

12. ნ.ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. ნ. III. თბ., 1966. გვ. 287.

რაინდული მორალი მოწინააღმდეგებისგან მოითხოვდა ყველა შემთხვევაში „წესიერ“ მტრებად დარჩენას. აფხაზური ანდაზა ამბობს: „მტერს ისე უნდა მოექცე, რომ მაღლობა გითხრასო“. პირადი მტრები ვალდებული იყვნენ გარკვეულ პირობებში ისე დაქტირათ თავი, თითქოს მათ შორის არაფერი მომხდარა, ცალკეულ შემთხვევებში კი ერთმანეთისადმი გარკვეული სამსახურიც გაეწიათ.

კავკასიური ეტიკეტით ორთაბრძოლის წინ მოწინააღმდეგებს ერთმანეთისათვის უნდა შეეთავაზებინათ ხმლის პირველი მოქნევა. ყაბარდოელი ეთნოგრაფი ბ.ბლაუნიური აღნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში ტიპიური არგუმენტაცია იყო: „შენ უფროსი ხარ, ამიტომ შენ დაინყე“, „ბრძოლაში მე გამოგინვიე, ამიტომ პირველი დარტყმის უფლება შენ გეკუთვნის“, „ჩვენს მხარეში შენ სტუმარი ხარ, ამიტომ ბრძოლა შენ უნდა დაინყო“ და ა.შ.¹³

კავკასიის სინამდვილეში ბოლო დრომდე რაინდული ეთიკის მრავალ საოცარ მაგალითს ჰქონია ადგილი. მაგალითად, XX ს-ის 50-იანი თუ 60-იანი წლების დასაწყისში ჩეჩენეთში მომხდარა ასეთი ამბავი: ერთმანეთს შეხვდა ორი მტერი, რომელთაგან მხოლოდ ერთი იყო შეიარაღებული ხანჯლით. მოწინააღმდეგებმა წილი ყარეს, ვის უნდა ეხმარა პირველს ეს ხანჯალი, და რიგრიგობით დაინყეს ერთმანეთის ჩეხვა. აქ აღსანიშნავია, რომ მთიელთა წესით ხანჯლით მხოლოდ ჩეხვა შეიძლება, წვერით ძეგერება კი, რაც სიცოცხლისათვის უფრო საშიშია, იკრძალება. ადამიანის სიკვდილი წვერით ჩაცემული ხანჯლისაგან განიხილება, როგორც გამიზნული მკვლელობა და არასოდეს მთავრდება მოსისხლეთა შერიგებით.

ცხადია, ჩვენ არ გვსურს სურათის ისე წარმოჩენა, თითქოს კავკასიაში ომებისა და შეიარაღებული კონფლიქტების დროს მხოლოდ ქვევის რაინდული

13. Б.Х.Бгажноков. Очерки этнографии общности адыгов. Нальчик, 1983. С. 99.

ნორმები ბატონობდნენ. ისევე როგორც სხვაგან, აქაც ომების დროს ხშირად ველური ექსცესები ხდებოდა. ამ მხრივ განსაკუთრებით მძიმდებოდა ვითარება ისეთ პერიოდებში, როდესაც ბრძოლა ხანგრძლივ და უკომპრომისო ხასიათს იღებდა. კერძოდ, ისტორიული წყაროები მონმობს, რომ ასე მოხდა კავკასიაში მონღოლთა შემოსევების ხანაში. არაბი ავტორის, იბნ ალ-ასირის ცნობით, მუსლიმები ქართველებს „ყველაზე კეთილ მტრებად“ მიიჩნევდნენ, რადგან ისინი გამარჯვების შემდეგ მოსახლეობისაგან მხოლოდ ხარკს იღებდნენ, მაგრამ 1222 წლის შემოდგომაზე ქალაქ ბაილაყანის (მდებარეობდა მტკვრისა და არეზის შესაყართან ახლოს) ადების შემდეგ, ქართველებმა ისევე დაარბიეს მისი მცხოვრებლები, როგორც ამას მონღოლები ჩადიოდნენ¹⁴.

განსაკუთრებით სასტიკ ხასიათს იღებდნენ ზოგჯერ შიდა კონფლიქტებიც. მაგალითად, XVII ს-ში დასავლეთ საქართველოს ზოგი რაიონი განადგურების პირამდე მიიყვანეს ძმათამკვლელმა ომებმა. ქართლელი ბაგრატიონი, პოეტი მეფე არჩილი, რომელიც მიზეზთა გამო იმერეთის ტახტის მპყრობელი აღმოჩნდა, გაოცებული იყო იმ სისასტიკით, რომლითაც ადგილობრივი ფეოდალები უსწორდებოდნენ ერთმანეთს. არჩილი ამბობს: „ამათში იყო მტერობა, ყოვლთ მტერთა უბოროტესი; მიხდომ-მოხდომა, ხმლისა კვრა, პირისა, არა კოტესი“¹⁵. ეს სიტყვები გვიჩვენებს, რომ მტრები ადვილად იმეტებდნენ ერთმანეთს მოსაკლავად, რაც არ შეესაბამებოდა ქცევის მიღებულ ნორმებს ფეოდალურ შინაომებში. ფეოდალური კავკასიის სამხედრო ეთიკა დამარცხებული მოწინააღმდეგის დანდობას მოითხოვდა. გავიხსენოთ თუნდაც ტარიელის შეგონება:

14. ბ.სილაგაძე. XII-XIII სს-ის საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი იბნ ალ-ასირის ცნობათა შუქზე. კრებულში: საქართველო რუსთაველის ხანაში. თბ., 1966. გვ. 141.

15. არჩილიანი. ტ. II. ალ-ბარამიძისა და ნ.ბერძენიშვილის რედაქციით. თბ., 1937. გვ. 118.

ოდეს მტერსა მოერიო, ნულარ მოჰკლავ, დაიყოვნებ; გინდეს სრული მამაცობა, ესე სიტყვა დაიხსოვნება.

კავკასიური ტრადიციული სამხედრო ეთიკა კრძალავდა მოკლული მტრის გვამის შეურა-ცხყოფას. საქართველოში ეს ნორმა იურიდიულა-დაც იყო გამაგრებული. მაგალითად, ვახტანგ VI-ის კანონებით ნებადართული იყო ბრძოლაში მოკლული მტრის ცხენ-იარაღისა და სამკაულის დაპატრონება, მაგრამ იკრძალებოდა გვამის გაშ-იშვლება. კერძოდ, სამართლის წიგნში ნათქვამია: „მოკლულს კაცს არას გზით ნიფხავი და პერანგი არ გაეცრცვების და ნურცა ვინ ხელს მიყოფს, თვარა კანონი აქვს; და თუ ვინმე იკადროს ამის ქნა, მათი უფროსი ნუ აქვევინებს“¹⁶.

გარკვეული დროიდან მოკლული მტრისათვის თა-ვის ან ხელის მოკვეთაც გვამის შეურაცხყოფად ითვლებოდა და ამ ბარბაროსული წესის წინააღ-მდეგ კეთილშობილი ადამიანის ამბოხება, რო-გორც ვიცით, ვაჟა ფშაველას შესანიშნავი პოემის – „ალუდა ქეთელაურის“ – მთავარი თემაა. მა-გრამ უფრო არქაულ ხანაში ბრძოლაში მოკლული მტრისათვის თავის მოჭრა არა თუ შეურაცხყოფად არ ითვლებოდა, არამედ განიხილებოდა როგორც აუცილებელი რიტუალი. მაგალითად, ჩერქეზი მეომრები, სუფთად იპარსავდნენ თავს და მხ-ოლოდ კეფაზე იტოვებდნენ გრძელ ქოჩორს, რათა მტერს გაადვილებოდა მათი მოკვეთილი თავის ხელში დაკავება. (ფეოდალურ იაპონიაში ანალო-გიური მოსაზრებით აიხსნებოდა სამურაების მიერ ულვაშების ტარება, ვინაიდან იქ მოკლულ მტერს ცხვირსა და ზედა ტუჩს აჭრიდნენ.)

ყუმუხურ ბალადაში „აიღაზი“, რომელშიც თან-მიმდევრულად არის გახსნილი კავკასიელი მთიე-ლის ფასეულობათა სისტემა, ახალგაზრდა გმირი სასიკვდილოდ დაჭრის თავისი მამის მკვლელს და

16. ვახტანგ VI. სამართლის წიგნი. თ.ენუქიძის გამოცემა. თბ., 1955. გვ. 94.

აპირებს უკვე საცოლის გადასარჩენად გააჭენოს
ცხენი, რომელიც მას თავიდიშვილმა მოსტაცა, მა-
გრამ ამ დროს გაისმის მომაკვდავი მტრის ხმა:

Оставив меня, навеки лишишся ты чести.

Я ранен смертельно. Как тонкая нить,
Вот-вот во мне жизнь оборвется.
Нельзя меня бросить, нельзя пристрелить,
Уважить обычай придется.

Меня, положив головой на юг,
Где высится саван тумана,
Присядь в изголовье, как будто бы друг,
Молитву читай из корана.

Душа улетит моя. Саблю возмешь,
О камень холодный наточишь,
Проколешь губу мне, башку отсечешь,
К седлу своему приторочишь.

Домой возвратишься ты после того,
Как воин, что выиграл битву...

(ი.კოზლოვსკის თარგმანი)

აიღაზი ასრულებს ადათს. მომაკვდავს ლოც-
ვას უკითხავს, ხოლო როცა მოსისხლე კვდება,
თავს აქრის მას¹⁷. აღსანიშნავია, რომ ეს ბალა-
და გავრცელებულია აგრეთვე ჩეჩენებში და ინ-
გუშებში („სიმღერა ყმაწვილ ღაზიზე, ოლდანის
ვაჟზე“)¹⁸.

ბოლოს, როცა ვსაუბრობთ ქცევის ტრადიცი-
ულ ნორმებზე კავკასიაში შეიარაღებული კონ-
ფლიქტების დროს, არ შეიძლება არ შევეხოთ ქა-
ლების, როგორც მშვიდობისმყოფელების, როლს.
ეს უფლება ქალებს ტრადიციულად ჰქონდათ
მინიჭებული. ფართოდ არის ცნობილი, რომ ქალის
მანდილს შეეძლო მოსისხლე მტრების შეტაკება
შეეჩერებინა. გადამტერებულ გვარებს შორის
ურთიერთხოცვის შეწყვეტა შეეძლო ერთ-ერთი
მხრის ნარმომადგენელ ქალს, თუკი ის ძუძუს

17. Поэзия народов Дагестана. С.134.

18. Г.З.Анчабадзе. Вайнахи (чеченцы и ингуши). Тб.,
2001. С.215-216.

მიცემდა მეორე გვარის ბავშვს. ზოგჯერ ეს ხდებოდა მხარეებს შორის ურთიერთშეთანხმებით, მაგრამ შეიძლებოდა მამაკაცთა სურვილის საწინააღმდეგოდაც მომხდარიყო. ორივე შემთხვევაში დაპირისპირებული გვარები უნდა შერიგებულიყვნენ, რათა, როგორც ამბობდნენ, „არ აღრეულიყო სისხლი და რქე“, ანუ მკვლელობებით არ შებილნულიყო ნებსით თუ უნებლიერ დამყარებული მორდუობა.

დასავლეთ კავკასიაში შემონახულია თქმულებები დედათა მონანილეობით მასობრივი შერიგებების შესახებ. ერთი ასეთი გადმოცემა მოჰყავს აფხაზ მეცნიერს ა. გოუბას: „აფხაზებსა და უბიხებს შორის მტრობა ჩამოვარდა. ურთიერთ თავდასხმებს ბოლო არ უჩანდა მაგრამ იყვნენ იმ დროს ბრძენი ადამიანები, რომელთაც „შეეძლოთ ცეცხლისა და წყლის შერიგება“, მათ გადაწყვიტეს ბოლო მოელოთ მტრობისთვის. შეიკრიბნენ საპატიო მოხუცები მთელი დასავლეთ კავკასიიდან და აირა გადაწყვიტეს: მდინარე ფსოუს შესართავის მარჯვენა მხარეს დიდი მინდორია. იქ მიიყვანეს მათივე დასტურით 500 ახალგაზრდა აფხაზი დედა თოთო ბავშვებით და ამდენივე უბიხი დედა თავისი პატარებით. მათ თვალები აუხვიეს და დედებმა ისე გაუცვალეს ბავშვები ერთმანეთს, რომ ვერც ერთმა ვერ გაიგო ვის ჩააბარა თავისი ჩვილი. ამის შემდეგ ქალები სასწრაფოდ თავ-თავის სოფლებში დააბრუნეს. ეს გაკეთდა იმიტომ, რომ აფხაზებსა და უბიხებს ცოდნოდათ, რომ მეორე მხარეზე მათი სისხლი და ხორცია და აღარ აღემართათ ერთმანეთზე იარაღი. შერიგების აღსანიშნავად მოეწყო დიდი ლხინი, ჯირითი, მარულა, მიზანშის-როლა და სხვა თამაშები“¹⁹.

19. А.Гуажба. Обычное право абхазов как возможный источник методов народной дипломатии. // Роль неофициальной дипломатии в миротворческом процессе. Материалы грузино-абхазской конференции. г. Сочи, март, 1999 г. Ирвайн, 1999. С.70.

ამ თქმულებაში, ცხადია, გაზვიადებული მომენტები უნდა იყოს, მაგრამ ის კი უეჭველია, რომ ასეთი გადმოცემები რაღაც წამდვილ ამბებზეა ხოლმე დამყარებული.

საქართველოს ისტორიაში კარგად არის ცნობილი შემთხვევები, როდესაც ქალები ოფიციალურად ასრულებდნენ სამშვიდობო მისიას. მაგალითად, ბაგრატ IV-ის დედა, მარიამ დედოფალი, სათავეში ედგა მრავალრიცხოვან ელჩობას, რომელიც 1031 წ. გაემართა კონსტანტინოპოლში საქართველოსა და ბიზანტიას შორის ზავის დასადებად. მოლაპარაკებები იმპერატორ რომან III-სთან წარმატებით დასრულდა. „ქართლის ცხოვრებაში“ წათქვამია, რომ ბერძენთა მეფემ „მოსნცა ფიცნი და სიმტკიცენი ერთობისა და სიყუარულისათვის, დაუწერნა ოქრო-ბეჭედი, მოსცა (საქართველოს მეფეს) პატივი კურაპალატობისა, და მოსცა ცოლად ბაგრატისთვის ელენე დედოფალი“²⁰.

ქალები მონაწილეობდნენ საქართველოს შიდა კონფლიქტების გადაწყვეტაშიც. კერძოდ, თამარის მეფობის დასაწყისში, როდესაც სამეფო ხელისუფლებასა და ფეოდალთა ერთ ნაწილს შორის მწვავე კონფლიქტი წარმოიშვა, მეამბოხებთან მოსალაპარაკებლად დედოფალმა ორი დიდგვაროვანი ქალბატონი გაგზავნა — ხუაშაქ ცოქალი და კრავად ჯაყელი. მანდილოსნებმა, როგორც ცნობილია, შეასრულეს თამარის დავალება და ქვეყანას თავიდან ააცილეს სისხლისმღვრელი შეტაკება.

* * *

ამ სტატიაში მოთხოვთ ამბებიდან მრავალი ხნის შემდეგ, ჩვენს ეპოქაში, სრულიად განსხვავებულ სოციალურ-პოლიტიკურ გარემოცვაში,

20. მატიანე ქართლისა. ქართლის ცხოვრება. ტ. I. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1955. გვ. 294.

კავკასიაშ კვლავ გადაიტანა მძიმე ომები და სისხლისლვრა. დღეს, არსად დედამიწის ზურგზე არ არის ასე ახლოს ერთმანეთთან ამდენ „ცხელი წერტილი“ (უკვე „აფეთქებული“ ან ასაფეთქებლად გამზადებული), როგორც კავკასიაში. ამიტომ, პირველ რიგში, სწორედ კავკასიის მოსახლეობა უნდა იყოს დაინტერესებული იმ საშუალებათა გამონახვით, რაც კონფლიქტების ნეიტრალიზაციას, ანუ მშვიდობიანი გზით მოგვარების პროცესებს შეუწყობს ხელს. ამ საქმეში კი კავკასიის ხალხების ტრადიციული გამოცდილება მშვიდობისმყოფლობის პრაქტიკაში შეიძლება საკმაოდ გამოსადევი აღმოჩნდეს. ცხადია, სანამ სამხედრო ძალადობა არსებობს, სამხედრო დანაშაულის ფაქტების სრული აღმოფხვრა შეუძლებელია, მაგრამ მათ წინააღმდეგ უკომპრომისობრძოლა უნდა აწარმოოს ყველა სახელმწიფომ და საზოგადოებამ, რომელიც ცივილიზებული სამყაროს ნაწილად თვლის თავს. ახალგაზრდობის აღზრდა ტრადიციული მორალური კოდექსის საუკეთესო მაგალითებზე, ამ ამოცანის ქმედითი მექანიზმი შეიძლება იყოს. სამშვიდობო მოძრაობის ერთ-ერთი მიზანია „მტრის ხატის“ დანგრევა საზოგადოებრივ ცნობიერებაში. ამისთვის შეიძლება კონკრეტული ისტორიული მაგალითების მოშველიება მოწინააღმდეგებსთან ურთიერთობის ტრადიციული კულტურიდან, როდესაც მტერში არა მარტო უარყოფით, არამედ გარკვეულ დადებით მხარეებსაც ხედავდნენ.

The Chronology of the Georgian Wars

The work presents the Georgian warfare chronology from ancient times up to the end of the middle Ages in the classical understanding. The lower chronological limit is determined according to the earliest surviving historical records about the participation of the Georgian tribes in military operations (circa 1100 BC). The chronology is cited up to the year of 1490, which marked disintegration of Georgia into kingdoms and principalities. The dates of the wars and the most important events falling within the large historical period are presented in the chronological

საქართველოს ომების ქრონილოგია (1490 წლამდე)¹

ძ. 6. 1114 წ. ახლოს – ასურეთის მეფე ტიგლათ-ფილესერ I-მა დაამარცხა მის სამფლობელოებში შეჭრილი 20 000 მუშექი (მესხი?), რომელსაც ხუთი მეფე მოუძღვდათ.

ძ. 6. 1112 წ. – ტიგლათფილესერ I ლაშქრობს მისი სამეფოს ჩრდილოეთით მდებარე „ნაირის ქვეყნებში“. მან დაამარცხა და ტყვედ ჩაიგდო ადგილობრივ ტომთა ერთ-ერთი გაერთიანების, დიაოხის (დაიაენის) მეფე სიენი, რომელიც ნაირის ქვეყნების კალიციურ ძალებს ედგა სათავეში. დიაოხის ქვეყანა ჭოროხის ზემონელსა და ზოგ მეზობელ ხეობას მოიცავდა.

ძ. 6. 845 წ. — ასურეთის მეფე სალმანასარ III ლაშქრობს ნაირის ქვეყნებში. მან მოაოხრა ურარტუ (ვანის ტბის მიდამოებში) და მიალნია ევფრატის სათავეებს, საიდანაც დიაოხის ტერიტორია იწყებოდა. დიაოხის მეფე ასიამ სალმანასარს მორჩილება გამოუცხადა და ხარკი მიართვა.

ძ. 6. IX ს-ის უკანასკნელი მეოთხედი – გაძლიერებული ურარტუს მეფე იშფუნი და მისი ვაჟი მენუა ეომებიან სამხრეთ ამიერკავკასიის ტომებს: ვიტერუს (ოძრებე?), ლუშას (ლაზები?), ქათარზას (კლარჯები). ურარტუელები მრისხანე მონინაალმდეგები იყვნენ. ერთ-ერთ ლაშქრობაში, მაგალითად, მათ გამოიყანენ 66 საომარი ეტლი, 1460 მხედარი და 15 760 ქვეითი მეომარი, რაც იმ დროისთვის ძალიან დიდი ძალა იყო.

ძ. 6. IX ს-ის დასასრული VIII ს-ის დასახურისი – ურარტუს მეფე მენუა ლაშქრობს დიაოხის ნინაალმდეგ. დიაოხის მეფე უტუფურსი ბრძოლაში მარცხდება. მენუამ დაარბია დიაოხი და ხელთ

1. პირველად დაბეჭდა 1998 წელს ცალკე ბროშურად (48გვ.), გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბაში.

იგდო დიდალი ნადავლი. მისმა ლაშქარმა მიაღწია “სესეთის ქვეყანას” (შავშეთი?).

ძვ. ნ. 785 ნ. ახლოს — ურარტუს მეფე არგიშთი I, მენუას ძე, ლაშქრობს ზაბახას ქვეყანაში (ჯავახეთი); მან დაიპყრო აგრეთვე ვიტერუხის “სამეფო ქალაქი” ურიეიუნი.

ძვ. ნ. 768 ნ. ახლოს — არგიშთი I დიაოხის წინააღმდეგ ლაშქრობს. მეფე უტუფურსი ისევ მარცხდება. ურარტუელები იპყრობენ დიაოხსა და მის მეზობელ ქვეყნებს.

201

ძვ. ნ. 750-748 ნე. — ურარტუს მეფე სარდური II ლაშქრობს ზღვისპირა ქართული გაერთიანების, კოლხას, წინააღმდეგ. არბევს კოლხას ვასალურ ქვეყნებს ჭოროხის ხეობაში.

ძვ. ნ. 747-741 ნე. შორის — სარდური II-მ ისევ დალაშქრა კოლხა. აიღო „სამეფო ქალაქი“ ილდამუსა.

ძვ. ნ. VIII ს-ის დასასრული – VII ს. — აღმოსავლეთ ევროპისა და ჩრდილო კავკასიის ტრამალებიდან წინამდებარე ხალხების – კიმირიელებისა და სკვითების შემოსევები ამიერკავკასიასა და წინა აზიაში. ამ შემოსევების შედეგად დაეცა ძველი კოლხას სამეფო და განადგურდა კავკასიელ ტომთა მრავალი დასახლებული პუნქტი.


ძვ. ნ. VI ს-ის დასაწყისი — ურარტუს სამეფოს განადგურება მიდიელების მიერ. ჩრდილო ურარტუს ციხე-ქალაქები შემუსრეს სკვითებმა და ამიერკავკასიელმა (მათ შორის ქართველმა) ტომებმა.

ძვ. ნ. VI — III სს. — კოლხეთის ახალი სამეფო.

ძვ. ნ. VI-ის მეორე ნახევარი – V ს. — ამიერკავკასიის მოქცევა ძველი სპარსეთის სამეფოს პოლიტიკური გავლენის ქვეშ. ქართული ტომების (კოლხები, მოსხები, ხალიბები, მოსინიკები, სასპერები და სხვ.) მონაწილეობა სპარსეთის მეფეთა ლაშქრობებში.

order. The dates are supplemented with brief descriptions of the military operations. The history of the Georgian wars is presented in a broader historical context. Some of the events included in the list were not directly associated with Georgia but had a considerable impact on its future. The work is intended to facilitate better comprehension of the nature of the Georgian warfare and discern their links with the historical context.

First published as a brochure in 1998.



ძვ. ნ. 401 — სპარსეთიდან მომავალი ბერძენი მოქირავნეების 10-ათასიანი რაზმის ლაშქრობა სამხრეთ-დასავლური ქართული ტომების ტერიტორიაზე (ჭოროხის ხეობა და შავიზღვისპირეთი). ადგილობრივ მოსახლეობასთან (ტაოხები, ხალიბები, კოლხები, დრილები, მოსინიკები და სხვ.) ბრძოლებში ბერძნებმა დიდი ზარალი განიცადეს. ქართული ტომების მედგარმა წინააღმდეგობამ და სამხედრო მოქმედებათა თეატრის რთულმა რელიეფმა ბერძნული სარდლობა აიძულა ბრძოლის ახალი ტაქტიკური ფორმები ეძებნა: არმიის ორგანიზაციული დაყოფის საფუძველზე ჩაისახა ტაქტიკური დაყოფა.

ძვ. ნ. 334-324 ნნ. — ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობა აღმოსავლეთში. სპარსეთის სამეფოს განადგურება და მაკედონური იმპერიის შექმნა.

ძვ. ნ. IV ს-ის 20-იანი ნნ. — სამხრეთ ქართულ ტომთა გაერთიანების წინამდლოლი აზო, ბერძენ-მაკედონელთან დახმარებით იპყრობს მცხეთას და იმორჩილებს მტკვრის შუა წელზე მცხოვრებ ქართველ ტომებს.

ძვ. ნ. 312-302 ნნ. შორის — მცხეთური სამხედრო არისტოკრატიის წარმომადგენელი ფარნავაზი, ეგრისის (კოლხეთის) მმართველი ქუჯისა და ჩრდილო კავკასიელი ტომების დახმარებით ამარცებს და კლავს აზოს. გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა მტკვრის სათავეში, არტანის ნაქალაქევთან.

ძვ. ნ. 302/1 ნ. — ფარნავაზმა დალაშქრა აზოს მოკავშირეთა სამფლობელოები მდ. ევფრატზე.

ძვ. ნ. IV ს-ის დასასრული და III ს-ის დასაწყისი — ფარნავაზ I-ის მეფობა ქართლში. სამხედრო-ადმინისტრაციული რეფორმა — ქვეყნის დაყოფა საერისთავოებად.

ძვ. ნ. III ს-ის პირველი ნახევარი — ქართლის მეფე საურმაგს (ფარნავაზის ძეს) ერისთავები

აუჯანყდნენ. საურმაგმა ჩრდილო კავკასიელი ტომების დახმარებით ამბოხება ჩაახშო.

ძვ. ნ. III ს-ის მეორე ნახევარი – მეფე მირვან I-მა დაამარცხა ქართლში შემოჭრილი ჩრდილო კავკასიელი ტომები – დურძუები (თანამედროვე ჩეჩენების და ინგუშების ზინაპრები). ამ ბრძოლის აღნერაში, რომელიც „ქართლის ცხოვრებამ“ შემოგვინახა, პირველად არის დადასტურებული ქართული სამხედრო ხელოვნების ელემენტები – საბრძოლო წყობის დაყოფა სილრმეში და ჯარის სახეობების მიხედვით, მტრის დევნა მისი საბოლოო განადგურების მიზნით, მხედართმთავრის როლი ბრძოლაში და სხვ.

ძვ. ნ. II ს-ის პირველი ნახევარი — სომებთა მეფეებმა არტაშესმა და ზარეპმა ქართლის სამეფოს ჩამოაჭრეს სამხრეთის პროვინციები – ხორძენე და გოგარენე (ჭოროხის ზემო წელი, მტკვრის სათავე, ქცია-დებედას აუზი).


ძვ. ნ. 111-110 ნნ. – კოლხეთს იპყრობს პონტოს მეფე მითრიდატე VI ევპატორი. (პონტოს სამეფო მცირე აზიის ჩრდილოეთ ნანილში მდებარეობდა. მითრიდატე VI-ის დროს მის შემადგენლობაში თითქმის მთელ მცირე აზია და შავი ზღვის აუზი შევიდა.)

ძვ. ნ. 89-63 ნნ. — მითრიდატე ევპატორის ომები რომაელებთან, რომლებშიც პონტოელთა მხარეზე გამოდიოდნენ ამიერკავკასიის ქვეყნები; მათ შორის კოლხეთი (როგორც პონტოს სამეფოს შემადგენელი ნანილი) და ქართლი (როგორც პონტოს მოკავშირე). მესამე ომში მითრიდატე დამარცხდა და თავი მოიკლა. რომაელები ამიერკავკასიას მოადგნენ.

ძვ. ნ. 66-65 ნნ. – რომაელთა ლაშქრობა ამიერკავკასიაში გნეუს პომპეუსის სარდლობით. პომპეუსმა დაიმორჩილა სომხეთი, დაამარცხა ახლანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მცხოვრები ალ-

ქველი ქართლის (იმერის) სამეცნი

ქართლის სამეცნი
ლგარი ქ. ვ. III ხ-ში



ბანები და აღმოსავლეთიდან შემოიჭრა ქართლ-ში. ძვ. წ. 65 წ. რომაელებმა აიღეს არმაზის ციხე, მცხეთა და დაამარცხეს ქართლის ლაშქარი, მა-გრამ მათ წინააღმდეგ ფართო პარტიზანული მოძრაობა გაიშალა. ბოლოს პომპეუსსა და ქარ-თლის მეფე არტაგს შორის დაიდო ზავი, რომლის მიხედვით არტაგი „რომაელი ხალხის მოკავშირედ და მეგობრად“ გამოცხადდა. შემდეგ, იმავე 65 წელს, პომპეუსმა კოლხეთი დაიმორჩილა.

ძვ. წ. 36 წ. – ქართლში შემოიჭრა რომაელი სარ-დალი პუბლიუს კანიდიუს კრასუსი და დაამარცხა რომაელთა მორჩილებიდან გამოსული ქართლის მეფე ფარნაგაზ II. ეს უკანასკნელი იძულებული გახდა კვლავ ელიარებინა თავი რომაელთა „მოკა-ვშირედ“. შემდეგ რომაელებმა და ქართლელებმა ალბანეთში ილაშქრეს და დაამარცხეს მისი მეფე ზობერი.

ახ. წ. 35 წ. – ქართლის მეფის ძემ, ფარსმანმა (შემ-დეგში - მეფე ფარსმან I) დაიპყრო სომხეთი და მის ტახტზე აიყვანა თავისი ძმა მითრიდატე. პარ-თის მეფემ სომხეთის დასაბრუნებლად მრავალ-რიცხოვანი ცხენოსანი ჯარი გამოგზავნა თავისი ვაჟის, ოროდის სარდლობით. ფარსმანმა პართელ-ები სასტიკად დაამარცხა, ხოლო უფლისნული ოროდი ორთაბრძოლაში მძიმედ დაჭრა.

51 წ. — ფარსმან I-ის ნებართვით, მისი ვაჟი რა-დამისტი სომხეთში შეიჭრა და ტახტიდან ჩამო-აგდო თავისი ბიძა, მითრიდატე. რადამისტი სომ-ხეთის მეფე გახდა, მაგრამ დიდხანს ვერ იქმეფა, რადგან მას დაუპირისპირდნენ როგორც სომეხი დიდებულები, ასევე პართის მეფე.

58 წ. — ფარსმან I-მა სამხედრო დახმარება ალ-მოუჩინა რომაელ სარდალს კონბულონს, რო-მელიც სომხეთში პართელებს ეომებოდა. სა-მაგიეროდ, რომაელებმა ფარსმანს გადასცეს სომხეთის მომიჯნავე ოლქები.

69 წ. — აჯანყება რომაელთა ბატონობის წინააღ-

მდევგ პონტოსა და კოლხეთში, ანიკეტის ხელმძღვანელობით. აჯანყებულებმა ქალაქი ტრაპიზონი აიღეს, გაანადგურეს მისი გარნიზონი და დაწვეს ნავსადგურში მდგომი სამხედრო ხომალდები. იმპერატორმა ვესპასიანემ აჯანყების ჩასახობად რჩეული ჯარი გამოგზავნა. რომაელებმა გაფანტეს აჯანყებულთა რაზმები. ანიკეტი ღალატით იქნა შეპყრობილი. მისი შემდგომი ბედი უცნობია.

I ს-ის 70-იანი წელი. — ქართლელების, ალანების (ოსების) და ჩრდილოკავკასიელი მთიელების (დურძუკები, ლეკები, ჯიქები და სხვ.) თავდასხმა სომხეთზე.

II ს-ის დასაწყისი — აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ლაზების, აფშილების, აბაზებისა და სანიგების სამთავროების ჩამოყალიბება.

114-115 წელი. — ქართლელთა რაზმი უფლისწული ამაზასპის მეთაურობით მონაწილეობს რომის იმპერატორის ტრაიანეს ლაშქრობაში პართიის წინააღმდეგ.

II ს-ის 30-50-იანი წელი. — მეფე ფარსმან II-ის ომები ამიერკავკასიაში ქართლის სამეფოს ჰეგემონიის დასამყარებლად.

141-144 წელი. შორის — ფარსმან მეფისა და მისი ამალის სტუმრობა რომში იმპერატორ ანტონიუს პიუსთან.

226 წელი. — სპარსთა მთავარმა არდაშირ სასანიანმა დაამხო პართიის სამეფო და საფუძველი ჩაუყარა ახალ ირანულ სახელმწიფოს, სასანიანთა დინასტიით სათავეში.

III ს-ის შუა ხანები — ჩრდილო შავიზღვისპირეთში დასახლებული გერმანელი ტომების – გუთების თავდასხმები კოლხეთის სანაპიროზე.

III ს-ის შუა ხანები — ალანების (ოსების) გამოლაშქრება მცხეთაზე. ქართლის მეფემ, ამაზასპმა

40 ათასი მეომრით შესძლო მოწინააღმდეგის ორი დღით შეჩერება და მუხრან-საფურცლის ხაზზე, მესამე დღეს კი, დამხმარე ძალების მიღების შემდეგ, ამაზასპი შეტევაზე გადავიდა და მტერი სასტიკად დაამარცხა.

IV ს-ის პირველი ნახევარი — ქართლის მეფე მირიანის ბრძოლა სპარსელებთან ერთად იმიერკავკასიელი მომთაბარეების წინააღმდეგ.

337 ნ. — ქრისტიანობის აღიარება ქართლის სამეფოს ოფიციალურ რელიგიად.

IV ს-ის 70-იანი ნნ. — ქართლის სამეფოში სასანური ირანის სამხედრო-პოლიტიკური გავლენის გაძლიერება.

V ს-ის 20-30 იანი ნნ. — ქართლის მეფის არჩილ I-ისა და მისი ვაჟის მირდატის ბრძოლა სპარსელთა წინააღმდეგ.

449-502 ნნ. — ვახტანგ გორგასლის მეფობა.

452 ნ. — ოსების თავდასხმა ქართლზე და კასპის აღება.

458 ნ. — ვახტანგ მეფის საპასუხო ლაშქრობა ოსეთში. ქართლელები თერგზე ბრძოლაში ამარცხებენ ოსებს და მათ მოკავშირეებს.

Vს-ის 50-იანი ნნ. — ეგრისელების (ლაზების) ბრძოლა რომაელთა აგრესიის წინააღმდეგ მეფე გუბაზ I-ის წინაშძლოლობით.

V ს-ის 50 ნნ. ბოლოს – 60-იანი ნნ. — ქართლის მეფე ვახტანგი სპარსელთა დახმარებით რომაელებს (ბიზანტიელებს) ეპრძვის ეგრისში.

482-484 ნნ. — ქართლელებისა და სომხების აჯანყება სპარსელთა წინააღმდეგ. ვახტანგ გორგასლის პირველი ომი ირანთან.

483 ნ. — ქართველ-სომეხთა გაერთიანებული

ლაშქარი ვახტანგ მეფისა და ვაჲან მამიკონიანის სარდლობით, ფეოდალთა ერთი ნაწილის ღალატის გამო მარცხდება სპარსელებთან ბრძოლაში ჭარმანაინის ველზე (მტკვრის სამხრეთით, ალბანეთის საზღვართან).

484 ნ. — ირანელი მხედართმთავარი ზარმიპრი ქართლის შუაგულში შემოიჭრა. ბრძოლა მიმდინარეობს მცხეთის მისადგომებთან. სამხედრო მოქმედებები შეწყვიტა მხოლოდ ცნობამ, რომ შუა აზიელ მომთაბარებთან ბრძოლაში დამარცხდა და დაიღუპა სპარსთა მეფე პეროზი. ირანის ახალი მეფე ვალარში დაუზავდა ამიერკავკასიის აჯანყებულ ხალხებს. ზავის პირობებით, ქართლმა და, ნაწილობრივ, სომხეთმა შეინარჩუნა დამოუკიდებლობა საშინაო საქმეებში და ქრისტიანული რელიგია, მაგრამ კვლავ აღიარებდნენ სასანიანთა უზენაესობას და კისრულობდნენ საჭიროების შემთხვევაში სპარსელთა დასახმარებლად სამხედრო ძალების გამოყვანას.

V ს-ის 80-იანი წნ. შუა ხანები — ვახტანგ გორგასა-ალი ქართული რაზმით მონაწილეობს სპარსელთა ლაშქრობაში ინდოეთზე.

502 ნ. — ვახტანგ გორგასლის მეორე ომი სპარსელებთან. უჯარმის ბრძოლა და ვახტანგის დაღუპვა.


523 ნ. — სპარსელთა წინააღმდეგ ქართლის აჯანყება მეფე გურგენის მეთაურობით. აჯანყების ჩახშობის შემდეგ ქართლის დიდი ნაწილი სპარსელთა უშუალო მმართველობის ქვეშ მოექცა.

528 ნ. — სპარსელთა ჯარი ეგრისში შეიჭრა, მაგრამ ეგრისის მეფემ, ნათემ, ბიზანტიელთა დახმარებით მტერი უკუაგდო.

532 ნ. — ირანსა და ბიზანტიას შორის დაიდო ე.წ. „უვადო ზავი“, რომლის მიხედვით ქართლი გა-

458

ქართველის სამეცნი კახტანბ გორგასლის ხანაში



მოცხადდა ირანის, ეგრისი კი – ბიზანტიის გავლენის სფეროდ.

540 6. – „უვადო ზავი“ დაირღვა და ირანსა და ბიზანტიას შორის დაიწყო ახალი ომი, რომელიც 562 წლამდე გაგრძელდა. სამხედრო მოქმედებების ერთ-ერთი მთავარი ასპარეზი ეგრისი იყო.

541 6. — ეგრისის მეფე გუბაზ II (გარდ. 554 6.) ბიზანტიელებს აუჯანყდა და ირანელთა მხარეზე გადავიდა.

542 6. – ირანის მეფე ხოსრო I ანუშირვანი დიდი ჯარით ეგრისში შევიდა, გუბაზის დახმარებით აიღო ბიზანტიელთა მთავარი საყრდენი პუნქტი – პეტრა (ახლანდ. ციხისძირი) და შეი თავისი გარნიზონი ჩააყენა. ეგრისი ირანის პოლიტიკური გავლენის სფეროში მოქმედდა.

548 6. – ირანელთა ბატონობით შეწუხებული ეგრისელები კვლავ ბიზანტიელთა მხარეზე გადავიდნენ და იმპერატორს სპარსელთა წინააღმდეგ დახმარება სთხოვეს. იუსტინიანე I-მა ეგრისში 8 000 მეომარი გაგზავნა დაგისთეს სარდლობით.

549 6. — გუბაზისა და დაგისთეს რაზმებმა პეტრას ალყა შემოარტყეს, მაგრამ ვერ აიღეს იგი, რადგანაც ციხე-ქალაქის დასამარებლად ხოსრო ანუშირვანმა დიდი ჯარი გამოგზავნა მერმეროეს სარდლობით. დაგისთეს რაზმი უკუიქცა. მერმეროემ პეტრას გარნიზონი 3 000 კაცით გააძლიერა, კომუნიკაციების (სამხედრო გზების) დასაცავად რიონის ველზე 5 000 კაცი დატოვა, ხოლო დანარჩენი 25 000 მეომარი გამოსაზართრებლად სომხეთში გადაიყვანა.

ირანელთა მთავარი ძალების ნასვლის შემდეგ გუბაზმა კვლავ მოუხმო ბიზანტიელებს და გაერთიანებული ძალებით რიონის დაბლობზე დაბანაკებული სპარსელები გაჟღლიტა.

550 6. — მდგომარეობის გამოსასწორებლად ეგრისში ირანელთა ახალი ჯარი შეიჭრა ხურიანეს

სარდლობით, მაგრამ ცხენისწყალთან დამარცხდა. ბრძოლის ბედი არსებითად ეგრისელთა თავ-განწირვამ გადაწყვიტა. ხურანე ისრით მოკლეს.

550 ნ. – ბიზანტიიელებს განუდგა და ირანის მხარეზე გადავიდა აფხაზთა ტომი – აბაზგები. ეგრისში განლაგებული ბიზანტიის ჯარების ახალმა სარდალმა ბესამ აჯანყებულთა წინააღმდეგ სახმელეთო და საზღვაო ძალები დაძრა. გადამწყვეტი ბრძოლა ბიზანტიიელებსა და აბაზგებს შორის მოხდა ტრაქეას ციხე-ქალაქთან (ახლანდელი ახალი ათონი). ბიზანტიიელებმა გაიმარჯვეს და აბაზგები კვლავ დაიმორჩილეს.

551 ნ. — სარდალმა ბესამ სისხლისმღვრელი ბრძოლით აიღო პეტრა და მისი ზღუდეები მიწასთან გაასწორა, რათა სპარსელებს მომავალში კვლავ არ დაეკავებინათ იგი. ირანელთა სარდალი მერმეროე შეეცადა სანაცლოდ აეღო ეგრისის დედაქალაქი ციხე-გოვი (ახლანდ. ნოქალაქევი) მაგრამ 4 000 კაცი დაკარგა, დამარცხდა და უკან დაიხია, მაგრამ შეძლო ხელში ჩაეგდო ქუთაისისა და მის მახლობლად მდებარე უქიმერიონის ციხეები.

553 ნ. – მერმეროემ მოულოდნელი თავდასხმით აიღო ტელეფისის ციხე (ახლანდ. სოფ. ტოლები სამტრედიის რაიონში). გუბაზი ამ მარცხს ბიზანტიელ სარდლებს აბრალებდა და მისი დასმენით იმპერატორმა ბესამ თანამდებობიდან გადააყენა.

554 ნ. – ბიზანტიიელმა სარდლებმა რუსტიკემ და იოანემ ვერაგულად მოკლედ ეგრისის მეფე გუბაზ II. აღმფოთებულმა ეგრისელებმა ირანელებთან ბრძოლას თავი დაანებეს. მოკავშირეთა გარეშე დარჩენილმა ბიზანტიიელთა 50-ათასიანმა არმიამ ონოგურის ციხესთან სპარსელებისაგან მწარე დამარცხება იგემა.

555 ნ. – ეგრისის დიდებულებმა ქვეყნის პოლიტიკური ორიენტაციის საკითხის გადასაწყვეტად

სახალხო კრება მოიწვიეს. კრების მონაწილეთა ერთი ნაწილი აიეტის მეთაურობით მოითხოვდა ბიზანტიისთან კავშირის გაწყვეტას და ირანის მხარეზე გადასვლას; მეორე — ფარტაზის ჯგუფი — ირანთან კავშირის მონინააღმდეგე იყო და საჭიროდ თვლიდა იმპერატორ იუსტინიანესათვის მოეთხოვათ გუბაზის მკველელების დასჯა და ეგრისის მეფედ გუბაზის უმცროსი ძმის, ნათეს დამტკიცება. გაიმარჯვა ფარტაზის აზრმა. იმპერატორმა დააკმაყოფილა ეგრისელთა მოთხოვნები: გუბაზის მკვლელები სიკედილით დასაჯეს, ეგრისის მეფედ კი დამტკიცდა წათე II.

555 6. – ირანელთა ჯარის ახალმა სარდალმა, ნახორაგანმა იერიში მიიტანა ფაზისზე (ფოთი), მაგრამ დამარცხდა და 10 000 კაცი დაკარგა.

555 6. – ბიზანტიელებმა ჩაახშეს კოდორის სათავეებში მცხოვრები ტომის – მისიმიანების აჯანყება.

562 6. – ირანსა და ბიზანტიას შორის დაიდო 50-წლიანი ზავი, რომლის პირობებით ეგრისის სამეფო ბიზანტიის იმპერიის შემადგენლობაში დარჩა. ლიხსიქითა მიწებიდან სპარსელებმა არ დათმეს მხოლოდ, სვანეთი, რომლის მთავარსაც ირანის მხარე ეჭირა.

571 6. – აჯანყება ქართლსა და სომხეთში ირანის წინააღმდეგ. ირანის შაპი იძულებული გახდა აჯანყების წინამძღოლი, ერისმთავარი გუარამი ეცნო ქართლის გამგებლად ირანის ვასალობის პირობით.

575 6. ახლოს — ბიზანტიელების ვანეთში შეიჭრნენ და ტყვედ აიყვანეს ირანის მომხრე მთავარი. ამის შემდეგ სვანითიც ბიზანტიის პოლიტიკური გავლენის სფეროში მოექცა, დასავლეთ საქართველოს დანარჩენი ტერიტორიების მსგავსად.

589 6. – ქართლის ერისმთავარი გუარამი სარგებლობს ირანის გართულებული პოლიტიკური მდ-

გომარეობით და ქართული ლაშქრითა და ჩრდილო კავკასიელ ტომთა დაქირავებული რაზმებით არ-ბევს ირანის პროვინცია ადარბადაგანს (ახლანდ. სამხრეთ აზერბაიჯანი).

591 ნ. — აჯანყება კამბეჩანში (ახლანდ. ქიზიყი) ირანის წინააღმდეგ. აჯანყებულები კლავენ ირანის დიდმოხელე ვეზანს.

602-629 ნნ. — უკანასკნელი ომი ბიზანტიის იმპერიასა და სასანურ ირანს შორის, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდნენ მათზე დამოკიდებული ამიერკავკასიის ხალხები — სომხები, ქართველები, ეგრისელები, აბაზები.

627 ნ. — თბილის შემოადგა ბიზანტიის იმპერატორი ჰერაკლე თავის მოკავშირე ხაზარებთან ერთად (ცხოვრობდნენ ჩრდილო-დასავლეთ კასპიისპირეთში). თბილისის ქართულ-სპარსულმა გარნიზონმა მედგარი წინააღმდევობა გაუწია მომხდურებს და ამჯერად აიძულა ისინი გაცლოდნენ ქალაქს.

628 ნ. — ხაზარების ახალი თავდასხმა თბილისზე. ორთვიანი ბრძოლის შემდეგ ქალაქი დაეცა. ხაზარებმა თბილისი გაძარცვეს, მისი მცხოვრებნი კი ამოხოცეს ან ტყვედ წასხეს.

610-632 ნნ. — ისლამის დამაარსებლისა და მქადაგებლის, მუჰამედის (მაჰმადის) რელიგიურ-პოლიტიკური მოღვაწეობა. ისლამის დროშით არაბული ტომების გაერთიანება.

VII ს-ის 30-იანი ნნ. — არაბთა დაპყრობითი ომების დასაწყისი.

633-652 ნნ. — არაბთა მიერ ირანის დაპყრობა. სასანიანთა დინასტიის დასასრული.

VII ს-ის 40-იანი ნნ. — არაბების პირველი გამოჩენა ქართლის საზღვრებთან.

654 ნ. – არაბებმა სომხეთში პიზანტიელთა ჯარები გაანადგურეს და ქართლში შემოიჭრნენ. ქართლის ერისმთავარი სტეფანო ზი უომრად დამორჩილდა არაბთა სარდალს ჰაბიბ იბნ-მასლამას. გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის ძალითაც ქართლი არაბთა სახალიფოს მოხარკე ქვეყანად იქცა. სამაგიეროდ არაბები ქართლის მოსახლეობას პირდებოდნენ უშიშროებას, ქონებისა და სარწმუნოების ხელშეუხებლობას. მაგრამ ამჯერად არაბთა ბატონობა აღმოსავლეთ საქართველოში დიდხანს არ გაგრძელებულა. სახალიფოში დიდი შინაომი ატყდა, რითაც ისარგებლეს ქართველებმა და ხარკის გადახდა შეწყვიტეს.

662 ნ. – ამიერკავკასიაში არაბთა შემოსევების განახლება.

VII ს-ის 70-იანი წელი. – ქართლის ერისმთავარმა ნერსე 1-მა დაამარცხა სომხეთში მდგომი არაბთა ჯარის სარდალი ბარაბა.

685 ნ. – ხაზარები არბევენ ალბანეთს, ქართლსა და სომხეთს.

686-688 წელი. – პიზანტიელთა ლაშქრობები ქართლში, სომხეთსა და ალბანეთში. ბრძოლა ამიერკავკასიაში დაბანაკებულ არაბებთან.

VII ს-ის 90 იანი წელი. – არაბები საკმაოდ მტკიცედ იყიდებენ ფეხს ქართლში, თუმცა ქართველთა წინააღმდეგობის საბოლოო გატეხვას ვერ ახერხებენ.

697 წ. — ეგრისის გამგებელი სერგი ბარნუკის ძე უჯანყდება პიზანტიის იმპერატორს და თავის ქვეყანაში არაბებს იწვევს.

701-704 წელი. – არაბთა წინააღმდეგ აჯანყებული სომხეთის, ქართლისა და ალბანეთის აოხრება მუჰამედ იბნ-მარკანის მიერ.

717 წ. – არაბთა რაზმები აფხაზეთამდე აღწევენ.

VII ს-ის 10-20 იანი წე. – ამიერკავკასიაზე ბატონობისათვის იბრძვიან არაბები, ხაზარები და ბიზანტიელები.

730 წ. – ქართლის ერისმთავრის არჩილ II-ის (718-745) მოწვევით ხაზართა ხაკანმა არაბთა წინააღმდეგ დიდი ლაშქარი გამოგზავნა თავისი ვაჟის, ბარჯიეის სარდლობით. ხაზარებმა დაამარცხეს და მოკლეს ამიერკავკასიის არაპი გამგებელი ალ-ჯარაჰი.

735-736 წე. – საქართველოს შემოესია ამიერკავკასიის გამგებლად დანიშნული სახელმოხვეჭილი არაპი სარდალი მარვან იბნ-მუჰამედი, რომელსაც ქართველებმა სისასტიკისათვის „მურმან ყრუ“ შეარქეს. ქართული წყაროების ცნობით, მურვანმა ააოხრა აღმოსავლეთ საქართველო, გადავიდა სამცხეში და იქიდან ეგრისში შეიჭრა, სადაც თავს აფარებდნენ ერისმთავარი არჩილ II და მისი ძმა მირი. არაბთა წინსვლა შეჩერებული იქნა მხოლოდ აფხაზეთში, ანაკოფიის ციხესთან (ახლანდ. ახალი ათონი), რომელსაც იცავდა 1 000 ქართველი და 2 000 აფხაზი მეომარი. უკანდახეულმა მურვანმა განვლო გურია, იავარ ჰყო შავშეთ-კლარჯეთი და ჭოროხის ხეობით დატოვა საქართველოს ტერიტორია.

მურვან ყრუმ მნიშვნელოვნად განამტკიცა არაბთა ხელისუფლება საქართველოში და საერთოდ ამიერკავკასიაში. მან წარმატებით ილაშქრა აგრეთვე ლეკეთში, ოსეთსა და ხაზარეთში. მურვანის ლაშქრობის შემდეგ არაბების მიერ დაპყრობილ ქართულ მიწებზე ჩამოყალიბდა ცალკე ადმინისტრაციული ერთეული – თბილისის საამირო. თბილისში, რუსთავში, დმანისში და სხვა ციხე-ქალაქებში მუსლიმთა გარნიზონები ჩადგნენ. ქართლის ერისმთავარი, ფაქტობრივად, არაპი ამირას მოადგილე გახდა.

VIII ს-ის 50 იანი წე. – არაპი სარდალი იაზიდ იბნ-უსაიდი ამარცხებს აჯანყებულ კახელ მთიელებს — წანარებს, რომლებიც ამ პერიოდში ამიერკავკასიაში არაბებისათვის ყველაზე საშიშ მტრებად ითვლებოდნენ.

764 ნ. – ხაზარები ლაშქრობენ ქართლში და ატყვევებენ ერისმათავარ ჯუანშერს.

VIII ს-ის 70 იანი ნნ. – წინარების ახალი აჯანყება. მათ უშედეგოდ ეომება ამიერკავკასიის არაბი გამგებელი ალ-ჰასან იბნ-კაშტაბა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ბალდადის ხალიფაშ იბნ-კაშტაბას დამატებით კიდევ 20 000 მეომარი მიაშველა, მოხერხდა წანარების დამარცხება. მიუხედავად ამისა, წანართა წინააღმდეგობა არ შეწყვეტილა, რაც, საბოლოო ჯამში, კახეთის სამთავროს ჩამოყალიბებით დაგვირგვინდა.

VIII ს ის 80-იანი ნნ. – აფხაზთა მთავარმა ლეონ II-მ ხაზართა დახმარებით განდევნა ბიზანტიელები ეგრის-აფხაზეთიდან და თავისი თავი ამ მხარის მეფედ გამოაცხადა. ახლადშექმნილი აფხაზთა სამეფოს დედაქალაქი გახდა ქუთაისი.

803-806 ნნ. – ამიერკავკასიის არაბი გამგებელი ხუზაიმა იბნ-ხაზიმი უშედეგოდ ეომება აჯანყებულ ქართლელებსა და წანარებს (კახელებს)

818 ნ. ახლოს — ქართლის ერისმთავარი აშოტ I ბაგრატიონი, აფხაზთა მეფის თევდოსი I-ის დახმარებით, მდ. ქსანზე შეება კახეთის მთავარს გრიგოლს, რომელსაც მხარს უჭერდა თბილისის ამირა. ბრძოლა აშოტის გამარჯვებით დასრულდა. გრიგოლი გაიქცა და დასთმო მის მიერ ადრე დაპყრობილი ქართლის ნაწილი.

IX ს-ის 20-იანი ნნ. – არაბთაგან შევიწროვებული ერისმთავარი აშოტ I ოჯახითა და ვასალების რაზმით ტოვებს ქართლს და სამხრეთ საქართველოში გადადის. ფარავნის ტბასთან მას მიეწევა არაბთა ლაშქარი, მაგრამ ქართველები ამარცხებენ მტერს. შავშეთ-კლარჯეთში აშოტი იპყრობს ვრცელ ტერიტორიას ცენტრით არტანუჯში, რითაც საფუძველი ეყრება ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა სახელმწიფოს.

826 ნ. – ნიგალისხევში მოკლეს აშოტ I, როდესაც

იგი ლაშქარს აგროვებდა არაბთა წინააღმდეგ. მკვლელები, როგორც ჩანს, აშოტის მონინააღმდეგები ფეოდალური დაჯგუფებიდან იყვნენ.

829 6. – საქართველოში ლაშქრობს არაბი სარდალი ხალიდ იბნ-იაზიდი. ბრძოლა არაბებსა და წანარებს შორის.

IX ს-ის 30-იანი 66. – ხალიდ იბნ-იაზიდის მეორე ლაშქრობა კახეთში და მისი დამარცხება გავაზთან კახი-გარდაბანელების მიერ. (ისტორიული პროვინცია გარდაბანი, რომელიც მდებარეობდა მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, VIII-IX სს-ში კახეთის სამთავროს ნაწილს წარმოადგენდა.)

841 6. – ხალიდის მესამე ლაშქრობა საქართველოში და მისი ჯავახეთში დაღუპვა.

842-843 66. – ქართლში ლაშქრობს ხალიდის ვაჯი მუჰამედი, რომელიც ხალიფამ მამის თანამდებობაზე დანიშნა. ტაო-კლარჯეთის მთავრის ბაგრატ I-ის (826-876) დახმარებით მან უფლისციხე აიღო, მაგრამ ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდა ხალიფასაგან გამდგარი თბილისის ამირა საპაკისა და კახი-გარდაბანელების გაერთიანებული ძალების მხრიდან. ბრძოლაში სოფ. რეხთან ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია გამარჯვებას და მუჰამედი იძულებული გახდა საქართველოს გაცლოდა.

844 6. – ბიზანტიის იმპერატორმა აფხაზთა სამეფოს დასაპყრობად ზღვით დიდი ლაშქარი გამოგზავნა, მაგრამ ბერძენთა ფლოტი ქარიშხალმა დააზარალა, ნაპირს მოლწეულმა რაზმებმა კი იქ სასტიკი მარცხი იგემეს. იმპერატორმა ამ წარუმატებელ ექსპედიციაში 40 ათასამდე ჯარისკაცი და მეზღვაური დაკარგა.

853 6. – ამიერკავკასიაში არაბთა შერყეული პოზიციების აღსადგენად ბალდადიდან მრავალრიცხვანი ლაშქრით (120-200 ათასი მეომარი) მოავლინეს გამოცდილი სარდალი ბულა თურქი. სომხეთის დამორჩილების შემდეგ იგი თბილის

მოადგა, 5 აგვისტოს აიღო ქალაქი და მისი მოსახლეობის დიდი ნაწილი გაულიტა. ურჩი ამირა საპაკი მოკლული იქნა. არაბებმა დაამარცხეს აგრეთვე ქართლში გადმოსული აფხაზთა მეფე თევდოსი II. ბუღა არაგვის ხეობაშიც შეიჭრა, მაგრამ მთიულებმა იგი დიდი ზარალით უკუაქციეს.

854 ნ. — ბუღა თურქის ჯარებმა ააოხრეს კახეთის პროვინცია გარდაბანი.

IX ს-ის მეორე ნახევარი — არაბებს ცვალებადი უპირატესობით ებრძვის აშოგ I-ის ვაჟი გუარამ მაფალი (გარდ. 882 წ.), რომელსაც ეპყრა ჯავახეთი, თრიალეთი, ტაშირი, აბოცი და არტანი.

IX ს-ის 60-იანი წელი. — შიდა ქართლი დაიპყრო აფხაზთა მეფემ გიორგი I-მა (861-868).

868 წ. — გიორგი აფხაზთა მეფის გარდაცვალების შემდეგ აფხაზეთის სამეფო ტახტი ხელში ჩაიგდო მთავარმა იოანე შავლიანმა. ტახტის კანონიერი მემკვიდრე მცირენლოვანი უფლისწული ბაგრატი ბიზანტიაში გადაიხვენა.

IX ს-ის 70-იანი წელი. — არგვეთელი ფეოდალი ლიპარიტ I ბალვაში იპყრობს თრიალეთს და აშენებს კლდეკარის ციხეს, რომელიც ამავე სახელწოდების საერისთავოს ცენტრი ხდება.

IX ს-ის 80-იანი წელი. პირველი ნახევარი — შინაბრძოლა აშოგ I-ის შთამომავლებს შორის. გუარამის ძე ნასრა კლავს თავის ბიძაშვილს დავით I კურაპალატს (876-881). დავითის ძმა აშოგ II (გარდ. 885 წ.) ლიპარიტ ბალვაშის, სომხებისა და არაბების დახმარებით ამარცხებს ნასრას. ნასრა გარბის ბიზანტიაში.

887 წ. ახლოს — აფხაზეთში ბერძენთა ფლოტით ბრუნდება უფლისწული ბაგრატი; კლავს იოანე შავლიანის შვილს, ადარნასეს, და იბრუნებს წინაპართა ტახტს.

888 ნ. – საბერძნეთიდან დაბრუნებულმა ნასრა ბაგრატიონმა აფხაზთა მეფის, ბაგრატ I-ის, დახმარებით განაახლა ბრძოლა თავის ნათესავებთან და დაიპყრო სამცხე. მის წინააღმდეგ გამოდიან სხვა ბაგრატიონები მოკლული დავით კურაპალატის ძის, ადარნასეს მეთაურობით. მტკვარზე მომხდარ ბრძოლაში ნასრა მარცხდება და იღუპება.

IX-X ს-ის მიჯნა – აფხაზთა სამეფომ დაკარგა შიდა ქართლი, რომელსაც ეუფლებიან ადგილობრივი აზნაურები.

904 ნ. – აფხაზთა მეფემ კონსტანტინე III-მ (893-922) კვლავ დაიმორჩილა ქართლი.

905 ნ. ახლოს – სომებთა მეფე სუმბატ I იწყებს ომს აფხაზთა სამეფოს წინააღმდეგ, მრადგება უფლისციხეს და საალყო ტექნიკის გამოყენებით იღებს ციხე-ქალაქს. მაგრამ მონინააღმდეგები მალე დაზავდნენ და სუმბატმა კონსტანტინეს დაუბრუნა დაპყრობილი ტერიტორიები.

914 ნ. ახლოს – ქართლი, კახეთი და სამცხე-ჯავახეთი დალაშქრა აზერბაიჯანის არაბმა გამგებელმა, ტომით თურქმა, იუსუფ იბნ აბუ ს-საჯმა (აბუ ლ-კასიმმა), მაგრამ ცალკეულ ციხესიმაგრებში (უჯარმა, თმოგვი, ყუელი) მედგარ წინააღმდეგობას გადაეყარა და იძულებული გახდა საქართველოს ისე გაცლოდა, რომ შემოსევის მთავარი მიზანი – ქვეყნის ხელახალი დამორჩილება, ფაქტობრივად, განუხორციელებელი დარჩა. მეტი წარმატებები ჰქონდა იუსუფს სომხეთში, სადაც მან შეიპყრო და მოკლა მეფე სუმბატ I.

915 ნ. ახლოს – აფხაზთა მეფემ კონსტანტინე III-მ და კახეთის ქორეპისკოპოსმა (მთავარმა) კვირიკე I-მა ილაშქრეს კახეთის აღმოსავლეთით მდებარე ჰერეთში და ვეჯინის ციხე დაანგრიეს. ჰერთა მეფემ ტერიტორიული დათმობებით იყიდა ზავის: კონსტანტინეს მისცა არიში და გავაზი, კვირიკეს – ორჭობი (ყველა ალაზნის ველზე).

922 ნ. – გარდაიცვალა აფხაზთა მეფე კონსტანტინე III და ლიხსიქითში ატყდა შინაომი მის შვილებს – გიორგისა და ბაგრატს შორის, რომელიც ბაგრატის გარდაცვალებამდე გაგრძელდა. ომოგორც ჩანს, ამ არეულობით ისარგებლეს ტაოკლარჯეთის ბაგრატიონებმა და ქართლი დაიკავეს.

923 ნ. – გარდაიცვალა „ქართველთა მეფის“ ტიტულის მქონე ადარნესე II ბაგრატიონი (888-923) და ქართლს კვლავ ეუფლა აფხაზთა მეფე გიორგი II (922-957).

924 ნ. ახლოს – იუსუფ იბნ აბუ ს-საჯმა კვლავ მოახორა კახეთი და მცხეთამდეც მოვიდა, მაგრამ ვერც ამ ლაშქრობამ უშველა არაბებს და მათი გავლენა საქართველოში მაღლე სრულიად დაიკარგა. როგორც კვალი არაბთა ბატონობისა, დარჩა თბილისის მცირე საამირო, მაგრამ ამ დროისათვის იგი სხვა ადგილობრივი პოლიტიკური ერთეულებიდან პრაქტიკულად, აღარ გამოირჩეოდა.

929 ნ. ახლოს — გიორგი აფხაზთა მეფეს განუდგა და მისი ძე, ქართლის გამგებელი კონსტანტინე, და ქართლელი აზნაურების დახმარებით უფლის-ციხეში გამაერდა. მეფე გიორგიმ ციხე-ქალაქს ალყა შემოარტყა. ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ კონსტანტინე შეიძყრეს და სიკვდილით დასაჯეს.

Х ს-ის შუა ხანები – გიორგი II აფხაზთა მეფე შეიჭრა კახეთში, დაისყრო მისი დიდი ნაწილი და ქორეპისკოპოსი კვირიკე II (929-976) აიძულა ეცნო აფხაზთა მეფის უფლებანი კახეთზე.

956 ნ. – ქართლელი და კახელი აზნაურების მხარდაჭერით კვირიკე II-მ დაარღვია ზავი გიორგი მეფესთან და კახეთის ციხეებიდან განდევნა „აფხაზთა“ რაზმები.

957 ნ. – კვირიკეს დასასჯელად კახეთზე გაილაშქრა აფხაზთა მეფის ძემ, ლეონმა. როდესაც იგი ქვეყანას აოხრებდა, მოვიდა ცნობა გიორგი II-ის გარდაცვალების შესახებ. ლეონი სასწრაფოდ

დაუზავდა კვირიკეს და ტახტის დასაკავებლად უკან გაბრუნდა.

967 ნ. – აფხაზთა მეფე ლეონ III (957-967) ისევ შეიქრა კახეთში, მოარბია არაგვისპირი, მაგრამ ლაშქრობის დროს დასწულდა, თავის სამეფოში დაბრუნდა და მალე გარდაიცვალა.

X ს-ის 60-იანი წნ. ბოლო, 70-იანი წნ. პირველი ნახევარი — შინა ომები აფხაზთა სამეფოში.

222

975 ნ. – „აფხაზთა“ შინა აშლილობით ისარგებლეს კახელმა ფეოდალებმა და უფლისციხეს შემოადგნენ, მაგრამ იმ ხანად ქართველ მეფეთა შორის უძლიერესის, ტაოელი დავით III კურაპალატის (გარდ. 1001 ნ.), გამოლაშქრებამ აიძულა ისინი უკან დაეხიათ. დავით კურაპალატმა ქართლი გადასცა თავის შვილობილს, ბაგრატ ბაგრატიონს, რომელიც დედის მხრიდან აფხაზთა მეფე გიორგი II-ის შვილიშვილი იყო.

978 ნ. — ბაგრატ ბაგრატიონმა აფხაზთა სამეფოს ტახტი დაიკავა. იგი ისტორიაში შევიდა, როგორც გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს პირველი მეფე – ბაგრატ III (978-1014).

979 ნ. – დავით III კურაპალატი 12-ათასიან ლაშქა-რს აგზავნის ბიზანტიის საიმპერატორო კარის დასახმარებლად, რომელსაც ებრძოდა აჯანყებული მხედართმთავარი ბარდა სკლიაროსი. ქართველთა დახმარებით ბიზანტიის სამთავრობო ჯარების სარდალმა ბარდა ფოკამ სკლიაროსის აჯანყება ჩაახშო.

980 ნ. ახლოს – ბაგრატ III მოღრისთან ამარცხებს მის წინააღმდეგ ამბოხებულ ქართველ ფეოდალებს.

987-989 წნ. – დავით კურაპალატი კვლავ ჩაერია ბიზანტიის საშინაო საქმეებში, მაგრამ ამჯერად უკვე იმპერატორის წინააღმდეგ ამბოხებული

ბარდა ფოკას მხარეზე. ფოკა, ქართული რაზმების დახმარებით, წარმატებით უტევს სამთავრობო ჯარებს, მაგრამ გადამწყვეტი ბრძოლის წინ მას მოწამლავენ. გამარჯვებულ იმპერატორთან დასაზავებლად დავითი იძულებული ხდება დადოს პირობა, რომ მისი (დავითის) სიკვდილის შემდეგ ტაოს სამეფო იმპერიას შეუერთდება.

989 ნ. – ბაგრატ III-მ დალაშქრა და დაიმორჩილა კლდეკარის საერისთაო.

990 ნ. – დავით კურაპალატმა მუსლიმებს წაართვა მნიშვნელოვანი სომხური ქალაქი მანასკერტი.

997 ნ. – დავით მეფის ჯარებმა ალყა შემოარტყეს ქ. ხლათს ვანის ტბის ნაპირზე, მაგრამ ქალაქის აღება ვერ მოხერხდა.

998 ნ. – დავით კურაპალატის გაძლიერებით შეშფოთებულმა მუსლიმებმა აზერბაიჯანის ამირა მამლანის მეთაურობით გამოილაშქრეს ტაოს მეფის წინააღმდეგ, მაგრამ დავითის სარდალი გაბრიელ ოჩიპინტრეს ძე ამარცხებს მტერს. ბრძოლა მოხდა დასავლეთ სომხეთში.

1001 ნ. – დავით III კურაპალატის გარდაცვალება. ბიზანტიის იმპერატორი ბასილი ანდერძის თანახმად იპყრობს დავითის სამფლობელოებს – იმიერ ტაოსა და დასავლეთ სომხეთს.

1008-1010 ნ. — ბაგრატ III იპყრობს ჰერეთს და კახეთს.

1011-1012 ნ. – ბაგრატ III-მ და სომეხთა მეფე გაგიკმა დალაშქრეს განჯის ამირა ფადლონ I-ის სამფლობელოები, რომელიც ქურდული თავდასხმებით მოსვენებას არ აძლევდა მეზობელ ქრისტიანულ თემებს. მოკავშირეთა წარმატებულმა მოქმედებებმა ფადლონი აიძულა ზავი ეთხოვა.

1014-1016 ნ. შორის – საქართველოს მეფე გიორგი I (1014-1027) სარგებლობს ბიზანტიელთა გაჭი-

ანურებული ომით ბულგარებთან და იყავებს იმიერ ტაოს. ამავე პერიოდში, გაერთიანებულ საქართველოს კვლავ ჩამოცილდა კახეთ-ჰერეთი.

1021-1022 წწ. — ბიზანტია-საქართველოს ომი დავით კურაპალატის მემკვიდრეობისათვის. სამხედრო მოქმედებებს ხელმძღვანელობდნენ პირადად მეფე გიორგი I და იმპერატორი ბასილი II. მტრის რიცხვითი უპირატესობის გამო ქართველებმა მარცხი განიცადეს ორ დიდ ბრძოლაში – სოფ. შირიმთან (1021 წ.) და ბასილის ველზე (1022 წ.), მაგრამ საქართველოს სილრმეში შემოჭრილმა ბასილი კეისარმაც ვერ მოახერხა აქ გამაგრება და უკან დაიხია. ზავის პირობებით, დავით კურაპალატის ყოფილი სამფლობელოები ბიზანტიის შემადგენლობაში დარჩა.

1028 წ. — ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე VIII შეეცადა ესარგებლა იმ გარემოებით, რომ გიორგი I-ის მემკვიდრე ბაგრატ IV (1027-1072) ჯერ მცირენლოვანი იყო და საქართველოს ჯარი შემოუსია. ბიზანტიიელებმა თრიალეთამდე და შავ-შეთამდე შემოაღწიეს, მაგრამ ფართოდ გამლილი საერთო-სახალხო წინააღმდეგობის გამო იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ.

1030 წ. — ქართველები (ბაგრატ IV-ის ლაშქარი კლდეკარის ერისთავის ლიპარიტ ბალვაშის სარდლობით და კახეთ-ჰერეთის მეფე კვირიკე III), სომხებთან და თბილისის ამირასთან ერთად მდე ეკლეციე ამარცხებენ განვის ამირა ფადლონ I-ს.

1032 წ. — ბაგრატ IV-ს განუდგა მისი ნახევარძმა დემეტრე და ბიზანტიიელებს გადასცა ანაკოფიის ციხე.

1032 წ. — ლიპარიტ ბალვაშმა და ქართლის ერისთავმა ივანე აბაზას ძემ შეიპყრეს თბილისის ამირა ჯაფარი და წაართვეს მას ბირთვისის ციხე, მაგრამ ბაგრატ IV-მ ამირა შეიწყალა და თბილისში დააბრუნა.

1035 ნ. ახლოს – კახეთ-ჰერეთის მეფე კვირიკე III-მ დაამარცხა და მოკლა ოსთა მეფე ურდურე. მცირე ხნის შემდე, ურდურეს სისხლის ძიების მიზნით კვირიკე III ნადირობის დროს მოკლული იქნა ოსი მონის მიერ.

1037-1039 წწ. – თბილისის გარემოცვა ბაგრატ IV-ისა და კახეთ-ჰერეთის მეფის — გაგიყის გაერთიანებული ძალებით. ამ კამპანიის დროსვე ქართველებმა ამირას წაართვეს ორბეთისა და ფარცხისის ციხეები. ხანგრძლივი ალყით შეწუხებული თბილისელი მუსლიმები დანებებას აპირებდნენ, მაგრამ ქართველთა შორის წარმოქმნილი განხეთქილების გამო ალყა მოიშალა. ლიპარიტ ბაღვაში, რომელიც თბილისის გარემოცვის მთავარი ინიციატორი იყო ბაგრატ IV-ს გაუნანყენდა.

1040 ნ. ახლოს — ბაგრატ IV დაიძრა კახეთ-ჰერეთის დასაპყრობად და თავდაპირველად მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. დაამარცხა კახები და შეიძყრო მის წინააღმდეგ მებრძოლი რამდენიმე ერისთავი. მაგრამ მალე ბაგრატი იძულებული გახდა შეეწყვიტა ლაშქრობა და უკან დაბრუნებულიყო, ვინაიდან ქართლში მის წინააღმდეგ ლიპარიტ ბაღვაში ამოქმედდა.

XI ს-ის 40-იანი წწ. დასაწყისი — აჯანყებული ლიპარიტი ბიზანტიელებს დაუკავშირდა და მათი დახმარებით ალყა შემოარტყა სამეფო ციხე ატენს. მეციხოვნებმა ალყას გაუძლეს, მაგრამ ბაგრატი იძულებული გახდა დაზავებოდა ლიპარიტს და მისთვის ქართლის ერისთავობა მიეცა.

1045 ნ. — სომხეთის დედაქალაქის, ანისის, თავკაცებმა, რომლებიც შეწუხებულები იყვნენ ბიზანტიელთა აგრესით, ქალაქი ბაგრატ IV-ს გადასცეს.

1046 ნ. გაზაფხული — ბიზანტიელების მიერ ოკუპირებული ზღვისპირა ციხეების, ანაკოფიისა და ხუფათის (ახლანდ. ხოფა თურქეთში) ალყა ბაგრატ IV-ის ჯარების მიერ.

1046 ნ. – გარდაიცვალა თბილისის ამირა ჯაფარი და „ტფილელმა ბერებმა“ ქალაქი ბაგრატ IV-ს გადასცეს. ქართველ მეფეს არ დანებდა მხოლოდ მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარე ისანი, სადაც მაჰმადიანური არისტოკრატია იყო გამაგრებული. მეფის ლაშქარი ქვისმტყორცნელი მანქანებით ისნის კედლების დანგრევას შეუდგა.

1046 ნ. – ლიპარიტ ბალვაში კვლავ აუჯანყდა მეფეს და ხელო იგდო ქ. ანისი, რომელიც ბიზანტიელებს გადასცა. ბაგრატი იძულებული გახდა თბილისიც დაეტოვებინა.

1047 ნ. – ბაგრატ IV შიდა ლაშქრით (დასავლეთ საქართველოს ფეოდალური მხედრობა) და 700 დაქირავებული ვარანგით (ასე ეძახდნენ აღმოსავლეთში სკანდინავიელ ვიკინგებს) სასირთის ჭალასთან შეება ლიპარიტ ერისთავს, მაგრამ დამარცხდა.

1048 ნ. – ბიზანტიელთა დამარებით ზურგგამაგრებულმა ლიპარიტმა კიდევ ერთხელ დამარცხა ბაგრატი არყის ციხესთან.

1049 ნ. – ბიზანტიის იმპერატორის თხოვნით, ლიპარიტ ერისთავი 16-ათასიანი ჯარით ლაშქრობს სომხეთში აღმოსავლეთიდან ახლადგამოჩენილი მტრის, თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ. ქრისტიანთა გაერთიანებული მხედრობა (16 000 ქართველი, 15 000 ბიზანტიელი, 10 000 სომები) დალატის გამო თურქებთან ბრძოლაში მარცხდება. ლიპარიტი ტყვედ ჩავარდა.

1051 ნ. – ტყვეობიდან გათავისუფლებული ლიპარიტ ბალვაში საქართველოში ბრუნდება. ბიზანტიელთა მხარდაჭერით იგი კვლავ მომძლავრდა.

1058 ნ. – ბაგრატის ერთგულმა მესხმა აზნაურებმა, შეიპყრეს ლიპარიტ ბალვაში და მიჰვარეს მეფეს, რომელმაც ორგული ერისთავი იძულებით ბერად შეაყენა.

1062 ნ. – ბაგრატ IV-მ განჯის საამიროს შეუსია ჩირდილოკავკასიიდან მოწვეული ოსების ჯარი. ოსებმა საამირო დაარბიეს და 20 000 ტყვე წა-მოასხეს.

1064 ნ. – საქართველოში შემოიჭრა თურქ-სელ-ჩუქთა სულთანი ალფ-არსლანი. თურქებმა მძიმე ბრძოლით აიღეს ახალქალაქის ციხე, მოარბიეს თრიალეთი და ჯავახეთი.

1064 ნ. – ბაგრატ IV-მ სომეხთა მეფეს წაართვა ქა-ლაქი სამშვილდე.

1065 ნ. – ქართველებისა და ოსების ახალი თავ-დასხმა განჯის საამიროზე.

1067 ნ. – ბაგრატ IV იწყებს ბრძოლას კახეთის შე-მოსაერთებლად, იპყრობს მის დიდ წანილს, მა-გრამ თურქთა ახალი შემოსევის გამო ეს ცდა მარ-ცხით მთავრდება.

1067 ნ. ნოემბრიდან 1068 ნისიანვრამდე – ალფ-არსლანის მეორე გამანადგურებელი ლაშქრობა. თურქებმა სასტიკად ააოხრეს აღმოსავლეთ საქა-რთველოს დიდი წანილი და არგვეთი. უკან გა-ბრუნებულმა სულთანმა თბილისი და რუსთავი გადასცა განჯის ამირა ფადლონ II-ს.

1068 ნ. გაზაფხული – ფადლონი 33-ათასიანი ლაშქრით ქართლში შემოვიდა, მაგრამ მცხე-თის ჩირდილოეთით ქართველებმა იგი სასტიკად დაამარცხეს. ტყვედ ჩაგარდნილმა ფადლონმა თავისუფლება იყიდა თბილისისა და რუსთავის დაბრუნებით.

1069 ნ. ახლოს – ფადლონ II-მ განაახლა ყაჩაღური თავდასხმები. ბაგრატმა მის დასასჯელად მოი-წვია ოსთა მეფე დორლოლელი დიდი ლაშქრით და განჯის ქვეყანა დაარბევინა.

1071 ნ. – სომხეთში, ქ. მანასკერტთან სელჩუკთა სულთანმა ალფ-არსლანმა სასტიკად დაამარ-

ცხა ბიზანტიულთა მრავალრიცხოვანი არმია. იმპერატორი რომან IV დიოგენი ტყვედ ჩავარდა. მანასკერტის ბრძოლის შემდეგ ბიზანტიამ და-კარგა თითქმის მთელი მცირე აზია და სომხეთი, სადაც სელჩუკები გაბატონდნენ. საქართველო, პრაქტიკულად, მარტო დარჩა მათ პირისპირ.

1074 ნ. ახლოს – საქართველოში შემოიჭრა სელ-ჩუკთა ახალი სულთანი მალიქშაჰი, მოახორა სომხეთი და აიღო სამშვილდე. უკან მიმავალმა სულთანმა დაიკავა განჯა, გადააყენა ფალლონ III და განჯის ქვეყანა ჩააბარა თავის სარანგს (მხე-დართმთავარს), სავ-თევზის, რომლის განკარ-გულებაში, შემდგომი დაპყრობებისათვის, 48 000 მეომარი დატოვა.

1075 ნ. – საქართველოს მეფე გიორგი II-მ (1072-1089) ფარცხის ბრძოლაში დაამარცხა და გააქცია განჯის სარანგი.

XI ს-ის 70-იანი წელი. – გიორგი II სარგებლობს მანასკერტის ბრძოლის შედეგებით და ბერძნებს ართმევს ანაკოფიასა და შავშეთ-კლარჯეთის ციხეებს. გარდა ამისა, ბიზანტიულთა მხედარ-თმთავარმა ტომით ქართველმა გრიგოლ ბაკუ-რიანის ძემ, მეფე გიორგის გადასცა ჩრდილოეთ სომხეთის ერთ-ერთი უძლიერესი ციხე-ქალაქი ყარსი. გიორგიმ ყარსის სანახებიდან განდევნა მოთარეშე თურქები, ქალაქის ციხეში კი შავშელი აზნაურები ჩააყენა.

XI ს-ის 70-იანი წელი. დასასრული – სულთანი მალიქშაჰი ვერ შეურიგდებოდა გიორგი II-ის გა-ძლიერებას. მან ქართველთა წინააღმდეგ დიდი ლაშქარი გამოგზავნა ამირა აჰმადის სარდლო-ბით. სელჩუკებმა აიღეს ყარსი, შემოიჭრნენ ჯა-ვახეთში და შინაგამცემელთა წყალობით დაამარ-ცხეს გიორგი II.

1080 წ. – საქართველოში მოთარეშე თურქებს თა-ნამეტომეთა ახალი ურდოები შეემატა. სელჩუკე-

ბი მკალივით მოედვნენ მთელ ქვეყანას ქართლი-დან ოდიშამდე და აჭარამდე. ერთ დღეს გადაწვეს ქუთაისი, არტანუჯი, კლარჯეთის უდაბნოები.., რბევა-აკლება დაზამთრებამდე არ შეწყვეტილა. ამ გამანადგურებელ შემოსევას ქართველებმა „დიდი თურქობა“ უწოდეს.

ამ დროიდან დაწყებული სელჩუკებმა წესად შემოიღეს ყოველწლიური შემოსევა საქართველოში. გაზაფხულიდან ზამთრის დადგომამდე თარეშობდნენ, არბევდნენ, რისი წალებაც შეიძლებოდა მიჰქონდათ, დანარჩენს ანადგურებდნენ.

1083 ნ. — თურქთა განუწყვეტილი შემოსევებით იმედგაწყვეტილი გიორგი II მორჩილებას უცხადებს მალიქშაპს და კისრულობს ხარკის გადახდას, მაგრამ მომთაბარეთა თარეში საქართველოში მაინც გრძელდება. ისინი აქ ზამთრობითაც იწყებენ დარჩენას თავისი ოჯახებითა და ჯოგებით.

1089-1125 ნ. — დავით ალმაშენებლის მეფობა.

1092 ნ. — გარდაიცვალა სულთანი მალიქშაპი რომლის დროსაც სელჩუკთა სახელმწიფომ თავის ძლიერების მწვერვალს შიაღწია. მისი სიკვდილის შემდეგ სელჩუკებს შორის იწყება შიდაპოლიტიკური ბრძოლა.

1096 ნ. — პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის დასაწყისი, რომელიც დასრულდა 1099 წელს დასავლელი ქრისტიანების მიერ იერუსალიმის აღებით.

1099 ნ. — დავით მეფემ სულთანს ხარკის გადახდა შეუწყვიტა. დაიწყო ქართველი ხალხის განმანთავისუფლებელი ომი სელჩუკთა წინააღმდეგ.

1103-1104 ნ. — დავით IV-ის მიერ კახეთ-ჰერეთის შემოერთება.

1104 ნ. — მეფემ ერნუხთან დაამარცხა განჯის სელჩუკი ამირას ლაშქარი, რომელიც კახეთ-ჰერეთის დაბრუნებას ლამობდა.

1110 ნ. – ქართველებმა აიღეს ციხე-ქალაქი სამშვილდე, რის შემდეგ თურქებმა უბრძოლველად დატოვეს ქვემო ქართლის მნიშვნელოვანი ნაწილი.

1110 ნ. – მდგომარეობის გამოსასწორებლად სელჩუკთა მრავალრიცხოვანი ლაშქარი საქართველოში შემოიჭრა. დავითი თრიალეთში გადაეღობა მტერს. ბრძოლამ განთიადიდან დაღამებამდე გასტანა. ღამით თურქებმა დატოვეს თავიანთი ბანაკი და გაიქცნენ.

1115 ნ. – ქართველები ათავისუფლებენ რუსთავს.

1116 ნ. – დავით აღმაშენებელი ანადგურებს ტაოში გამოსაზამთრებლად ჩამომდგარ თურქულ ტომებს.

1117 ნ. – დავითმა აიღო ციხესიმაგრე გიში, მისმა ვაჟმა დემეტრემ კი – ციხე ქალაძორი.

1118 ნ. – მეფე არბევს არეზის ნაპირებზე დაბანაკებულ მომთაბარეებს, შემდეგ იკავებს ტაშირის მთავარ ციხე-ქალაქ ლორეს და აგარანს (კოჯორის ციხეს).

1118-1119 ნ. – დავითს ჩრდილო კავკასიიდან გადმოჰყავს ყივჩაყთა დიდი ურდო (40 000 მეომარი ოჯახებით) და ასახლებს მათ აღმოსავლეთ საქართველოს საზღვრებზე – ჰერთსა და სომხით-ტაშირში.

1120 ნ. – დავით აღმაშენებელი თებერვალში ანადგურებს მტკვრის პირას ჩამომდგარ თურქულ ტომებს, შემდეგ ლაშქრობს შირვანში და იღებს ქყაბალას. ნოემბერში კვლავ მომთაბარეებს არბევს სომხეთში.

1121 ნ. – მეფე ლაშქრობს ხუნანზე (ძველი ციხე-ქალაქი მტკვარზე, მდ. ძეგამის დასავლეთით), შემდეგ ყივჩაყთა მხედრობით გადალახავს მტკვარს და არბევს ბარდავის (ახლანდ. ქ. ბარდა აზერბაიჯანში) მიდამოებში დაბანაკებულ თურქებს.

1121 ნ. – ქართველთა თავდასხმებისაგან შეჭირვე-

ბული ამიერკავკასიელი მუსლიმები დახმარები-სათვის მიმართავენ მაჰმადიანურ სამყაროს. გროვდება დიდი ლაშქარი, რომელსაც სათავეში უდგება ჯვაროსნებზე გამარჯვებული სარდალი ნაჯმ ად-დინ ილ-ღაზი. საქართველოში შემოჭ-რილ თურქებს დავითი 12 აგვისტოს დახვდა დიდ-გორში 56 000 მეომრით (40 000 ქართველი, 15 000 ყიზჩაყი, 500 ოსი, 100 დასავლეთევროპელი ჯვაროსანი). დიდგორის ბრძოლა ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა.

1122 ნ. – დავით აღმაშენებელი ათავისუფლებს თბილისს და აქ გადმოაქვს ქუთაისიდან საქართ-ველოს დედაქალაქი.

1123 ნ. – დავით მეფე ლაშქრობს შირვანში, სა-დაც ამარცხებს ერაყის სელჩუკთა სულთანს, მაჰმუდს.

1124 ნ. – დავითი ზედიზედ ატარებს ლაშქრობებს მუსლიმებთან შეხების მთელ ფრონტზე: მარტი – დმანისის განთავისუფლება; აპრილი – დარუ-ბანდის ამირას დამარცხება და ქ. შაბურანის (კას-პიისპირეთშია) აღება; მაისი – სომხითის ციხეების განთავისუფლება; ივნისი – რეიდი მომთაბარე ტომების წინააღმდეგ ბასიანისა და სპერის მიმარ-თულებით; აგვისტო – სომხეთის ყოფილი დედაქა-ლაქის, ანისის განთავისუფლება, შემოდგომა – სრულიად შირვანის დაკავება და შემოერთება.

1125 ნ. — დემეტრე I (1125—1156) ამარცხებს საქართველოზე წამოსულ ერაყის სელჩუკებს და იბრუნებს დმანისს, რომელსაც დავით აღმაშენე-ბლის გარდაცვალების შემდეგ კვლავ მუსლიმები დაეპატრონენ.

1126 ნ. – ქართველებმა მოარბიეს თურქების მფლობელობაში მყოფი ქ. დვინი სომხეთში.

1130 ნ. – დემეტრე I ამარცხებს სამხრეთ სომხე-თის მფლობელ მაჰმადიან ფეოდალებს.

1138 ნ. — დემეტრემ განჯაზე გაილაშქრა და გამარჯვების ნიშნად საქართველოში წამოიღო ქალაქის რკინის კარები, რომელიც დღეს გელათის მონასტერშია დაცული.

1156 ნ. — გიორგი III (1156-1184) დალაშქრა აშორნის ოლქი მდ. არეზზე, რომელიც სამხრეთ სომხეთის მფლობელი თურქული დინასტიის — შაჰარმენების ხელში იყო.

1161 ნ. — გიორგი III ანისთან სასტიკად ამარცხებს შაჰარმენ სუქმან II-ისა და მისი მოკავშირების 40-ათასიან ლაშქარს. მუსლიმთაგან მოკლული იყო 7 000 მეომარი, ტყვედ ჩავარდა 2 ათასზე მეტი.

1162 ნ. — ქართველები მცირე ხნით იკავებენ დვინს.

1163 ნ. — აზერბაიჯანის მფლობელი ათაბაგი ილდენიზი, ერაყის სელჩუკებისა და შაჰარმენის მხარდაჭერით, 50-ათასიანი ჯარით იღებს გაგის ციხეს (ახლანდ. წითელ ხიდთან) და დიდ ბრძოლაში ამარცხებს გიორგი III-ს.

1165 ნ. — გიორგი III-მ სამაგიეროს გადახდის მიზნით მოახორა ილდენიზის სამფლობელოები განჯამდე. საერთოდ, ამ პერიოდში ქართველთა მარბიელი რაზმები იწევენ არეზის შესართავამდე, არარატის მთამდე, ყარსამდე...

1167 ნ. — გიორგი III ლაშქრობს კასპიისპირეთში შირვანშაჰის დასახმარებლად, რომელსაც ავიწროვებდა დარუბანდის ამირა. ქართველები იღებენ ქ. შაბურანს.

1175 ნ. — მუსლიმთა გაერთიანებულმა ძალებმა (ილდენიზი, ერაყის სელჩუკები, შაჰარმენი და სხვ.) წარმატებით დალაშქრეს ჯავახეთი. ხელთ იგდეს დიდი ნადავლი და მრავალი ტყვე.

1177 ნ. — გიორგი III-ის დასამხობად აჯანყებას აწყობენ მისი ძმისნული დემნა ბატონიშვილი და ამირსპასალარი ივანე ორბელი. აჯანყებულთა

ძალები 30000 კაცს აღწევდა, მაგრამ მეფის ერთ-გულმა ლაშქარმა გაფანტა მეამბოხენი და აიღო მათი მთავარი საყრდენი პუნქტი – ლორეს ციხე. მეფემ აჯანყების მოთავეები სასტიკად დასაჯა.

1184-1213 წწ. – თამარის მეფობა.

1184-1185 წწ. – ქართველები იგერიებენ თურქების მარბეველ თავდასხმებს პალაკაციოსა (ახლანდ. ჩილდირის ტბის მიდამოები) და შავშეთ-კლარჯე-თის მხარეებზე.

1185 წ. – თამარის პირველი ქმრის, გიორგი რუსის, მეთაურობით ეწყობა ლაშქრობა ყარსის მიმარ-თულებით.

1186-1187 წწ. – ქართველთა ლაშქრობები დვინზე, ბაილაყანზე, არეზისპირეთში.

1191 წ. – დასავლეთ საქართველოს ფეოდალთა აჯანყება ცენტრალური ხელისუფლების წინააღმ-დეგ გიორგი რუსის ტახტზე დაბრუნების საბაბით (აჯანყების ნამდვილი მიზეზი უნდა ყოფილიყო ლიხსიქითელი დიდებულების უკმაყოფილება იმ-ითი, რომ დედაქალაქის ქუთაისიდან თბილისში გადმოტანის შემდეგ შემცირდა მათი გავლენა სამეფო კარზე). ორ კოლონად გაყოფილი მეამ-ბოხეები თბილისისაკენ დაიძრნენ. როგორც ჩანს, დედაქალაქზე იერიშის მიტანისას ისინი აპირ-ებდნენ ჩრდილო-დასავლეთიდან და სამხრეთი-დან ერთდღრული დარტყმებით. მაგრამ თამარის ერთგულმა რაზმებმა ორ შეტაკებაში დაამარცხეს სამხრეთის კოლონა, რის შემდეგ დანარჩენი მეამ-ბოხეენი იძულებული გახდნენ პატიება ეთხოვათ. გიორგი რუსი საქართველოდან გააძევეს.

1192-1993 წ. – ქართველთა ლაშქრობები ბარდავ-სა და არზრუმზე.

1193 წ. – გიორგი რუსი ილდენიზიანთა ხელშენ-ყობით კამბეჩანში შემოიჭრა და ქვეყნის დარბე-

ვას შეუდგა, მაგრამ მწარე დამარცხება იგემა და სამუდამოდ გადაიხვენა.

1993/94 ნ. – ქართველებმა დალაშქრეს ილდენიზიანთა პროვინცია – რანი (მტკვარსა და არეზის ქვემო დინებას შორის) და განჯასთან ბრძოლაში გამარჯვება მოიპოვეს.

1195 ნ. – ილდენიზიანთა სახელმწიფოში ატეხილი შინაომის შედეგად ათაბაგობა ხელთ იგდო აბუ ბაქრმა, რომლის დამარცხებულმა ძმამ, ამირ მირანმა საქართველოს კარს სთხოვა მფარველობა. ვინაიდან ილდენიზიანთა სახელმწიფო საქართველოს ძველი მეტოქე იყო, თამარმა ამირ მირანს დახმარება აღუთქვა და ორივე მხარემ ომის თადარიგი დაიჭირა. ქართველებს სარდლობდა თამარის მეუღლე დავით სოსლანი, ილდენიზიანთა ლაშქარს — აბუ ბაქრი. გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა 1 ივნისს, ქ. შამქორთან და ქართველთა სრული გამარჯვებით დაგვირგვინდა. აბუ ბაქრი გაიქცა. ქართველებმა ხელთ იგდეს დიდი ნადავლი და 12 000 ტყვე. ამ ბრძოლის შემდეგ ილდენიზიანთა სახელმწიფო საქართველოსათვის სერიოზულ სამხედრო მოწინააღმდეგეს აღარ წარმოადგენდა.

1196-1203 ნ. – ქართველები იპყრობენ ილდენიზიანთა სამფლობელოებს და ვასალურ პოლიტიკურ ერთეულებს ჩრდილო სომხეთში: ამბერდსა და გელაქუნს (1196 წ.), ანისს (1199 წ.), ბიჯნისს (1201 წ.), დვინს (1203 წ.).

1202 ნ. – რუმის სელჩუკთა სულთანმა რუქნ ად-დინ სულეიმან შაჰ II-მ საქართველოს ომი გამოუკხადა და მრავალრიცხოვანი არმიით არზ-რუმის მახლობლად ბასიანის ველზე დაბანაკდა. ქართველებმა სასწრაფოდ შეკრიბეს ლაშქარი, დავით სოსლანის სარდლობით 27 ივნისს მოულოდნელად დაეცნენ მტრის ბანაკს და ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს. რუქნ ად-დინმა გაქცევით უშველა თავს.

1204 ნ. – თამარ მეფემ დასავლეთ ქართული სამხედრო ფორმირებები გაგზავნა ბიზანტიის შავიზღვისპირეთის პროვინციათა დასაკავებლად. ქართველებმა აიღეს ტრაპიზონი, სინოპი, ამასტრიდა, ჰერაკლეა და სხვა ქალაქები. დაპყრობილ ტერიტორიებზე შეიქმნა საქართველოს პოლიტიკური გავლენის ქვეშ მყოფი ტრაპიზონის იმპერია.

1205 ნ. – არდაველის (სამხრეთ აზერბაიჯანი) გამგებელი აღდგომა დღეს თავსს დაესხა ანისს, გაძარცვა ქალაქი და მისი 12 000 მცხოვრები გაულიტა. პასუხად ქართველებმა აიღეს არდაველი და გამგებელი სიკვდილით დასაჯეს.

1205-1207 ნ. – ლაშქრობების შაპარმენთა სახელმწიფოში: ქართველებმა მიაღწიეს მანასკერტს და არჭეშს, მაგრამ შაპარმენმა მუჰამედმა არზუმის ამირას დახმარებით ეს თავდასხმა მოიგერია (1205 ნ.); ქართველებმა ხანგრძლივი ალყის შემდეგ აიღეს ყარსი (1206 ნ.), რითაც, ფაქტობრივად, დაასრულეს შაპარმენთა არეზის ჩრდილოეთით მდებარე სამფლობელოების დაპყრობა. 1206-1207 წლებში ქართველები კვლავ ლაშქრობენ არეზის სამხრეთით, ვანის ტბის მიდამოებში.

1208 ნ. – შაპარმენთა სახელმწიფოს ტერიტორია ხელთ იგდეს ეგვიპტე-სირიისა და ჩრდილო მესოპოტამიის მფლობელმა აიუბიანებმა. პასუხად ქართველები კვლავ ლაშქრობენ ვანის ტბის მიმართულებით და იკავებენ ქალაქ არჭეშს.

1210 ნ. – ქართველებმა ალყა შემოარტყეს ქ. ხლათს, რომელიც აიუბიანთა მთავარი საყრდენი პუნქტი იყო სომხეთში, მაგრამ ქართველი სარდლის, ივანე მხარგრძელის ტყვედ ჩავარდნამ მონინაალმდეგეთა დაზავება დააჩქარა. საქართველოს სამეფოსა და აიუბიანთა სამფლობელოებს შორის საზღვარი მდ. არეზზე დაიდო.

1210 ნ. – ქართველებმა ამირსპასალარ ზაქარია

მხარგრძელის სარდლობით წარმატებით ილაშქრებს ირანში. აიღეს აზერბაიჯანისა და სპარსული ერაყის ცნობილი ქალაქები – მარანდი, თავრიზი, უჯანი, მიანე, ზენჯანი, ყაზვინი და სხვ. მიაწინეს ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთ პროვინციებს – ხორასასნა და გორგანს.

1212 ნ. ახლოს – ფეოდალური ექსპლუატაციის წინააღმდეგ აჯანყებული მთიელების – ფხოველებისა და დიდოელების დამარცხება სამეფო ჯარების მიერ.

1214-1215 წწ. – გიორგი IV ლაშას (1213-1223) ლაშქრობები ილდენიზინთა სამფლობელოებში: განჯის ალყა, ნახჭევანის მიმდგომი ციხეების აღება, შამქორის შემოერთება. ამავე პერიოდში ათაბაგმა უზბეგ ილდენიზიანმა დალაშქრა სომხურ-ალბანური თემი ხაჩენი (ახლანდ. მთიანი ყარაბაღი), რომლის მფლობელები საქართველოს ერთგულობდნენ.

1219 ნ. – რომის პაპის თხოვნით საქართველო მზადაა ჩაებას ჯვაროსნულ ომებში. იგეგმება 40-ათასიანი ჯარით სირიაში გალაშქრება.

1220 ნ. – ამიერკავკასიის საზღვრებთან მოულოდნელად გამოჩნდნენ მონღოლები, რამაც მთლიანად შეცვალა საქართველოს სამეფო კარის გეგმები. მონღოლმა სარდლებმა – სუბუდაი ბა-ჰადურმა და ჯებე-ნოინმა, რომლებიც თავისი მბრძანებლის ჩინგის-ყაენის დავალებით დასავლეთის ქვეყნების ბრძოლით დაზვერვას აწარმოებდნენ, არეზი გადმოლახეს და ქართველთა 10-ათასიანი რაზმი დაამარცხეს, რის შემდეგ კვლავ აზერბაიჯანში დაბრუნდნენ.

1221 ნ. – სუბუდაი და ჯებე 20-30 ათასი მეომრით ისევ წამოვიდნენ საქართველოს წინააღმდეგ. გიორგი ლაშა მათ 60 000 კაცით შეეგება სამეფოს საზღვარზე, მდ. საგიმთან (ძეგამი). ცხარე ბრძოლა-ში მონღოლებმა ქართველები საფარში შეიტყუქავდა დაამარცხეს. მიუხედავად ამისა, მონღოლთა

სარდლებმა ვერ გაბედეს საქართველოში ღრმად შემოჭრა, გატრიალდნენ და გეზი ჩრდილო კავკა-სიისაცენ აიღეს.

1222 ნ. – დარუბანდის გზით ამიერკავკასიაში შემოვიდა მონლოლთაგან ოტებული ყივჩაყთა ურდო, რომლის ბელადებიც მალე განჯის გამგებლის, ქუშხარას სამსახურში ჩადგნენ. ქუშხარამ (იგი ათაბაგ უზბეგს ემორჩილებოდა) ყივჩალები საქართველოს საზღვრებთან დასახლა, საიდანაც მათ ქართული მიწების რბევას მიჰყვეს ხელი, მაგრამ რამდენიმე შეტაკების შემდეგ სასტიკად იქნენ დამარცხებული ივანე მხარგძელის მიერ.

1222 ნ. – ქართველებმა ააოხრეს ილდენიზიანთა ქალაქი ბაილაყანი (მდებარეობდა მტკვრისა და არეზის შესაყართან მილის ვაკეზე).

1223 ნ. – სასაზღვრო მდინარე არეზზე მოხდა შეტაკება აიუბიანთა ერთ-ერთ ვასალსა და დვინის ქართველ გამგებელს შორის. ქართველები დამარცხდნენ, მაგრამ მშვიდობა ორ სახელმწიფოს შორის მალევე აღდგა.

1225 ნ. – ქართველთა წარუმატებელი თავდასხმა განჯაზე.

1225 ნ. – მონლოლთაგან ოტებულმა ხვარაზმაჲ-მა ჯალალ ად-დინმა ირანის დიდი ნაწილის გაერთიანება მოახერხა. მან ბოლო მოუღო ილდენიზიანთა სახელმწიფოსაც და 140 000 კაცით საქართველოზე წამოვიდა. ხვარაზმელებმა დვინი აიღეს. გარნისთან (ერევნის აღმოსავლეთით) მოხდა სისხლისმღვრელი ბრძოლა, რომელშიც ივანე მხარგძელის სარდლობით გამოსული ქართული ლაშქარი (სხვადასხვა ცნობით 30-დან 70 ათას მეომრამდე) სასტიკად დამარცხდა. მოკლული იყო 4 000 ქართველი.

1226 ნ. – ჯალალ ად-დინი თბილის მოადგა და 9 მარტს ადგილობრივი მაჰმადიანების დახმარებით ქალაქი აიღო. მომხდურებმა გაულიტეს მოსახლე-

ობის დიდი ნაწილი. ხვარაზმელებმა დაიპყრეს აგრეთვე სომხეთისა და აღმოსავლეთ საქართველოს ბევრი სხვა ქალაქი და ციხე. ასეთი მძიმე მარცხი ქართველებს „დიდი თურქობის“ შემდეგ არ ენახათ. იგი გამოწვეული იყო მტრის ძალთა არასწორი შეფასებით, თავდაცვის ცუდი ორგანიზებითა და ქართულ სარდლობაში არსებული წინააღმდეგობებით.

1227 წ. – ქართველებმა ისარგებლეს ჯალალ ად-დინის ომში ჩაბმით აიუბიანებთან და უეცარი თავდასხმით თბილისი გაათავისუფლეს. ხვარაზმშაჲი თავისი მთავარი ძალებით კვლავ საქართველოზე წამოვიდა, ბოლნისის მახლობლად დაამარცხა 40-ათასიანი ქართული ლაშქარი და ქვეყნის მნიშვნელოვანი ნაწილი მოარბია. თბილისი ისევ მომხდურთა ხელში აღმოჩნდა.

1228-1230 წე. – ხვარაზმელთა თარეშის გაგრძელება საქართველოსა და სომხეთში, ვიდრე ჯალალ ად-დინი მონღოლებმა არ დაამარცხეს და განდევნეს. იგი მოკლული იქნა ქურთის ყაჩალების მიერ (1231 წ.).

1228-1231 წე. შორის – რუმის სელჩუკთა სულთანმა ალა ად-დინ ქეიყობად I-მა სამხრეთ საქართველოში ილაშქრა და ქ. ოლთისი დაიპყრო.

1232 წ. – ალა ად-დინ ქეიყობადის ჯარები ამირა ქამიარის სარდლობით კვლავ შემოესივნენ საქართველოს და 30-მდე ციხე დააქციეს. დედოფალი რუსუდანი (1222-1245) იძულებული გახდა სელჩუკთათვის ზავი ეთხოვა.

1235-1242 წე. – საქართველოს დაპყრობა მონღოლთა მიერ. ქვეყნის ხელმძღვანელობამ ვერც ამჯერად მოახერხა თავდაცვის ორგანიზება. რუსუდანმა დასავლეთ საქართველოს შეაფარა თავი, დიდებულები თავიანთი ციხეებში იყვნენ ჩაკეტილნი. სპორადული წინააღმდეგობა, ცხადია, ეფექტური არ იქნებოდა. მონღოლები შვიდი

წლის განმავლობაში არბევდნენ ქვეყანას, სანამ რუსუდანი იძულებული არ გახდა ელიარებინა მათი უზენაესობა და მორჩილების ნიშნად ხარკის გაღება და დამხმარე ჯარის გამოყვანა ეკისრა.


1243 ნ. — ქართველები მონაწილეობენ მონლოლი სარდლის ბაიჯუ-ნოინის ლაშქრობაში რუმის სასულთნოს წინააღმდეგ. 26 ივნისს ქოსედალის მთასთან მომხდარ ბრძოლაში სელჩუკთა მხედრობა განადგურებული იქნა. რუმის სულთანმა ზავი ითხოვა და მონლოლთა უზენაესობა აღიარა.

1245 ნ. — რუსუდან დედოფლის გარდაცვალების შემდეგ მონლოლებმა საქართველოს სამეფო რვა დუმნად (ტერიტორიული ერთეული, საიდანაც 10 000 მეომარი გამოდიოდა) დაჰყვეს, რომელთა სათავეში ქართველი დიდებულები ჩააყენეს. დუმნებად დაყოფამ იარსება 1247 წლამდე, როდესაც მონლოლთა მეურ საქართველოს მეფებად ერთდროულად იქნენ დამტკიცებულნი რუსუდანის ვაჟი დავით VI ნარინი (1247-1293) და გიორგი ლაშას ძე დავით VII ულუ (1247-1270).

1245-1256 ნ. — ქართული რაზმების მონაწილეობა მონლოლთა ლაშქრობებში ისმაილიტთა სახელმწიფოს წინააღმდეგ ჩრდილო ირანში. ისმაილიტების მთავრი ციხე — ალამუთი მონლოლებს დანებდა 1256 წლის 15 დეკემბერს.

1246 ნ. ახლოს — სირიელი თურქები ვინმე ყარახანის მეთაურობით თავს ესხმიან სომხეთში, მდ. არქის სამხრეთით მდებარე ვალაშკერტსა და სურმარის, რომლებიც რამოდენიმე წლით ადრე მხარგრძელებმა წაართვეს მუსლიმ გამგებლებს. შანშე და ავაგ მხარგრძელებმა 30 000 მხედრით გაილაშქრეს მომხდურთა წინააღმდეგ და ისინი ვალაშკერტის მახლობლად გაანადგურეს.

1247 ნ. ახლოს — მცირე აზიელი თურქები ტაოში შემოიჭრნენ და ალყა შემოარტყეს ქ. ბანას. ტაოელთა დასახმარებლად 10 000 მეომრით და-



ოცენური და გეოგრაფიული III-XII ვარეგის მდგრად კარტი

იძრა სამცხის სპასალარი ყვარყვარე ციხისჯვარელი-ჯაყელი და ფიცხელ ბრძოლაში შეტუსრა მტერი. მესხებმა გაათავსუფლეს თურქთა მიერ დაპყრობილი ოლთისი და ბუღათაყურის ციხე.

1247 ნ. — ქართველი დიდებულების წარუმატებული შეთქმულება მონღოლთა წინააღმდეგ. ცოტნე დადიანის გმირობა.

1254-1256 ნ. — მონღოლთა მიერ დაპყრობილი ქვეყნების აღწერა. საქართველოზე შეწერილ სხვადასხვა ვალდებულება-გადასახადებს შორის იყო სამხედრო ბეგარაც. მონღოლთა დასახმარებლად ქართველებს უნდა გამოეყვანათ 90 000 მეომარი (ფაქტობრივად, უფრო ნაკლები გამოყავდათ).

1258 ნ. — ულუ დავითი ქართული ჯარით ბაღდადზე სალაშქროდ გაჰყვა ჰულაგუ-ყაენს, რომელიც მონღოლთა მიერ დაპყრობილი წინა აზიის ქვეყნებს განაგებდა. თებერვალში ბაღდადი იერიშით იქნა აღებული. არაბთა სახალიფოს ბოლო მოეღო.

1259 ნ. — მეფე დავით ნარინი მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყდა. ჰულაგუ მის დასასჯელად დიდ ლაშქარს აგზავნის არღუნის სარდლობით. სისხლისმღვრელი შეტაკების შემდეგ, რომელშიც ორივე მხარემ მნიშვნელოვანი ზარალი განიცადა, დავით ნარინი ქუთაისში გადავიდა და თავი ლიხთიმერეთის მეფედ გამოაცხადა. ამიერიდან დასავლეთ საქართველომ, ფაქტობრივად, დამოუკიდებლობა აღიდგინა, მაგრამ ეს იყო ქვეყნის პოლიტიკური დაშლის დასაწყისიც, ვინაიდან აღმოსავლეთ საქართველო, რომელიც ულუ დავითს დარჩა, კვლავინდებურად ილხანს (ამ ტიტულს ატარებდნენ ჰულაგუ და მისი მემკვიდრე ყაენები) ემორჩილებოდა.

1259 ნ. — ქართველთა რაზმი მონაწილეობს ჰულაგუს მიერ სირიის ქალაქ ჰალების (ალეპო) აღებაში.

1260 ნ. – ჰულაგუ-ყაენმა ულუ დავითი აღმოსავლეთ საქართველოს მხედრობით ეგვიპტელ მამლუქებთან საომრად დაიბარა. მეფე არ დაემორჩილა ილხანის განკარგულებას და აჯანყდა. ჰულაგუმ საქართველოში კვლავ არღუნი გამოგზავნა 20-ათასიანი ლაშქრით. ქართველ დიდებულთა უმრავლესობა არღუნს ეახლა. ულუ დავითიან დარჩა მხოლოდ სამცხეს სპასალარი სარგის ჯაყელი 8 000 მეომრით. მენინავეთა შეტაკებაში ახალდაბასთან (1,5 ათასი მესხი 6 ათასი მონღლოლის წინააღმდეგ) გამარჯვება ქართველებს დარჩათ, მაგრამ მთავარი ძალებით ბრძოლაში გორის შინდარასთან მონღლოლებმა იმძლავრეს.

1261 ნ. – არღუნი სამცხეში შეიჭრა, მაგრამ აჯანყებულთა მთავარი სიმაგრის – ციხისჯვარის აღება ვერ შეძლო. გარკვეული დროის შემდეგ ულუ დავითი და სარგის ჯაყელი დამორჩილდნენ ილხანს და მანაც აპატია მათ „დალატი“, რათა ქართველებში ახალი მღელვარება არ გამოეწვია. ჰულაგუ დიდი ომისათვის ემზადებოდა ჩრდილოეთის მონღლოლურ სახელმწიფოსთან, ოქროს ურდოსთან.

1261 ნ. ახლოს – ოქროსურდოელ მომთაბარეთა ერთ-ერთმა ბელადმა, ალათემურმა, ბრძოლით გადაიარა საქართველო და რამდენიმეჯერ დაამარცხა ჰულაგუს მონღლოლები და მათი მოკავშირე ქართველი ფეოდალები.

1262 ნ. – ჰულაგუ-ყაენი თავისი ჯარით, რომლის შემადგენლობაში შედის ულუ დავითის მხედრობაც, კასპიისპირეთში ოქროსურდოელ მონღლოლებს ეომება. ქართველებმა განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი შაბურანის ბრძოლაში, სადაც დამარცხდა ოქროსურდოელი მხედართმთავარი ნოღაი. ამის შემდეგ ილხანის ჯარებმა დარუბანდი აიღეს და მდ. თერგამდე წაინიეს.

1265 ნ. – ოქროს ურდოს ყაენმა ბერქემ თავი მოუყარა მთელ თავის ძალებს, 300 000 მეომრით

ამიერკავკასიაში შემოიჭრა და სასტიკად მოარბია მტკვრის ჩრდილოეთით მდებარე მიწები კასპიის ზღვიდან თბილისამდე. ამ შემოსევის შედეგად გაუკაცრიელდა ალაზნისა და იორის ქვემოწელი. მოისპო ქალაქები – რუსთავი, ხორნაბუჯი და სხვ.

1266-1270 ნ. – ყოველი შემოდგომიდან გაზაფხულამდე ულუ დავითი ქართული რაზმებით დგას თეთრ წყალზე (აღსუ), ოქროსურდოელთა შესაჩერებლად აგებული სიმაგრეების დასაცავად. დიდი ჯარის ხანგრძლივად ერთ ადგილზე ბანაკად დგომა, ეპიდემიური დაავადების გავრცელების მიზეზი გახდა. მოარული სენისაგან გარდაიცვალა მეფე დავითიც.

1269-1270 ნე. – საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედებს ილხან აბალას ნინაალმდევ აჯანყებული მონღლოლი უფლისნულის თეგუდარის ლაშქარი.

1270 ნ. – აბალამ ხორასასანში დაამარცხა შუა აზიის მონღლოლი მბრძანებელი – ჩალათაელი ბორაყ-ხანი. ქართველები აბალას ძალების ავანგარდში იბრძოდნენ.

1272-1273 ნე. – თეთრი წყლის საზღვარს თავისი მხედრობით იცავს აღმოსავლეთ საქართველოს ახალი მეფე დემეტრე II (1271-1289), შემდგომში „თავდადებულად“ წოდებული.

1274 ნ. ახლოს – აბალა ყაენის 30-ათასიანი ლაშქარი შირამუნ და ალინაყ ნოინების სარდლობით ლიხთიმერეთს შეესია და ქუთაისი გაძარცვა.

1276 ნ. ახლოს – შირამუნ-ნოინმა კვლავ დალაშქრა იმერეთი.

1277 ნ. – ილხანის მხედრობა დამარცხდა ეგვიპტელ მამლუქებთან ბრძოლაში. მონღლოლთა ლაშქარში მყოფი 3 000 ქართველიდან უმრავლესობა დაიღუპა.

1278 ნ. ახლოს — ქართველები მონაწილეობენ

ილხანის ლაშქრობაში გილანელთა წინააღმდეგ ჩრდილო ირანში.

1280 ნ. – მონღოლთა ახალი დამარცხება მამუქებთან ომში. დაიღუპა მრავალი ქართველი მეომარი.

1281 ნ. – სირიაში ქ. ჰიმსთან მამლუქებმა ისევ სძლიეს მონღოლებს. გმირულად მეპრძოლი დეტრეტრე დლივს გადაურჩა სიკვდილს, მაგრამ მისი 5 ათასიანი რაზმის დიდი ნაწილი განადგურდა.

1282 ნ. – დემეტრე II ქართული მხედრობით მონაწილეობს მონღოლთა შორის ატეხილ შინაომში.

1282 ნ. – დასავლეთ საქართველოს მეფემ, დავით ნარინმა ტრაპიზონის იმპერია დალაშქრა, მაგრამ თვით ქალაქი ტრაპიზონი ვერ აიღო.

1288 ნ. – დემეტრე II მონაწილეობს ილხან არღუნყანის დარუბანდისაკენ გალაშქრებაში.

1291-1292 ნე. – უფლისწული დავით დემეტრეს ძე ქართული რაზმით მონაწილეობას იღებს მცირე აზიაში მონღოლთა წინააღმდეგ მომხდარი აჯანყების ჩახშობაში.

1292 ნ. ახლოს – ჩრდილო კავკასიიდან გადმოხვეწილმა და ილხანის სამსახურში შესულმა ოსთა სამხედრო რაზმებმა გორის ციხე დაიკავეს. ქართველმა ფეოდალებმა ალყა შემოარტყეს გორს და ძლიერ შეავინწროვეს ოსები, მაგრამ მონღოლთა ჩარევამ დროებითი ზავი ჩამოაგდო დაპირისპირებულ მხარეებს შორის. გორის ციხე ამჯერად ოსებს დარჩათ.

1297-1311 ნე. – ანტიმონღოლური აჯანყება აღმოსავლეთ საქართველოში დავით VIII-ის (1293-1311) მეთაურობით. აჯანყების მთავარი ბაზა მთიულეთში იყო. ილხანის ჯარებმა, მონღოლთა ერთგული ქართველი ფეოდალების დახმარებითაც ვერ შეძლეს აჯანყების ჩახშობა. არაგვისა

და თერგის ხეობებში ბრძოლების დროს მრავალი მონღოლი გაწყდა. სამხედრო მოქმედებებმა „მოა-ოხრეს ქართლი უბოროტესად“.

1299/1300 ნ. – მონღოლთა თავდასხმა დასავლეთ საქართველოზე.

1300 ნ. – სირიაში მამლუქებმა კვლავ დაამარცხეს ილხანის ჯარი და დახოცეს მრავალი მონღოლი და ქართველი.

1301 ნ. – მცირე აზიელი მომთაბარე თურქები ვინმე აზატ-მოსეს მეთაურობით მოულოდნელად შემოიჭრნენ საქართველოში და სასტიკად მოარბიეს ტაო.

1302 ნ. – აზატ-მოსე ისევ შემოიჭრა ტაოში დიდი ჯარით (მემატიანის ცნობით მისი ლაშქარი 60 000 კაცს ითვლიდა). მომთაბარებს ნადავლის შოვნის იმედით მრავალი ბინადარი მაპმადიანიც მოყვებოდა. ქართველები ამჯერად მომზადებულნი დაუხვდნენ მტერს. სამხრეთ-ქართული თემების ლაშქარმა (12 000 მეომარი) სამცხის მთავრის ბექა მანდატურთუხუცესის სარდლობით რამდენიმე ბრძოლაში გაანადგურა მომხდურები. თურქთა ნარჩენებმა გაქცევით უშველეს თავს.

1303 ნ. – ქართული რაზმები კვლავ მონაწილეობენ მონღოლთა ლაშქრობაში მამლუქთა ნინააღმდეგ.

1306 ნ. – ყაენმა ოლჯაითუმ გილანში სალაშქროდ ნაიყვანა მის სამსახურში დარჩენილი ქართული რაზმები და „ოვსნი გორს მსხდომნი“. გილანელებმა ვინრო და კლდოვან ადგილებში მედგარი ბრძოლა გაუმართეს ილხანის ჯარებს. მრავალი ქართველი დაიღუპა.

1312/1313 ნ. – ქართველების მონაწილეობა ოლჯაითუს მხედრობის მიერ მამლუქთა მფლობელობაში მყოფი სირიის ქ. რაპბას გარემოცვაში.

1314 6. ახლოს – ქართველები ილხანის ჯარებს ეხმარებიან აჯანყებული მცირე აზიელი თურქების დამორჩილებაში.

1314-1346 წწ. – გიორგი V ბრწყინვალეს მეფობა.

XIV ს-ის 20-იანი წწ. – გიორგი მეფემ სამწლიანი ბრძოლით ოსთა რაზმები განდევნა გორიდან და ქართლის სხვა ციხეებიდან.

1329 წ. – გიორგი V-მ ლიხთიმერეთის სამეფო შემოიერთა. საქართველოს სახელმწიფოებრივი მთლიანობა აღდგა.

1335 წ. – გარდაიცვალა ყაენი აბუ საიდი და დაინიო საილხანოს სწრაფი დაშლა. ძალაუფლება სახელმწიფოში ხელთ იგდეს მონძლოლური სამხედრო-ნომადული არისტოკრატიის წარმომადგენლებმა — ჩობანიანებმა, ჯალაირებმა და სხვ. გიორგი V-მ ისარგებლა შექმნილი სიტუაციით, საქართველოდან გააძევა მონძლოლთა რაზმები და ქვეყანას ფაქტობრივი დამოუკიდებლობა დაუბრუნა.

1338 წ. – საქართველოში ილაშქრა აზერბაიჯანის გამგებელმა ჰასან მცირე ჩობანიანმა.

1341 წ. — ქართველთა სამხედრო დახმარებით ტრაპიზონში გამეფდა იმპერატორ ალექსი II-ის ქალიშვილი ანა-ხუტლუ.

1342 წ. — ჰასან მცირეს აუჯანყდა საკუთარი ძმა მელიქ-აშრაფი. მათ შორის დაწყებული სამხედრო მოქმედები საქართველოსაც შეეხო.

1358 წ. — არაბული ერაყის მფლობელმა უვეის ჯალაირმა აზერბაიჯანი დაიპყრო. მის ხელთ აღმოჩნდა ილხანთა ყოფილი სამფლობელოების ცენტრალური ნაწილი. ჯალაირთა უზენაესობა აღიარეს ამიერკავკასიის გამგებლებმაც.

1360-1399 წწ. — ბაგრატ V დიდის მეფობა.

1361 ნ. — ბაგრატ V-ს განუდგა სვანეთის საერი-სთავი. მეფემ დიდი ლაშქარი შეჰპარა და სამი მხრიდან შეუსია მეამბოხეებს, დაიმორჩილა სვანეთი და შეიპყრო მისი ერისთავი ვარდანის ძე.

1361 ნ. — სვანეთის კამპანია ახალდასრულებული იყო, როდესაც მოვიდა ცნობა სამცხეში თურქების შემოჭრის შესახებ. ბაგრატი 12 000 რჩეული მხ-ედრით მსწრაფლ დაიძრა სამხრეთისაკენ, გადა-ლახა ფერსათის ქედი და მიეწია აღაფით დატვირ-თულ თურქებს, რომლებიც უკვე არეზის გაღმა გასულიყვნენ და თავი სამშვიდობოს ეგონათ. ქა-რთველებმა მტერი გაანადგურეს.

სავარაუდოა, რომ თავდამსხმელები იყვნენ სომხ-ეთსა და ჩრდილო მესოპოტამიაში მომთაბარე შავბატკნიანი ან თეთრბატკნიანი თურქმანები. (აღნიშნულ გაერთიანებათა სახელები წარმოდგე-ბა მათი დროშებიდან, რომლებზეც, შესაბამისად, შავი ან თეთრი ბატკანი იყო გამოსახული).

1370 ნ. — მავრერანაპრში (შუა აზიის ნაწილია) გაბ-ატონდა გათურქებული მონლოლი თემურ-ლენგი და დაიწყო დაპყრობითი ომები, რომლებიც მის სიკვდილამდე (1405 ნ.) გრძელდებოდა. თემურ-ლენგის ომებმა მოიცვეს მთელი შუა და წინა აზია, კავკასია, ჩრდილო ინდოეთი და აღმოსავლეთ ევ-როპა.

1373 ნ. — საქართველოს შემოესივნენ თურქები „ბაედარის ძის ხოსიას“ მეთაურობით. ქართველე-ბი ომში დამარცხდნენ. ბრძოლაში დაეცა „პრო-ვინციის მეფე“, გიორგი ალასტანელი. (ჩვენი აზ-რით, ბაედარის ძე ხოსია შეიძლება იყოს სულთან უვეის ჯალაირის ერთ-ერთი ამირა, შავბატკნიან-თა ტომების წინამძლოლი ბაირამ-ხოჯა.)

1386 ნ. — თემურ-ლენგის პირველი შემოსევა საქა-რთველოში. სასტიკი ბრძოლა თბილისისათვის. დიდი ზარალის ფასად თემურმა 21 ნოემბერს ქა-ლაქი აიღო და ბაგრატ V დაატყვევა.

1386/87 ნ. – ყარაბაღში გამოსაზამთრებლად დაბანაკებულ თემურთან მყოფმა ბაგრატ V-მ მოჩვენებით ისლამი მიიღო და თემურმა იგი 12 000 ჩალათაელი მეომრის თანხლებით საქართველოში გამოუშვა. სამშობლოში დაპრუნებულმა მეფეს თავისი ვაჟის, გიორგის, დახმარებით თემურის მეომრები ამონწყვიტა.

1387 ნ. – განრისხებული თემურ-ლენგი გაზაფხულზე საქართველოში შემოიჭრა და ქეყყნის აოხრება დაიწყო, მაგრამ უკან გაპრუნდა, რადგან ცნობა მიიღო ამიერკავკასიაში დარუბანდის მხრიდან მისი მტრის, ოქროსურდოელი თოლთა-მიშ-ხანის შემოჭრის შესახებ.

1393-1407 ნე. – გიორგი VII-ს მეფობა.

1394 ნ. – თემურ-ლენგი მტკვრის სათავეში, კოლას მინდორზე დაბანაკდა, ოთხი სარდალი სამცხის ასაოხრებლად გაგზავნა, შემდეგ კი თვითონაც აიყარა და თრიალეთით არაგვის ხეობაში შეიჭრა. სასტიკ ბრძოლებში ორივე მხრიდან დიდალი ხალხი განტყდა, მაგრამ თემურმა ვერ მოახერხა დარიალის ხელში ჩაგდება, რაც ამ ლაშქრობის მთავარი მიზანი იყო, და უკან დაიხია.

1398 ნ. — თემურის ინდოეთში ლაშქრობის დროს გიორგი VII-მ ნახჭევანთან დატოვებულ თემურის რაზმებს შეუტია, გაფანტა ისინი და ბლოკადისა-გან იხსნა ალინჯას ციხე, რომელშიც მისი მოკავ-შირე, უფლისწული თაჰერ ჯალაირი იყო ჩაკეტი-ლი.

1399 ნ. — თოვლიან ზამთარში თემურ-ლენგი კახეთ-ჰერეთში შემოიჭრა და ერთი თვის განმავლობაში აოხრებდა ამ მხარეს. სპარსელი ისტორიკოსის ცნობით, უხვად დაღვრილი სისხლისაგან მიწაზე თოვლი ლალისფერი გახდა. ეს იყო ჩვენს ქვეყანაში სამარყანდელი მპრძანებლის მეოთხე შემოსევა.

1400 ნ. — მეხუთე შემოსევა, კიდევ უფრო მასშტა-

ბური: მას შემდეგ რაც გიორგი VII-მ მორჩილებაზე უარი განაცხადა, თემური უზარმაზარი არმიით წამოვიდა საქართველოზე; დაამარცხა ქართული ლაშქარი, იერიშით აიღო თბილისი და შვიდი თვის განმავლობაში ველური ენერგიით აოხრებდა ქვეყანას — დაარბია ქართლი, გადავიდა სამცხე-ში, მოუბრუნდა არაგვის ხეობას და იქიდან კოლას გავლით ტაომდე ჩააღწია. ამ ლაშქრობის შედაგად ჩაღათაელებმა 60 000 ტყვე წაიყვანეს საქართველოდან.

1400 ნ. — თემურის წასვლის შემდეგ გიორგი VII-მ ლიახველ დვალებზე გაიღაშქრა და ჩაახშო მათი ანტიფეოდალური აჯანყება.

1402 ნ. — თემურმა დაარღვია ქართველებთან დადებული ზავი: ბრძოლით აიღო თორთუმის ციხე, მისი მცველები გაჟლიტა, ხოლო ციხესიმაგრე ძირფესვიანად დაანგრია. ეს იყო მეექვსე შემოსევა.

1403 ნ. — თემურ-ლენგი მეშვიდეჯერ მოვიდა საქართველოში, რბევა-თარეშით გადაიარა ქართლი (ამასთან ისტორიკოსები საგანგებოდ აღნიშნავენ ჩაღათაელთა მიერ ძლიერი ბირთვისის ციხის აღებას) და იმერეთში შეიჭრა, სადაც შვიდასამდე დასახლებული პუნქტი მოსპო. ქართველები მტერს ყველგან მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ, მსხვერპლი აურაცხელი იყო, ომს ბოლო არ უჩანდა. თემური დარწმუნდა, რომ საქართველოს იგი ვერ დაიპყრობდა. ქართველებიც სისხლისაგან იყვნენ დაცლილნი. ამიტომ, მოწინააღმდეგებებს შორის დაიდო ზავი, რომლის პირობითაც გიორგი VII-მ ფორმულარუდ აღიარა თემურ ლენგის უზენაესობა.

1405 ნ. — თემურ-ლენგის სიკვდილის შემდეგ გიორგი VII არბევს წახჭევნის, განჯის, ანისისა და არზრუმის სანახებს. თემურის შვილიშვილმა მირზა ომარმა 15-ათასიანი ლაშქარი დაძრა ქართველების წინააღმდეგ, მაგრამ მეფე გიორგი

5 ათასი მეომრით მოულოდნელად თავს დაესხა თემურიანთა ბანაქს და გამარჯვება მოიპოვა. ბრძოლა მოხდა ალათალის მთებში, სადაც ადრე ილხანების საზაფხულო სადგომი იყო.

1407 ნ. – იზრდება შავბატკნიანი თურქმანების ძლიერება. მათთან ბრძოლაში ქართველებმა მძიმე მარცხი განიცადეს. გიორგი VII ბრძოლის ველზე დაეცა.

1412 ნ. – საქართველოს მეფე კონსტანტინე I (1407-1412) 2 000 მეომრით დაიძრა შირვანშაჲ იბრაჲიმის დასახმარებლად, რომელსაც შავბატკნიანთა ბელადი ყარა-იუსუფი ემუქრებოდა. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ჩალაღანთან ბრძოლაში მოკავშირები დამარცხდნენ. შირვანშაჲი თავისი ამალითა და მეფე კოსტანტინე 300 ქართველით ტყვედ ჩავარდა. თურქმანებმა ქართველი ტყვეები დახოცეს.

1412-1442 ნე. – ალექსანდრე I დიდის მეფობა.

1412 ნ. – ოდიშის მთავარმა მამია დადიანმა აფხაზეთს გაილაშქრა, მაგრამ ბრძოლაში დამარცხდა და მოკლული იქნა.

1414 ნ. – ალექსანდრე I ჯარით ლიხთიმერეთში გადავიდა და თვითნებურად მოქმედი მთავრები დაიმორჩილა.

1414/15 ნ. – მეფე კოხტას თავს შეება გამდგარ ივანე სამცხეის ათაბაგს, დაამარცხა იგი და საათაბაგოს ციხეები დაიკავა.

1416 ნ. – ყარა-იუსუფ შავბატკნიანი სამცხეში შემოიჭრა და ახალციხე დაარპია.

1429-1437 ნე. – შავბატკნიანთა სახელმწიფო დალაშქრა თემურ ლენგის ძემ, სულთანმა შაჲრუსმა. მისი წასვლის შემდეგ ყარა-იუსუფის შვილებს შორის ატყდა შინაომი. შექმნილი სიტუაციით სარგებლობს ალექსანდრე I და ააქტიურებს საგარეო პოლიტიკას.

1431 ნ. – მეფე ალექსანდრემ ლორეს ციხე წაართვა თურქმანებს.

1434 ნ. – ალექსანდრემ საქართველოს შემოუერთა სომხური პროვინცია სივნიეთი (სიუნიკი).

1437 ნ. – ალექსანდრე I-მა ყარაბაღი მოარბია.

1440 ნ. – შავბატენიანთა სახელმწიფო კვლავ გაძლიერდა. მისი მბრძანებელი ჯაპანშაპი საქართველოში შემოიჭრა, აიღო სამშვილდე და თბილისი, სასტიკად გაუსწორდა მოსახლეობას. ამ ლაშქრობაში მონაწილეობას იღებდა აგრეთვე არდაველის შეიხი იბრაჰიმ სეფიანი.

1444 ნ. – ჯაპანშაპმა დალაშქრა ახალციხე.

1447 ნ. – შინაომი სამცხეში. ათაბაგი ალბულა დაამარცხა და განდევნა მისმა ძმისწულმა ყვარყვარემ. მეფე გიორგი VIII (1446-1476) ჯარით სამცხეში ჩავიდა, ყვარყვარე გადააყენა და ტახტი ისევ ალბულას დაუბრუნა.

1451 ნ. ახლოს – თურქ-ოსმალების ფლოტმა (50 კატარლა) საქართველოს სანაპიროზე დესანტი გადმოსხა და ქ. ცხუმი გაძარცვა. გიორგი მეფემ გაილაშქრა მტრის წინააღმდეგ, მაგრამ ვერ ჩაუსწრო.

1453 ნ. — ოსმალთა სულთანმა მეჰმედ II-მ ბრძოლით აიღო კონსტანტინოპოლი და ბოლო მოულო ბიზანტიის იმპერიას. საქართველოს, ფაქტობრივად, გადაეკეტა ქრისტიანულ ევროპასთან დამაკავშირებელი გზა.

1456 ნ. — ქართლი ააოხრა თეთრბატყნიანთა თურქმანული გაერთიანების წინამდლოლმა უზუნჟასანმა.

1459-1461 ნ. — საქართველოს მეფე-მთავრების მიმოწერა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა მეთაურებთან ოსმალეთის წინააღმდეგ ერთობ-

ლივი სამხედრო მოქმედებების დაწყების შესახებ, კონსტანტინოპოლის განთავისუფლების მიზნით. გიორგი VIII და მისი ვასალები (სამკხის ათაბაგი, ოდიშისა და აფხაზეთის მთავრები) საერთო ჯამში 70 ათასზე მეტი მეომრის გამოყვანას კისრულობდნენ. მათთან კავშირში იმყოფებოდა ტრაპიზონის იმპერატორი დავითი 20 000 კაცითა და 30 ხომალდით და სამი მაჰმადიანი მფლობელი (მათ შორის უზუნ-ჰასანი). მაგრამ კოალიცია ვერ ჩამოყალიბდა. დასავლეთ სახელმწიფოები დაინტერესებული არ იყვნენ ოსმალებთან ძნელი ომის დაწყებით და თვით აღმოსავლელ მოკავშირეებს შორისაც არ იყო რეალური ერთობა.


1461 ნ. — სულთანმა მეჰმედ II-მ ტრაპიზონის იმპერია დაიპყრო. ოსმალთა ცალკეული რაზმები შეიქრენამცხე-საათაბაგოსმომიჯნავერაონებშიც – ჭანეთსა და კლარჯეთში.

1462-1463 ნ. — გიორგი VIII-ს აუჯანყდნენ ძლიერი ვასალები — იმერეთის ერისთავი ბაგრატი და ყვარყვარე ათაბაგი, რომელსაც უზუნ-ჰასანი უმაგრებდა ზურგს. ჩიხორის ბრძოლაში (1463 ნ.) ბაგრატმა მეფის ლაშქარი დაამარცხა.

1464 ნ. — ყვარყვარე ათაბაგმა კახაბერ გურიელს აჭარა და ჭანეთი დაუთმო და სამაგიეროდ მისი ლაშქარი გამოიყენა სამხრეთ საქართველოს საერისთავოების დასამორჩილებლად.

1465 ნ. — გიორგი VIII ყვარყვარეს წინააღმდეგ გაემართა, მაგრამ ათაბაგმა ფარავნის ტბასთან უეცარი თავდასხმით მეფე ტყვედ ჩაიგდო.

1466 ნ. — შექმნილი სიტუაციით ისარგებლა ბაგრატ ერისთავმა, ქართლი დაიკავა და საქართველოს მეფედ გამოაცხადა თავი (ბაგრატ VI, 1466-1478), თუმცა ფაქტობრივად, მას მხოლოდ ქართლი, იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და სვანეთი ეკუთვნოდა. ტყვეობიდან განთავისუფლებული გიორგი VIII იძულებული გახდა კახეთს დასჯერე-



ՕՐԵՆՍՅԱՆ ԸՆԴՀԱՆՈՒՐ ԽՎԱՐԱԿԱՆ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ

ბოდა, რითიც დასაბამი მიეცა კახეთის ცალკე სამეფოდ გამოყოფას.

1467-1468 ნნ. — უზუნ-ჰასანმა გაანადგურა და დაიპყროშავბატქნიანთასახელმწიფო. მის შემდეგ თეთრბატქნიანთა სამფლობელოები მოიცავდნენ აზერბაიჯანს, სომხეთს, ყარაბაღს, მესოპოტა-მიას, არაბულ ერაყს და ირანის დიდ ნაწილს.

1472-1474 ნნ. — უზუნ-ჰასანი ოსმალებს ეომება. თეთრბატქნიანთა ლაშქარში ქართველებიც არი-ან.

1473 ნ. — უზუნ-ჰასანი საქართველოს შემოესია და დიდი ნადავლით დაბრუნდა თავრიზში.

1477 ნ. — დადიანი და გურიელი განუდგნენ ბაგრატ VI-ს, გადაიბირეს აფხაზებიც. ბაგრატმა დასავლეთში ილაშქრა, ცხენისწყალთან ბრძოლა-ში დაამარცხა მთავრები და აიძულა დამორჩილე-ბოდნენ მის ხელისუფლებას.

1477 ნ. — ბაგრატ VI კიდევ ლიხს იქით იმყოფებო-და, როდესაც ქართლში შემოიჭრა უზუნ-ჰასანი. ფადიშაპის ლაშქარი 20-24 ათას ცხენოსანსა და 11 ათას ქვეითს ითვლიდა. თურქმანებმა ვერ აიღეს ორბეთის ციხე, მაგრამ უბრძოლველად დაიკავეს თბილისი და გორი. ბაგრატ მეფემ შინააშლილო-ბის გამო ვერ მოახერხა წინააღმდეგობის განევა და უზუნ-ჰასანს დაუზავდა ხარკის გადახდის პი-რობით. ფადი-შაპმა საქართველოდან 6 000 ტყვე წაასხა, თბილისში კი თავისი გარნიზონი დატოვა.

1478 ნ. — უზუნ-ჰასანის გარდაცვალების შემდეგ ბაგრატმა თბილისი დაიბრუნა. ქართლის საზ-ღვრებში ჩამომდგარი მომთაბარე ტომები თავად-მა ბარათაშვილებმა დაარბიეს.

1478-1479 ნნ. — გარდაიცვალა ბაგრატ VI. მის-მა შვილმა ალექსანდრემ ვერ შეძლო ტახტის შენარჩუნება. ქართლსა და იმერეთში გამეფდა ალექსანდრე დიდის შვილიშვილი კონსტანტინე

II (1478-1505). ალექსანდრე ბაგრატის ძე რაჭა-ლეჩიშვილი გამაგრდა.

1479 ნ. — ყვარყვარე ათაბაგმა 30-ათასიანი ჯა-რით არზრუმზე ილაშქრა და მისი სანახები მოარ-ბია. მესხებმა ააოხრეს და გაძარცვეს აგრეთვე არარატის მხარე.

1481 ნ. — კონსტანტინე II-მ ვამიყ დადიანის დახმარებით სამცხე-საათაბაგოში ილაშქრა და მტკვრის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიები დაიპყრო.

1482 ნ. — გარდაიცვალა ვამიყ დადიანი და დასავ-ლეთ საქართველოში კვლავ არეულობა დაიწყო. ამით ისარგებლა სამცხის ათაბაგმა და უკან დაიბრუნა მეფის მიერ წართმეული მიწები.

1483 ნ. — სოფ. არადეთთან (მდ. ფრონეს ნაპირზე) ყვარყვარე ათაბაგმა დაამარცხა ქართლელი ფეო-დალები.

1484 ნ. — არადეთის ბრძოლის შემდეგ ქართლის დასუსტებით ისარგებლა ალექსანდრე ბაგრა-ტის ძემ, ქუთაისი დაიკავა და მეფედ ეკურთხა (ალექსანდრე II, 1484-1510). ასე მიეცა დასაბამი იმერეთის სამეფოს ჩამოყალიბებას.

1486 ნ. — თეთრბატკნიანთა სულთანმა იაყუბ-ფა-დიშაპმა სამცხეში ილაშქრა, მძიმე ბრძოლით აიღო და გადაწვა ახალციხე, დაარბია ახალქალაქი და აწყური. თურქებნთა ერთი რაზმი ქვემო ქართლში შემოიჭრა, მაგრამ ბარათაშვილებმა გაწყვიტეს მომხდურნი.

1487 ნ. — კონსტანტინე II-მ იმერეთს გაიღაშქრა და ლიპარიტ დადიანის დახმარებით ალექსანდრე II-ს ქუთაისი წაართვა. იმერთა მეფემ კვლავ მთას შეაფარა თავი.

1487 ნ. — იაყუბ-ფადიშაპის სარდალი ქართლის საზღვარზე ციხეებს აშენებს. პერმანენტული შე-

ტაკებები ქართველებსა და თურქმანებს შორის.

1488 ნ. — ქართლში შემოიჭრა იაყუბ-ფადიშაჰის ლაშქარი. მტერმა ზარბაზნებით დააზიანა და აიღო კოჯირის ციხე; მძიმე ბრძოლა თბილისისათვის. ქვემო ქართლში თურქმანთა დიდი რაზმის განადგურების შემდეგ, თბილისთან მდგომი ყაენის მხედრობა აიყარა და უკან გაპრუნდა.

1489 ნ. — ქართლში თეთრბატკნიანთა შემოსევით ისარგებლა ალექსანდრე II-მ და კვლავ დაეუფლა იმერეთის ტახტს.

1489 ნ. — თურქმანთა თავდასხმა სამცხეზე.

1490 ნ. — ქართლის მეფე კონსტანტინე II თავის წარჩინებულთა რჩევით შეურიგდა საქართველოს პოლიტიკური დაშლის ფაქტს და ფორმალურად აღიარა კახეთისა და იმერეთის სამეფოებისა და სამცხის სამთავროს დამოუკიდებლობა.